

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

# ეტიმოლოგიური

## ძიებანი

### XVIII

ედვენება თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტის  
დვაწლმოსილ თანამშრომელთა  
მერაბ რობაქიძის და მანანა კელენჯერიძის  
ნათელ ხსოვნას

თბილისი

2021

UDC (uak)81373.6(0512)

ე-871

„ეტიმოლოგიური ძიებანი“ ქართული და სხვა ქართველური ენების ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევისადმი მიძღვნილი თემატური კრებულია.

კრებული 1987 წელს დაფუძნდა აკად. ქეთევან ლომთათიძის ინიციატივით.

კრებულში წარმოდგენილია გამოკვლევები, რომლებშიც ქართველურ ენათა ლექსიკური მასალის ანალიზისას მოხმობილია როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა სათანადო მასალა.

სარედაქციო კოლეგია:

**ნანა მაჭავარიანი**

**მურმან სუხიშვილი**

**მედეა ღლონტი** (რედაქტორი)

**ვაჟა შენგელია**

**იზა ჩანტლაძე**

**მერაბ ჩუხუა** (მთავარი რედაქტორი)

**† ზურაბ ჭუმბურიძე**

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

© თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**ISSN 1987-9946**

## **უდიურ-ქართული ეტიმოლოგიური კიბზანი. I.**

წინამდებარე ნაშრომის მიზანი უდიურ-ქართული ეტიმოლოგიური ძიებანის წარმოებაა, რაც გულისხმობს უდიურ და ქართულ ენებს შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათფარდობის საფუძველზე ლექსიკურ პარალელთა გამოვლენას და მათ ეტიმოლოგიურ ანალიზს.

### **საკითხის ისტორია**

ქართულ-უდიურ ბგერათფარდობას, ლექსიკურ და მორფოლოგიურ შეხვედრებს, ეტიმოლოგიურ ძიებებს არაერთი მეცნიერი შეხებია (ახალ-თიზირელი მწყემსი 1900; ჯანაშვილი 1910; ფანჩვიძე 1937, 1946; ჯეირანიშვილი 1953, 1957, 1958, 1959, 1970, 1984; ნაცვლიშვილი 1996; რუხამე 2018...). წინამდებარე ნაშრომი კვლევის ამ ხაზის გაგრძელებას ისახავს მიზნად.

1900 წლის „ივერიის“ 8-9 ივნისის ნომრებში (№ 121, № 122) დაიბეჭდა ახალ-თიზირელი მწყემსის ფელეტონი „უდები და იმათი ვინაობა“. წერილის ავტორი ფსევდონიმს იყენებს. ტექსტიდან ვიგებთ, რომ ის საინგილოდან არის და უდიებსაც კარგად იცნობს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პირველად სწორედ ამ წერილში გაესვა ხაზი უდიური და ქართული ენების სიახლოვეს – ავტორმა მიუთითა ლექსიკურ პარალელიზმზე (წაბულ ~ წაბლი; წინდაკ ~ წინდა; ღე ~ დღე; ჭალავ ~ ჭალა; მახ ~ მუხა...).

ბუნებრივია, რომ საზოგადოება მე-19 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან მოყოლებული უდიების ყოფა-ცხოვრების, მათი გასაჭირის შესახებ ცნობებს საინგილოს ქართველობისგან იღებდა. საინგილოდან გამოგზავნილი კორესპონდენციები და წერილები პირველი მაგალითია იმისა, თუ როგორ გააცნეს იქაურმა ავტორებმა

უდიები, მათი ყოფა, უდიური ენა ქართულ საზოგადოებას, როგორ მიატანინეს გულთან ახლოს მათი გასაჭირი, რომელიც საბოლოოდ უდიების საქართველოში გადმოსახლებით დასრულდა.

მოსე ჯანაშილიმა ინგილოურ ლექსიკონში ქართულ-უდიური ლექსიკური შეხვედრები და, ზოგიერთ შემთხვევაში, ქართულ სიტყვათა უდიური ეკვივალენტებიც აღნიშნა (ბალი ~ ბაჰი; ბოქვენი ~ ბუქუნ; ბრინჟ ~ ბირინზ; ბია ~ ფუშა; გული ~ უკ; ინგ. გურგურ „ქუხილი“ ~ უდ. გურუნება „ქუხს“; დილა ~ დამდამ; მზე ~ ბელ; თმა ~ ფოფ; თხილი ~ ერეყ; კვამლი ~ კუინ; უდელი ~ ოყ; ქათამი ~ კოკოწ...). მოსე ჯანაშილიმა, შესაძლოა, სიტყვათა ერთ ჯგუფში (გული ~ უკ; უდელი ~ ოყ; კვამლი ~ კუინ...) საერთო წარმომავლობა განჭვრიტა, რომელიც მოგვიანებით, შედარებითი კვლევების წარმოებისას, დადასტურდა.

თბილისში პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებით ახალი ერა იწყება ქართულ მეცნიერებაში. კავკასიური ენებისა და კავკასიელი ხალხის ისტორიის შესწავლის საკითხი ქართულ-ქართველური ენებისა და ქართველის ერის ისტორიის კვლევასთან ერთად პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთანავე დადგა დღის წესრიგში. ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო კონცეფცია საქართველოს კავკასიის კონტექსტში შესწავლას გულისხმობდა. „ქართველი ერის ისტორიის“ ხუთტომეულს მეცნიერმა „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“ (ორ წიგნად) წაუმძღვარა. მარტო ამ ნაშრომთა სახელწოდებების გაცნობაც საკმარისია ზემოთქმულში დასარწმუნებლად. პირველი წიგნის სახელწოდებაა „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“. ქართველურ ენათა კავკასიურ ენებთან მიმართებას ემდვნება მეორე წიგნი, რომელსაც ეწოდება „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“. ქართველთა ეთნოგენეზის მხოლოდ ქართველურ ენათა მასალის გათვალისწინებით კვლევისას ივ. ჯავახიშვილი წააწყდა დაბრკოლებას: „ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ მარტო არსებული ეთნოლოგიური და ენათმეცნიერული წყაროების გამოყენებითა და მხოლოდ ქართულ-ქართველური ენოვანი მასალის ანალიზით ქართველთა სადაურობისა და უძველესი კულტურის საკითხების გამორკვევა და გადაჭრა შეუძ-

ლებელია“ (ჯავახიშვილი 1937: XI). ამავე ნაშრომში ფორმულის სახე მიიღო მეცნიერის კონცეფციამ: „მხოლოდ ამ მიმართულებით, ამ მე-  
თოდებითა და ამნაირი მასალის გამოყენებით მოხერხდება იმ გზის  
გაკაფვა, რომელიც აწინდელი გარშემოზღუდვილობისგან ფართო  
ასპარეზზე გაგვიყვანს და ყოველმხრივ საინტერესო და უაღრესად  
მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას შეგვაძლებინებს“ (ჯავახიშვი-  
ლი 1937: 625). ივანე ჯავახიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქარ-  
თული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაო-  
ბა“ უდიური ენის მასალა საკმაოდ დიდი რაოდენობით არის წარმო-  
დგენილი და კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხის გადაწყვეტაში  
მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

უდიური ენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1938-  
1939 აკადემიური წლიდან ისწავლება. ლექციებს ჯერ ვლ. ფანჩვიძე,  
შემდეგ ევგ. ჯეირანიშვილი კითხულობდა. ამ მეცნიერთა სახელებ-  
თან არის დაკავშირებული უშუალოდ უდიური-ქართული ლექსი-  
კური და მორფოლოგიური მიმართებების შესწავლა. ვლ. ფანჩვიძეს,  
იწყებდა რა უდიური ენის შესწავლას, ვართაშენსა და ნიჯში მივლი-  
ნების ანგარიშში უდიურ-ქართული ახლო გენეზისური კავშირის  
საილუსტრაციოდ მოჰყავდა რამდენიმე ნიმუში: უდ. ბელ „მზე“ ~  
ქართ. ბლ-უარი „სამხრეთი“; უდ. გა (ნათ. გან-ეა) „ადგილი“ ~ ქართ.  
გან-ი, გან- (პრევ.); მულ „სიმღერა“ ~ ქართ. მღ-ერ-ა; უდ. წი „სახელი“  
~ ქართ. ვ-უ-წ-ოდ-ებ; უდ. -ყუნ//-ყო „ა 3 მრ. რიცხვში“ ~ ქართ. -ყე  
ნაწილაკი (ფანჩვიძე 1937)...

ევგენი ჯეირანიშვილმა არაერთი ნაშრომი მიუძღვნა უდიურ-  
ქართულ ლექსიკურ და მორფოლოგიურ შეხვედრებს. ამკუთხით  
კვლევა წინამორბედი მეცნიერების მიერ დაწყებული იყო, მაგრამ  
ევგ. ჯეირანიშვილმა კვლევის ეს ხაზი გაააქტიურა, შეიძლება ით-  
ქვას, ახალ სიმაღლეზე აიყვანა და უდიურ-ქართული ეტიმოლოგი-  
ური მიებანის პერსპექტივა და მნიშვნელობა წარმოაჩინა ზოგადად  
იბერიულ-კავკასიური ლექსიკოლოგიური და ეტიმოლოგიური  
კვლევებისთვის.

მოგვიანებით უდიურ-ქართულ ლექსიკურ პარალელებს სხვა  
მეცნიერებიც ეხებოდნენ (ნ. რუხაძე, თ. ნაცვლიშვილი...). უდიური  
და ქართული ენების მასალა ასახულია მრავალ მკვლევართა ნაშრო-

მებშიც, რომლებიც კავკასიურ ენათა გენეზისურ მიმართებებს ეძღვნება.

წარმოვადგენ უდიურ-ქართული ეტიმოლოგიური მიებანის რამდენიმე ნიმუშს:

1. უდიურში **ფიშიკ** „კატის“ აღმნიშვნელი სიტყვაა, რომლის ეტიმოლოგიაც, ერთი შეხედვით, მარტივად წყდება – **pişik** აზერბაიჯანული ლექსემაა, რომელიც უდიურში შევიდა და დამკვიდრდა (კლიმოვი, ხალილოვი 2003: 232). მაგრამ ამგვარ ეტიმოლოგიას ალტერნატიული ვარიანტიც შეიძლება გამოვუნახოთ, ერთი მხრივ, საკუთრივ უდიური ენის ბუნების, და, მეორე მხრივ, მონათესავე ენათა მონაცემთა გათვალისწინებით. როგორც ცნობილია, ქართული **ფისო** კატის მოფერებით სახელად არის მიჩნეული. ჩეჩნურში „კატის“ აღმნიშვნელი **ციც-იგ** ფორმა კნიზობითობის სუფიქსით არის ნაწარმოები. უდიურშიც არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ კნიზობითობის გამოხატველ ფუძესთან გვაქვს საქმე. უდიურში კნიზობითობას -იკ სუფიქსი აწარმოებს, რომელიც არაერთ შემთხვევაში ფუძესთან არის შერწყმული და კნიზობითობის, ალერსის, მოფერების, სიმციერის, დამცირების შინაარსს გამოხატავს, მაგ.: ფოთ-იკ „გოჭი“, ჭაჭ-იკ „თათი“, ფუჭთლ-იკ „ბუთხუზა“, სხტ-იკ „კოჭლი“ და ა. შ. **ფიშიკ** ასეთ ნაწარმოებ ფუძედ არის კიდევ მიჩნეული (ჯეირანიშვილი 1958). ქართული **ფისო**, უდიური **ფიშიკ** და წახური **ბისიი** „კატა“, ვფიქრობ, ნორმალურ შეპირისპირებად ჩაითვლება. (წახური **ს** : უდიური **შ** ბგერათფარდობისთვის შდრ.: წახ. **ოს/უს** „შეშა“, „კუნძი“ : უდ. **უშ** „შეშა“). საინტერესო ჩანს კარატაული **ისო** „კატა“ სიტყვაც. აღსანიშნავია, რომ ამგვარი სტრუქტურის ფუძეები სხვა ოჯახის ენებშიც გვხვდება: ინგლ. pussy(cat) „კატა ბავშვის ენაზე“, რუმინ. pisica „კატა“, pisoi „კნუტი“, ქურთ. pisha „კნუტი“, მალაიალ. pūcca „კატა“, ტაგალ. pusa „კატა“...

უდ. **ფ** : ქართ. **ფ**, უდ. **შ** : ქართ. **ს** ბგერათფარდობისთვის შდრ.: ფურ-ფესუნ „ფრენა“ ~ ფრენა; ფედნ „ნაკელი“ ~ ფუნა; ფიში „შარდი“ ~ ფსელი ;შამკალ „სოკო“ ~ სოკო; შე-ნ-ო „ის“ ~ ეს, ის; შანდ „სველი“ ~ სველი...

2. საინტერესო შეპირისპირებაა უდიური **ბიბ**-იკ „ბიბილო“ ~ ქართ. **ბიბილო** (ზან. (მეგრ.) **ბირბილ-ი**, (ლაზ.) **ბიბილ-ი**) მონაცემე-

ბი. -იკ კნინობითობის აღმნიშვნელი სუფიქსია უდიურში, რომელიც ძირთან არის შეზრდილი. სამეცნიერო ლიტერატურაში ქართ. ბიბილო-ს განსხვავებული ეტიმოლოგიები აქვს. არსებობს მოსაზრება, რომ ბიბილო ფუძეგაორკეცებით არის მიღებული (ბიბილ ← \*ბილ-ბილ) და საერთოქართველური დონისთვის \*ბილ არქექტიპია აღდგენილი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 110-111). მეორე თვალსაზრისის თანახმად, უნდა გამოირიცხოს სამიეზო ძირის ფუძეგაორკეცება, რადგან მას შესატყვისები ეძებნება მონათესავე აფხაზურ-ადიღური და დაღესტნური ჯგუფის ენებში, საერთო-ქართველურ ფორმად კი \*ბიბილ არქექტიპია წარმოდგენილი (ჩუხუა 2017: 132). უდიურის ჩვენება მეორე მოსაზრებას უჭერს მხარს. უდიური ბიბ-იკ ქართულიდან ნასესხობად ვერ ჩაითვლება, მიუხედავად იმისა, რომ ქართულის იდენტურ ფუძისეულ გახმოვანებასა და სემანტიკას იმიო-რებს.

უდ. ბ : ქართ. ბ ბგერათფარდობისათვის შდრ.: ბელ „მზე“ ~ ბღუ-არი „სამხრეთი“; ბიყ-ეს „პყრობა“ ~ პყ-რ-ობა ← ბყ-რ-ობ-ა; ბღღ-ფსუნ ~ ბღავილი...

3. ერთმანეთს ვუდარებთ უდ. კოკალ „ცომის პატარა გუნდა“, ელლა კოკალ „მარილიანი (მლაშე) სეფისკვერი (ბედისმადიებელი გაუთხოვარი ქალები ჭამენ ყველიერში)“ და ქართ. კვეკვერა „მრგვალი ნამცხვარი“ მონაცემებს. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ქართულის ზანური შესატყვისები: მეგრ. კვაკვარი „პატარა მრგვალი კვერი“, ლაზ. კოკორი ← \*კვაკვარი „მჭადის მრგვალი კვერი“ (ჩუხუა 2017: 233). გურული კოკორი „მცირე კვერი მჭადისა“ და ლეჩხუმური კოკორიე „მჭადი“, ალბათ, ზანური სუბსტრატია. ამავე კონტექსტში საინტერესოა გურული კოკო და ინგილოური კოკოა „პატარა კვერი“, „კოკორა“ სიტყვათა მოხმობა. ამგვარივე სტრუქტურის ფუძეები დაღესტნურ ენებშიც გამოჩნდება: ბუღლუხური კუკ, ხინალულური კუკუ „კვერი“. თუ ამ მონაცემებს საერთო წარმომავლობისად მივიჩნევთ, გურულში კოკორი → კოკო პროცესი უნდა დავუშვათ, ინგილოური მონაცემი კი დაღესტნური წრის ენებიდან ნასესხობად უნდა მივიჩნიოთ. შეგვიძლია, აგრეთვე, დავუშვათ, რომ ქართ. კვეკვერა და კოკო სხვადასხვა ფუძეებია და ამ უკანასკნელს ბუღლუხურ-ხინალულური მონაცემები შეესატყვისება. თუ ქართვე-

ლურში რედუპლიკაცია ნამდვილად გამოირიცხება (რასაც ხელს უწყობს მეგრ. კვაკვარი, რომელიც იდეალურად შეეფარდება ქართულ მონაცემს), მაშინ უდ. **კოკალ კვეკვერა**-ს კარგად შეესატყვისებოდა. **კვეკვერა**-ს რედუპლიკაციის შემთხვევაში კი უდიურო მონაცემიც ქართ. (გურ., ინგ.) კოკო/კოკომ : ბუდ. კუკ, ხინ. კუკუ ლექსემათა გვერდში დადგებოდა. აღსანიშნავია **კვეკვერა**-ს ქეგლისეული განმარტება: „კვერი (ბავშვის ენაზე)“. საკითხის შესწავლა უნდა გაგრძელდეს.

უდ. კ : ქართ. კ ბგერათფარდობისათვის შდრ.: კიწი „მცირე“, კიწკე „პატარა“ ~ (გარეკახ.) კიწი „პატარა, მცირე რამ“, (თუშ.) კიწი-კიწიას „წვრილ-წვრილად, არა ერთნაირად, გაუმეტებლად“; კუდნ „კვამლი“ ~ კვამლი; -იკ „კნინობითობის სუფიქსი“ (ბინ-იკ „თოჯინა“) ~ -იკ “id” (და-იკ-ო)...

4. კომპოზიტები, ფუძეგაორკეცებული სიტყვები ხშირად მალავენ თავიანთ თავდაპირველ აგებულებასა და მნიშვნელობას. ქართულში გვაქვს არაერთი ფაქტი, როდესაც კომპოზიტთა ცალკეული კომპონენტების ეტიმოლოგიზება დანარჩენი ქართველური ენების ან სხვა მონათესავე ენების მონაცემთა საფუძველზე მოხერხდა. ასევე ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როდესაც რედუპლიცირებულად მიჩნეულ სიტყვა-ფორმაში გაორკეცება გამოირიცხა და ერთიან ფუძედ იქნა ჩათვლილი. ქართულში ასეთი კომპოზიტები და ფუძეგაორკეცებული სიტყვები უხვად გვაქვს. შევეცდები ერთი ამგვარი სიტყვის ეტიმოლოგიზებას უდიურო ენის მასალის მიხედვით.

ქართული **ოკროზოკრო** „უსწორმასწორო, ოღროჩოლო ადგილი“ (ქეგლი) ე. წ. „დისიმილაციური რედუპლიკაციის“ (ქ. ლომთათიძე) ნიმუშია, პირველი კომპონენტი **ოკრო** გაორმაგდა და წინ დაერთო **ზ** თანხმოვანი. რას უნდა ნიშნავდეს **ოკრო**? სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იქცევს უდ. **კორი** „მრუდე“, **კორი-მორი** „მიხვეულ-მოხვეული“ სიტყვა. შესაძლოა, ამგვარი ძიება რეალობასთან ახლოს იყოს.

ბგერათფარდობა კ : კ რ : რ სხვა ნიმუშებშიც არის დაცული: კალა „კოჭლი“ ~ მ-კელ-ობ-ელ-ი; კაკალა „კურკლი“, „ცურცლი“ ~ კურკლი; კუტ „დიაცთ ასო“, „vulva“ ~ (ინგილ.) კოტა „ჩვილთ უკანა ტანი“ (შდრ.: კუტა, კუტალია (გურ., იმერ.) „ბიჭი, ყმაწვილი, პატარა



ბავშვი (ბიჭი), მისი სასქესო ორგანო“); კუნკური „ბოლოქანქალა“ ~ კურკურა (ინგილ.) „გვრიტი“, „დოია“; შერე „მშრალი“, „მჭკნარი“ ~ შრობა; ტრა-ტრა „ტოროლა“ ~ ტორ-ოლ-ა; გირ-ეს „გროვება“, „შეკრება“, „თავმოყრა“ ~ გრ-ოვ-ებ-ა...

5. ევგ. ჯეირანიშვილმა ერთმანეთს შეუპირისპირა უდ. მუტულ „მარცვალი“ და ძვ. ქართ. ბტული „ნაყოფი“ (ჯეირანიშვილი 1984). ამ დაკავშირებას სტრუქტურის (და არც სემანტიკის) თვალსაზრით წინ არაფერი უდგას, თუმცა შესაძლებელი ჩანს ძიების სხვაგვარად წარმართვაც. ძვ. ქართ. ბტული „ნაყოფი“ ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონშია“ წარმოდგენილი: „შენდა შეკრებად არს ბ ტ უ ლ ი ესე ძლევისა“ (აბულაძე 1973: 37). უდიურში გვაქვს სიტყვები ბიტ-ეს „თესვა“, ბიტ-უნ „ნათესი (ხორბლეულისა)“, რომელიც, ვფიქრობ, შესაძლებელია უკავშირდებოდეს ქართულ მონაცემს, თუ დავუშვებთ, რომ ბტული არა სახელური, არამედ მიმღეობური წარმომავლობის ფუძეა \*ბVტ- → ბტული (შდრ.: ამგვარი ფუძეები: ხნული, ბმული, წნული, ხშული...). სემანტიკურადაც თესვა/ნაყოფი საერთო ველში მარტივად მოექცევა.

უდ. ბ : ქართ. ბ, უდ. ტ : ქართ. ტ ბგერათფარდობისათვის შდრ.: ბელე/ბელი „საქონელი“ ~ ბელ-ემ-ა „ზროხა რქადადრეკილი დაღმა“ (საბა); ბუქუნ „მუცელი“ ~ ბოქვენი „მუცლის ქვეით(ი) სასირცხომდე“ (საბა); ბV- „გრამატიკული კლასის ექსპონენტი“ ~ ბV- „id“; ტიტეს „გაქცევა“, „გარბენა“ ~ ოტ-ებ-ა; ტე „წილი“ ~ ტილი; ქატა (ვართ.) / ქოტა (ნიჯ.) „კალათა“ ~ (თუშ.) კუტოა „თუჯის პატარა თუნგი“...

6. ღღ უდიურში „ღღნოშოს“ აღმნიშვნელი სიტყვაა და ის ქართ. ღღლ-/ღღლო ძირს უნდა შეესატყვისებოდეს, რომელიც დაცულია ღღლ-ნოშო/ღღლ-ნაშო [Prunus insititia] „კურკოვანი ხეხილი ვარდისებრთა ოჯახისა; ისხამს მრგვალ, მოლურჯო-შავ, ტკბილ-ხორციან ნაყოფს, რომელიც მეტწილად სამურაბედ იხმარება“ (ქეგლი) ლექსემაში. ღღლ-ნოშო/ღღლ-ნაშო კომპოზიტი უნდა იყოს, ამას გვაფიქრებინებს არამხოლოდ მისი უდიური იზოგლოსი, არამედ ქართული ენის დიალექტური მასალა: (ქიზიყ.) ღღლ-ი „ღერო, უფოთლო რქა მცენარისა“, (ქართლ.) ღღლ-ი „ღივი“, (ფშ., ქართლ.) ღღლო „თესლიდან ახლად გამოსული ყლორტი“, (შ.-კახ.) ღღლო-ში „მიწიდან ახლად ამოსული ბალახი, მცენარე ან ახლად გამოკვირებული

ხე“. ეს საერთო სემანტიკური ველის სიტყვები, ვფიქრობ, ერთმანეთს უკავშირდება. ღოდ-ნოშო/ღოდ-ნაშო-ს რთულ შედგენილობაზე მისი მეორე კომპონენტი -ნოშო/-ნაშო-ც მეტყველებს: (რაჭ., იმერ.) **ნოშო** „ფოთოლი“, (სალიტ.) **ნეშო** „ფოთლებიანი ხის შტო (მოკაფული) ან ფოთლები (მოკრეფილი, ჩამოცვენილი)“ (ქეგლ) (შდრ.: ნეშომპალა „ტყის მიწა // ნიადაგის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოქმნილია მცენარეებისა და ცხოველების ლპობისგან“ (ქეგლ)).

უდ. **ღ** : ქართ. **ღ** ბგერათფარდობის სხვა ნიმუშები იქნება: ე-ღ-ეს „მოსვლა“, თა-ღ-ეს „წასვლა“, ბაღ-ღ-ეს „შესვლა“, ჭე-ღ-ეს „გასვლა“, ლაღ-ღ-ეს „ასვლა“, ცი-ღ-ეს „ჩასვლა“ ~ შთა-ღ-ვა „შთასლვა“ (საბა); ღი „დღე“ ~ დღე; ლაღალ-ღესუნ „წყალში გავლება“ ~ ლაღლაღი „წყალში ქანება“ (საბა); მუღ „მღერა“ ~ მღერა; ბეღ „მზე“ ~ ბღუარი „სამხრეთი“...

კანონზომიერი ბგერათფარდობის საფუძველზე წარმოჩენილი უდიურ-ქართული ლექსიკური შეხვედრები აქ მოტანილი ნიმუშებით არ ამოიწურება. მე შევეცადე მხოლოდ ისეთი მასალა წარმომედგინა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი არ იყო, ან იყო, მაგრამ შესაძლებელი ჩანდა ამ დაკავშირებათა, ერთი მხრივ, სხვაგვარი ინტერპრეტაცია და, მეორე მხრივ, ახალი მონაცემებით გამდიდრება.

ვფიქრობ, ნაშრომში წარმოდგენილ უდიურ-ქართულ ლექსიკურ პარალელებს გარკვეული მნიშვნელობა ექნება ქართველურ-დაღესტნური თუ, ზოგადად, საერთოკავკასიური ეტიმოლოგიური მიეზანის დროს.

## გამოყენებული ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**ახალ-თიზირელი მწყემსი 1900** – ახალ-თიზირელი მწყემსი, უდები და იმათი ვინაობა, ივერია, 8-9 ივნისი, თბილისი.

**კლიმოვი, ხალილოვი 2003** – Г. А. Климов, М. Ш. Халилов, Словарь кавказских языков. Москва.

**ლომთათიძე 1940** – ქ. ლომთათიძე, რედუპლიკაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში, ენიმკის მოამბე, V-VI, თბილისი.

**ნაცვლიშვილი 1996** – თ. ნაცვლიშვილი, მევენახეობის ერთი საერთო ქართულ-უდიური ტერმინის შესახებ, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VI, თბილისი.

**რუხაძე 2018** – ნ. რუხაძე, უდიურ-ქართულ-ჩერქეზული ლექსიკური შეხვედრები, ჩერქეზული კულტურის ცენტრის III სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**საბა 1991** – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი.

**საბა 1993** – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი.

**სახლთხუციშვილი 2003** – უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური ლექსიკონი, თბილისი.

**ფანჩვიძე 1937** – ვლ. ფანჩვიძე, უდიური ენა და მისი კილოები, ენიმკის მოამბე, II, თბილისი.

**ფანჩვიძე 1946** – ვლ. ფანჩვიძე, მორფოლოგიური შეხვედრებისათვის უდიური ენისა ქართულ-ქართველურ ენებთან, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ქეგლი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ელექტრონული ვერსია – <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>.

**ღლონტი 1984** – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

**ჩუხუა 2017** – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1937** – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი.

**ჯანაშვილი 1910** – მ. ჯანაშვილი, საინგილო, თბილისი.

**ჯეირანიშვილი 1953** – ევგ. ჯეირანიშვილი, უდიურ-ქართული ლექსიკური შეხვედრები. I. „თრგუნვა-თრევა“ სიტყვათა ეტიმოლოგიისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, თბილისი.

**ჯეირანიშვილი 1957** – უდური და ქართული ენის ლექსიკური ურთიერთობებიდან. II. უდურ-ქართული ბგერათმესატყვისობის კანონზომიერების საკითხისათვის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი.

**ჯეირანიშვილი 1958** – ზოგი საერთო ფუძე წახურულ-რუთულურ-უდურსა და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IX-X, თბილისი.

**ჯეირანიშვილი 1959** – ქართულ-უდური ეტიმოლოგიური ძიება სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ მასალებზე დაყრდნობით, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVII სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი.

**ჯეირანიშვილი 1970** – ბუტ- ფუძე ქართულსა და უდიურში, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის XIV სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ჯეირანიშვილი 1984** – ქართულ (ქართველურ) და უდიურ (ლეზგიურ) ენათა ლექსიკური პარალელები. ზოგი ფონეტიკური ცვლილების საკითხი, საენათმეცნიერო კრებული, I, თბილისი.

AMIRAN BASILASHVILI

### **Udi-Georgian Etimological Research. I.**

#### **S u m m a r y**

The aim of this paper produce Udi-Georgian etimolocal resaerch, which involves identifying lexical parallels between the Udi and Georgian languages on the basis of regular sound-correspondences and their etimolocal analysis.

**კომპოზიტიური წარმოების  
ადილგური და აფხაზური ტოპონიმები**  
(ეტიმოლოგიურ-სტრუქტურული ანალიზი)<sup>1</sup>

ტოპონომიკა ენის ყველაზე ძველი შრეობრივი პლასტია, შესაბამისად, მისი ანალიზი მეცნიერებისთვის საინტერესო ბევრ კითხვაზე იძლევა პასუხს.

ადილგურ და აფხაზურ კომპოზიტიური წარმოების სახელებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტოპონიმებს. მათი სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ანალიზი დამატებით მასალას იძლევა კომპოზიტთა წარმოების შესასწავლად.

კომპოზიტიურ მიკროტოპონიმებში საზღვრულად ხშირად გვხვდება უბნის, დასახლების აღმნიშვნელი ადილგური **ჰაბლზ** (აეგლ 2014: 348):

**ადგლ-ჰაბლზ** – რაიონული ცენტრის უბანი. მომდინარეობს ეთნონიმიდან **ადილზ** და ერთვის დასახლების, უბნის აღმნიშვნელი **ჰაბლმ** (აეგლ 2014, 348). ზედმ. „ადილგელთა უბანი“. დაუარსებიათ 1926 წელს ხაბეზიდან ჩამოსახლებულ ჩერქეზებს. მსგავსადევა ნაწარმოები აბაზური დასახლება **აბაზა-ჰაბელ**.

**ბატჰაბლზ** – დასახლება. **ბატჰ** პირსახელია, დასახლების, უბნის აღმნიშვნელი **ჰაბლზ** ხშირად გვხვდება ადილგურ კომპოზიტიურ ტოპონიმებში. შდრ. **ბაჯჰაბლ** = ბაჯას სამოსახლო, **ადგლ-ჰაბლზ** (იხ. ზემოთ).

**ბჟედელჰაბლ** – დასახლება მდინარე ბელის მარცხენა ნაპირზე. სახელდება შერჩეულია დასახლების დამაარსებელთა აღმნიშვნელი ეთნონიმის ბჟედელის მიხედვით, ზედმ. „ბჟედელთა უბანი“.

---

<sup>1</sup> სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული FR 18-072 პროექტის ფარგლებში

**ერმწლჰჰლზ** – არმავირის ადილეური დასახელება, ზედმ. „სომეხთა უბანი, დასახლება“. ცნობილია აგრეთვე სახელწოდებით **ჯაურჰჰლზ** „ურწმუნოთა, გაურთა დასახლება“.

საინტერესოა, რომ უბნის აღმნიშვნელი იგივე **ჰაბლზ** ელემენტი გვხვდება აფხაზურ ტოპონიმებში: **აჰაჰ იჰაბლა** ზედმ. „მღვდლის უბანი“ – მცირე უბანი ნაეკლესიართან (აყვარაში, ფოქვეშის თემი); **ლოგუა რჰაბლა** „ლოგუების უბანი“ – უბანი თომა იკვარის მარჯ. მხარეს (ჯგერიანი); **ლაბახუა რჰაბლა** „ლაბახუების უბანი“ – ერქვა უბანს თომ იკვარის მარჯ. მხარეს (რეკა); **ფაჩულია რჰაბლა** – ფაჩულიების უბანი პ. ოხურეის საზღვართან (კაციჰაბლა); **ხაშაა რჰაბლა** – ხაშბების უბანი ქვალაის მარჯ. მხარეს (ურთა); **ჯინჯალაა რჰაბლა** – ჯინჯოლავეების უბანი ქვალაის მარჯ. მხარეს (ურთა). ფორმები აღებულია პ. ცხადაიას წიგნიდან „სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელები“ (ცხადაია 2003).

ადილეურ კომპოზიტურ ჰიდრონიმებს ხშირად გვხვდება წყლის, მდინარის აღმნიშვნელი ჩერქეზული **ფსგ** (აეგლ 2012: 314):

**აჰგფს** – მდინარე, ყუბანის მდგენელი. ჰიდრონიმის პირველი ნაწილი იმ მთის სახელწოდებაა, საიდანაც მდინარე ჩამოდის, მეორე კი წყლის აღმნიშვნელი სიტყვა (კოკოვი 1974).

**შგლზფსგ** – მდინარე ფსკეშის შენაკადი. **შგლზ** „აბრეშუმი“, **ფსგ** „წყალი, მდინარე“, ზედმ. „აბრეშუმის მდინარე“.

**ქრყფსგ** – მდინარე მაიკოპთან. ჰიდრონიმის პირველი ნაწილი ეთნონიმ ქართველის ჩერქეზული დასახელებაა (**ქრჯ** – ადილეურად, **ქრჟ** – ყაბარდოულად), ხოლო მეორე წყლის, მდინარის აღმნიშვნელი ადილური **ფს(გ)**. ზედმ. „ქართველის მდინარე“.

**ჩჰჰფსგ** – მდინარე ტუაფსესთან. **ჩჰჰ(გ)** „ქოხი“, **ფსგ** „მდინარე“. ივარაუდება ქოხის გასწვრივ ჩამდინარე წყალი.

მდინარის, ღელის აღმნიშვნელი აფხაზური (**ა)კარა** (ჯანაშია 1954: 152) ბუნებრივი კომპონენტია კომპოზიტური ჰიდრონიმებისა:

**აგრუაკვარა** – ბობოშიაკვარის მარჯ. შენაკადი. ზედმ. „მეგრეულის ღელე“. ინფ.: „ღელისპირას ესახლნენ გოგოხიები – ჩამოსული მეგრელები“ (საჩინო).

**ამუშევარა** – ნიშონის მარჯ. შენაკადი (ზ. გალი, ლეკუმხარა). ზედმ. „დათვის ღელე“ **ა-მშ** „დათვი“ (ჯანაშია 1954: 196).

**აპაპ(ი)კვარა** – ოქუმიწყარის ერთ-ერთი მდგენელი (მთა). ზედმ. „მღვდლის ღელე“ (აფხ., მეგრ.). **პაპა** (მეგრ.) „მღვდელი“ > **ა-პაპ** (აფხ.) „მღვდელი“ (ჯანაშია 1954: 217).

**შაშკვარა** – ღელე. ერთვის დიდბებესირს (აჩიგვარა, ოხურეი აჩიგვარის თემისა). ზედმ. „შაშის (პირსახელია) ღელე“.

სადგომის, შემოკავებული ადგილის აღმნიშვნელი **ფარზ** (ადილ.), **ა-ფარა** (აფხ.) გვხვდება ადიღეურ და აფხაზურ ტოპონიმებში:

**შეფარზ** – ადგილი ყუბანის ნაპირზე. **შე** (ბჟედ.) „ცხენი“, **ფარზ** „სადგომი, შემოკავებული ადგილი“, ზედმ. „ცხენის სადგომი“. მართალია, ჯ. კოკოვი კომპოზიტის ორივე ნაწილს საკუთრივ ადიღეურად მიიჩნევს, მაგრამ სადგომის აღმნიშვნელი ელემენტი სავარაუდოდ აფხაზურიდან, ან უბიხურიდან უნდა იყოს შეთვისებული. შდრ. **ფაღა** (უბიხ.) „ეზო, შემოღობილი ადგილი“.

**აჩიგვარა** – სოფელი ოჩამჩირის რაიონში – **ა-ჩე** „ცხენი“, (ა)**გარა** „ეზო“, ზედმ. „ცხენის ეზო, სადგომი“.

**აწანგვარა** // **აწამგვარა** – ტყე ჟღრწყარშქაში (მ. გუდავა), **ა-წან** – აფხაზური მითოლოგიის მიხედვით ჯუჯა, ქონდრისკაცი, (ა)**გარა** „ეზო“, ზედმ. „აწანების ეზო“.

ადიღეურ ჰიბრიდული ტოპონიმების შემადგენელ ნაწილად გვხვდება ნასესხები სიტყვები:

**ჯგნაუზგჯ** – სამარხი მდინარე მაკოფსის მარცხენა სანაპიროზე. მიკროტოპონიმი ჰიბრიდული შედგენილობისაა, **ჯგნ** თურქული წარმომავლობისაა და „სულს, დემონს“ ნიშნავს, **აუზ** „ხეობა“, ხოლო **ჯ** „საფლავს, სამარხს“ ნიშნავს. ზედმიწევნით, „დემონის საფლავის ხეობა“ (?).

**ჯგნაუნ** – კასტრული მღვიმე კრასნოალექსეევსკის გარეუბანში. **ჯგნ** თურქულიდან ნასესხები სიტყვაა (იხ. ზემოთ), ხოლო **უნ** (< **უგნა**) „სახლს“ აღნიშნავს ადიღურად (ჩუბუა 2017: 275). ტოპონიმი ზედმიწევნით „დემონის, ემშაკის სახლს“ ნიშნავს.

სახლის აღმნიშვნელი სიტყვა გვხვდება კიდევ ერთ კომპოზიტურ ტოპონიმში **ძაუნთამ** – პლატო ფსეუშხოს ფერდობზე. **ძ** / **ძა**

„ჯარი, არმია“ (კვახაძე 2014: 115), **უნწ** (< **ტუნა**) „სახლი“, **თამ** „სიმაღლე“, ზედმ. „ამაღლებული ადგილი, სადაც ჯარის ბანაკი იყო განლაგებული“.

**ახსპუტ** – მდინარე ზელენჯუკის ერთ-ერთი მდგენელი. ჰიდრონიმის შემადგენელი ნაწილები თურქულიდან მომდინარეობს – **აქ** „თეთრი“, **სუ** „წყალი“, **ათ** „ცხენი“, ზედმ. „თეთრი (სუფთა) წყალი, რომელსაც ცხენები სვამენ“ (კოკოვი 1974), თუმც მკვლევარი იქვე მიუთითებს, რომ ჰიდრონიმის მეორე ნაწილის ახსნისას გასათვალისწინებელია ნომენკლატურული ელემენტი **სოუტ** (**საუტ**) „ტყიანი მთა“.

აფხაზურ მიკროტოპონიმებში გამოყენებული სხვა ტოპოლექსემები:

აფხაზური **ა-ხ<sup>ე</sup>** „გორაკი, ბორცვი, ბექობი“ (ჯანაშია 1954: 418):

**აბაჟუ(ა)ხუ** – 1. სერი ნაციხარ-ნაეკლესიარით ქვალის მარც. მხარეს (ურთა); 2. გორა ჯუხუს სათავესთან (მ. კოპიტი); 3. ნაეკლესიარი ლალიძგის მარცხ. მხარეს. **ა-ბაა** „ციხე-სიმაგრე“, **ა-ჟგ** „ძველი“, **ა-ხ<sup>ე</sup>** „გორაკი, ბორცვი, ბექობი“, ზედმ. „ძველი ციხის ბორცვი“.

**აფერმახუ** – ბორცვი ოხოჯის მარჯ. მხარეს (ამხიდა, აგუბედიის თემი), ზედმ. „ფერმის ბორცვი“.

**აკირახუ** || **კირახუ** – სერი, უბანი ოტაფის მარცხ. მხარეს, **ა-კირ** (< ქართ.) „კირი“, ზედმ. „კირის ბორცვი“.

**ჩამანუყვაახუ** – სოფ. აყვარაში, ფოქვეშის საკრ. ზედმ. „ჩამანუყვას ბორცვი“. ჩამანუყვა პირსახელია.

აფხაზური **ა-ძგ<sup>წ</sup>** „წყარო“ (ჯანაშია 1954: 378):

**აკანტორადიხ** – წყარო საკოზმაში (კაციჰაბლა), ზედმ. „კანტორის წყარო“.

**ალასადიხ** – ბებესგრის შენაკადი. სათავეა მაფაშ წყურგილი (ოხურეი, აჩიგვარის თემი); აფხ. **ა-ლას** მსუბუქი, მჩატე; სწრაფი, ჩქარი“, ზედმ. „ჩქარი წყარო“.

**არანაადიხ** – წყარო, ქვალის ერთ-ერთი სათავე (ნარჯხეუ), ზედმ. „არანას წყარო“.

**ბაქალდიხ** – წყარო ანარაში, ოქუმწყაროს ერთ-ერთი მდგენელი (მთა), ზედმ. ბაქალის (პირსახელია) წყარო.



აფხაზური ა-ჰაფგ „გამოქვაბული, მღვიმე“ (ჯანაშია 1954: 454):

**ბერზო(ჰა)ფუ // ბერზუჰაფუ // ბერძო(ჰ)აფუ** – ხეობა, სამოვარი აშთის დასავლეთით (მთა). ბერზო / ბერზუ / ბერძო პირსახელია. „ბერზოს მღვიმე“.

**პეპი(შ)აჰაფუ** – მღვიმე ოქუმბსთასა და დიდ აცგღმუას შუა, სადაც პეპის საქონელი ჰყოლია (მთა), ზედმ. „პეპის გამოქვაბული“.

**ყულბაქაჰაფუ** – სამოვარი ჭიჭე აკიბოს სამხ.-დასავლეთით (მთა). ზედმ. „ქულბაქის მღვიმე“.

### გამოყენებული ლიტერატურა

**აეგლ 2012** - Толковый словарь адыгейского языка, т. II, Майкоп.

**აეგლ 2014** - Толковый словарь адыгейского языка, т. III, Майкоп.

**კვახაძე 2014** – ა. კვახაძე, ჩერქეზულ ენა-კილო-თქმათა სემანტიკურ-შედარებითი ლექსიკონი, თბილისი

**კოკოვი 1974** – Коков Дж. Н. Адыгская (Черкесская) топонимия, Нальчик.

**ჩუხუა 2017** – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი

**ცხადაია 2003** – პ. ცხადაია, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელები, თბილისი

**ჯანაშია 1954** – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

## Adyghe and Abkhazian Compound Toponyms

(Etymological-structural analysis)

### S u m m a r y

Toponyms occupy an important place among Adyghe and Abkhazian compounds.

Various words are used as toponymic lexemes:

Adyghe: *hablă* "district" – *adeghă-hă blă*, *bată hă blă*, *bă jă hă bl...*

*pssə* "river, water" – *aφəpb*, *shəläpsə*, *k°rzhəps...*

*wəna* "house" – *jənă un*, *dză ună tam..*

Abkhazian: *(a)k°aras* "stream, river" – *agruakvara*, *amushkvara*  
*apap(i)kvara...*

*a-g°ara* "fence", "fenced area" – *achigvara*, *atsangvara...*

*a-kh°ə* "hill" – *abazh(a)khu*, *apermakhu*, *akirakhu...*

*a-dəx̃* "spring" – *akantoradzikh*, *alasadzikh*, *bakaldzikh...*

*a-hape* "cave" – *pepi(sh)ahapu*, *kulbakagapu...*

**ქართულ-ნახური ლემსიკური პარალელები<sup>1</sup>**

ქართული და ნახური ენების კონტაქტი საუკუნეებს ითვლის. იგი, რა თქმა უნდა, უმთავრესად მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებს – ფშაურს, ხევსურულს, თუშურს და რიგ შემთხვევებში მოხეურსაც, სადაც დღემდე იხმარება ჩეჩნურ-ინგუშურიდან თუ წოვათუშურიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულები. ცხადია, ეს პროცესი ცალმხრივი არ ყოფილა და აღნიშნულ ენებშიც არაერთი ქართული ნასესხობა დასტურდება: წოვათუშურში გაცილებით მეტი, ვიდრე ჩეჩნურ-ინგუშურში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა პერიოდში ეს ურთიერთობები სხვადასხვა ინტენსივობისა და სიმძლავრის იყო და ხასიათდებოდა ასიმეტრიით რომელიმე ერთის, უმთავრესად, ქართულის, სასარგებლოდ.

განსაკუთრებით ინტენსიური სახე ენობრივმა ურთიერთობებმა წოვათუშურისა და ქართულის (როგორც სალიტერატურო ენის, ისე დიალექტების) შემთხვევაში შეიძინა. ქართულის გავლენა აქ დღეს უკვე მხოლოდ ლექსიკური ნასესხობებით არ შემოიფარგლება. ეს განპირობებულია ისტორიულ-პოლიტიკური, კულტურული და გეოგრაფიული ფაქტორებით - ასწლეულების განმავლობაში ისინი ერთ სივრცეში თანაარსებობდნენ და მჭიდრო, უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ.

ცნობილი ფაქტია, რომ ენათა კონტაქტისას ინტერფერენციის პირველი და თვალშისაცემი მახასიათებელი არის ლექსიკური ნასესხობანი. ლექსიკური ერთეულების სესხება ჩვეულებრივია, განსაკუთრებით კი არსებითი სახელებისა. წოვათუშურიც არ არის გამო-

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (კავკასიურ-ქართული ლექსიკონები. II №FR-18-3659)

ნაკლისი ამ კუთხით. დავით და ნიკო ქადაგიძეების ლექსიკონში, რომელიც შეიცავს 5868 სიტყვას, 2197 ნასესხებია ქართულიდან ან ქართულის გზით<sup>1</sup>. აქედან 67 პროცენტს შეადგენს არსებითი სახელები. ჩეჩნურისა და ინგუშურის შემთხვევაში ეს რაოდენობა, ცხადია, გაცილებით დაბალია. ისიც უნდა ითქვას, რომ სესხება სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდს მოიცავს.

სამეცნიერო ლიტერატურაში განარჩევენ ენათა ცალმხრივსა და საურთიერთო გავლენას. როგორც ჩანს, მოცემულ შემთხვევაშიც ეს პროცესი საურთიერთო იყო გარკვეულ ეტაპამდე, ამას მოწმობს ნახური სუპერსტრატო თუშურ და ხევსურულ დიალექტებში. მეორე მხრივ, ქართული ნასესხობები ნახურ ენებში, წოვათუშურში კი ქართულის ძლიერი გავლენა გვაქვს არა მხოლოდ ლექსიკაზე, არამედ ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე.

ქართველურ-ნახურ ენობრივ ურთიერთობებს არაერთი გამოკვლევა მიემდვნა (ალ. ჭინჭარაული, თ. უთურგაიძე, მ. ჩუხუა, თ. გონიაშვილი, კ. ჭრელაშვილი, ნ. არდოტელი და სხვ.), თუმცა, მასშტაბურობიდან გამომდინარე, საკითხი კვლავაც აქტუალურია. ემპირიულ მასალაზე დაკვირვებით ჩნდება ახალი საანალიზო ერთეულები. ერთი მხრივ, როგორც ზემოთ ნახსენები არაერთი ავტორიც მიუთითებს, გვაქვს საერთო წარმოშობის ლექსიკა, მეორე მხრივ კი, მრავლადაა ნასესხობები, როგორც ნახური ენებიდან ქართულში, ისე პირიქით.

უნდა აღინიშნოს, რომ წოვათუშურმა შემოინახა ძველი ქართულიდან შეთვისებული არაერთი ისეთი სიტყვა, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აღარ გამოიყენება: ავსებ „ადდგომა“, გეფს „შვიდეული“, ხორმაჟ „ციებ-ცხელეა“ და სხვ.<sup>2</sup>

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს შერჩეული ლექსიკური ერთეულების **წარმომავლობისა და სესხების მიმართულების** დადგენა, რომლებიც დასტურდება როგორც ნახურ ენებში, უმთავრესად წოვათუშურში, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში - ხევსურულში, ფშაურსა და თუშურში, ორიოდე შემთხვევაში

---

<sup>1</sup> მიქელაძე 2008:39

<sup>2</sup> ჭრელაშვილი 2008: 313

ქართულ სალიტერატურო ენაშიც. ზოგ შემთხვევაში ცხადია ნასეს-ხოზის მიმართულება, ზოგჯერ კი ის მეტ კვლევა-ძიებას საჭიროებს, რამდენიმე მათგანი საერთო წარმოშობის უნდა იყოს.

**წ. -თუშ.: ბუნაგ** - „ჭურჭელი“;

**ფშ.: ბუნაგი** - „ჭურჭელი საზოგადოდ (თუნგი, კოდი, კოდორი და სხვ.)“;

**ბევს.: ბუნაგი** - „საოჯახო ჭურჭელი (ხისა, სპილენძისა)“;

**თუშური: ბუნაგჲ** - საჭმლის შესანახი ადგილი და აგრეთვე მე-ცხვარის ბინა-ბარგი;

ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში გავრცელებულია **ბუნ-** ძირი სხვადასხვა ფორმითა და სემანტიკით: **იმერ. ბუნ-**ი „ერთი წინაპრის შთამომავლობა, ერთი ოჯახის განაყოფი“, მეგრულ ენაშიც **ბუნა-**ს ერთ-ერთი მნიშვნელობა იმერულის მსგავსია „წყება, ერთი დაჯგუფება, ნაწილი ჯოგისა, ფარისა (რამდენიმე ათეული სული და მეტი)“. **ჯავახ. ბუნ-**ე „ბუდე“, **ბუნ-**აგი „გარეული ცხოველისა და ნადირის სადგომი“. მ. ჩუხუა აღადგენს საერთო ქართველურ **\*ბუნ-**ა ფორმას - „ბუდე, ორმო, სამირკველი“<sup>1</sup> და მას შესატყვისებსაც უძებნის აფხაზურ-ადიღურ ენებში. წოვათუშურსა და ქართულის მთის დიალექტებში წარმოდგენილი ბუნაგი, შესაძლოა, სწორედ მოცემული ძირის სემანტიკური დავიწროების შედეგად არის მიღებული, რადგან საოჯახო ჭურჭელი სწორედ კერასა და საძირკველს უკავშირდება.

**წ. -თუშ.: კაპრაშ** - „ყვითელი“ გვხვდება როგორც სამწერლობო ქართულ ენაში, ისე დიალექტებში, მაგრამ განსხვავებული სემანტიკით:

**კაპრაშ-ი** - „ყვითელმოწითალო ფერი“ (საბა);

**ბევს.: კაპრაშა** - „ღია წითელი“;

**თუშ.: კაპრაშაყრ** - „ელვარე ყვითელი“;

**ინგილ.: კაპრაშ** - „ღია წითელი, რომელსაც მოყვითალო ფერი გადაჰკრავს“.

**ქართლ.: კაპრაში** „მომჟაო საჭმელი“.

---

<sup>1</sup> ჩუხუა 2017:146

ქართველურ ენებშიც ვლინდება აღნიშნული ფუძე, მეგრ.: **კაპრ** „ყვითელ-მოწითალო, ჟღალი“, აგრეთვე, **კაპრაში** „ყვითელ-მოწითალო ფერის, ჟღალი პირუტყუვი“.

ეს სიტყვა ქართველურ ენა-დიალექტებში სომხურიდან უნდა იყოს ნასესხები. კაპრამ ჰქვია ხეს, რომლისგანაც მზადდება ნარინჯისფერი ან ყვითელი საღებავი. ამ ფერის ერთადერთი აღმნიშვნელი წოვათუშ-იკურში სწორედ კაპრაშია, სადაც ის ქართულის გავლით უნდა შესულიყო. ვაინახურ ენებში კი ყვითლის (ზოგადად, ფერთა აღსანიშნავად) აღსანიშნავად ეს ერთეული არ დასტურდება.

**წ. -თუშ.:** **ბოყ-რი<sup>ნ</sup>** მსაზღვრელის სახით ამ შესიტყვებაშილა გამოიყენება –

**ბოყრი<sup>ნ</sup> კალტ** - „დათხურის მოსამზადებელი, სპეციალურად გამოყვანილი ხაჭო“. – რი<sup>ნ</sup> ქონა-ყოლის აღმნიშვნელი სუფიქსია; ზმნური სახითაც მხოლოდ ხაჭოსთან დაკავშირებულ კონტექსტებში გვხვდება.

**ქისტ.:** **ბტოყ-არ** - „ობი“; **-არ** მასდარის საწარმოებელი სუფიქსია.

**ფშ.:** **ბოყვი** - „რაიმე ამჟავებულის ობი“;

**ხევს.:** **ბოყვი** - „ცხიმულის, რძის ნაწარმის ობი“; აგრეთვე, **და-ბოყვება** - „გაფუჭება, დაობება“; **აბოყვება** - „ბოყვს, პკეს, ობს უჩენს“.

აღნიშნული ძირი ნახურ ენებში ქართულიდან უნდა იყოს შესული. წოვათუშურშიცა და ქისტურშიც იგი მკაცრად შეზღუდულ კონტექსტში, ერთი სახის რძის ნაწარმთან გამოიყენება, სხვა შემთხვევებში კი მას განსხვავებული ფუძე ენაცვლება. ლ. კელაურადის მითითებით, ქართულ ბოყვს შესატყვისები ეძებნება მეგრულ-ლაზურში: „მეგრ. ფორმები < \*ფოყვ- < \*ბოყვ-; ლაზ. ბოტ- < \*ბოტვ- < \*ბოყვ-; ლაზ. ბული < \*ბოღვი < \*ბოყვი“.<sup>1</sup> სხვა ქართულ დიალექტებში ეს სიტყვა მსგავსი სემანტიკით არ იძებნება, თუმცა გვაქვს რამდენიმე განსხვავებული შინაარსით: **ჩვენებურების ქართული: ბოყვი** - ბოქლომი; **ქართლური: ბოყვი** - წისქვილის ხვიმრის ძირში მიკრული პატარა ღარი; **ლეჩხუმური: ბოყვი** - ტყემლის ორლებნიანი ნაყოფი; **იმერული: ბოყვი** - ხის ქერქისაგან შეკერილი ჭურჭელი.

---

<sup>1</sup> კელაურაძე 2016:32

**წოვათუშ.: ბაყრ** – „კვიცი“; ამ ძირს შესატყვისები აქვს ნახურ ენებში:

შდრ.

**ჩერნ.: ბეყა** – „კვიცი“;

ინგუშურში კვიცის აღსანიშნავად რამდენიმე ვარიანტი გვხვდება: **ბაყ, ბაყილგ, გოგრა ბაყილგ** (სიტყვასიტყვით ცხენის კვიცი);

**ხევს.: ბაყალ** – „ვულგ. ბუში, ნაბიჭვარი“; **ბაყალიკა** – „ჩოჩორი“;

**ფშ.: ბაყალიკა** – „ჩოჩორი“; **ბაყალწიკა** – „ვულგ. ბავშვები, პატარები – ჩოჩრებივით“.

მ. ჩუხუა ქართულში მიუთითებს **ვარყა** ფორმას, რაც ულავ ცხენს ნიშნავს, სვან. **ჭარყა** – თავნება ცხენი; ზან. **ურა <- ვორყა** – დაუკოდავი კვიცი,<sup>1</sup> თუმცა მთის კილოების გარდა, ის ქართულის სხვა დიალექტებში არ არის შემონახული. ვფიქრობთ, ფშაურ-ხევსურულში იგი ნახური ენებიდან, უფრო კი ინგუშურიდან უნდა იყოს შემოსული, სადაც **-ილგ/-ლგ/-ალგ** და სხვა ფონეტიკური ვარიანტები კნინობითობის აღმნიშვნელი სუფიქსებია.

**წ. თუშ.: ქოჯრ** – „ცოცხი“;

**თუშ.:** - **ქოჯოი** – „კანგამძვრალი არყის ხის ტოტებისგან შეკრული პატარა ცოცხი, რომელსაც ხმარობენ რმისა და დოვის საწურად“;

**ფშ.: ქოჯონი** – „კონა, ბლუჯა“;

**ხევს.: ქოჯო** – „შეკვრა, კონა“;

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მის მეორე მნიშვნელობად მითითებულია „ერთი ბლუჯა (მატყლი, თმა)“. ვაინახურ ენებსა და ქართულის სხვა დიალექტებში ეს სიტყვა არ იძებნება.

**წ. თუშ.: ბოტ** – თიკანი (მისი ომონიმია ბოტ – ცომი), **ბოდტ** – ბოტი, მამალი თხა, ფარის წინამძღოლი; ვაცის აღსანიშნავად გვხვდება აგრეთვე **ბზოჯ**;

ბოტი გავრცელებული პოლისემიური სიტყვაა ქართულში. სამწერლობო ენასთან ერთად იგი მოწმდება კილოებშიც:

**ბოტი** – „თხის ერკემალი (საბა)“;

**ხევს.: ბოტი** – „დაუკოდავი ვაცი“;

---

<sup>1</sup> ჩუხუა 2017: 428

**თუმ.: ბოტის აყროლება** - „ნერბვის პერიოდში ბოტის ხორცს რომ სუნი აუვა“. **ბოტშესვლა** - „ჯიხვების ხურების პერიოდი“;

**ფმ.: ბოტი** - „დაუკოდავი, მამალი თხა“; გადატ. მნიშვნელობით - ვაჟკაცი კაცი; ქალების მოყვარული; **ბოტობა** - „თხების და ჯიხვების დამაკების პერიოდი“. **მოხ.: ბოტალა** - „ექვსი თვიდან წლამდე დაუკოდავი მამალი თხა“.

ვაინახურ ენებში ვაცის აღსანიშნავად გვაქვს **ბოჟ/ბოჯ** ერთეულები.

მ. ჩუხუა აღნიშნულ ძირს საერთო წარმომავლობის ლექსიკას მიაკუთვნებს და წარმოადგენს მის შესატყვისებს ქართველურ და ნახურ ენებში. <sup>1</sup> საინტერესოა, რომ ეს სიტყვა ცოცხალი სახით შემორჩენილია სწორედ თუმ-ფშავ-ხევსურულსა და ნახურ ენებში. აგრეთვე ამჟამად საქართველოს გარეთ წარმოდგენილ ქართული ენის დიალექტებში - ფერეიდნულსა და ჩვენებურების მეტყველებაში.

ქვემოთ მოცემულ შემთხვევაში კი საქმე უნდა გვქონდეს ჩეჩნურ-ინგუშურ ნასესხობასთან ხევსურულში:

**წ. თუმ.: აბიკ** - „კოვზი“

ამ ძირს შესატყვისები ეძებნება ჩეჩნურსა და ინგუშურში;

**ჩეჩნ.: ყაფ** - „კოვზი“;

**ინგუშ.: ყაფ** „კოვზი“;

ხევსურულში დასტურდება სიტყვა **აფიკა** ხის ღრმა კოვზის მნიშვნელობით.

8. ხევსურულ ლექსიკონში **მარახული** განმარტებულია როგორც „თრთვილი, ჭირხლი“. გვხვდება ზედსართავის სახითაც - **მარახულა** - „ჭირხლისფერი, მოთეთრო“. ფშაურში მარახული განსხვავებული სემანტიკითაა წარმოდგენილი. ა. შანიძის დაკვირვებით, იგი შემოდგომის პირზე გადამხმარ ბალახბულახს უნდა ნიშნავდეს. ჩვენი აზრით, იგი უნდა უკავშირდებოდეს ჩეჩნურ-ინგუშურ **მარხა/მორხ** ფუძეს, რომელიც ღრუბელს ნიშნავს.

ამგვარად, იხატება ენათა ურთიერთგავლენის საინტერესო სურათი - რიგ შემთხვევებში წოვათუშური და ქართული ენის მთის კილოები ერთ სახეს გვიჩვენებს, ზოგჯერ კი ხევსურულსა და ფშაურ-

---

<sup>1</sup> ჩუხუა 2007:57



ში ფიქსირდება ის ერთეულები, რომლებიც არ ჩანს წოვათუშურში, მაგრამ წარმოდგენილია ჩეჩნურსა და ინგუშურში.

ასეთი ლექსიკური ერთეულები საკმაოდ ბევრია. მათი სტრუქტურის, სემანტიკისა და ეტიმოლოგიის კვლევა შემდგომი კვლევამდებობის საქმეა.

### გამოყენებული ლიტერატურა

**კელაურაძე 2016** - ლ. კელაურაძე - დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის - III. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნ. ინსტიტუტის 75-ე სამეცნ. სესიის მასალები

**მიქელაძე 2008** - მ. მიქელაძე - ინტერფერენტული პროცესები წოვათუშურ ენაში I, ლექსიკა და ფონოლოგია, თბილისი

**ქადაგიძე, ქადაგიძე 1984** - დ.ქადაგიძე, ნ.ქადაგიძე, წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი

**შანიძე 1984** - ა. შანიძე, თხზულებანი ტ. I, თბილისი

**ჩუხუა 2007** - მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი

**ჩუხუა 2017** - მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი

**ცოცანიძე 2012** - გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი

**წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი** 2012, ტ. I, თბილისი.

**წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი** 2013, ტ. II, თბილისი

**ჭინჭარაული 2005** - ა. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი

**ჭრელაშვილი 2002** - კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, თბილისი

**ხორნაული 2000** - გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბილისი

## Georgian-Nakh Lexical Similarities

### S u m m a r y

The discussion presented in the paper deals with the lexical units that are attested in the Nakh languages, mainly in Bats, as well as in the Eastern Georgian mountain dialects such as Khevsurian, Pshavian and Tushetian, and in a couple of cases in the Georgian literary language. The aim of the research is to define **the origin** and **borrowing direction** of eight lexical units.

We assume that a major part of these coincidences is the result of language contact, and a few of them seem to have a common origin. In some cases, borrowing is apparent, and sometimes farther research is needed.

Empirical material provides interesting information on the interaction of the languages, i.e. Bats and the Georgian mountain dialects show the similarities very often, and sometimes in Khevsurian and Pshavian we can find lexical units that are not attested in Bats but they are presented in Chechen and Ingush.

**იპერიულ-კავკასიურ-სომხურ მნობრივ  
ურთიმართმიმართებათა საკითხში:  
სომხ. ანტარ „ტყე“, წარ „სე“ და ლიჭ „ტბა“  
აბეზულეზისა და ფარმოგავლოზისათვის<sup>1)</sup>**

სომხური სუბსტრატული ლექსიკის საკითხი იმსახურებს ყურადღებას და საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას [კანარკოვსკი : 2019].

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია სამი სომხური სიტყვის წარმომავლობის განმარტების ცდა იბერიულ-კავკასიურ შედარებით მონაცემთა გათვალისწინებით. მათი

ინდოევროპული ეტიმოლოგია დამარწმუნებლად დამტკიცებული არ არის, განსაკუთრებით საექვო რჩება ფონეტიკური განვითარების დეტალები<sup>2)</sup>.

**1) სომხ. ანტარ /անտար/ „ტყე“**

სიტყვის ინდო-ევროპული ეტიმოლოგიას შეგვთავაზობენ: [აჭარიანი 1971-1979 : ტ. I, 211; მარტიროსიანი 2010 : 95-96; ჯაჰუკიანი 2010 : 62].

ამ შემთხვევაშიც მორფემული დაყოფა არ იცვლება და რჩება: ანტარ = ან-ტარ, მაგრამ მეორე სეგმენტი უკავშირდება ქართ. ტარ-ს.-ქართული ფუძე სავარაუდოდ იყოფა: ტარი = ტა-რ-ი, სადაც სონორანტი: -რ- გაქვავებულ კლას-ნიშანს წარმოადგენს.

ჩემი აზრით ასეთი მორფემული განაწილება უფრო სწორია ვინემ: ტ-არ- ბოლოკიდურ სუფიქს-დეტერმინანტთან<sup>3)</sup>. ამაზე მიუთითებენ შედარებითი მონაცემები:

ლაკ. თარ = თა-რ < \*ტა-რ „ფიჭვი“

აღ. დარ = და-რ < (\*თა-რ) < \*ტა-რ „ბე“

ბუდ. დგრ = და-რ < (\*თა-რ) < \*ტა-რ „ბე“

ლევზ. თარ = თა-რ < \*ტა-რ „ბე“

კრ. დარ = და-რ < (\*თა-რ) < \*ტა-რ „ბე“

სემანტიკური კორელაცია გასაგები ხდება, თუ მიიღება ფუძის ამოსავალი მნიშვნელობა: ხის (*ხისგან გაკეთებული*) ტარი, მერე: ხის ტარი → (*ნებისმიერი*) ტარი სემანტიკური განზოგადოების გზით.

სომხურში სემანტიკური განვითარება მდგომარეობს მეტონიმი-ში: ბე → ტყე.

ახსნას საჭიროებს კიდევ თავკიდური სეგმენტი: ან-. ჩემი მოსაზრებით ეს მორფემა წარმომავლობით ინდო-ევროპულია და წარმოადგენს ლექსიკალიზებულ პრივატულ პრეფიქსს: ან- /*an-*/, როგორც მაგ.:

სომხ. ჯურ /*ջուր*/ „წყალი“ : ან-ჯურ /*an-ջուր*/ „უწყლო“

სომხ. წარ /*ճառ*/ „ბე“ : ან-წარ /*Ան-ճառ*/ ტოპონიმი, ზედმიწ. „ხის გარეშე“, „უხეო“

აქედან გამომდინარე, განხილული სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა აღდგება: უტყეო (*ადგილი, მხარე, ქვეყანა*). გვიანდელი სემანტიკური განვითარება: უტყეო → ტყე

მდგომარეობს სემანტიკურ ინვერსიაში.

## 2) სომხ. წარ /*ճառ*/ „ბე“

სიტყვის ინდო-ევროპული ეტიმოლოგია მოცემულია ორი ავტორის მიერ: [აქარიანი 1971-1979 : ტ. II, 446-447; ჯაჭუკიანი 2010 : 360].

შესაძლებელია ამ სიტყვის აგებულების შემდეგი ინტერპრეტაცია: წარ = წ-არ, სადაც აუსლაუტიანია სეგმენტი: -არ სუფიქს-დეტერმინანტს წარმოადგენს და თავკიდურიანი აფრიკატი: წ- სახელური ძირია.

მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამოსავალი ქართული პროტოტიპი უნდა ყოფილიყო სიტყვა: \*წარი = \*წ-არ-ი „ბე“, რომელიც თანამედროვე ენაში არ შემოინახა თავდაპირველი მნიშვნელობით, მაგრამ ვლინდება: წერ-ი <- \*წარ-ი „ნიგვზის კანი“ [ჩუბუა 2007 : 615].

თუ მიიღება გვიანდელი სემანტიკური ცვლილებები მეტონიმი-ის totum pro parte შედეგად ქართულში: ხე → ხის კანი → ნიგვზის კანი, მაშინ ზემოთ შეთავაზებული ეტიმოლოგია დასაშვები ხდება.

თუ ივარაუდება, რომ: წ- < \*წი- < \*წი- დელაბიალიზაციის გზით, განხილული ძირი უკავშირდება იბერიულ-კავკასიურ ენათა ხის, ცეცხლის აღმნიშვნელ სიტყვებს, მაგ.:

ხუნძ. წულ = წუ-ლ, ძირი: წუ- < \*წუ- < \*წი- „მეშ“

აფხ. ა-წლა = ა-წ-ლა, ძირი: წ- < \*წი- < \*წი- „ხე“

ქართ. ძელი = ძ-ელ-ი, ძირი: ძ- < \*ძი- < \*ძი- < \*წი-

ქართ. ნაძვი = ნა-ძვ-ი, ძირი: -ძვ- < \*ძვი- < \*ძი- < \*წი-

ქართ. დაწვა = და-წვ-ა, ძირი: -წვ- < \*წ- < \*წი-

ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ შესწავლილი ძირის ფონეტიკურ და სემანტიკურ სხვაობას თანამედროვე იბერიულ-კავკასიურ ენებში<sup>5</sup>.

### 3) სომხ. ლიჭ /լիճ/ „ტბა“

სიტყვის ინდოევროპული ეტიმოლოგიას გვაძლევენ: [აჭარიანი 1971-1979 : ტ. II, 282-283; ჯაჭუკიანი 2010 : 297].

თუ მიიღება, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შებრუნებული წყობის ფუძესთან, მაშინ დასაშვებია რეკონსტრუქცია: ლიჭ < \*ჭილ. ამოსავალი ფორმა დაცულია ქართულში, სადაც დამოწმებულია არსებითი სახელი: ჭილი = ჭ-ილ-ი.

ჭილი არის მცენარე, რომელიც იზრდება ნესტიან ადგილებში. სავარაუდოდ სემანტიკური განვითარება იმით იხსნებოდა: მცენარე, რომელიც იზრდება წყლიან გარემოებაში, მაგ. ტბის სანაპიროზე → ტბის სანაპირო → ტბა.

თუ გავითვალისწინებთ დაღესტნურ მასალას, ადვილი შესაძლებელია სომხური ლიჭ /լիճ/ „ტბა“ სიტყვის სავარაუდოდ კავკასიურ წყაროსთან გენეტიკურად საერთო ძირი ვლინდებოდეს ისეთ სიტყვებში, როგორცაა: ანდ. რეჭო, აფხ. რეწ ა, ბოთლ. რეჭა, კარ. რეჭა, ტინდ. რუჭა ჯამ. იეწა, კრიჭ. ჭწრწ „მღვიმე; ქვაბული“<sup>6</sup>. აქ შესწავლილი ძირების (განსაკუთრებით კრიჭ. ჭწრწ ფორმის) კანონზომიერი შესატყვისი სავარაუდოდ ვლინდება ქართ. ჭა- (< \*ჭარ-) სიტყვაშიც,

შდრ. სვან. (< ქართ.) ჭარ-არ „ჭები“. სემანტიკური კავშირი უეჭვოა, სიტყვა ბუნებრივად ასოცირდება *ტბასთან*.

### შენიშვნები:

1) ნაშრომი შესრულდა საგრანტო პროექტის ფარგლებში: მეცნიერების ეროვნული ცენტრი / **2019/32/T/HS2/00325**

2) ინდო-ევროპული ეტიმოლოგია დაწვრილებით იხსნება მოყვანილ წყაროებში. მსჯელობა ამ საკითხებზე წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს სცილდება.

3) ამ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის შდრ. აგრეთვე [ჩუხუა 2007 : 491].

4) ეს არის ავტორის საკუთარი ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც ეს არსებითი სახელი შემადგენლობაა. მ. ჩუხუამ შეგვთავაზა სხვა ეტიმოლოგიზაცია, იხ. [ჩუხუა 2000-2003 : 213].

5) ფონეტიკური განვითარება უფრო დეტალურად განხილულია: [კანარკოვსკი 2021].

6) ასეთი შესაძლებლობის შესახებ პირად საუბარში განმიცხადა პროფ. მერაბ ჩუხუამ

### გამოყენებული ლიტერატურა

**აჭარიანი 1971-1979** - ჰ. აჭარიანი, სომხური ძირეული ლექსიკონი, ერევან 1971-1979 [სომხ. ენაზე]

**Канарковски** – Р. Канарковски, Основные проблемы грузинских этимологических исследований и их будущие перспективы [в:] *Кавказоведческие разыскания*, 2019 [в производстве]

**Martirosyan 2009** - Н.К. Martirosyan, Etymological dictionary of the Armenian inherited lexicon, Leiden - Boston 2009\*

**ჩუხუა 2000-2003** - მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი 2000-2003

**ჩუხუა 2007** - მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი 2007

ჯაჭუკიანი 2010 - გ. ჯაჭუკიანი, სომხური ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ერევან, 2010 [სომხ. ენაზე] — აქ მოყვანილია ელექტრონული ვერსიის მიხედვით: [www.pdfdrive.com/etymological-dictionary-of-the-armenian-inherited-lexicon-e184518874.html](http://www.pdfdrive.com/etymological-dictionary-of-the-armenian-inherited-lexicon-e184518874.html)

R A D O S L A V K A N A R K O V S K I  
Cracow (Poland)

**Problems of linguistic relations between Ibero-Caucasian and Armenian:  
structure and origin of the Armenian words:**

*ant:ar* “forest”; *c:ar* “tree”; *lič* “lake”

S u m m a r y

The paper deals with etymology of three Armenian words: **ant:ar**: “forest”; **c:ar**: “tree”; **lič**: “lake”. Their Indo-European origin remains uncertain due to phonetic reasons.

The new etymologies based on Ibero-Caucasian comparative data were proposed.

\* The paper was accomplished within the frames of the research project: 2019/32/T/HS2/00325 financed by National Science Centre in Poland.

**ღაგათგანნი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური  
ლექსიკონისათვის – VIII<sup>1</sup>**

წინამდებარე სტატიით განვაგრძობთ ქართველურ ენათა შორის გამოვლენილი შესაძლო ახალი კოგნატებისა და მათი შეპირისპირების საფუძველზე რეკონსტრუირებული საერთოქართველური არქეტიპების, ასევე ეტიმოლოგიური ლექსიკონებიდან უკვე ცნობილ შეპირისპირებათათვის დამატებითი მასალის წარმოდგენას.

**\*ზარ-**

ქართ. ბრ-ე-ბ “ხორბლის მარცვლის ჩენჩო” (“...უკუე ვიდრემე საწმარ იყო ბრე ვიდრე აღზრდადმე და განსრულებად იფქლისა, ხოლო სრულ იქმნეს რაბ მარცვალი, მიერთიგან არღარად უწმან საბურველნი...” [Ier. = 9 160r, 12-18b] (სარჯველაძე 1995)

სვან. (ბქ.) ყიჩ-ზარ, (ზზ.) ყიჯ-ზარ “ფუყე მარცვალი”

(ბქ.-ტექსტ. №113) ნთკლანს ღწაჟორ იმაჯეხ გოდრთრშწ დარბოზთე ი მამდს ხეხვორ ძცხრილის ლანკწაჩხბშ ცხერილშწ ი, ლანკწაჩხბშ ცხერილისგა მთ სედნი, მმის გზნთე მდისგხ. მლი ლი ყიჩბორ... აშწწ-ღარწ ფანუნღწე, მთ მზწწი ხოჩა დორ ირი, ამ ითქს ჟი იშყწდის წეჭწახწისგა. წეჭწახწიშ ჳომ ძამრას ხოხლინეხ ი ხოლამთეშ ამთედგა ინჭური მთგ. მმისი ყიჩბორ ხაშხა ი ნზწკდ მდისგხ “განალეწს კაცები ზიდავენ დარბაზში და მარცვლეულს ქალები ცხრილავენ მსხვილი საცრებით და, გაცხრილვისას რაც საცერში რჩება, ამას ცალკე დებენ. ეს არის ფუყე მარცვალი... ერთი-ორი დღის შემდეგ,

---

<sup>1</sup> დასაწყისი იხ.: “ეტიმოლოგიური ძიებანი - X”, თბილისი, 2013, გვ. 3-26, “ეტიმოლოგიური ძიებანი - XI”, თბილისი, 2014, გვ. 17-38, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 75-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2016, 30-39, “ეტიმოლოგიური ძიებანი - XIV”, თბილისი, 2017, გვ. 18-32, “ეტიმოლოგიური ძიებანი - XV”, თბილისი, 2018, გვ. 30-41, “ეტიმოლოგიური ძიებანი - XVI”, თბილისი, 2019, გვ. 42-55, “ეტიმოლოგიური ძიებანი - XVII”, 2020, გვ. 23-33.



კარგი დარი რომ გამოვა, ამ მარცვალს გარეცხავენ საწნახელში. საწნახელის ძირს მიუშვერენ ტომარას და ცუდი ამაში მოგროვდება ყველაფერი. ამასაც ფუყე მარცვალს ეძახიან და ცალკე დებენ”; (ზზ. - ქრესტ. №141) ლაშყიდჟან ლიც ლახე ჟიბკი იკნიდ ხოდრკმ ითქს, ეჯას მპნკი ფიშდეხ ქა ლებხთქა ი შდკში ძეგემხ. ამის ხაჟხა ყიჯბზრ “გარეცხვის დროს წყალი თუ ზევით ასწევს უვარგის მარცვალს, იმას პირველად იღებენ გობიდან და ცალკე ახვავებენ”.

ქართული ბრ- ძირის შესატყვისი უნდა იყოს სვანური ბარ-, რომელსაც ყიჟ-ბარ ფორმაში გამოვყოფთ, სადაც ყიჟ-, ჩვენი აზრით, იგივე ყიჟე-ა (“ღვიძლი”)<sup>1</sup>. მაგრამ ამგვარი თხზული სახელის არსებობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა სარწმუნო, თუ ვივარაუდებდით, რომ სვანურში, ისევე როგორც არაერთ სხვა ენაშიც<sup>2</sup>, “ღვიძლის” აღმნიშვნელი სიტყვა იმავდროულად “ფილტვსაც” აღნიშნავდა და, მამასადამე, ყიჟბარ სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა “ფილტვა მარცვალი” უნდა ყოფილიყო. ამგვარი დაშვების საჭიროება გასაგები გახდება, თუ გავხსენებთ, მაგ., რუსული лёгкое-ს (“ფილტვი”) ეტიმოლოგიას, რომელიც “მსუბუქის” აღმნიშვნელ лёгкий-ს უკავშირდება, “რადგანაც, [როცა] გატყავებული და გამოშიგნული ცხოველის აქნისას საკვებად ვარგისი შიგნეულობა იდება წყლიან ჭურჭელში,... ფილტვები წყლის ზედაპირზე რჩება, ხოლო გული და ღვიძლი იძირება... შდრ.: ინგლ. lights “ზოგიერთი ცხოველის ფილტვები” და light “მსუბუქი”... ბერძნ. πλεγμα “ფილტვი” და πλέα “ცვურავ” (ფასმერი 1986: 474). “ფილტვი “ტივტივაა”, რადგანაც ის არ იძირება წყალში” (მალორი, ადამსი 1997: 359). იმის გათვალისწინებით, რომ წყალში გარეცხვისას ყიჟბარ-იც ზედაპირზე ამოტივტივდება, ვფიქრობთ, ცხადია, თუ რატომ შეიძლებოდა მარცვალს მსაზღვრელად “ფილტვის” აღმნიშვნელი სიტყვა დართვოდა - ის ხომ სწორედ “ფილტვივით წყლის ზედაპირზე მოტივტივია”!

<sup>1</sup> ზზ. ყიჯ-ბარ < \*ყიჟ-ბარ, სავარაუდოდ, ყიჟე-სთან ეტიმოლოგიური კავშირის დაკარგვის შემდეგ.

<sup>2</sup> მაგ., თურქულსა (akciğer “ფილტვი”, karaciğer “ღვიძლი”) და მის მონათესავე გაგაუზურში (ак жеер “ფილტვი”, кара жеер “ღვიძლი”), სადაც ак “თეთრია”, ხოლო кара - “შავი”, ახალგვინურ ენებში - კუოტურში (basak), იელაურში (რომლის ერთ დიალექტშიც სიტყვა gomo “ღვიძლს” აღნიშნავს, ხოლო მეორეში - “ფილტვს”) და აკკაურში (komo) და ასევე სხვაგან.

ჩვენს ამ დაშვებას, რომ ყოველ-ს სვანურში “ფილტვის” მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა, ერთგვარად ამყარებს ჩოლოურულის ჩვენება, სადაც ეს სიტყვა სწორედ ასეა განმარტებული.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, შესაძლებლად მიგვაჩნია “ხორბლის მარცვლის აღმნიშვნელი” ქართ. ბრ- (< \*ბარ-) ძირისა და “მარცვლის” აღმნიშვნელ სვან. ბარ- მორფემის დაკავშირება. ანალოგიური სემანტიკური მიმართებისათვის, შდრ., ქართ. კილ-ი “ხორბლის ბუდე” : სვან. კულ “საგაზაფხულო ხორბალი” < \*კულ- (მასალა მ. ჩუხუამ შეაპირისპირა - 2007: 379; \*კულ- არქეტიპი ჩვენ აღვადგინეთ, იხ.: ჩვენი - დამატებანი, 2017: 24).

### **\*ბერწყ-/ბრწყ-**

+ სვან. (ბჟ.) ნა-ბერწყ-Í, ნა-ბერწყ, ნა-ბერწყ-ელ, (ბქ.) ნა-ბორწყ “შთამომავლობა, ჩამომავალი”

ქართ. ბერწყ-/ბრწყ- (ნა-ბერწყ-ალ-ი, ბრწყ-ინ-ავ-ს) და ზან. (მეგრ.) რწყ- (რწყ-ინ-ა, რწყ-ინ-უ-ა “ბრწყინვა”) ძირების შეპირისპირების საფუძველზე აღდგება \*ბერწყ-/ბრწყ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 105-106; ფენრიხი 2007: 60-61). ვფიქრობთ, ამავე მასალას უნდა უკავშირდებოდეს წარმოდგენილი სვანური ფორმები. ამოსავალ ძირს “სკდომის = მრავალ ნაწილად დაშლის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, საიდანაც ადვილად გამოიყვანება “ნაყარის” სემანტიკაც.

სვან. (ბქ.) ნა-ბორწყ < \*ნა-ბერწყ-Í ველარული უმლაუტით.

### **\*ბულ-ურ-**

#### **\*ბულ-Íრ-ან-**

ქართ. ა) ბულრ-ა-ობ-ა (საბა) “რა ჯარი რქით მიწას ბრდღვნიდეს” (ბრდღუნა = “მიწის გლეჯა, გინა რისხვა მკეცთა”), (ქეგლ) “რქითა და ტორით მიწის თხრა ხარისგან (შეჭიდების წინ)”, (ჩვენებ. ქართ.) “ხარის მიერ რქით მიწას თხრა”, (ხევს.) ბულრ-ან-ა-ობ-ს “მიწას თხრის (რქებით, ფეხებით) და ყვირის (ხარი)”, (თუმ.) ბულრ-ან-ა-ობ-ა-ბ “ბულრაობა, როცა აგზნებული ხარი წინა ფეხებით მიწას თხრის, რქით ბექებს ებუჩავება და თან ღმუის”;

ბ) ბღვირ-ი (საბა) “ნაგვის მტვერი”, (იმერ.) ბღვირ-ი, ბღვირ-ი “მტვერი”, ა-ბღვირ-ებ-ს “მტვრის ბულს აყენებს”, (ლეჩხ.) ბღვირ-ი

“მიწის ნაფშვენი, დაფშვნილი მიწა, ფხვიერი მიწა, მტვერი”, (ქეგლ.) ბღღვირ-ი “ჰაერში დამდგარი დიდი მტვერი, კორიანტელი”, (ზემო-რაჭ. - ლობჯანიძე) ბღღვირ-ა-ობ-ა “სხვადასხვა ჯოგის ბულები ერთმანეთს რომ შეხვდებიან, სანამ ბრძოლას დაიწყებენ, მოწინააღმდეგის დასაფრთხოზ-დასაშინებლად და თავზარის დასაცემად დაბალ ხმაზე ბლულილს იწყებენ, წინა ფეხების მიწას თხრიან და მტვერს აყენებენ. ამას ბღღვირაობას ეძახიან”.

სვან. (ბზ., ლშხ.) ბულღირ, (ლნტ.) ბულღირ “ზული, ბღღვირი, ნაგავი, მტვერი”, (ჩლო.) ბულღირ “ბღღვირი, მტვერი”, (ბზ.) ბურღირ-პო, (ლშხ.) ბურღირ-კო, ბულღირ-კო, (ლნტ.) ბულღირ-ბო “მტვერიანი”, ბურღირ-ან (ზს., ლნტ.) “მტვერი, კორიანტელი, ბუქი, ნამქერი”.

ქართულში გამოიყოფა ფორმათა ორი წყება - ერთი ბულღ-, ხოლო მეორე ბღღვირ- ძირზე ნაგები, ამასთან მეორე ძირის მნიშვნელობა ნათელია (“მტვერი”), ხოლო პირველისა - დაბნელებული. ვვარაუდობთ, რომ ბულღ- ძირისთვისაც ამოსავალი “მტვერის” მნიშვნელობა უნდა იყოს და, შესაბამისად, ბულღ-ა-ობ-ს, ბულღ-ან-ა-ობ-ს ეტიმოლოგიურად უნდა ნიშნავდეს: “მტვერს აყენებს”. ამ თვალსაზრისით ღირსსაცნობია იმავე სემანტიკის მქონე ზემორაჭული ბღღვირ-ა-ობ-ა, რომელიც სწორედ “მტვერის” აღმნიშვნელ ბღღვირ- ძირს ეყრდნობა.

ბღღვირ- ძირი \*ბღღვირ-ისგან ჩანს მიღებული უ > ვი გადასვლის შედეგად. ეს პროცესი “საკმაოდ ხშირად იჩენს თავს ქართული ენის დიალექტებში” (ჯორჯენაძე 1998: 165) (მაგ., (მოხ.) დვირბინდი < დურბინდი, (რაჭ.) ხვირჯინ-ი < ხურჯინი, (გურ.) ტვინელი < ტუნელი, (აჭარ.) დვიბე < დუბე) და (ისევე როგორც ო > ვე) “ისტორიულად უმლაუტიანი ხმოვნების პოზიტივებაზე უნდა მიგვანიშნებდეს იმ დიალექტებშიც, სადაც ეს მოვლენა ამჟამად არ არის დადასტურებული” (იქვე: 166). ამდენად, სავარაუდოდ, ქართ. ბღღვირ-ი < \*ბღღვირ-ი < \*ბღღვირ-ი. რაც შეეხება ქართულ ბღღვირ-ს, ის ბღღვირისა და ბრდღღვირ/ბრდღღვირის კონტამინაციის შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

ჩვენ მიერ აღდგენილ \*ბღღვირ-სა და მის სინონიმურად მიჩნეულ ბულღ- ძირს შორის მინიმალური ფონეტიკური სხვაობაა. ყველაზე ეკონომიური გამოსავალი იქნებოდა დაგვეშვა, რომ ერთი ფორმა მეორისაგან მეტათეზისის გზით არის მიღებული. ხოლო, რაკი ცნობი-

ლია, რომ ქართული ენის დიალექტებში “მეტათეზისის შედეგად ვიღებთ ქართულისათვის ბუნებრივ კომპლექსებს” (ჯორბენაძე 1998: 494), საფიქრებელია, რომ \*ბღურ- < \*ბულღურ- და არა - პირიქით.

თუმცა, თავად ბულღურ- ძირიც, როგორც ეს აქ წარმოდგენილ სვანურ მასალასთან შეპისპირებიდან ირკვევა, უფრო ადრინდელი \*ბულღურ-ისგან უნდა იყოს მიღებული ზმნურ ფორმაში მეორე ხმოვნის კარგვით მახვილის მომდევნო პოზიციაში: \*ბ'ულღურ-ა-ობ-ს < \*ბ'ულღურ-ა-ობ-ს < \*ბ'ულღურ-ა-ობ-ს.

სვან. ბულღირ, ბულღირ < \*ბულღირ < \*ბულღურ-ი.

განსაკუთრებით საგულისხმოა სვან. ბურღირ-ან (< \*ბულღირ-ან) და ქართ. (ხევს., თუმ.) ბულღურ-ან- (\*ბულღურ-ან) ფუძეთა ფონეტიკური და მორფოლოგიური მსგავსება.

სვანურში ასევე დასტურდება იმავე (“ბუღის, ნაგვის, მტვრის”) მნიშვნელობის მქონე (ზს., ლშხ.) ბირღირ, (ბქ., ლნტ.) ბირღირ სიტყვებიც, რომელთა წყაროც ქართული ბულღ-ი უნდა იყოს. თავად ქართული ბულღ-ი კი, რომელიც არ არის გამოვლენილი ძველ ქართულში, დიდი ალბათობით, თურქული ხუღა-დან (“ორთქლი, ნისლი”) უნდა მომდინარეობდეს. ამ თურქულ სიტყვასთან კავშირს არ გამოიციხავს ბ. გიგინეიშვილიც (2016: 69). აღსანიშნავია, რომ ბული საბასთან მხოლოდ ორთქლი სიტყვის თურქულ შესატყვისად გვხვდება, და დ. ჩუბინაშვილთანაც ის განმარტებულია, როგორც “ორთქლი, парх”. ვფიქრობთ, დამატებითი მნიშვნელობანი ამ ნასესხებ სიტყვას ფონეტიკურად მსგავსი, ზევით დამოწმებული მკვიდრი ქართული სიტყვების გავლენით უნდა შეეძინა.

### \*გინ-

ქართ. გინ-ებ-ა

სვან. (ჩლრ. - ლიპარტელიანი) ნა-გიგინ “ნაწყევლარი”, (ლაშხ. - ქრესტ. № 262) ნა-გიგინ-ს “დაწყევლილს, ყბად აღებულს” (სოფლი ნაგიგინს ლოქ დღმგაშ ხაყა “სოფლის მიერ დაწყევლილს, ყბად აღებულს არაფერი აბადიაო”), ლა-გიგინ-დ “საწყევლად, ყბად ასაღებად” (უქმი მუკაშას თელდ სოფელ იკდჰდა ლეჭთად ი ლაგიგინდ “უქმის გატეხას მთელი სოფელი იღებდა (=მიიჩნევდა) საწყევლად და ყბად ასაღებად”), გიგინ “წყევლა, ყბად აღება” (სოფლი გიგინ ბეჩსა ლოქ ჩუ ბუჭკაქ “სოფლის მიერ დაწყევლა, ყბად აღება ქვასაც

ქვე ხეთქავსო”, ამა ზოკაზხ სოფლი გიგინს “ამიტომ უფროთხოდნენ სოფლის მიერ დაწყევლას, სოფლის ყბაში ჩავარდნას”), (ლშხ. - სანიკიძე 1976: 39) ლი-გიგინ-ი “1. ცეცხლის გუზგუზი; 2. ლაქლაქი, ვისი-მე ყბად აღება”

ქართული გინ- და სვანური გიგინ- ფორმები ერთმანეთს თითქოს მასალობრივადაც ენათესავება და მნიშვნელობითაც. სვან. გიგინ- < \*გინ-გინ-.

### **\*ნი-კორთ-ა- (?)**

ქართ. (ფშ., შარახევი - მასალები სშწხი, I, აღმშენებლობა და ავეჯი, 177) ნი-კვართ-ა “კერის პირდაპირ კედლების გასწვრივ გრძელი ფიცრის თაროებსაც დასდებდნენ... ამ თაროებს ეძახიან ნიკვართას (ნიკვართა)”, (ხეცს.) ისკორტ-ა “სახლში, ჭერს ქვემოთ ჭერის გაყოლებაზე დადებული ფიცარი, რომელზედაც მამაკაცების სხვადასხვა ნივთები ალაგია”, (საზა) ი-კორთ-ა “ფიცრის თარო”, (ინგილ.) კორთ-ე-ბ “ჭურჭლის (ჯამების, ქვაბების, ლანგრებისა და მისთანათა) დასაწყობი თარო თახჩაში: ფიცრისგანაა დამზადებული, სპეციალურ ბრჯენებზე დგას...”, (ქიზიყ.) კორთ-ი “ქვევრის სადგამი ქურაში. ქვევრის ქუსლივითაა გაკეთებული და გამოძწვარი. ამაში დგამენ ქვევრს ქურაში”.

სვან. ნი-კNრთ-ა (ზხ. - ქრესტ., 112, 115) ამის ჟიქN მHსყე ლიხ ნიკNრთPლ. ექL'სგა ფაკნარემ ი იშგენ ნეცNწარი შედ-მაკNედი შედლი... სგPლაგPგის ჟიქN სანშბშKლ ხKR სგა მეცNრე. ამის ნიკNრთა ხაჟხა “ამის [სახბორის] ზევით გაკეთებულია ნიკორთები. იქ ჯამები და სხვა წვრილი ჯამ-ჭურჭლეულია... ზღურბლის ზევით წალოსავითაა დატოვებული. ამას ნიკორთა ჰქვია”, (ბქ.) კორთა.

სვან. (ბქ.) კორთა ქართულ მასალას დაუკავშირა და ქართულიდან შეთვისებულად მიიჩნია მ. საღლიანმა (2016: 295). გამომდინარე იქიდან, რომ კორთ- ძირი არც ცალკე და არც ნი- თავსართით გაფორმებული არ ჩანს დასავლურ ქართულ დიალექტებსა და სალიტერატურო ქართულში, ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სვან. ნიკNრთა არა ქართული \*ნიკორთა-დან, არამედ - ამოსავალი სქ \*ნიკორთა- არქეტიპიდან მომდინარეობს?

როგორც ჩანს, ქართ. (ფშ.) ნი-კვართ-ა < \*ნი-კორთ-ა. ქართულ დიალექტებში, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოს

მთის კილოებში, ო > ვა სპორადული პროცესისათვის შდრ., მაგ., მოხ. ოსი > ვასი, ნიორი > ნივარი, მთიულ. ჯოხი > ჯვახი, ხევს. ყორანი > ყვარანი და სხვ. (ჯორბენაძე 1998: 163-166).

### \*კულ-

ქართ. კულ-ა (ქეგლ - ხევს. მოხევ, მთიულ.) “ოთხკუთხი სვეტი ქვისა”, კულ-ო (ხევს. - შანიძე) “ოთხკუთხი ბურჯი ქვისა”

სვან. კილ (ბზ. - ივ. ნიჟარაძე) “ზოდი, слиток; ლოდი, большой камень”, (ჩლრ.) “დიდი მსხვილი ქვები - კილ-არ”

ქართ. კულ- ძირის შესატყვისი ჩანს სვანურის ბალსზემოურ და ჩოლურულ დიალექტებში პოვნიერი კილ- (< \*კილ- < \*კულ-ი).

### \*ლუ-

ქართ. (ქიზიყ. - #3361; <http://www.corpora.co/#/corpus>; 14.10.2021) ლუ-ა (რქამოყრილი ლაბა ჯარი. მოკლე რქიანი – ბოკო, კარგი რქები რომელსაცა ძქონდის, ჩხიანი. აქეთ-იქით გადაყრილი – ლუა რქიანი)

სვან. ილმ “შველი”

ქართული ენის ქიზიყურ დიალექტში გამოვლენილი ლუ-ა შეიძლება უკავშირდებოდეს სვანურ ილმ-ს. რისამე მქონებლობის გამომხატველი -ა სუფიქსი ქართულ ფორმაში გვაფიქრებინებს, რომ ლუ- ძირს შესაძლოა “რქის” მნიშვნელობა ჰქონოდა - \*ლუ-ა- “რქიანი”. სვანურში მნიშვნელობის განვითარება ამგვარად გვესახება: “რქიანი” > “ირემი” > “შველი”.

სემანტიკური გადასვლისასთვის: “რქიანი” > “ირემი”, შდრ.: უნგრული szarv (“რქა”) + -as (“იანი”) > szarvas “ირემი” (<https://datsemshift.ru/shift5016>), წინარეიტალ. \*ker(a)wo- “რქიანი, ირემი” > ლათ. cervus “ირემი” (შდრ. ბერძნ. κερὰς “რქიანი”), იხ. ასევე: გამყრელიძე, ივანოვი 1984: 519. მეორე სემანტიკური გადასვლის - “ირემი” > “შველი” - უდავო მაგალითი ჩვენთვის ამჟამად ცნობილი არ არის, მაგრამ ამ ცხოველთა გარეგნული მსგავსების გათვალისწინებით (შველი ხომ არსებითად მომცრო ტანის ირემია!), ერთის აღმნიშვნელ სიტყვას თავისუფლად შეიძლება ადენიშნა მეორე. ასე მოხდა, მაგალითად, ლაზურში, სადაც სქ \*შველ- (“შველი”) არქეტი-

პიდან მომდინარე მსკვერი “ირემს” აღნიშნავს (შდრ.: მეგრ. სკვერი “შველი”).

სვანურ ილ<sup>1</sup>-ში ი- პროთეტული ხმოვანი ჩანს.

#### **\*მაგარ-**

ქართ. მაგარ-ი

სვან. მაგ<sup>0</sup>რ, მაგ<sup>0</sup>რ “მორი, მოჭრილი ხე”

ამოსავალი მნიშვნელობა “ხე, მორი”, სავარაუდოდ, სვანურს უნდა ჰქონდეს დაცული. მნიშვნელობათა - “ხე” და “მაგარი” - დაკავშირებისათვის, შდრ., ერთი მხრივ, ხეთ. taru, სანსკრ. druma-, dāru-, dru-, ძვ. ბერძნ. δῖρσ, ალბან. dru, გოთ. triu, ძვ. ინგლ. trēow, ძვ. სლავ. дрѣво... “ხე”, და, მეორე მხრივ, სანსკრ. dāruṇa-, სომხ. tram, ლათ. durus (<\*druos), ძვ. ირლ. dron, ძვ. ინგლ. trum... “მაგარი, მყარი, ძლიერი” (გამყრელიძე, ივანოვი 1984: 612-613). “მაგარის, მყარის” აღმნიშვნელი ზოგი სიტყვის “ხის” აღმნიშვნელ სიტყვათაგან მომდინარეობის შესახებ ბალტურ და სლავურ ენებში იხ.: ტოპოროვი 1975: 377-379.

#### **\*როდ-**

ქართ. როდ-ინ-ი “სანაყი”

სვან. ლი-რ<sup>0</sup>ნდ-ე (ზზ. - პალმაიტისი, გუჯეჯიანი) “შერევა”, (ჩლრ.) “დამშვიდება, დაწყნარება”

ქართ. როდ-ინ- გაარსებითებული მასდარი ჩანს. ამოსავალ ზმნურ \*როდ- ძირს, სავარაუდოდ, “ნაყვის, შერევის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მნიშვნელობათა - “შერევა” - “დამშვიდება” - დაკავშირებისათვის, შდრ. ქართ. ზავ-ებ-ა “შერევა” - ზავ-ი “მშვიდობა”, სვან. ა-შ<sup>0</sup>რდ-ე “(ბქ) მაგარ სასმელს აზავებს; ამშვიდებს, აწყნარებს”.

#### **\*სნად-**

ქართ. ა) სუნდ-ურ-ი (ნ. ჩუბინ.) “ჯირგინი, წყალთ გასავალი”, (დ. ჩუბინ.) “ჯირგინი წყალთ გასატანი, водопроводная труба”, (ქართლ. - კირიონი) “ღობე-ყორეში დატოებული სარწყავი წყლის გასავალი”, (ქართლ.) სა-სუნდ-ურ-ე “საჰაერო; საკვამური”, (ქართლ. - შინამრეწველობის მასალები) სუნდ-ურ-ი “საკირის პატარა კარი, საკირიდან სულის გამოსაშვები, ნახშირის გამოსაჩხრევი”, (ჯავახ.) სუნდ-ო, სუნდ-რ-ო “თორნის, ფურნის სასულე, ჰაერის შესასვლელი

ადგილი”, (მესხ.) სუნდ-ო “ფურნის კარების ზემო ნაწილში პატარა ხვრელი - ჰაერის გამოსასვლელი”;

ბ) სასაღუნ-ი (იკითხვისები: სასაღუნი, სასაღუნი) (“ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი”, XII ს.), (საბა) “მწვირის გასადინარი ნაჭვრეტი”, (ნ. ჩუბინ.) “სუნდური, ჯირგინი, მწვირის გასადენი, труба водопроводная”, (დ. ჩუბინ.) “სუნდური, ჯირგინი, მწვირის გასადენი, канал для отвода грязной и дождевой воды” სვან. სსდდ, სსდდ (ბზ.) “სადენი მიწის ქვეშ (მილი)”, (ბზ. - ბ. ნიჭარაძე)

“არხი; канал, канава”, (ჩლრ.) “ფიქალი, დახურული წყლის პატარა არხი - ზოგ ადგილას წყალშემდგარ სახლებში საწრეტ არხებს აკეთებენ და იატაკს ფიქლით ფარავენ”

ის გარემოება, რომ სსდდ ლექსემა ზემოსვანურშიც (ბზ.) დასტურდება და ქვემოსვანურშიც (ჩლრ.), მას მკვიდრ სვანურ სიტყვად უფრო მიგვაჩნევენებს, ვიდრე - ქართული სადენი-დან მომდინარე ნასესხობად, როგორც ეს ლიტერატურაშია ნაგარაუდები (საღლიანი 2016: 311, 357).

ქართულში მისთვის შეიძლება დაგვეკავშირებინა დაახლოებით იმავე მნიშვნელობის მქონე სიტყვა სუნდური, რომელიც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პირველად ჩუბინაშვილებთან გვხვდება. უფრო გვიანდელი ლექსიკოგრაფიული წყაროებიდან “წყალსადენი მილის//არხის” მნიშვნელობით ეს სიტყვა მხოლოდ ეპისკოპოს კირიონის “სალექსიკონო მასალაშია” მოცემული, ხოლო ქართლურ, მესხურ და ჯავახურ დიალექტთა ლექსიკონებში მას “საჰაერო ხვრელის” მნიშვნელობა აქვს. ამგვარი სემანტიკური განვითარება - “წყალსადენი მილი//არხი” > “ხვრელი” > “საჰაერო ხვრელი” არც თავისთავად არის წარმოუდგენელი, ვინაიდან “კედლის ქვეშ//კედლიდან გამავალი მილის” სემანტიკა თავისთავად გულისხმობს “ხვრელის” სემასაც, რასაც “საჰაეროს” მნიშვნელობაც შეეძლო მიეღო, მაგრამ აქ გარკვეული გავლენა ეგებ სამცხურ-ჯავახურში თანდურ-ი ფორმით დამკვიდრებულ თურქულ tandır (“თონე”) სიტყვასთან თანხმიერებასაც მოეხდინა.

აღსანიშნავია, რომ დ. ჩუბინაშვილი თავად სუნდურსაც თურქულიდან შეთვისებულად მიიჩნევს, მაგრამ თურქულში ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობის მქონე მსგავსი სიტყვა ვერ მოვიპოეთ,



სუნდურთან ფონეტიკურად ყველაზე ახლოს მდგომი sundurma კი განმარტებულია როგორც “ჩარდახი, გადმონაშვერი” და ქართული სიტყვის წყაროდ ის ვერ გამოდგება.

ამდენად, სვანურ სმდ-თან შეპირისპირება სუნდურ- ფორმაში სუნდ- ძირსა და -ურ “მავრცობს” გამოგვაცოფინებს. ამგვარ დანაწევრებას თითქოს სამცხურ-ჯავახურის სუნდ-ო-ც უჭერს მხარს, თავად ეს უკანასკნელი თუ იქვე დადასტურებული სუნდრ-ო-საგან (< \*სუნდურ-ო) არ მომდინარეობს (რ-ს კარგვის შედეგად).

ქართ. სუნდ- (< \*სუნდ- ნ-ს განვითარებით) ისევე შეეფარდება სვან. სმდ-ს, როგორც ქართ. კუდ- (კუდ-ი) - სვან. კმდ-, კქედ-ს ((ზზ.) ჰა-კმდ, (ლშზ.) ა-კქედ). ივარაუდება, რომ ქართული ფორმები აქ არქექტიპის გახმოვანების ნულ-საფეხურიანი ალომორფებისგან მომდინარეობს (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965).

გასარკვევია სუნდურისა და მისი სინონიმური სასდუნის (იკითხვისები: სასადუნნი, სასუნდნი) მიმართება - დაიყვანება თუ არა ისინი ერთ ძირამდე? თუ დავუშვებდით, რომ სასდუნ-ში სა- თავსართია (მდრ.: ქართლ.) სა-სუნდურ-ე), მაშინ მისი ჩამოცილების შედეგად გამოყოფილი სდუნ-//სუნდ- (< \*სუნდ- ?) ძირი თითქოს შეიძლებოდა სუნდურ-ის სუნდ- ნაწილთან გაგვეიგივებინა. თუმცა ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდია, რომელიც, ისევე როგორც მთელი ზემოთრე მსჯელობა, ალბათ მეტ დასაბუთებას საჭიროებს.

### \*ტკწეფ-/ტყწიფ-

ქართ. გამო-ტკუეფ-ვ-ა, გამო-ტკუეფ-ვ-ა “დასკდომა, დაკოჭრება, დაწყლულება”, გამო-მ-ტკუეფლ-ვ-არ-ე-ბ “გამონაყარი”, გამო-ტკვ-ოლ-ვ-ილ-ი “დამსკდარი, დაკოჭრებული”, (ზ.იმერ.) და-ტკოფ-ილ-ი “მცენარის ფოთოლი თუ ნაყოფი, ანდა ადამიანის კანი, ავადმყოფისაგან ალაგ-ალაგ შეფერილი, აჭრელებული”

სვან. (ზზ., ბქ., ლშზ.) ა-ბ-ტყწიფ, (ლნტ.) ა-ბ-მ-ტყწიფ “მოაგლიჯა”, (ზს.) ხ-ა-ტყწიფ, (ლნტ.) ლა-ხ-ა-ტყწიფ “გააწნა, სცემა; დაარტყა, მოარტყა”, მე-ტყწიფ-ე, მე-ტყწიფ-ე “ატყავებული; ხრიოკი, ეროზიული მიწა”, (ზზ. - გუჯეჯიანი, პალმაიტისი) ლი-ტყწიფ “გასკდომა”, ან-ტყწიფ “გასკდა”(მშბ ქშჯ ანტყწიფ “რა ჯანდაბა მოხდა [ეტიმ. რა ქაჯი გასკდა]”)

შესატყვისობა ქართ. ტკ : სვან. ტყ არარეგულარულია, მაგრამ ქართ. ტკუეფ- და სვან. ტყწიფ-/ტყწიფ- ძირთა ფონეტიკური და სე-

მანტიკური მსგავსება იმდენად აშკარაა, რომ აღნიშნული გარემოება ვერ გამოდგება დაბრკოლებად მათი დაკავშირებისათვის. არქეტიპი, სავარაუდოდ, ფუძედრეკად ზმნათა კლასს ეკუთვნოდა და მის გარდამავალ ფორმებს “დარტყმის, ცემის, გახეთქვის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ხოლო გარდაუვალს - “სკდომისა”. რაც შეეხება ტკ//ტყ მონაცვლეობას, ის ძირის ბერწერითი ხასიათით უნდა იყოს შეპირობებული. ქართ. ტკუელფ-ში ლ გვიანდელი ჩანს. ქართ. (იმერ.) ტკოფ- < \*ტკვეფ- (შდრ.: (იმერ.) აჩვევს > აჩოვს, დაწვება > დაწლობა... (ჯორბენაძე 1998: 161-162)).

გასარკვევია დამოწმებულ ქართულ მასალასთან სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში გამოვლენილ შემდეგ ფორმათა მიმართება: (გურ., ზ. აჭარ.) ტკვაფში-ი “დამწვარი, ამობერილი კანი”, (გურ.) ტკვაბში-ი “მუწუკი, სხმო”, ა-ტკვაფში-ულ-ი “ამობერილი კანი”, (აჭარ.) ა-ტკვაფჩ-ნ-ილ-ი “ატკრეცილი, ასივებული, აბებრებული კანი დაწვის ან ავადმყოფობის გამო; შიგ სითხეა ჩამდგარი”, ტკვაფჩ-ი, ტკვაფჩ-ელ-ა “სიდამწვრით ამობურცული კანი, დამწვარი კანი”, (ჩვენებურების ქართული - შ. ფუტყარაძე) ტკვაფჩ-ი “სიდამწვრით ან ზეწოლით - თოხით მუშაობისას ხელებზე, ფეხსაცმლის სიმჭიდროვის გამო - ფეხებზე წარმოქმნილი წყლიანი ბუშტი კანის ზედაპირზე”. ტკვაფში-/ტკვაფჩ-/ტკვაბში- ძირის გახმოვანება თითქოს ზანურ წყაროს ვარაუდობს, მაგრამ რა არის ეს ბოლოკიდური შ/ჩ? რომელიმე სხვა ფორმასთან კონტამინაციის შედეგი?

### **\*ტკლევ-/ტკლიც-**

ქართ. (იმერ.) ა-ტკვლევ-ილ-ი “სახეზე აწითლებული, ფეროვანი”, გა-ტკვლევ-ილ-ი “გახეთქილი, გამსკდარი”, ი-ტკვლევ-ს (ი-ტკვლიც-ა) “იტკეცს”, (იმერ. - ვ. ბერიძე) ტკვლიც-ინ-ა, გა-ტკვლიც-ინ-ებ-ულ-ი “ძალზე სუქანი, სავსე, პუტკუნა...”, (ქართლ.) გა-ი-ტკვლიც-ებ-ა, გამო-ი-ტკვლიც-ებ-ა “ბევრს დაღვეს, შეჭამს (იტყვიან უპატივცემლოდ); ძალიან დათვრება, გაილეშება”, გულ-გა-ტკვლევ-ილ-ი “გულგახეთქილი”

ზან. (მეგრ.) ტკვაც-უ-ა, “ჭეჭა, ტკაცუნა, წვისას ნაპერწკლის ცვენა”, (ლაზ.) ო-ტკვაც-უ, ო-ტკვაც-ინ-უ “ხეთქვა, სკდომა, აფეთქება”

ქართ. ტკვლევ-/ტკვლიც-, რომლისთვისაც ამოსავალია “სკდომის, ხეთქვის” მნიშვნელობა, ისევე შეეფარდება ზან. ტკვაც-ს, რო-

გორც, მაგ. ქართ. თქვლეფ-/თქვლიფ- (თქვლეფ-ს, თქვლიფ-ა) - ზან. (მეგრ.) თქვაფ-ს (თქვაფ-უ-ა “თქვლეფა”), ქართ. თქვლეშ-/თქვლიშ- (თქვლეშ-ა-ი სხალი “მსხლის ჯიში, ძალიან წვნიანი”, გა-ი-თქვლიშ-ებ-ა “გაიპობა, გაიხლიჩება (მაგ. ვაშლის დაცემისას)”) - ზან. (მეგრ.) თქვაშ-/თქვიშ-ს (თქვაშ-უ-ა “მაგრად, გამეტებით ცემა, თხლეშა”, გო-თქვიშ-ინ-აფ-ა “გასუქება, გათქვირება”), ქართ. ჩხვლეტ-/ჩხვლიტ- (ჩხვლეტ-ს, ჩხვლიტ-ა) - ზან. (მეგრ.) ჩხვატ-/ჩხვიტ-ს (ჩხვატ-უ-ა, ჩხვიტ-უ-ა “ჩხვლეტა”).

### **\*ფუქურ-**

### **\*ფქრ-იალ-**

ქართ. (ქართლ.) ა-ფქვრ-იალ-დ-ებ-ა “ამტვერდება, აბორიალდება” (ბორიალი “იგივეა, რაც ბორიაცი = ჰაერში ავარდნილი მტვერი, ბდღვირი”), ფქურ-ევ-ა, ფრქუ-ევ-ა

ზან. (მეგრ.) ქიორ-უ-ა, ქიორ-აფ-ა “ფრქვევა, ოდნავ მობწევა, ფანტვა, ცრა”<sup>3</sup>. ფენ

რიხმა ზან. (მეგრ.) ქიორ- ქართ. ფრქ- (მისი სეგმენტაციით - ფრქ-ვ-ევ-ა) ძირთან დაკავშირდა და ამ მონაცემთა შეპირისპირების საფუძველზე \*ფქიარ- არქეტიპი აღადგინა. ჩვენი აზრით, ისევე როგორც სხვა ანალოგიურ შემთხვევებშიც, როცა საქმე მეგრულში -იორ სეგმენტით დასრულებულ მასდარს ეხება, ქართულში -იალ სუფიქსით ნაწარმოები შესატყვისია სამეზნი. ამგვარი ფორმა მართლაც დასტურდება ქართული ენის ქართლურ დიალექტში.

ზან. (მეგრ.) ქიორ- < \*რქიოლ- < \*ქრიოლ < \*ფქვრიოლ-. ამ ტიპის, -იალ სუფიქსით ნაწარმოები, ქართული და ზანური პირველადი მასდარების დაკავშირებისათვის იხ.: აბაშია 1999, ცალკეულ შეპირისპირებათათვის, ასევე: კლიმოვი 1964: 165, კლიმოვი 1998: 65, 168, ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 224, 407, აბაშია 2004: 6, ფენრიხი 2007: 184, 370, ჩვენი - დამატებანი... VI, 2019: 52-53, დამატებანი VII, 2020: 24, 29, 31.

ასლ. ლიპარტელიანმა ფქურ- ძირის შემცველი ძველქართული ზმნური ფორმა აღაფქურიენ დაიმოწმა სვანურ (ჩოლურულ) ფუქირ (“ქვის მტვერი, ხის ბრელო”) სიტყვის განმარტებისას (...აღაფქურიენ მოსე ცად წინაშე ფარაოძსა და წინაშე მსახურთა მისთა (გამოსვლათაბ, IX, 8)). ჩოლურული ფუქირ-ის განაყარია (ბზ.) ფიქირ, (ლხმ.) ფუქინ, (ლშხ.) ფიქირ, (ლნტ.) ფუქირ, რომლებიც “იხმარება გამო-

თქმებში ფიქმრდ, ფუქინდ, ფიქმრდ, ფუქირდ ლიგნე - მტვრად ქცევა, დაფშნა, დამსხვრევა” (თოფურია, ქალდანი 2000: 763). ამ ფორმათა და ქართულ ფქურ- ძირის საერთო წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. ამკარაა ისიც, რომ წინაპარ ფორმას “მტვრის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

ქართ.-ზან. \*ფქრ- < \*ფქურ- < \*ფუქურ- პირველი ხმოვნის კარგვით მახვილის შემდგომ პოზიციაში (‘ა-ფქურ-ევ-ს) და მეორე ხმოვნის შემდგომი დასუსტებით. ქართ.

ფრქვ- < \*ფქრ- მეტათეზისით. სვან. (ბქ., ლნტ., ჩლრ.) ფუქირ < \*ფუქრ < \*ფუქმრ-ი, სვან. (ბზ., ლშხ.) ფიქმრ, სავარაუდოდ < \*ფოქრ < \*ფუქმრ-ი.

ამკარაა \*ფუქურ- და \*ბულურ- (იხ. ზევით) არქეტიპთა მასალობრივი და შინაარსობლივი მსგავსება.

### **\*ქიმ-**

ქართ. ქიმ-ი “გამოშვერილი, წაწვეტებული ნაპირი (რისამე)”

სვან. (ბზ.) ქჰმ, ქიმ “შვერილი” (ჩართოლანი 2003, № 42) ქმშხას ხKR ႠნშთხႠ-ႠოხႠიშდ ქიმ “სარევ ჯოხს აქვს ოთხი-ხუთი შვერილი”, ალას ხოფშირა ი ხოჯႠდა ქჰმრზრ ხKR “ამას უფრო მრავალი და უფრო გრძელი შვერილები აქვს”, (ქრესტ. № 146) აღ ფუცხვს ჟი ლგკირკNლდე სემი ლქიმ ფუცხვ ხზ “ამ კავს აზია მორკალული სამქიმიანი ჩანგალი”

ნ. ჩართოლანს სვან. ქიმ, ქჰმრზრ ნათარგმნი აქვს როგორც “ცრემლები (შვერილები)”. ქიმ, ქჰმ სვანურში მართლაც “ცრემლს” აღნიშნავს, მაგრამ ლაფერთხის (სარევი ჯოხის) ტოტების გამოსახბატად “ცრემლის” აღმნიშვნელი სიტყვის გამოყენება საეჭვოდ გვეჩვენება. ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ სვანურში ერთმანეთს დაემთხვა სქ-დან მომდინარე ორი ფონეტიკურად ახლოს მდგომი სიტყვა - ქიმ, ქჰმ “ცრემლი” < \*ქამ- (შდრ.: ქართ. (გურ.) ქამ-ი “ნამი, სისველე”, და-ქამ-ვ-ა “ოდნავ დასველება” (ფენრიხი 2007: 455-456)) და ქიმ “შვერილი” < \*ქიმ-?

### **\*ქლემ-/ქლიმ-**

ქართ. ქლემ-ა “ხეხვა, ფხეკა”, მო-ქლიმ-ა, მო-ჰ-ქლიმ-ა (მო-ჰ-ქლიმ-ა ფერჲი ბალამისი, რიცხუთაბ XXII, 25)

სვან. (ზზ. - ბ. ნიჟარაძე) ლი-ქHრმ-ე “ჩაჟეჟა, измять; ჩეჩქა, толочь”, (ზზ. - ქრესტ. №151) ამის აჯაღდდ ხაკუ ლიქერმე. ფიკიდ ჩუდ აქერმეხ... “ამას [ტილოს] კიდევ უნდა დაჩეჩქვა. მშრალად ჩეჩქვავენ”, (ზზ. - ქრესტ. №152) ეჯას ჩჩაქერმეხ წირმ ბგგიდ “იმას (ტილოს) ჩეჩქვავენ უროთი მაგრად”, (ჩლრ. - ლიპარტელიანი) ლი-ქირმ-ე “ახალნაქსოვი მატერიის ქვაზე დანაყვა”, ა-ქირმ-ე “შინაურულად ნა-ქსოვ ქსოვილს ცხელ წყალში გამოხარშავს, მერე ნაყავს სპეციალურ გალესილ ბრტყელ ქვაზე, რასაც “ლაქირმა შვათს” უწოდებენ”

ქართ. ქლემ-ქლიმ- ძველ ქართულში დასტურდება და წარმოდგენილია საბასთან, ჩუბინაშვილებთან და ზოგიერთ აღმოსავლურ-ქართულ დიალექტშიც (ხევსურული, მთიულური, ინგილოური). ქლიმ- მორფემის შესატყვისად გვესახება სვანური ენის ბალსზემოურ და ჩოლურულ კილოებში გამოვლენილი ქირმ-, ქHრმ- (< \*ქირმ- < \*ქლიმ- < \*ქლიმ-). მნიშვნელობათა სხვაობა მინიმალურია.

### **\*ღვეჭ-**

ქართ. (თუშ.) გა-ღვეჭ-ა-ღ “უშნოდ გაკრეჭა, თმის გადახოტვრა”, (ხევს.) ღვეჭ-ს “თოვს (მოჭიმავეს) და ბუსუსების გასაცლელად მარყუჟში გაატარებს”

ზან. (მეგრ.) ღაჭ-უ-ა, (ლაზ.) ო-ღვანჭ-უ, ო-ღვანჭჭ-უ “კრეჭა”

ქართული ენის თუშურ და ხევსურულ დიალექტში დადასტურებულ ღვეჭ- ძირს (ხევსურულში მნიშვნელობა გადაწეულია) კანონზომიერად შეესატყვისება ზანური \*ღვაჭ-.

### **\*ცარც-**

ქართ. ცარც-ი (ძვ. ქართ. - ი. აბულაძე) “თაბაშირი”, (საბა) “გაჯი”

ზან. (მეგრ.) ცონც-ი “ნამცეცი”, (ლაზ.) ცონც-ი, ცონც-ო “რბილი, ჰაეროვანი, ქვიშიანი მიწა; უნაყოფო მიწა”

ილია აბულაძის “ძველი ქართული ენის ლექსიკონში” ცარცის მნიშვნელობად მოცემულია “gypsum”, ანუ “თაბაშირი” (მოგუართუ-ეს ჩუენ ევლოგიად ალექსანდრიადთ, თვთო საწყაული ზეთი ჭურჭლითა, დაგოზილი ცარცითა, მ. ცხ., 109v), ხოლო საბასთან ეს სიტყვა გაჯის განმარტებაში გვხვდება - “მიწა ცარცი”.

შესაძლოა, ქართ. ცარც- ძირს უკავშირდებოდეს ზან. ცონც- (< \*ცორც- რეგრესული ასიმილაციით; წინაენისმიერთა წინ რ-ს ნ-ში გადასვლის შესახებ იხ.: ჟღენტი 1953: 123-124). არქეტაპს “ფხვიერი

[თეთრი] მიწის, ქვიშის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ხოლო მეგრულ ფორმას ამგვარი სემანტიკური ევოლუცია უნდა განეცადა: “ქვიშა” > “ქვიშის ნამცეცი” > “ნამცეცი”.

### **\*ძგებ-**

ქართ. (ჩვენებ. ქართ.) ძგვეფ-ია-ი “მამაცი, უშიშარი, ძლიერი”, (აჭარ.) ძგუფ-ია-ბ “გულადი, მამაცი, თამამი; მხნე, ყოჩაღი, ჯომარდი”

ზან. (მეგრ.) ძგვაბ-ი “გდება (ჯდომა)”, ძგვაბ-ინ-ი “(და)ჯდომა; (და)გდება”, ძგვაბ-ინ-აფ-ა “ძგერება, (და)ჯახება; ძალით დასმა, დაჯენა, დაგდება”; (ლაზ.) მწუწი ო-ძგვაფ-უ “მძიმე მდგომარეობაში ჩაგდება (მწუწი = გიზგიზა ლადარი)”

სვან. ძგებ-ნ-ი “წყდება, ტყდება, სკდება, ინგრევა”, ძგებ-ე “ხეთქს, წყვეტს, გლეჯს; ანგრევს”.

ზანური (მეგრული) ძგვაბ- სვანურ ძგებ-ის ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია და მისგან არც სემანტიკურად არის მაინცდამაინც დაცილებული - “გლეჯა, წყვეტა, ნგრევა” > “ძგერება; ძალით დაგდება”. “დაგდების” მნიშვნელობა ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ლაზურშიც - “ლადარში ჩაგდება” > “მძიმე მდგომარეობაში ჩაგდება”. რაც შეეხება ქართულ ძგვეფ-ია- ფუძეს, რომელიც ჩვენებულების ქართულშია გამოვლენილი, ის წარმოშობით სასუბიექტო მიმღეობა ჩანს და ეტიმოლოგიურად, სავარაუდოდ, “მგლეჯელს, მნგრეველს” აღნიშნავდა.

### **\*Ėს-ნ-/Ėს-ენ-**

ქართ. აღ-Ėს-ნ-ა, გან-Ėს-ნ-ა “გაშვება; განმარტება”

სვან. (ბზ.) ხ-ო-ჰს-ნ-ე “უხსნის” (ქრესტ. №127) აღ გვეშს ესერ L ქა ხოჰსნე, მეე ჟერ ხეკიდენი, ეჟ ჟერს ლახიდენე “ამ საქმეს თუ აუხსნის, რა წყალობაც უნდოდეს, იმ წყალობას მისცემს”), ზ-ჰს-ნ-ე “ხსნის, განმარტავს”, აღ-ჰს-ნ-ა-ს “ახსნას” (ქრესტ. №180) ეჯას ესერ ჩIL მოშ ზჰსნე, ერჰას ესერ ქა ხონჯრი ხახიდ, დომ ესერ ადჰსნას, ერჰას ესერ სკიორპლ... ქKI ლახილმ “თუ იმას ხსნისო, მაშინ ცოლად მიჰყვება, თუ ვერ ახსნისო, მაშინ სკივრებს... მისცემს”.

ქართ. Ėს-ნ- ფუძეს (შდრ. Ėას- (და-ვ-Ėას) < სქ. \*Ėას-/Ėს- (ფენრი-ხი, სარჯველაძე 711-712; კლიმოვი 1998: 334)) კანონზომიერად შეესატყვისება სვან. ჰს-ნ-. სვან. ზ-ჰს-ნ-ე ფორმა ამოსავალ \*ჰს-ენ- ფუძეს

გვავარაუდებინებს, რაც ქართ. Ёს-ენ- (იკსენ, დავიკსენ...) ფუძის ფარდია.

**\*ჰარ-**

ქართ. (საზა) ჰარ-ი “ჯართ შერისხვა”

ზან. (მეგრ.) ორ-ე “ხარებისადმი შეძახილი გასაჩერებლად და დასამშვიდებლად: ორე, ხოჯი!”

შედარებული მასალა ერთმანეთს კანონზომიერად შეესატყვისება.

### გამოყენებული ლიტერატურა

**აბაშია 1999** - რ. აბაშია, სუფიქსური შესატყვისობისათვის ქართველურ ენებში. II. ქართ. -იალ : ზან. -იორ//ენათმეცნიერების ინსტიტუტის LVIII სამეცნიერო სესია.

**აბაშია 2004** - რ. აბაშია, ბგერათშესატყვისობის ახალგამოვლენილი რიგისათვის ქართველურ ენებში. II//ქართველოლოგიური კრებული III.

**გამყრელიძე, ივანოვი 1984** – Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры, I-II.

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

**გიგინეიშვილი 2016** - ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ), თბილისი.

**თოფურია, ქალდანი 2000** - ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

**კლიმოვი 1998** - Klimov G. A., Etymological Dictionary of the Kartvelian Languages, Mouton de Gruyter, Berlin - New York.

**მალორი, ადამსი 1997** - J. P. Mallory, D. Q. Adams (ed.), Encyclopedia of Indo-European Culture, Fitzroy Dearborn Publishers, London - Chicago.

**ჟღენტაი 1953** - ს. ჟღენტაი, ჰანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი.

**სანიკიძე 1976** - ლ. სანიკიძე, რედუპლიკაცია სვანურსა და ზანურში//იკეწ, IV, თბილისი.

**სარჯველაძე 1995** - ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.  
**საღლიანი 2016** - სვანური ენის სტრუქტურის საკითხები, თბილისი.

**ტოპოროვი 1975** - В. Н. Топоров, Прусский язык. Словарь, Т. I (A-D), Москва.

**ფასმერი 1986** - М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, Т. II, Москва.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** - ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე გამოცემა, თბილისი.

**ფენრიხი 2007** - Fähnrich H., Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, BRILL, Leiden-Boston.

**ჩართოლანი 2003** - ნ. ჩართოლანი, სვანური ტექსტები და ლექსიკა. ბალსზემოური კილო, თბილისი.

**ჩუხუა 2007** - იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი.

**ჯორბენაძე 1998** - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 2, თბილისი.

LEVAN KELAURADZE

### **Addenda to the Etymological Dictionary of the Kartvelian Languages - VIII**

#### **S u m m a r y**

The article continues the publication of possible new cognates identified among the Kartvelian languages, and Common Kartvelian archetypes reconstructed on the basis of their comparison, as well as additional material to the comparisons already known from the etymological dictionaries.



**აფხაზური აბულა „ხვიმირი, ძაბრი (წისქვილისა)“  
(მტიმოლოგია)**

აფხაზურში აბულა „ხვიმირი, ძაბრი (წისქვილისა)“ აღნიშნავს წისქვილის ქვის ზემოთ დაკიდებულ ძირვიწრო ფიცრის ყუთს, საიდანაც მარცვლეული კრიჭაში ჩადის.

ჩვენი აზრით, ეს ლექსემა საერთო იბერიულ-კავკასიური ძირისა უნდა იყოს. შდრ.: ზან. (მეგრ.) ხულ-ა „ბეღელი“, ლაზ. ხულ-ა „ხვრელი“...

ასევე, ვფიქრობთ, რომ ქართული ხვიმირი დაკავშირებული უნდა იყოს ქართულ ხვაგი „ხორბლის, სიმინდის ტაროების და მისთ. გროვა, საზოგადოდ რისამე გროვა, ერთმანეთზე დაყრილი ბევრი რამ“ (ქეგლ.), ასევე უხვი „ბევრი, მრავალი“ (ქეგლ.) სიტყვებთან.

ლექსემა ხვიმირი დასტურდება ძველი ქართულსა და დიალექტებშიც:

**ხვიმირი** - დასაფარავი, გინა წისქვილის ხვარბლის ჩასაყარი (საბა).

**ხვიმირი** - „წისქვილის ნაწილი, სადაც მარცვლეულს ყრიან დასაფქვავად; საწყაო“ (ზ. სარჯველაძე).

**ხვიმირ-ი** (ქართლ., რაჭ., ზ. აჭარ.) - წისქვილის ნაწილი, პირამიდისებურად შეკრული ყუთი, რომელშიც დასაფქვავ მარცვალს ყრიან.

**ხვიმირა** (ლეჩხ.) - მარცვლის ჩასაყრელი წისქვილში (ალ. ღლონტი);

**კუმბურ-ი/ კუმბურა** კნინ. - ხვიმირი (ალ. ჭინჭარაული);

**კვიმბურ // კუმბურ** - ხვიმირა (გ. ცოცანიძე).

თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი“ მერაბ ჩუხუა ამ სიტყვათა შესახებ წერს:

„ს.-ქართვ. \***ჯულ**- „ხორბლის თავთავი“  
ძვ. ქართ. **ჯუტილ**-ი „თაველი“, „ყანის თავთავი“ (საბა)  
სვან. **ჯულ** „თავხუა“

ზანური შესატყვისი არ იძებნება [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 408].  
სვანური ალომორფი არქაულ ვითარებას აჩვენებს. ვფიქრობთ, ძველ  
ქართულშიც ამოსავალი ვარიანტი \***ჯულ**-ი<sup>ჟ</sup>-ი სახეობის ფუძე იყო.  
ამ უკანასკნელში -**იჟ**- იმავე რიგის მონაცემია, რაც ძვ. ქართ. ყულ-  
**ივ**-ი „მხრის ძვალი“ სიტყვაში.

ს.-სინდ. \***ჯუზ** „ქერი; ფეტვი“  
ადილ. **ჰა**, ყაბ. **ჰა** „ფეტვი“  
უბიხ. **ხა** „ქერი“

ჩერქეზულ ენებს შორის თავჩენილი **ჰ** : **ხ** ოპოზიცია იმაზე მე-  
ტყველებს, რომ ამოსავალი ფონემა აფრიკატული ბუნების ფარინგა-  
ლური **ჰ** ყოფილა. ამ უკანასკნელმა სპირანტიზაციის გზით **ჰ/ხ**  
ალოფონები მოგვცა.

აფხაზური ა-**ხუჰ** და აბაზური **ჰუჰ** „ქერი“ სხვაგვარ ეტიმო-  
ლოგიას გულისხმობენ, ამიტომაც აქ არ განიხილება [შდრ. სტაროს-  
ტინი, ნიკოლაევი 1994 : 503].“ (ჩუხუა 2017 : 567)

„ს.-ქართვ. \***ხური**- „დიდი და მრგვალი“  
ზან. (მეგრ.) **ხვირ**-ალ-ი „დიდი და მრგვალი“

ზედსართაული **ხვირ**- ძირი განმარტოებით დგას მეგრულში.  
სავარაუდოდ, იგი საერთოქართველური \***ხური**- არქეტიპის რეფ-  
ლექსს წარმოადგენს. ამაში იბ.-კავკ. ენათა სათანადო ძირები გვარ-  
წმუნებენ.

ს.-სინდ. \***ხურა**- „მრგვალი“  
ადილ. **ხურა**-ჲ, ყაბ. **ხურ**-ჲ „მრგვალი“

უბიხური **ხურა** „მრგვალი“ ნასესხები ჩანს ადიღურიდან.  
მაგრამ სწორედ ეს უკანასკნელი ინახავს ყველაზე სრულად ფუძე-  
ნურ მდგომარეობას. ადიღურ ენათა -**ჲ**/**-ჲ** მარკერები ზედსართაუ-  
ლი ფუნქციის აფიქსაციას წარმოადგენს.

ს.-ქართვ. \***ხური**- : ს.-სინდ. \***ხურა**- ზედსართავების კანონზო-  
მიერ შესატყვისს ვხედავთ ხუნძურ **ხარა**-დ-და „მრგვალი“ სიტყვა-  
ში.“ (ჩუხუა 2017 : 549)

„ს.-ქართვ. \***ხუაჟ**- ხვავი, სიუხვე“

ქართ. **ხტავ-ი, ხტავ-რ-ელ-ი**

ზან. (მეგრ.) **ხვე** „ხვავე“

სვან. **ხტაჲ / ხტაჲ** „ბევრი“

ბოლოკიდური **ა** სვანურში ს.-ქართვ. **ჟ**-ს შემდგომი ტრანსფორმაცია ჩანს – **ჟ** → **ა** [შდრ. კლიმოვი 1964 : 258; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 697].

ს.-სინდ. \***ჯტვ**- „საკმარისობა, სისავსე“

ადილ. და-**ჯტვ**-, ყაბ. **აგ-რი-ჯტვ**- „საკმარისობა“

შდრ. ადილ.-ყაბ. **აგ-ჯტ**-ჰა „სავსე, ძალიან“

ბუნებრივია, რომ ქართველური ფუმე-ენისათვის დავუშვათ **ჯ→ხ** სპირანტიზაციის პროცესი. შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს ს.-ნახ. \***დ-უჰა** „ბევრი“ და მის დალესტნურ შესატყვის ძირ-ფუმეებთან მიმართების საკითხი.“ (ჩუხუა 2017 : 545)

**ხგ-იმ-ირ-ი, ხგ-ავ-ი, უ-ხგ-ი** ლექსემების ძირისეული **ხგ < ჯტ** აღნიშნავს „მარცვლეულს“, „სიმრგვალეს“, „სიმრავლეს“, ამიტომ მათი დაკავშირება ერთმანეთთან სემანტიკის მხრივ, ჩვენი აზრით, სრულიად ლოგიკურია, ვერ ვხედავთ ვერც ფონეტიკურ დაბრკოლებას. ასევე აქ აღარ შევჩერდებით ამ ლექსემებში გამოვლენილ სიტყვათმარწმობებელ ფორმანტებზე: **-იმ, -ირ, -ავ, უ-...**

ისმის საკითხი, ხომ არ არის ეს იბერიულ-კავკასიური წარმოშობის ლექსემა ოსურში წარმოდგენილი მარცვლეულის აღმნიშვნელი სახელის „**ხუარ**“ პირველწყარო?

ეს უკანასკნელი დადასტურებულია ოსურ სარიტუალო ლექს-სიმღერებში მისამღერის (რეფრენის) სახით:

**Ес хуар, ес хуар!** „იყოს მარცვლეული, იყოს მარცვლეული!“ (მამისიმედიშვილი 2013 : 299)

ამრიგად, ჩვენ ქართულ **ხვიმირს** ვუკავშირებთ ქართულ **ხვავე, უხვი** სიტყვებს და მის აფხაზურ შესატყვისს **ახტლა**.

**ხულა** მეგრულში „ბეღელს“ აღნიშნავს, მაგრამ ლაზურში აღნიშნავს „ხვრელს“, რაც სემანტიკურად „**ხვიმირს**“ მნიშვნელობასთან უფრო ახლოს უნდა იყოს. (ხვიმირს აქვს ხვრელი, რომლიდანაც მარცვალი ცვივა ჯერ სარეკელაში და შემდეგ წისქვილის დოლაბის შუაგულში. ვფიქრობთ, მისი მეგრულში დადასტურებული მნიშვნელო-

ბაც „ბეღელი“ არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას ჩვენი მოსახრეებისათვის.

ასევე ვსვამთ საკითხს ოსური ხუარ „მარცვლეული“ სიტყვის იბერიულ-კავკასიური წარმოშობის შესახებ.

### გამოყენებული ლიტერატურა

**მამისიმედიშვილი 2013** - ხ. მამისიმედიშვილი, მიწათმოქმედების ზეციური წარმომავლობის მოტივი ოსურ და ქართულ ლექს-სიმღერებში, კავკასიოლოგიური ძიებანი 5, თბილისი, 2013, (294-300).

**საბა 1966** - საბა-სულხან ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თხზულებანი, ტ. IV, თბილისი, 1966.

**სარჯველაძე 1955** - ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1995.

**ქეგლ. 1964** - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბილისი, 1964.

**ღლონტი 1974** - ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1974.

**ჩუხუა 2017** - მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი (მასალები იბერიულ-კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის), გამომცემლობა „საარი“, თბილისი, 2017.

**ცოცანიძე 1974** - გ. ცოცანიძე, ფშური დიალექტი, თბილისი, 1978.

**ჭინჭარაული 2005** - ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005.

Abkhazian **akhula** "Mill Funnel"  
(Etymology)

S u m m a r y

In Abkhazian, **akhula** "mill funnel" refers to a wooden box hanging above a millstone that pours grain into the hole.

The paper suggests that this lexeme has the Common Iberian-Caucasian root.

Megrelian-Laz: Zan (Megr.) **khula** "granary", Laz **khula** "hole".

In addition, an attempt is made to connect the above-mentioned lexeme with the Georgian words **khavi** "a pile of corn ears, wheat, etc. a pile of something in general, a lot of things piled on top of each other" (GED), and **ukhvi** "many" (GED).

We also discuss the possibility of the Ibero-Caucasian origin of the Ossetian word **khuar** denoting **grain**.

**ნასესხებ ლექსიკურ მართვლთა ადაპტაციისათვის  
სვანური ხალხური ზღაპრების მიხედვით**

„მოგონებული ტყუილი ამბავად შემჭევრებული და არა ქმნილი მყოფობით“ – ასე განმარტავს დიდი ქართველი მეიგავე სულხან-საბა ორბელიანი ზღაპარს. ეს „ამბავად შემჭევრებული“ მხატვრული გამონაგონი, რომელიც ზეპირსიტყვიერი ხელოვნების უძველესი ჟანრია და ხალხის სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაყოფი, თავისთავად არქაული მოვლენაა და უხვად შეიცავს უძველესი ცხოვრების რუდიმენტებს. მისი პირვანდელი მხატვრული სამყარო კი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ეყრდნობა მითოლოგიური და უფრო ადრეული წარმოსახვის ხანას ადამიანის აზროვნებაში (ომიაძე 1991:9).

ხალხური ზეპირსიტყვიერების ეს ერთ-ერთი საინტერესო და სპეციფიკური ჟანრი, რომელმაც ღირსეულად გაუძლო მრავალსაუკუნოვან კონტაქტებს და მთლიანად შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე, უნიკალური თვისებები და ნიშნები, მაღალი მხატვრული დონე და ის ზნეობრივ-ესთეტიკური კრიტერიუმები, რომლებიც აქცევენ მას განუმეორებელ ფენომენად, დღემდე ფოლკლორისტთა, ენათმეცნიერთა, ლიტერატურათმცოდნეთა, ეთნოგრაფთა და ა. შ. ყურადღების ცენტრშია. ცხადია, იმავეს თქმა შეიძლება სვანურ ზღაპარზეც, რომლის არქაულობამ და სპეციფიკურობამ არაერთი ქართველი თუ უცხოელი ენათმეცნიერის (ჰ. ფენრიხი, ო. ონიანი, ა. ბაბლუანი, მ. საღლიანი...) ყურადღება მიიქცია და შესაბამისად ბევრი საინტერესო ნაშრომიც დაიწერა, თუმცა სვანურ სხვადასხვა ჟანრის ზღაპრებში წარმოდგენილი არქაული და უძველესი ნასესხები ლექსიკის სრულყოფილი კვლევა დღემდე არ განხორციელებულა.

ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს უძველეს სვანურ ზღაპრებში წარმოდგენილი (მარგალიტებად მიმოიხე-

ლი) სხვადასხვა ენობრივი სამყაროდან (ქართულ-ზანური, ბერძნული, თურქული, სპარსული, არაბული, ოსური, ჩრდილო-კავკასიური, რუსული და სხვ.) უშუალოდ თუ შუალობით შეთვისებული არაერთი ლექსიკური ერთეულის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზი.

ნაშრომში გაანალიზებული მასალა, რომელიც ემყარება როგორც სვანური ენის პუბლიკაციებში წარმოდგენილ, ასევე ჩვენ მიერ საველე პირობებში სვანეთის ორივე (ენგურისა და ცხენისწყლის) ხეობაში მოპოვებულ-გადამოწმებულ სათანადო საილუსტრაციო მასალას, თვალსაჩინოებისათვის თემატურად დავყავით შემდეგ ჯგუფებად:

1. *სვანურ სხვადასხვა ქანრის ზღაპრებში დადასტურებული ისეთი ნასესხები ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მატოპონიმებლად ქცეულან სვანურში:*

**აგუნდ** {ი თანაღ} (ბზ.) „აგუნდის უღელტეხილი“ (შდრ. ლშხ. **აგუნდ** „აგუნდის ძაფი“) < ქართ. იაგუნდ-ი „ძვირფასი ქვა, ბაც-მოლურჯო ფერისა, – ლალი“ (< არაბ. **iaḡut/iaḡund**) სიტყვისაგან ანლაუტისეული ხმოვნის დაკარგვით.

*საილუსტრაციო მასალა:*

**აგუნდი** თანაღ ეჩხანჩჳ ჴოქჴრე ჴისგჴ ხრგხ დწჴარს (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939:144-27) „აგუნდის უღელტეხილს იქით ოქროს ვაშლი უღგათ დევებს (ზედმიწ. – **აგუნდ-ი**{ს} უღელტეხილ{ს} იქითქვე **ოქრო-**{ს} ვაშლი უ-ღგ-ათ დევე-ებ-ს)“

ჴაბჴგჴდ ლწჴჴ: – ... დემდმარჴ **აგუნდი** თანაღ ეჩხანჩჳ ანზგზხეხ (ბზ., იქვე: 149-26) „ჴაბჴკმა თქვა: – თორმეტი იაგუნდის მთის იქით გაგვაგზავნეს (ზედმიწ. – ჴაბჴკმა თქვა: – **ათ-** და **-ორ იაგუნდ-ი**{ს} უღელტეხილ{ს} იქით ქვე გა-გვ-ა-გზ-ავ-ნ-ეს)“...

ქართულის გზით შეთვისებული ძვირფასი ქვის აღმნიშვნელი სიტყვა, როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, მატოპონიმებლად ქცეულა სვანურ ზღაპრებში.

**განჯეთ** (ბზ.) „განჯა (ზედმიწ. – \***განჯ-ეთ-ი**) < ქართ. განჯა „ყოფილი ელიზავეტპოლი (აზერბ. **Gəncə**, ძველ ქართულ და სომხურ

მატიანეებში – *განძ*), ისტორიულად ირანის (სპარსეთის) მნიშვნელოვანი ქალაქი“ ფორმისაგან აუსლაუტისეული ხმოვნის მოკვეცითა და გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი -*ეთ* სუფიქსის დართვით, რომელიც, როგორც ჩანს, ან ქართულ გეოგრაფიულ სახელთა (იმერეთი, ხევსურეთი, ბაგინეთი, კახეთი...) ანალოგიით გაჩნდა ან სულაც აღნიშნული სუფიქსითვე გადმოიტანა გამსესხებელი ენიდან, თუმცა ქართულ საისტორიო წყაროებში სააანალიზო ლექსიკური ერთეულის (*განჯეთ*-ის) კვალს ვერ მივაგენით. რაც შეეხება სუფიქსისეული ხმოვნის სიგრძეს (-*ნეთ*), იგი, როგორც წესი, გამოწვეულია კომბინატორული სიგრძით. სავარაუდოდ, *განჯეთ* < \**განჯა+ეთ* ფორმისაგან, სადაც ფუძისეულ და სუფიქსისეულ ხმოვანთა შეწყობით მივიღეთ *ნ* ხმოვნის სიგრძე (*ნ* < ა+ე).

*საილუსტრაციო მასალა:*

გაგო მარე როქუ ლი, მარე ამჟი ჰაზს იცაღდი, ერ ლარდა ი ქუეყანა *განჯეთ* ესერ ლიზ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 31:28-29) „გუგუელი ადამიანი არისო, მაგრამ ასე იცვლისო ფერს, იმისი საცხოვრებელი და ქვეყანა განჯა არისო (ზედმიწ. – *გუგულ*-ი კაციო არის, მაგრამ ასე ჯერს იცვლის, იმისი სამყოფი და *ქვეყანა განჯ-ეთ-ი-ო* არის)“

ეჩქანლო გუიანდ ალ მარა *განჯეთი* ქუეყანათ ზთვადღენა (იქვე 31:33-34) „მერე გვიან ეს კაცი განჯაში წასულა (ზედმიწ. – მაშინს მერე *გვიან*-ად ეს კაცი *განჯ-ეთ-ის* *ქვეყნ*-*ის*-კენ \*მინასვლელა)“...

*გუელისტაჟ* (ბზ.) „ადგილი, მხარე, ქალაქი“ < ქართ. გველ-ის თავ-ი „მთა იმერეთში“ სიტყვისაგან მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტის მეორე შემადგენელი კომპონენტის ანლაუტისეული თანხმოვნის გამკვეთრებითა (შდრ. ქართ. -*თავ*, სვან. -*ტაჟ*) და, როგორც წესი, სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვით.

*საილუსტრაციო მასალა:*

ათხე როსტომ აჩაღ ჯუჟდია ქუეყანას/ქუეყანათე {ი} *გუელისტაჟს* ჩუადღეგან (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 208:19) „ახლა როსტომი წავიდა შორეულ ქვეყანაში და გველისტაჟში გაჩერდა (ზედმიწ. – ახლა *როსტომ*-ი წავიდა შორ *ქვეყანა*-ს/*ქვეყნ*-*ის*-კენ და *გველისთავ*-ს ქვე და-დგ-ა)“...



აღნიშნული ტოპონიმი, რომელიც აშკარად ნასესხებია სვანურში და რომელიც მხოლოდ ზღაპრებში გვხვდება, დადასტურებულია ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება“ (1973). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ქართლის ცხოვრებაში დადასტურებული გველის თავის მთა არ მოიძებნა რუკაზე და არ დაფიქსირდა ოკრიბელთა ცნობიერებაში, ამასთანავე, იგი არაა შეტანილი საქართველოს გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიულ ლექსიკონში (ბაკურაძე 2000: 65). ჩვენი აზრით, ქართლის ცხოვრებაში დაფიქსირებული საანალიზო ლექსიკური ერთეული, რომელიც დღეს დაკარგულად ითვლება და რომელიც ერთ-ერთმა სვანურმა ზღაპარმა (**როსტომ ჭაბიგუ** „როსტომ ჭაბუკი“<sup>1</sup>) შემოგვინახა როგორც უძველესი ნასესხობა, უპირველეს ყოვლისა სვანური ზღაპრების არქაულობას უჭერს მხარს.

**ჟირჩილ-მწრჩილ** (ბზ.) *ზღაპ. ტოპ.* < ქართ. მარჩილ-ი „ძველი ქართული ვერცხლის ფული, უდრიდა სამ აზაზს“ (შდრ. მეგრ. მარჩილ-ი „ფულის ერთეული, 10 კაპიკი“)<sup>2</sup> ლექსიკური ერთეულისაგან ფუძის გაორკეცებითა და ფუძისეულ ხმოვანთა (ა+ი > ჯ) უმლაუტით, ასევე, სემანტიკური გადააზრიანებით, რაც ძალზე ხშირია სვანურ ზღაპრებში.

*საილუსტრაციო მასალა:*

ლირჰალთე ანჰანდ კუტიჩგლდ ... ი ხჷქუ [ხელწერილს]: „ტოდ ესერ მიჯნემ **ჟირჩილ-მწრჩილ** კესრი გეზალ ნანულ ჩუ დო ადგეჰას,

---

<sup>1</sup> აღნიშნული ზღაპარი (სვან. პროზ. ტექსტ., I, თბ., 1939:208-209), რომელიც 1920 წელს ადიშელი ს. ავალანისაგან ჩოლურის ხეობაში ყოფნის დროს ჩაიწერა ა. შანიძემ, დაუმთავრებელია და მოგვითხრობს როსტომისა და ზურაბის ამბავს, ამასთანავე იგი განსხვავდება ქართულად გავრცელებული ანალოგიური თქმულებისაგან. ამავე წიგნში დაბეჭდილ როსტომის ზღაპრის სხვა ვარიანტებში (იხ. „**როსტომ**“, გვ. 232-241 და „**როსტომ ი კესარ**“, გვ. 435-438) საანალიზო ტოპონიმიკური ერთეული არ დასტურდება.

<sup>2</sup> შდრ., ასევე, ბალსზემოური საზოგადო სახელი **მწრჩილ** „სვანური ფულის ერთეული მე-19 საუკუნეში“. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, საანალიზო ფუძის სახელი უნდა მომდინარეობდეს ვენეციური ვერცხლის „მარჩელოს“ სახელწოდებიდან, რომელიც საქართველოში XVI-XVII საუკუნეებში გავრცელდა (ივ. ჯავახიშვილი, რ. ქებულაძე, ი. ჯალალანია...).

ეჩქად ნო ლისგუტრენუ ხოგად, ნო ლიგენენ“ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 104:22-23) „გამთენიისას მოვიდა სკვინჩა და უთხრა ხელწერილს: „სანამ შენ ვირჩილ-მარჩილის კეისრის შვილ პრინცესას ცოლად არ შეირთავ, მანამდე არც ჯდომა დაგცალდესო და არც [ფეხზე] დგომაო (ზედმიწ. – გამთენიისას მოვიდა სკვინჩა და უთხრა ხელწერილს: „სანამო თვითონ ვირჩილ-მარჩილ-ის] კეისრ-ის] შვილი პრინცესა თუ არ დაიკავოს, მანამდე ნუ ჯდომადო მართებს, ნუ დგ-ომ-ად“)“.

... ალ ჭყინტ სგ'ჰანდ ლაგუტნუმ მიჩა მუქუთე ი ხაქუ ლაგუტნუმ: „ამელეჟა ანვად ემხუ კუტინჩგლდ ი მჰქუ: უოდ ესერ უირჩილ-მარჩილ კეისრი გეხალ ზეთენახაჰ ნანულ ჩუ დო ესერ ოთყედნა, ეჩქად ესერ ნო ლიგენენუ მიშიდ, ნო ლისგუტრენ“ (ბზ., იქვე 104:26-27) „ეს ბიჭი ტირილით შევიდა მამამისთან და ტირილით უთხრა: „აქედან ამოვიდაო ერთი სკვინჩა და მითხრაო: სანამო ვირჩილ-მარჩილის კეისრის მზეთუნახავ შვილს ცოლად არ შეირთავო, მანამდეო არც დგომა გედირსოსო და არც ჯდომაო (ზედმიწ. – ეს ბიჭი შევიდა ტირილით მის მამ-ის]-კენ და უთხრა ტირილით: „ამი[ს] ზემოთ მოვიდა ერთი სკვინჩ-უჟა და მითხრა: სანამო ვირჩილ-მარჩილ-ის] კეისრ-ის] შვილ[ს] მზეთუნახავ პრინცესა[ს] თუო დაუკავებია, მანამდეო ნუ დგომაცა შემიდლია, ნუ ჯდომაც[ს]“)“...

**ქაჯალეთ** (ბზ.) ზღაპრ. ტოპ. < ქართ. ქაჯ-ავ-ეთ-ი „ქაჯთა ციხე-ქალაქი, სამეფო, რასაც ქართულ ფოლკლორში „მამურალი გიორგი“ ებრძვის და ამარცხებს...“ სიტყვისაგან სუფიქსისეული ე ხმოვნის დაგრძელებითა და (ვ/ლ) თანხმოვანთა მონაცვლეობით. ბალსზემოურ ზღაპრებში პარალელურად საანალიზო ფუძის სხვა ვარიანტებიც გვხვდება, მაგ., **ქაჯატეთ** < ქართ. ქაჯ-ავ-ეთ-ი ფორმისაგან სუფიქსისეული ხმოვნის სიგრძით და **ქაჯეთ** < ქართ. ქაჯ-ეთ-ი“საგან ასევე სუფიქსისეული ხმოვნის დაგრძელებით. სამივე საანალიზო ლექსიკური ერთეულის ფუძეა ქართული ქაჯ-ი < სპარს. **qaj** „ყალბი“ სიტყვისაგან.

*საილუსტრაციო მასალა:*

ახსგურდა ალას [ამირან], ხაჯიდ მარუ შდემ ნესგაჩუ მადრჰჰ ი სემი შოლტ ჩაფელ ათკუარუნე ი რჰშდ პნნიკუ თხტიმ ი სგა ლახვიკე

**ქაჯატუთი** ყორისგა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 90:37-38) „შეაჯ-და ამას ამირანი, დაარტყა ყურებშუა მათრახი და სამი შოლტი ტყავი გააგდებინა და რაშმა თავი მოიდრიკა და შევარდა ქაჯავეთის კარში (ზედმიწ. – შეაჯდა ამას **ამირან**-ი, დაარტყა **ორ-ყურს**) შუაქვე **მათრახ**-ი და **სამ**-ი **შოლტ**-ი ტყავი გააგდებინა და **რაშ**-მა მოხარა თავი და შეაგდო **ქაჯავეთ**-ის კარში“

ამნემ ხაჭუტინ: „... იმჟნლე ესერ კოჯარ იყერიელხ, ეჩრ ეჩხანჩუ ესერ **ქაჯალეთი** მურყუამისგა ქაჯ ესერ არი, ეჩრ ჟოქჟურე ლუსდგუარე ამაჟ ლიჯდე, ეჯი ესერ ოთფაშუდა ალეს“ (ბზ., იქვე 211:26-27) „ამან უთხრა: „სადღაცო კლდეები იღება, იმის იქით ქაჯავეთის კომპში ქაჯი არისო, იმისი ოქროს ნაწნავების აქ მოტანა დაიტარაბახაო (ზედმიწ. – ამან უთხრა: „სადღაცო კლდეები ჩხუბობენ, იმი[ს] იქითკენქვეო **ქაჯავეთ**-ის კომპში **ქაჯ**-ი-ო არის, იმი[სი] **ოქრო**-[ს] ნაწნავები[ს] აქეთ მოტანა, ისო დაუტრახახებია ამას“)“

ეჩქა ალ დონად ხაჭუტ: – ... მი ხუი როკაპი გეზალ, **ქაჯეთი** ხელწიფიმ (ბზ., იქვე 215:23-24) „მაშინ ამ გოგომ უთხრა: – მე ვარ როკაპის შვილი, ქაჯეთის ხელწიფის (ზედმიწ. – მაშინ ამ გოგომ უთხრა: – მე ვარ **როკაპ**-ის შვილი, **ქაჯეთ**-ის ხელწიფის)“...

როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, საანალიზო მირ-ფუძეთა ერთი ნაწილი გამსესხებელ ენაშიც ტოპონიმის ფუნქციით დასტურდება, თუმცა მეორე ნაწილი, ძირითადად საზოგადო არსებითი სახელები, მატოპონიმებლად ქცეულან სვანურ ზღაპრებში. სესხების პროცესში კი ჩვენ მიერ სამსჯელოდ წარმოდგენილ მასალაში სვანური ენის დიალექტ-კილოკავებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფონეტიკური პროცესები განხორციელებულა, კერძოდ: *უმლაუტი*, *სიგრძე*, *გამკვეთრება*, *ბგერათა დაკარგვა* და ა. შ.. ცხადია, ფონეტიკურ-სემანტიკურად სახეცვლილი მასალის პარალელურად ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი მასალაც ხელშესახებია.

2. *სვანურ სხვადასხვა ჟანრის ზღაპრებში დადასტურებული ისეთი ნასესხები ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მანთროპონიმებლად ქცეულან სვანურში:*

**ალაჟანდ** ი **ფალაჟანდ** (ბზ.) „ზღაპრ. პერსონაჟები“ (შდრ. ზს. **ფალჟანდ**, ბზ. **ფალაჟანდ**, ლშხ., ჩოლ., უშგ. **ფალჟანდ/ფალაჟანდ**, უშგ. **ფალჟან**) < ქართ. (ჯავახ.) ფალავანდ-ი (< ფალავან-ი < სპარს.

**fahlvān** „მოჭიდავე“, „გმირი“) „ჭიდაობაში, ბრძოლაში გამარჯვებული, გმირი“ ფორმისაგან პალატალური უმლაუტის საშუალებით, რაც, როგორც წესი, გამოწვეულია სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვით. საგულისხმოა, რომ **ფალავანდ** სიტყვისაგან რედუქციაციით მიღებული **ალაჲანდ**, რომელშიც მოკვეცილი ჩანს თავკიდური თანხმოვანი, ზღაპარში გამოყენებულია ანთროპონიმად, რაზეც სწორედ საილუსტრაციო მასალაც მეტყველებს.

*საილუსტრაციო მასალა:*

... დჷ[დ] {ხჷქ} ... როსტომ[ს]: – ჰა, ლჷდი **ალაჲანდ** ი **ფალაჲანდ** ესერ ალბმრგლიხ ი არგებს ესერ ლჷდი მრდ ახქუცებ თხტიმ (ზზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 241:3-4) „დეემა უთხრა როსტომს: – ჰა, დღეს ალავანდმა და ფალავანდმა იჭიდავესო და შესამლოა დღეს თავი არ მოგაჭრათო (ზედმიწ. – დევ-მა უთხრა **როსტომ**-ს: – ჰა, დღეს **ალავანდ**-ი და **ფალავანდ**-ი-ო დაჭიდავებულან და ეგებისო დღეს არ მოაჭრან თავი)“

ათხე დჷტრ ხაყლე {ბეჲანს}: – **ალაჲანდ** ი **ფალაჲანდ** ალბგრგელიხ, ლდ'ესერ ჟ'ოხქეხნი-ე მგხზრ ესერ ლჷბტეხნიხ (ზზ., იქვე 241:24-25) „ახლა დევიც ეუზნება ბეჲანს: – ალავანდი და ფალავანდი დაჭიდებიან ერთმანეთს, დღეს გაგეცლებო და ხვალ მოგიბრუნდებაო (ზედმიწ. – ახლა **დევი**-ც ეუზნება **ბეჲან**-ს: – **ალავანდ**-ი და **ფალავანდ**-ი დაჭიდებულან, დღესო გაგეცლება და ხვალო მიუბრუნდებიან)“...

**ბაყბაყდჷტ** (ზზ.) / **ბაყბაყდატ/დჷტმწყმწყ** (ბქ.) < ქართ. ბაყბაყდევ-ი „ზღაპრების პერსონაჟი: ყველაზე დიდი და საზარელი დევი“ ფუძეგანსხვავებული ერთცნებიანი კომპოზიტისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*უმლაუტის, სიგრძის, თანხმოვანთმონაცვლეობის*) მეშვეობით.

*საილუსტრაციო მასალა:*

ლაშთხუერი თარინგზელ გუნ ლამაზ ლაჲტჷმ ლიზ, ეჩის ქნმენ შირანიშ ი **ბაყბაყდჷტ** ლიშილ ხახტაჲა (ზზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 16:11-12) „ლაშთხვერის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია ძალიან ლამაზი ეკლესიაა, იმას გარედან ამირანის[ა] და ბაყბაყდევის ომის [სცენა] ახატია (ზედმიწ. – ლაშთხვერი[ს] **მთავარანგე**

ლოზ-ი მეტისმეტი ლამაზ-ი სალოცავი არის, იმას გარედან ამირან-ის და ბაყბაყდე-ის [ს] ომი ა-ხატ-ია)“

თამარ დედოფალ[ს] ... ახვედა ამბაჲ, ერე „ამირანს ესერ ბაყბაყდაჲ ზუთოდაგრა“ (ზზ., იქვე 16:16-19) „თამარ დედოფალს შეატყობინეს, რომ „ამირანმა ბაყბაყდევი მოკლაო (ზედმიწ. – თამარ დედოფალ-ს მოსვლია ამბავ-ი, რომ „ამირან-ს-ო ბაყბაყდევი-ი მოუკლავს“)“...

რაც შეეხება ბალსზემოურ ზღაპრებში დადასტურებულ დაჲ აყბაყს, იგი შეთვისებული ჩანს ქართული კუთვნილებითი კომპოზიტიისაგან დევი-ბაყბაყ-ისაგან ასევე სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (უმლაუტის, სიგრძის, ბგერათა დაკარგვის) გავლით. კომპოზიტის ორივე შემადგენელი კომპონენტი, როგორც ცნობილია, ნასესხებია სვანურში (დაჲ (ზზ.)/დაჲ (ზქ., ლნტ.)/დაჲ (ლშზ., ჩოლ.) 1. „დევი“, 2. „ბრიყვი, სულელი“ < ქართ. დევი < ფალ. dēv „დემონი, ბოროტი სული“; ბაყბაყ (ზზ., ლნტ.)/ბაყბაყ (ლშზ., ჩოლ.)/აყბაყ (ზზ.) < ქართ. ბაყბაყ-ი „ბოხი, უშნო ხმა. ||ასეთი ხმით ლაპარაკი“). ბგერის დაკარგვის შემთხვევა მხოლოდ კუთვნილებითი კომპოზიტის მეორე კომპონენტში დადასტურდა (შდრ., ერთი მხრივ, ბაყბაყდაჲ და, მეორე მხრივ, დაჲ აყბაყ).

ასევე, ძალზე საინტერესო აღმოჩნდა ბალსქვემოური დაჲ მწყმწყ, რომელიც ერთ-ერთ ბალსქვემოურ ზღაპარში – ჰმირმ „ამირანი“ გვხვდება. მწყმწყ < ქართ. ბაყბაყ-ისაგან ზ/მ თანხმოვანთა მონაცვლეობითა და ხმოვანთა პალატალიზაციით.

*საილუსტრაციო მასალა:*

[ალას] ლახხურდდა მგხმგრი [ი ხაქქ]: – ნატლაჲ მი მამა, გუელდარშაპიში ი დაჲ აყბაყიში, ეჯდარე მგდჲქე, ნატლაჲ ეჯა (ზზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 242:24-25) „ამას შეხვდა მელორე და უთხრა: – ბედნიერი მე არ ვარ, გველეშაპისა და ბაყბაყდევის, იმათი დამმოყვრებელი, ბედნიერი ისაა (ზედმიწ. – ამას შეხვდა მელორე და უთხრა: – ნეტავ-ი მე არა, გველეშაპ-ის[ა] და დევი-ბაყბაყ-ის, იმეების დამმოყვრებელი, ნეტავ-ი ის)“

ალას[ს] ლახხურდდა ამჩუ მარე [ი ამნემ ხაქქ]: – ნატლაჲ სი მამა, მარე გუელდარშაპიში დაჲ აყბაყი მგდჲქე! (ზზ., იქვე 242:27-31) „ამას შეხვდა აქ კაცი და ამან უთხრა: – ბედნიერი მე არა, მაგრამ გვე-

ლემპისა და ბაცბაცდევის დამმოყვრებელი/დამნათესავებელი (ზედმიწ. – ამას შეხვდა აქ კაცი და ამან უთხრა: – **ნეტავ**-ი შენ არა, მაგრამ **გველუმპ**-ის[ა] და **დევ-ბაცბაც**- ის დამმოყვრებელი!)!“...

ბაბა იუას გუნ ათხიდენ მიჩა გეზლირიმ შუიდედ ლიტეხ ... [ი] ხაქუ: – ... **დუტ** **მწყმწყ** ჩიქი თუი ი მენწლ“ამლე, ლტე მიშგუ ლიმახტ ადბინე (ზექ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957, 260:7-8) „ბაბუა ივას ძალიან გაეხარდა თავისი შვილების მშვიდობით დაბრუნება და უთხრა: – ბაცბაცდევმა ჯერ თავლი და კალია წამართვა, მერე მე გადამემტერა (ზედმიწ.– **ბაბ**-უა **ივა**-ს მეტისმეტად გაეხარდა მისი შვილების **მშვიდობ**-ით დაბრუნება და უთხრა: – **დევ**-მა **ბაცბაც**-მა ჯერ **თავლ**-ი და კალია წამართვა, მერე ჩემი მტრობა დაიწყო)“.

ამეჩუ მუგულდ ჩტესკვიპან ი ქანწუანდა **დუტ** **მწყმწყ**ი ლაზგა-ლარდა (ზექ., იქვე 261:3) „აქ მტრედი გაქრა და გამოჩნდა ბაცბაცდევის კარმიდამო (ზედმიწ. – აქ მტრედუკა გაქრა/დაიკარგა და გამოჩნდა დევ-ი ბაცბაც-ის სამოსახლო-სამყოფი)“...

**ბელტიყლაპია** (ლშხ.)/**ბელტიყლაპაძ** (ლნტ.) < ქართ. ბელტიყ-ლაპია 1. „ქართული ზღაპრების პერსონაჟი, რომელიც ბელტებს ყლაპავდა“, 2. **გადატ.** „იტყვიან ძლიერსა და ღონიერ ადამიანზე“ ფუძეგანსხვავებული კომპოზიტისაგან იოტიზაციითა (**ბელტიყლა-პია**) და უმლაუტით აუსლაუტის ღია მარცვალში (**ბელტიყლაპაძ**), რასაც, ჩვეულებრივ, სვანური ენის ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში აქვს ადგილი.

*საილუსტრაციო მასალა:*

ჩუადაგარ **ბელტიყლაპი** ... ამირანდ ი ადამე ალ სემი დენა მი-ნეშო (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 1939, 277:8-9) „ამირანმა მოკლა ბელტიყლაპია და ეს სამი გოგო თან წაიყვანა (ზედმიწ. – მოკლა **ბელტიყლაპია ამირან**-მა და წაიღო ეს **სამ**-ი გოგო მათისკენ)“.

ამირან სვანთედა **ბელტიყლაპი**ს ი კურდღლისჭერიანს ი ალ სე-მი დენას (ლნტ., იქვე 277: 7-8) „ამირანი დაეწია ბელტიყლაპიას და კურდღლის ჭერიას და ამ სამ გოგოს (ზედმიწ. – ამირან-ი დაეწია **ბელტიყლაპია**-ს და **კურდღლის ჭერიან**ს და ამ **სამ** გოგოს)“...

**დატკეჟინ** (ბზ.)/**კაჟინ** **დატ** (ლშხ.)/**დატკეჟინ**/**დატკეჟინ** (ჩოლ.) < ქართ. კაჟანდევ-ი 1. „ვეება დევი (ზედმიწ. – **კაჟ**-იან-ი **დევ**-

ი)“, 2. გადატ. „ძალზე ღონიერი, ძლიერი ვინმე“ სიტყვისაგან სვანური ენისათვის დამახასიათებელი ძირითადი ფონეტიკური პროცესების – *უმლაუტისა* და *სიგრძის* საფუძველზე. ბალსზემოური და ჩოლურული საანალიზო ლექსიკური ერთეულები საკმაოდ ძველი ნასესხობა ჩანს, ხოლო ლაშხური (**კაჟიან დანტ**), როგორც ჩანს, შედარებით ახალი შეთვისებულია ქართულიდან (შდრ. ქართ. კაჟანდევი, რომელიც < კაჟიან-ი დევ-ი'საგან).

*საილუსტრაციო მასალა:*

**დანტკეჟიან** ლანთხიარს არდა (ზზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 181:18) „კაჟანდევი სანადიროდ იყო წასული (ზედმიწ. – დევ-ი კაჟიან-ი სა-სა-თხ-ევ-ლ-ო-ს იმყოფებოდა)“

**დანტკეჟიანს** მენტარ ათემბაჟენ, ერე მიჩა ყანტლანდ ჩიემ ესლალტებ ი ქანფიშტდ (ზზ., იქვე 181:28-29) „კაჟანდევის ძალიან გაუკვირდა, რომ მისმა ყარაულებმა ყველამ უღალატეს და გაუშვეს (ზედმიწ. – დევ-კაჟიან-ს მეტისმეტად გაუკვირდა, რომ მისმა ყარაულ-ებ-მა ყველამ უ-ღალატ-ეს და გაუშვეს)“...

ამჩიქს ხელწიფიშტდ **კაჟიან დანტს** ოთქითა დინაგეზალ (ლზზ., სვან. პროზ. ტექსტ., IV, 1979, 107:21) „ამასობაში ხელმწიფისთვის კაჟანდევის მოუპარავს ქალიშვილი (ზედმიწ. – ამ დროს ხელმწიფისთვის კაჟიან დევ-ს მოუპარავს გოგოშვილი)“

ამჩიქს ქანმეცხელი **კაჟიან დანტ** ი ახჟემა ლოშინ (ლზზ., იქვე 108:5) „ამასობაში გაუღვიძია კაჟანდევის და უკან გამოკიდებია (ზედმიწ. – ამ დროს გამოღვიძებულა კაჟიან-ი დევ-ი და გამოდევნებია უკან)“...

აქვე უნდა ითქვას, რომ ფუძეგანსხვაგვებული კომპოზიტის (**დანტკეჟიან/კაჟიან დანტ** /**დანტკეჟიან/დანტკეჟიან**) პარალელურად სვანურ ზღაპრებში დევის მნიშვნელობით ზედსართაული წარმოშობის შემდეგი ფორმები გამოიყენება: **კაჟან** (ბქ.)/**კაჟიან** (ლზზ.)/**კანან** (ლნტ.) < ქართ. კაჟიან-ი „კაჟოვანი“, შდრ. ქართ. კაჟანდევი-ი „ვეება დევი ზღაპრებში“, გადატ. „ძალზე ღონიერი, ძლიერი ვინმე“, მეგრ. კაჟანდი „კაჟანდევი“, კაჟანდევი ქერქუ[უ] „ზღაპრული გმირი“ და ა. შ.

**ტაშლიშტილ** (ბზ.) „ზღაპრ. პერს.“<sup>1</sup> < ქართ. ვაშლიშვილ-ი<sup>2</sup> საგან ფონეტიკურად უცვლელი სახით.

*საილუსტრაციო მასალა:*

... ზურნლ[დ] ... ალ ჭყინტს ჟახად ათჟახ **ტაშლიშტილ** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 243:28) „ქალმა ამ ბიჭს სახელად ვაშლიშვილი დაარქვა“

აშხუ ლადღ **ტაშლიშტილ** ლთხუდართჳნდ (ბზ., იქვე 244:21) „ერთ დღეს ვაშლიშვილი სანადიროდ წავიდა (ზედმიწ. – ერთ დღე-ს ვაშლიშვილ-ი სა-სა-თხ-ევ-ლ-ო-ს]-კენ წავიდა)“...

**შენიშვნა:** ვაშლიშვილი ერთ-ერთი ქართული, დღეს უკვე მივიწყებული, ზღაპრის პერსონაჟი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ჩვენი გულმოდგინე ცდისა, აღნიშნულ ზღაპარს ქართულში ვერ მივაკვლიეთ.

**ფაფრიკა** (ბზ.) *ზღაპრ. პერს.* < ქართ. ფაბრიკა < რუს. **фабрика** < ლათ. **fabrica** „სამრეწველო საწარმო, მანქანური წესით ნედლეულის გადამამუშავებელი“ ფორმისაგან თანხმოდვის გაფშვინვიერებით, თუმცა ადვილი შესაძლებელია ქართულის დიალექტებსა და ზანურში გავრცელებული უკვე გაფშვინვიერებული ფორმა ესესხოს სვანურს.

*საილუსტრაციო მასალა:*

ათხე **ფაფრიკა** ჟჳნგმჯღრუჳნ ი ... როკაპ ი მიჩა მარე აშხუ რჳკს მჳგ ჟჳნხუტიტ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 121:12-13) „ახლა ფაბრიკა გაბრაზდა და როკაპი და მისი ხალხი ერთ წამში ყველა ამოწყვიტა (ზედმიწ. – ახლა **ფაბრიკა** გა-ჯავრ-და და **როკაპი** და მისი კაცი ერთ წამს ყველა ამოწყვიტა)“

ათხე ხჳქუინ **ფაფრიკად**, ერე „ალა ჩჳემინ ამნემ, ჩალისიმე ამრ გე-ზალ ლი, ნჳდ ამრ ლჳთლჳღრა ხუტიმდ...“ (ბზ., იქვე 121:12-13) „ახლა უთხრა ფაბრიკამ, რომ „ეს ჩაიდინა ამან, ჩალისიმე ამისი შვილია, ჩენ ამისი რძლეები ვართ (ზედმიწ. – ახლა უთხრა **ფაბრიკა**-ამ, რომ „ეს ქნა ამან, ჩალისიმე ამი[სი] შვილი არის, ჩენ ამი[სი] რძლეები ვართ“)“...

---

<sup>1</sup> შდრ. ბალსქვემოური ზღაპარი – **ტაშლა ი კამინჩირხჳ** „ვაშლა და ციდა-მტკაველა“ (ბეჩ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957:63-65). ცხადია, ზღაპრის სახელწოდების პირველი კომპონენტი იგივეა, რაც ქართული ვაშლი, თუმცა აღნიშნული ზღაპარი სხვა შინაარსისაა და არაფერი აქვს საერთო ბალსქვემოურ ზღაპართან.



**ყუდღელისჭერიმ/ყურდღელისჭერიმ/კურდღლისჭერიმ** (ლნტ.) ზღაპრ. პერს. < ქართ. კურდღლის ჭერია „ერთ-ერთი ქართული ხალხური ზღაპრის პერსონაჟი“ ფუძეგანსხვავებული კომპოზიტიისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (უმლაუტისა და ბგერის დაკარგვის) გავლით. ლენტეხურ ფონეტიკურ ვარიანტთაგან ერთ-ერთი, კერძოდ **კურდღლისჭერიმ** < ქართ. კურდღლის ჭერია<sup>ს</sup>აგან უმლაუტით აუსლაუტის ღია მარცვალში, რაც შეეხება **ყუდღელისჭერიმ** და **ყურდღელისჭერიმ** ფორმებს, მათი პირველი კომპონენტი < ქართ. (იმერ.) ყურდღელ-ის<sup>ა</sup>გან როგორც ფონეტიკურად უცვლელი სახით, ასევე ინლაუტში ბგერის დაკარგვით (შდრ. **ყუდღელ**), მეორე კომპონენტი აქაც უმლაუტიზებულია.

*საილუსტრაციო მასალა:*

ჩუადაგარ ბელტიყლაპი ი **ყურდღლისჭერიმ** ამირანდ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 1939, 277:8) „ამირანმა მოკლა ბელტიყლაპია და კურდღლის ჭერია (ზედმიწ. – მოკლა **ბელტიყლაპია** და **კურდღლის ჭერია ამირან-მა**)“

ამირან სკ<sup>ა</sup>თედა ბელტიყლაპიის ი **კურდღლისჭერიმ**ს ი ალ სემი დენას (ლნტ., იქვე 277:7-8) „ამირანი დაეწია ბელტიყლაპიას და კურდღლის ჭერიას და ამ სამ გოგოს (ზედმიწ. – ამირან-ი დაეწია **ბელტიყლაპია-ს** და **კურდღლის ჭერიას** და ამ სამ გოგოს)“...

**ძალთაგან** (ბზ.) ზღაპ. პერს. < ქართ. ძალთაგან-ი ფორმისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით, თუმცა სემანტიკური ცვლილება თვალსაჩინოა.

*საილუსტრაციო მასალა:*

ალ მწრა ხაჟხა **ძალთაგან** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 193 9, 130:20) „ამ კაცს ჰქვია ძალთაგანი“

მერმა ლადელ უემგინ **ძალთაგან** ათჰამზ (ბზ., იქვე 131:4) „მეორე დღეს უკან ძალთაგანი გაეკიდათ“...

**შენიშვნა:** ქართულიდან შეთვისებული საანალიზო ლექსიკური ერთეული, რომელიც სხვა ქართველურ ენათა ზღაპრებში ვერ მოვიძიეთ, ერთ-ერთი სვანური ხალხური ზღაპრის – **ინოია**<sup>ს</sup> პერსონაჟია და დახასიათებულია შემდეგნაირად: „ ... ანჰანდ მგრანმზან ეშხუ ჟელი ლუნიჩ მწრე, ... ალ მწრა ხაჟხა ძალთაგან {ი} ალას უემგმაჰრ ჟელი ნიჩჰ ხნრ ი გჰუებნაჰრ (იხ. სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, გვ. 130-134).

„საიდანღაც მოვიდა ერთი ძაღლის პირისახიანი კაცი, ამ კაცს ჰქვია ძაღლთაგანი და ამას უკანაც ძაღლის სახე აქვს და წინა მხრიდანაც (ზედმიწ.– მოვიდა საიდანღაც ერთი ძაღლ-ის} სახიანი კაცი, ამ კაცს} ჰქვია ძაღლთაგან-ი და ამას უკანაც ძაღლ-ის} ნიჭვირ-ი აქვს და წინიდანაც)“. ამ დახასიათებით აღნიშნული სიტყვა მოგვაგონებს ცნობილ მითოლოგიურ ქმნილებებს, რომლებიც კინოკვლეულებად (ბერძნ. *κῦνοκέφαλοι*) „ძაღლის, მგლის, ან ტურის თავიანი ადამიანები“ არიან მოხსენიებული მითოლოგიურ ლიტერატურაში (გელოვანი 1983:550).

**ძალთაპირ** (ლშხ.)/**ძალთჰპირ** (ლნტ.) *ზღაპ. პერს., გადატ.* „ავი, უყმური, უხასიათო (ადამიანი)“ < ქართ. (იმერ.) ძალთაპირ-ი (< ძაღლთაპირ-ი) 1. „ქართული ზღაპრების პერსონაჟი, \_ კაციჭამია, ბოროტი სული“, 2. *ლანძღ.* „ძალიან ცუდი, დაუნდობელი, ავი კაცი“ სიტყვისაგან როგორც ფონეტიკურად უცვლელი სახით (შდრ. ლშხ. **ძალთაპირ**), ასევე სვანური ენისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ფონეტიკური პროცესის ( $ა + ი > ა$ ) უმლაუტის საშუალებით ( $ა + ი > ა$ , შდრ. ლნტ. **ძალთჰპირ**).

*საილუსტრაციო მასალა:*

ლომკიმიპილს ანჭვდ ეშხუ **ძალთჰპირ** (ლნტ., სვან. ქრესტ., თბ., 1978, 327:17-18) „ბოლოს მოვიდა ერთი ძაღლთაპირი (ზედმიწ. \_ ბოლო პირ-ს მოვიდა ერთი ძაღლთაპირ-ი)“

ალ დენას მდ ხაკუდა, მარე ეშიდ ხეკუტეს ქათაჭემან ალ **ძალთჰპირს** (ლნტ., იქვე 327:19-20) „ამ გოგოს არ უნდოდა, მაგრამ მაინც უნდა გაჰყოლოდა ამ ძაღლთაპირს“...

**ხუთისაჟარ** (ბზ.) *ზღაპ. პერს.* < ქართ. ხვთისავარ-ი (< ქართ. ღვთისავარ-ი) სგან ანლაუტისეულ ბგერათმონაცვლეობითა და მეშველი ზმნის დართვით) ანთროპონიმისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით.

*საილუსტრაციო მასალა:*

**ხუთისაჟარდ** მაჭუჰმ ხაჭუ ი ... აჩანდ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 252:14) „ხვთისავარმა მადლობა გადაუხადა და წავიდა (ზედმიწ. – ხვთისავარ-მა მადლობა უთხრა და წავიდა)“.

ანკანდხ აგითე-ე ხუთისაჟარდ ანცად ლერექუ, ეჯჷი ხოლამდ ანრექუან, ერე ჩუ დომ ოთთერენხ (ბზ., იქვე 252:15-16) „მოვიდნენ შინ და ხვთისავარმა გამოიცვალა ტანსაცმელი, ისე ცუდად ჩაიცვა, რომ ვერ ეცნოთ (ზედმიწ. – მოვიდნენ ალაგ-ის)-კენ და ხვთისავარმა შეიცვალა სამოსი, ისზე ცუდად შეიმოსა, რომ ვერ ეცნოთ)“...

როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, სვანურ სხვადასხვა ჟანრის ზღაპრებში დადასტურებულ ნასესხებ ანთროპონიმთა მეტი წილი თხზული ანთროპონიმია, იგი, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „... ქრონოლოგიურად გვიანდელი ევოლუციის პროდუქტია. რთულ ანთროპონიმში მოჩანს სიტყვის შემოქმედი ადამიანი, რომელიც თავისი გემოვნების მიხედვით თხზავს საკუთარ სახელს. ამიტომ ამისთანა ანთროპონიმი დღესაც ატარებს შერქმეული სახელის ნიშანდობლივ თვისებებს“ (ღლონტი 1976:17). აქვე დავსძენთ, რომ ზღაპარში ეპითეტებად გაგებული სახელები ენათმეცნიერთა მიერ საკუთარ სახელებად არის მიჩნეული (ალ.ღლონტი).

სვანურ ზღაპრებში დაფიქსირებულ ანთროპონიმთა ერთი ნაწილი გამსესხებელ ენაშიც ანთროპონიმის ფუნქციით დასტურდება, მეორე ნაწილი კი, მსგავსად ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ტოპონიმებისა, საზოგადო არსებითი სახელებია, რომლებიც მანთროპონიმებლად ქცეულან სვანურ სხვადასხვა ჟანრის ზღაპრებში. საანალიზო ლექსიკურ ერთეულებს სესხებისას, ცხადია, სხვადასხვა ფონეტიკურ-ფონოლოგიური (*უმლაუტი, სიგრძე, ბგერათა დაკარგვა, თანხმოვანთმონაცვლეობა, გაფშვინვიერება* და ა. შ.) და სემანტიკური ცვლილება განუცდიათ, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სესხებას ადგილი აქვს ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახითაც.

3. *სვანურ ზღაპრებში დადასტურებული ნასესხები საზოგადო სახელები:*

**ბონ** (ბზ.) < ძვ. ქართ. ბონ-ი (< ფრანგ. **bon** „ტალონი, ჩეკი“) „დროებითი ქალღდის ფული, სახელმწიფო ბანკის მიერ არაუზრუნველყოფილი. || *გადატ.* ფასდაკარგული, გაუფასურებული ქალღდის ფული“, ბონა „მთავრობის ან კორპორაციის მიერ გავრცელებული სერთიფიკატი, რომელზეც აღნიშნულია სესხის რაოდენო-

ბა, გადასახდელი პროცენტები, გადახდის ვადა და ვალის გადახდის დამატებითი გარანტიები“. უფრო სავარაუდოა *ბონა* ლექსიკური ერთეულისაგან მომდინარეობა აუსლაუტის ღია მარცვლის გაუმლაუტებით. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ამ პროცესს ადგილი აქვს სვანური ენის ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში, ბალსზემოურში კი აუსლაუტში გაუმლაუტებულ ხმოვანს უმეტესად -**ა** ალოფონი მოსდევს, შესაბამისად ბალსზემოურში უნდა გვქონოდა არა **ბონწ**, არამედ – **\*ბონწა**.

*საილუსტრაციო მასალა:*

{ბერზენდ} უოხუტიშდ აშირ **ბონწ** თეთრ ანკიდ სადგუემი ქირაწა (ბზ., სვან. ქრესტ., თბ., 1978, 160:11) „ბერძენმა ხუთასი ბონა გადაგვახდევინა ბინის ქირა (ზედმიწ. – ბერძენ-მა ხუთ-ი ას-ი ბონა თეთრ-ი გამოგვართვა სა-დგ-ომ-ი-სქ ქირა)“...

**ირანგლზრ-თურანგლზრ** (ბზ.) „ირანელები-თურანელები“ < ქართ. ირან-ი „სახელმწიფო აზიის სამხრეთ-დასავლეთით“ და თურან-ი „ისტორიულად ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, თანამედროვე შუა აზიის ტერიტორიის ნაწილი“ ფორმებისაგან როგორც პალატალური უმლაუტის, ასევე კნინობითის -**გლ** სუფიქსის დართვით.<sup>1</sup>

*საილუსტრაციო მასალა:*

ჩუ ჩუემინ ამჟი როსტომდ ი იშგუტიდ-არა ზწა ჩუ ხწრ, ექქა ლახწსდხ ამექა **ირანგლზრ-თურანგლზრ** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ, თბ., 1939, 238:18-19) „ასე გააკეთა როსტომმა და შვიდი-რვა წელი რომ გაატარა, მაშინ გამოუარეს ირანელებმა-თურანელებმა (ზედმიწ. – ქე ქნა ასე **როსტომ**-მა და **შვიდ-ი-რვა** წელი ქე აქვს, მაშინ გადაეყარათ ამაზე **ირან-უკ-ებ-ი-თურან-უკ-ებ-ი**)“...

**წა-პილწ-ურ/წა-პილწ-ურ-ა/წა-პგლწ-ურ-ა** (ბზ.) „უწმინდური, საძაგელი (ზედმიწ. \_ წა-**ბ/პილწ-არ-ი**)“, ზს., ლშხ., ჩოლ. **პილწ**, უშგ. **პიწ** < ძვ. ქართ. ბ/პილწ-ი „უწმინდური; საზიზღარი, საძაგელი; უწმაწური, უხამსი; გარყვნილი“ (< ძვ. სომხ. **piGw**) ფორმისაგან სვანური

---

<sup>1</sup> **თური/თურანელი** ეთნონიმის შესახებ მსჯელობა იხ. ტ. ფუტკარაძის მონოგრაფიაში – „ბუნ-თურქები“, თურქები და ყივჩაყები უძველეს ქართულ წყაროებში (თბ., 2020).

ენის ფონეტიკისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფონეტიკური პროცესების (*უმლაუტის, რედუქციის...*) გავლით.

საანალიზო ლექსიკურ ერთეულში, რომელსაც სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტები მოეპოვება სვანურში, **ნა-** პრეფიქსი წინავითარების სახელთა მაწარმოებელი აფიქსია, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, იგი საერთოა ქართულთან და, ამდენად ერთ-ერთ უძველეს, საერთოქართველურ აფიქსად ითვლება (ჭუმბურიძე 2007:72-73). აღნიშნულ პრეფიქსთან ერთად წინავითარების სახელის წარმოქმნაში სუფიქსებიც (მაგ.: **ნა-** – **ჭ**, **ნა-** – **ი**, **ნა-** – **ურ-ა**, **ნა-** – **არ**, **ნა-** – **ელ** და ა. შ.) იღებენ მონაწილეობას, რომელთაგანაც ერთ-ერთი (**ნა-** – **ურ-ა**) სწორედ ჩვენ მიერ საანალიზოდ მოყვანილი ლექსიკური ერთეულის შემადგენლობაში გვხვდება. მიუხედავად ამ აფიქსთა საერთოქართველურობისა, უნდა ითქვას, რომ სვანურს ზღაპრებში დაფიქსირებული (**ნა-პილწ-ურ/ნა-პილწ-ურ-ა/ნა-პგლწ-ურ-ა**) ფორმა აფიქსებიანად ქართულიდან არ შეუთვისებია, ნასესხებია ძირი (**პილწ/პგლწ**), რომელიც სვანური მორფოლოგიური ინვენტარითაა გაფორმებული.

*საილუსტრაციო მასალა:*

შუკუჭინ დჭუ ლახხუბრდ [ჯიჯბჰჰს]: – იმთ'ესერ ესლრი, ნადჭურა? – ჯ'ესერ იმთ'ესლრი, ღუ'ესერ მან ხაკუჩ, **ნაპილწურა?** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ, თბ., 1939, 406:6-8) „გზაში დევი შეხვდა ჯიჯბახს: – სად მიდიხარო, ბრიყვო? – მე სად მივდივარო, მერე რა გინდაო, უწმინდურო (ზედმიწ. – გზაზე **დევი**-ი შეხვდა ჯიჯბახს: – საითკენო მიდის, **ნა-დევი-არ-ო?** – თვითონო საითკენ მიდის, მერეო რა უნდა, **ნა-ბ/პილწ-ურ-ა?**)“

... დეტიშვილ[დ] ... ხჭუ [დჭუს]: – გაცხმად ლალ **ნაპგლწურა** ხი, გუდ დემ ჰედნიმო, ალა მანდო ლი? (ბზ., იქვე 244:35-36) „დევიშვილმა უთხრა დევს: – მართლაც სამაგელი ხარ, ვერ ხვდები ეს რა არის (ზედმიწ. – **დევიშვილ-მა** უთხრა **დევი-ს**: – **ცხად-ად** **ნა-ბილწ-ი** ხარ, **გულ-ად** ვერ ხვდები, ეს რა არის?)“ ...

**პლატოკ/პლატოქ** (ბზ.)/**პლატუკ** (ბზ., ქს.)/**პილატოკ[ჭ]** (ბქ.)/**პლატუტიკ/პლატუტიკუტ/-პლატუკუტ** (ლნტ.) < ქართ. პლატოკ-ი/პლატუკ-ი „ცხვირსახოცი“ (< რუს. **платок** „თავსაფარი“) ფორმებისაგან

სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*გამჟღერების, ბგერათა ჩართვის, უმლაუტის*) გავლით. ბალსზემოურ დიალექტში ქართულიდან შეთვისებული ფონეტიკურად უცვლელი ლექსიკური ერთეულების (**პლატოკ/პლატუკ**) პარალელურად დასტურდება **პლატოქ** ფორმა, სადაც აუსლაუტისეული თანხმოვანი გამჟღერებულია. ბალსქვემოურ დიალექტში ანლაუტში თანხმოვანთგამყარად გამოყენებულია -**ი**- ხმოვანი, აუსლაუტში კი იშვითად, მაგრამ მაინც დაირთავს წყვილბაგისმიერ -**ჟ**- ბგერას, იმავე ბგერას დაირთავს უმეტესად ლენტეხური დიალექტი, თუმცა, ბალსქვემოურის მსგავსად, ზოგჯერ ლაშხურსა და ჩოლურულშიც ისმის ბოლოში -**ჟ**- სონანტი, რომლის გაჩენას (ანუ *ლაბიალიზაციას*) ადგილი აქვს გარკვეულ ფონეტიკურ სიტუაციაში, კერძოდ ბაგისმიერი ხმოვნების (**ო, უ**) შემცველ ფუძეებთან. ლენტეხური ფორმები საინტერესოა იმ მხრივაც, რომ **პლატუქ[ჟ]** ფორმის პარალელურად **უ** ხმოვნის უმლაუტით მიღებული **პლატუიკ/პლატუიკუ** ფონეტიკური ვარიანტებიც მოეპოვება.

*საილუსტრაციო მასალა:*

[ჟყინტდ] ... ჩუჰძიჰ ეჯა, ქწნხინ ზისხ ი სგ'ათჰუტენ მიჩა დიწ **პლატოკს** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ, თბ., 1939, 342:33-34) „ბიჰმა დაკლა ის, გამოუშვა სისხლი და შეახვია დედამისის ცხვირსახოცში (ზედმიწ. – ბიჰმა დაკლა ის, გამოუშვა **სისხლ**-ი და შეახვია მისი **დედ**-ის[ს] ცხვირსახოცს)“

მინე დიდ **პლატუკ** ქა ლახუტემ ჟყინტს (ბზ., იქვე 342:15) „მათმა დედამ ცხვირსახოცი მისცა ბიჰს (ზედმიწ. – მათმა **დედა**-მ ცხვირსახოცი გადასცა ბიჰს)“...

**ტაიჰსადარ** (ლშხ.)/**ჰაიტსადარ[ლ]** (ჩოლ.), შდრ. ლხმ. **ჰაიტ** „ზღაპრული ცხენი (ზედმიწ. – **ტაიჰ-სადარ**-ი)“ < ქართ. ტაიჰ-ი „ბედაური ცხენი, რაში“ < ფალ. **tāčik** „არაბული ცხენი“ და სადარ-ი „შუბლთეთრი ცხენი“ ფორმებისაგან როგორც ფონეტიკურად უცვლელი სახით (შდრ. ლშხ. **ტაიჰსადარ**), ასევე სვანური ენისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ფონეტიკური პროცესის – მეტათეზისის საშუალებით (შდრ. ჩოლ. **ჰაიტსადარლ**; მეტათეზისირებული **ჰაიტ** გვხვდება ასევე ბალსქვემოური დიალექტის ლახამულურ კილოკავში). ჩოლურული ფორმის აუსლაუტისეული **ლ** ბგერა, როგორც ჩანს, მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი -**ალ** სუფიქსის

თანხმოვნითი ელემენტია (**ჭაიტსადარლ** < **ჭაიტსადარალ**). სხვა ახსნა აუსლაუტში **ლ** ბგერის გაჩენას, ჩვენი აზრით, არ მოეძებნება.

*საილუსტრაციო მასალა:*

უწერაღლდ ... სერ ჟ'რუდ ოზგონტეხ, უითამ ბერიანს ლოქ ოსბაქა, ერე „აღლელიამ იგაღლელიამ ლახტისა ლოქ ერ **ტაიჭსადარ** არი, ექს ი მიჩა დეშდდერუ ნათსაჟს ჩის ლოქ ლგრმს ოხჯიდე“ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ, IV, თბ., 1979, 89:13-15) „ვეზირებმა ისევე მოუგონეს, ვითომ ბერიანმა დაიქადნა, რომ „გალილესა მთაში რომ ზღაპრული ცხენია, იმას და მის თორმეტ ნათესავს ყველას დაჭერილს მოუყვანო (ზედმიწ. – **ვეზირ-ებ-მა** მოკლედ ისევე მო-უ-გონ-ეს, ვითომ **ბერიან-ს-ო** “დაუტრაბახებია, რომ „აღლელია-ს და **გალილესა**-[ს] მთაშიო რომ **ტაიჭ-სადარ-ი** არის, იმას და მის **ათ-და-ორ** ნათესავ-ს ყველასო დაჭერილს მოუტანს““

ქჩაღდ კოჭრლ ხანრლ ი ანჯად **ტაიჭსადარ** (ლშხ., იქვე 89:25) „გავიდა ცოტა ხანი და მოვიდა ზღაპრული ცხენი (ზედმიწ. – გავიდა ცოტაოდენი **ხან-უკა** და მოვიდა **ტაიჭ-სადარ-ი**)“...

**ჩაჭჩიტ** (ბზ.)/შაჭჩიტ (ლნტ.) < ქართ. შავჩიტა „ზღაპრული რაში“ ლექსიკური ერთეულისაგან აუსლაუტისეული ხმოვნის მოკვეციტა და დეზაფრიკატიზაციით (**ჩ** > **შ**).

*საილუსტრაციო მასალა:*

აჩაღდ გაცხაღდ ნანულ მიჩა მუთე ი ადბინე ლიგტინი: – ... მიჩ ესერ უორუნჩუ რაშ ხრბ **ჩაჭჩიტ**, ეჯქესერ ხაკუ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 130:35-37) „პრინცესა მართლაც მივიდა მამამისთან და დაიწყო ტირილი: – შენო მიწის ქვეშ რომ რაში ჩავჩიტო გყავს დაბმული, ის მინდაო (ზედმიწ. – წავიდა **ცხად-ად** **ნან-უკა**-ა მის **მამ-ის**]-კენ და დაიწყო ტირილი: – მასო მიწისქვე **რაში-ი** უ-ბ-ი-ა **შავჩიტ-ი**, ისო ე-ნუკ-ვ-ის)“

... ანჯად მგრამხან მიჩა რაშ **ჩაჭჩიტ**, ხაჯიდ ძაღლთაგანს იშდჭარ ი ნესგა ლაკირისგა ხაჯიდ (ბზ., იქვე 133:2-3) „მოვიდა საიდანლაც მისი რაში ჩავჩიტო, დაარტყა ძაღლთაგანს წიხლები და შუა საკირეში ჩააგდო (ზედმიწ. – მოვიდა საიდანლაც მისი **რაში-ი** **შავჩიტ-ი**, დაარტყა **ძაღლთაგან-ს** წიხლები და შუა **სა-კირ-ე-ში** დაარტყა)“...

ეა რწმუნს ხაახუნდა შაჟჩიტ (ლნტ., სვან. ქრესტ., თბ., 1978, 327:20) „იმ რაშს ერქვა შავჩიტა“

ემხუ ლეთ ჟი ლახასკურდა დიდხან შაჟჩიტს ი ქაჯუასკ მერბე სახელწიფხო (ლნტ., იქვე 327:21) „ერთ საღამოს შემოაჯდა დიდხანი შავჩიტს და გაიპარა სხვა სახელმწიფოში (ზედმიწ. – ერთ საღამოს შემოაჯდა დიდხანი შავჩიტ-ს და გაიპარა მე-ორ-ე სახელმწიფო-ს)-კენ“...

როგორც ნასესხებ საზოგადო არსებით სახელებზე დაკვირვებამ აჩვენა, სვანურ ზღაპრებში ჩვენ მიერ მოძიებულ-გაანალიზებულ ლექსიკურ ერთეულთა მეტი წილი მხოლოდ და მხოლოდ ზღაპრებშია შემორჩენილი და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ზოგი მათგანი გამსესხებელ ენაშიც თითქმის უკვე გამქრალია.

რა თქმა უნდა, ფონეტიკურ-ფონოლოგიური ადაპტაციის პროცესი აქაც თვალსაჩინოა, კერძოდ, ადგილი აქვს შემდეგ ფონეტიკურ პროცესებს: *უმლაუტს, რედუქციას, გამჟღერებას, ბგერათა ჩართვას, ლაბიალიზაციას, მეტათეზისს, დეზაფრიკატიზაციას* და სხვ. ზოგიერთი ნასესხები ფუძე კი სვანური მორფოლოგიური ინვენტარითაა გაფორმებული.

ამრიგად, ჟანრობრივად მრავალფეროვანი სვანური ხალხური ზღაპრების კვლევამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ სწორედ აქ იკვეთება არქაული ლექსიკის კვალი, ლექსიკისა, რომელიც მარგალიტებად არის მიმოზნეული სვანურ ზღაპრებში. ეს მარგალიტებად მიმოზნეული ლექსიკური ერთეულები (*ტოპონიმები, ანთროპონიმები, საზოგადო სახელები...*) შეთვისებულია სხვადასხვა ენობრივი სამყაროდან (**ქართულ-ზანურიდან, ბერძნულიდან, თურქულიდან, სპარსულიდან, არაბულიდან, ოსურიდან, ჩრდილო-კავკასიურიდან, რუსულიდან** და სხვ.) უშუალოდ თუ შუალობით. მათი სვანურში შემოსვლის ძირითად წყაროს, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, რასაკვირველია, წარმოადგენს ქართული. საანალიზო ლექსიკურ ერთეულთა არქაულობა კი ხშირ შემთხვევაში უძველეს ნასესხობაზე მიანიშნებს.

ქართულის გზით შეთვისებულ სიტყვათა ერთი ნაწილი, კერძოდ საზოგადო არსებითი სახელები, სვანურ ზღაპრებში მატოპონიმებად ქცეულან, ნაწილი კი – მანთროპონიმებად. ცხადია, უცხო-



ენოვან ლექსემათა (ტოპონიმთა, ანთროპონიმთა და საზოგადო არსებობით სახელთა) ფუძეები მსესხებელ ენაში დასტურდება როგორც ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახით (მაგ.: პლატოკ/პლატუკ, უაშლიშტილ, ძალთაპირ, ხუთისაჟარ, ტაიჭსადარ, შაჭრიტ...), ისე სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებითა (მაგ.: აგუნდ, განჯეთ, გუელისტაჟ, უირჩილ-მწრჩილ, ქაჯალეთ, ალატუნდ ი ფალატუნდ, ბაყბწყდაჟ/ბაყბწყდაჟ/დჟუმწყმწყ, ბელტიყლაპმა, დჟუკეყინ/კაჟიან დჟუ/დჟუკეჟიან/-დჟუკეჟიან, ყუდღელისჭერიან/ყურღელისჭერიან/კურდღელისჭერიან, ძალთაპირ, ბონა, ნა-პილწ-ურ/ნა-პილწ-ურ-ა/ნა-პელწ-ურ-ა, პილატოკ[ტუ]/პლატუკუტ, ჩაჭრიტ...) თუ სემანტიკური ნიუანსებით სახეცვლილ მონაცემთა (მაგ.: უირჩილ-მწრჩილ, ძალთაგან...) ვითარებაშიც.

ცხადია, სვანურ სხვადასხვა ჟანრის ზღაპრებში უამრავი ისეთი ლექსიკური ერთეულიც გვხვდება, რომელთა წარმომავლობისა და სემანტიკის გარკვევა დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული (მაგ.: ბალაყანტუირ/ბალაყანტერ; ატაშოლ ი მატაშოლ; თამხდერამა; სამთორლ; სულასახარ/სულასახელ/სურასახ; უტიტმიზილ ი გტმწილ; ყაბათერ; ყალაჩუყლან; ყარაბახელდ; ყურუსუდნამა; ყერგმ-შაჟხან; ხითანგ ი ცხითანგ/დჟუთანგ ი ცხუთანგ; ხუინთე-მაზ; ჯანთემაზ; ჯიჯბაჯ...). ზოგიერთი მათგანის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზი წარმოდგენილი იქნება შემდგომ ნაშრომებში.

## გამოყენებული ლიტერატურა

### ა) სამეცნიერო ლიტერატურა:

**ბაკურაძე 1991** – დ. ბაკურაძე, ვახუშტი ბატონიშვილთან დადასტურებული ტოპონიმები დღევანდელი მონაცემების მიხედვით, თბ., 2000

**ომიაძე 1991** – დ. ომიძე, ხალხური ჯადოსნური ზღაპრის შემდარებით- ტიპოლოგიური ანალიზი“, თბ., 1991

**ჭუმბურიძე, ნიჟარაძე, ქურდაძე** 2007 – ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა (გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი), თბილისი, 2007.

## ბ) ლექსიკონები

**გელოვანი 1983** – აკ. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983

## გ) წყაროები

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1939 – სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1957 – სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1957

**სვ. პროზ. ტექსტ.** 1967 – სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბ., 1967

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1979 – სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არს. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი, 1979

**სვან. ენის ქრესტ.** 1978 – სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978.

**On the Adaptation of Borrowed Lexical Units  
Based on Svan Folk Tales**

S u m m a r y

The paper deals with phonetic-phonological and semantic analysis of a number of lexical units borrowed directly or indirectly from different linguistic worlds (Georgian-Zan, Greek, Turkish, Persian, Arabic, Ossetian, North Caucasian, Russian, etc.) and presented in ancient Svan tales.

As the research has revealed, according to the material discussed in this paper, the main way of their arrival into Svan is Georgian. The archaic nature of the lexical units, in many cases, indicates the ancient borrowing.

Some of the words borrowed through Georgian, in particular, common nouns, have turned into toponyms in Svan tales, while others have become anthroponyms. Clearly, the bases of foreign lexemes (toponyms, anthroponyms, and common nouns) are attested both phonetically-semantically unchanged and with various phonetic variants or in the data modified by semantic nuances in the target language.

Clearly, there are a number of lexical units in Svan tales of different genres, the origin and semantics of which are very difficult to understand.

**ქრისტიანული რჯულისმიერ-რჯულგდებლობითი  
წუნძციური სმმანტიკისათვის ქართულში**

(ძვ.ქართ.: რჩევა „არჩევანი“ და დარჩენა „გადარჩენა“;  
მორჩილი და მსახური)

„სახელი ორმაგ ძალას შეიცავს:  
ერთი მხრივ, ცოცხალი ღმერთის შეგრძნებას  
და, მეორე მხრივ, მის შესახებ ცოდნას“  
**არქიმანდრიტი სოფრონი** (სახაროვი)

❖ **საკითხის დასმა**

ჩვენ ირგვლივ ყველა და ყოველივე ქადაგებს.

გვიქადაგებს – უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და ღვთის სიტყვას-  
თან ერთად, იგი ქადაგებს თავისი სასწაულებით, სასწაულებრივი  
კურნებებით, იგავებით.

სამყარო – თავისი მშვენიერებითა და მრავალფეროვნებით იმას  
გვიქადაგებს, რომ იგი ჭეშმარიტად ღვთის ქმნილებაა.

ქადაგებენ ერები – და, ბუნებრივია, ქადაგებს ის ენაც, რომლის  
მატარებელიცაა მქადაგებელი ერი.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ქადაგებს – სიტყვაც, კერძოდ, ქართული  
სიტყვა!**

სიტყვის (ლექსიკური ერთეულის) სემანტიკის კვლევა უაღრე-  
სად საგულისხმოდ წარმოაჩენს თავდაპირველი სიტყვათშემოქმე-  
დების მოტივს, სემანტიკური ცვალებადობის განმსაზღვრელ ლინ-  
გვისტურსა თუ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს. სიტყვის სემანტი-  
კური განვითარების შკალაზე აღიბეჭდება სიტყვათშემოქმედი ერის  
ისტორიული, რელიგიური, საზოგადოებრივი, სოციალური, ყოფი-  
თი და სხვა მისთანა ასპექტები. სიტყვასაც აქვს თავისი ბიოგრაფია:  
იგი იზადება, იცვლება (ფორმითაც და შინაარსითაც), გაივლის სიმ-

წიფის ხანას, ბერდება და კვდება კიდევ. თუმცა, მათგან ზოგიერთი – მეორედ შობას ეზიარება.

თავის მხრივ, საერო და საღმრთო სიბრძნე ერთხმად აღიარებს და გვარწმუნებს, რომ ღვთივობიკებული შემოქმედებითი ნიჭის გამრავლებასა და განვითარებას საგრძნობლად აფერხებს რწმენისა და ცოდნის, რელიგიისა და მეცნიერების დაშორიშორება და გახლეჩა. სარწმუნოა ისიც, რომ ამ ორი დარგის გასაერთიანებლად საკმარისი იქნება – მეცნიერებამ გაიფართოოს საკუთარი სფერო (შიურე 1914, 15), ასევე, გულისხმიერებით მოევიდოს არა მარტო უხილავისა და ხილულის, ღვთიურისა და ადამიანურის, სულისა და ხორცის არსებობას, არამედ – მათს ექვმიუტანელ თავდაპირველ დაურღვევლობას.

რამდენადაც რწმენისა და ცოდნის გაერთიანების აუცილებლობა, ფარულად თუ ცხადად, მეცნიერების ყველა დარგში გარკვეულწილად აღიბეჭდება (იხ.: გიორგაძე 2020, ჭანტურია 2019), აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მით უფრო – **სიტყვის** (ენის) **მკვლევარმა**, სხვა ფაქტორებთან ერთად, გულდასმით უნდა მოიძიოს, განიხილოს და კეთილგონივრულად გაითვალისწინოს **საღვთისმეტყველო საფუძვლები** საკვლევი **კაცობრივი სიტყვისა**, მისივე შესაბამისი **ლექსიკურ-სემანტიკური ბუდობრივი მონაცემებების** გათვალისწინებით (იხ.: ლლონტი 2017, 2019, 2020).

ვიმედოვნებთ, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ქართულენობრივი მასალის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზის ცდა კეთილად მოემსახურება ამ უაღრესად საჭირობოროტო საკითხის გააქტიურებას.

❖ ძვ.ქართ. **რ ჩ ე ვ ა** „არჩევანი“ და

ძვ.ქართ. **დ ა რ ჩ ე ნ ა** „გადარჩენა“

ამჯერად განიხილება (\*საჯ→)-**სჯ**--//**შჯ**--//**რჩ**--//**რჯ**-- ძირ-მორფემებით წარმოებულთა ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის პოლისემანტიკური მონაცემები, სადაც ნიშანდობლივ აღიბეჭდება ფუნქციურ-სემანტიკური ფაქტორი მასში აღბეჭდილი სემოერთეულებისა<sup>1</sup>, მაგალითად, შდრ.:

---

<sup>1</sup> საანალიზო ლექსიკური მარაგი აქ და ყველგან მოხმობილია ლექსიკონებიდან: სულხან-საბა 1991-1993; აბულაძე 1973; იმნაიშვილი 1986; სარჯველაძე 2001; სიმფონია-ლექსიკონი 2009; დ.ჩუბინაშვილი 1984; ნ.ჩუბინაშვილი 1961

I. (\*საჯ→) -სჯ-//-შჯ-//-რჯ- ძირ-მორფემებით წარმოებულნი:

ძ ვ ქ ა რ თ.:	ს ე მ ა ნ ტ ი კ ა:
სჯ-ა, შჯ-ა	„განსჯა, განკითხვა, ცილობა; დასჯა, <<წრთვა>>, <<განსიტყუება>>“
განსჯა, განშჯა	„გასამართლება, <<განკითხვა>>“
დასჯა, დაშჯა	„სასჯელის დადება, დასჯა; გასამართლება; სჯა“
დასჯილი, დაშჯილი	„მსჯავრდადებული, <<განცრუვებული>>“
სჯული, შჯული, რჯული	„კანონი, სასჯელი, მოძღვრება“
სარჯულო, საშჯულო	„შჯულის საქმე, მოღვაწეობა, ღვაწლი; მომჭირნეობა; ზრუნვა, შრომა, გარჯილობა“
სჯულიერი, შჯულიერი, რჯულიერი	„კანონიერი“
გარჯილი, გარჯილობა	„ნამსახური, ნამსახურობა“
შჯულ-კეთილობა →	← „სარწმუნოების ზედმიწევნით დაცვა“
სჯულის-გარე →	← „უკანონო“
ხევს. გარჯულდების	„ის, რაც რჯულად, წესად დაიდება“
ხევს. სარჯულიანო →	← „საქრისტიანო“

II. -რჩ- ძირ-მორფემებით წარმოებულნი:

ძ ვ ქ ა რ თ.:	ს ე მ ა ნ ტ ი კ ა:
აღ-რჩ-ევა →	← „ა რ ჩ ე ვ ა ნ ი“, „არჩევა“
რჩევა და დარჩევა	„არჩევა, უკეთესად მიჩნევა, აწმენდა“ და „გარჩევა, გამორჩევა“
რჩეული	„გამორჩეული, სახელოვანი; <<სარწმუნო>>“

და-რჩ-ენა →	← „გ ა დ ა რ ჩ ე ნ ა, რჩენა; აღზრდა“
დარჩომადი და დარჩომი-ლი	„[გა]დასარჩენი“ და „[გა]დარჩენილი“
დარჩა და დარჩილი	„სასჯელის დადება, დასჯა“ და „მსჯავ-რდადებული“
განჩა	„გასამართლება, <<განკითხვა>>“
რჩ-ოლა →	← [და]მორჩილება, დაჯერება <<ყურადღება>>, <<სმენა>>“
მორჩილი და მორჩილება	„მორჩილი, დამჯერი“ და „[და]მორჩილე-ბა“
რჩული და რჩულიერი	„კანონი; სასჯელი, მოძღვრება“ და „კანო-ნიერი“
მერჩულე	„საკლესიო კანონმდებლობის მცოდნე; მოსამართლე“
რჩულ-მართალი →	← „მართლ-მადიდებელი“

წარმოდგენილი ლექსიკურ-სემანტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, იოლად ამოიცნობა (\*საჯ→) -სჯ-//-შჯ-//-რჩ-//-რჯ- ძირ-მორფემებით წარმოებულთა საგანგებო ფუნქციური სემანტიკა, კერძოდ, მათი საღმრთო რჯული სმიერი შინაარსი და დანიშნულება:

ერთი მხრივ – საწუთისოფლო კანონმდებლობითი, უპირატე-სად, -სჯ-//-შჯ-//-რჯ- ძირ-მორფემებით წარმოებულნი (იხ. ცხრილი I.),

მეორე მხრივ – ქრისტიანული რჯულისმიერ-რჯულმდებლო-ბითი (ოდენ -რჩ- ძირ-მორფემებით წარმოებულნი (იხ. ცხრილი II.).

რწმენისა და ცოდნის გაერთიანების პრინციპის მომარჯვებით და ეკლესიის წმიდა მამათა ეგზეგეტიკური თარგმანების მეოხებით, სარწმუნოდ განისაზღვრება საგანგებო ქართულენოვრივი არჩევანი, კერძოდ: თავდაპირველი ქრისტიანული რჯულისმიერ-რჯულ-მდებლობითი ფუნქციურ-სემანტიკური მოტივირება საანალიზო ძველქართული ლექსიკური წყვილისა – რჩევა „არჩევანი“ და დარჩე-ნა „გადარჩენა“.

მართლმადიდებლური ქრისტიანული დოგმატურ-ზნეობრივი მოძღვრების თანახმად, ცოდვილის განმართლებას უფალი ღმერთის წინაშე უწინარესად განაპირობებს ის კეთილისმყოფელი დამოკიდებულება, რომელსაც **სიყვარული** ჰქვია, **სიყვარული – ზეციერი შემოქმედისა და მოყვასისადმი**, რასაც მართლმორწმუნე ქრისტიანი მრჩობლად უნდა განიცდიდეს და მისკენ დაუცხრომლად ისწრაფოდეს – **სიტყვითაც და საქმითაც**. ყოველივე ამას უფალი იესო ქრისტე არაერთი რჯულმდებლობითი შეგონებით გვავალდებულებს:

„**რომელსა აქუნდენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნენ იგინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე**. ხოლო რომელსა უყუარდე მე, საყუარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და მეცა შევიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი“ (იოანე 14, 21);

„**უკუეთუ მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ, ჰგიეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა**, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ და ვჰგიე სიყუარულსა ზედა მისსა ... რამეთუ ესე არს მცნება ჩემი, რადთა **იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შევიყუარენ თქვენ**“ (იოანე 15, 10. 12).

ამ დიდებულ შეგონებებში უკუფენილადაა დავანებული უფლისმიერი ვედრება, მიმართული ღვთის ქმნილებათა გვირგვინისადმი – ადამიანისადმი, რათა მან **საკუთარი ნებით თქვას უარი ბოროტზე**, ბოროტის-მყოფელობაზე, და კეთილგონივრულად, ღვთივმოსაწონად შეაჩეროს **ა რ ჩ ე ვ ა ნ ი** კეთილსა და კეთილის-მყოფელობაზე.

დასტურად ამისა შეგვაგონებს წმიდა იოანე ღმერთისმეტყველი:

„შვილნო ჩემნო, **ნუ ვიყუარებით სიტყვთა ხოლო**, ნუცა ენითა, არამედ **საქმითა და ჭეშმარიტებითა**“ (1 იოანე 3, 18); „რამეთუ ესე არს **სიყუარული ღმრთისად**, რადთა **მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ**, და მცნებანი მისნი მძიმე არა არიან“ (1 იოანე 5, 3).

ამ მხრივ, საგულსხმოდ მრავლისმთქმელია საღმრთო რჯულმდებლობაში ათი მცნებით<sup>1</sup> განწესებული **ორი უმთავრესი მოვალე-**

---

<sup>1</sup> ბერძნ. დეკალოგი „ათი სიტყვა“ – შდრ.: ძვ.ქართ. **მცნება** – „(+2,1 მალაქ.) არს ღმრთისამიერ(ი) შჯულისდება, გინა მეფეთა და უადრესთაგან ბრძანებული, რომელი ამცნებდეს და ასწავლიდეს სჯულთა საქმეთა“ (სულხან-საბა 1991-



ობა კაცისა (გამოსლვათა 20, 1-17), ანუ **ღმრთისა და მოყვასისადმი სიყვარულის** ორი „ცხორების-მომცემელი“ მცნება:

„**შეიყუარო უფალი ღმერთი** შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნება.

და მეორე, მსგავსი ამისი: „**შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი**. ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინაწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“ (მათე 22, 36-40)<sup>1</sup>.

ეკლესიის წმიდა მამანი ერთხმად განგვიმარტავენ (დამასკელი 2000; სამოციქულო 2006), რომ ათივე მცნების მასულდგმულეებელია **სიყვარული** – ღვთაებრივ სათნოებათა შორის ის „აღმატებული გზა“<sup>2</sup> (1 კორინთელთა მიმართ 12, 31), რომლის საფუძვლიან თარგმანებას წმიდა მოციქული პავლე კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლეს მე-13 თავში გვაწვდის, და გვამცნობს: „ხოლო აწ ესერა ჰგიეს სარწმუნოებად, სასოებად და სიყუარული, სამი ესე; ხოლო უფროდს ამათსა **სიყუარული არს**“ (იქვე, 13, 13).

წმიდა პავლე მოციქულის არაერთგზისი განმარტებით, საღმრთო რჯულისკანონში სწორედ ეს უდიდესი მცნება მოიცავს ყველა სხვა მცნებას, რადგან: „**ყოველი შჯული ერთითა სიტყვთა აღსრულების: „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“** (გალატელთა მიმართ 5, 14), ხოლო რომაელთა მიმართ ეპისტოლეში იგი თვალსაჩინოს ხდის საღმრთო რჯულის კეთილგონივრულად აღსრულების უმთავრეს მამომრავებელ ძალას – **მოყვასისადმი სიყვარულს**:

„**ნურარადმცა ვისი თანა-გაც, გარნა ურთიერთას სიყუარული, რამეთუ რომელსა უყუარდეს მოყუასი თვისი, მან შჯული აღასრულა**, ვითარმედ: „არა იმრუშო“, „არა კაც-ჰკლა“, „არა იპარო“, „არა

---

1993); ასევე: „მცნება; სიტყვა; ბრძანება; შეტყობინება; გაფრთხილება; დარიგება; მოთხოვნა; წამება, დამოწმება <<მიწესება>> (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001).

<sup>1</sup> იხ.: ლევიტელთა 19, 18; 19, 34; მათე 22, 39; მარკოზი 12, 31-33; ლუკა 10, 27; რომაელთა მიმართ 13, 8-9; გალატელთა მიმართ 5, 13-14; იაკობი 2, 8.

<sup>2</sup> შდრ.: „**მე ვარ გზად** და მე ვარ ჭეშმარიტებად და ცხორებად; **არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ**“ (იოანე 14, 6-7)

გული გითქუმიდეს“, და სხუად თუ რადმე მცნებად არს, ამითვე სიტყვთა აღესრულების, ვითარმედ: **შიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი**. სიყუარულმან მოყუასსა თვისსა ბოროტი არა უყვის; **აღმასრულებელი სჯულისადა სიყუარული არს**“ (რომაელთა მიმართ 13, 8-10).

წმიდა პავლე მოციქული ამას შეგვაგონებს ვედრებით: როცა იმას ივიწყებ, რომ შენ, ადამიანი, უპირველესად ხარ ქმნილება ღვთისა, ანუ მისი **ხატება და მსგავსება**, – მაშინ ვეღარც შენ გვერდით მყოფს განიცდი ხოლმე ადამიანად, და ვეღარც საკუთარ თავს – **მის მოყვასად...** უფალი სწორედ ამისგან გიცავს ამ დიდებული მცნებით – **„გიყვარდეს მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“**, და ამასაც შეგვაგონებს: „უფროსს ამისსა სიყუარული არავის აქუს, რადთა სული თვისი დადვას მეგობართა თვისთათვის“ (იოანე 15, 13), რადგან მხოლოდ ამ დიადი სიყვარულით ანთებულს უმსუბუქდება **მძიმედ** აღსასრულებელი ის **ტვირთი**, რომელსაც **მოყვასისა და ღვთისადმი სიყვარული** ჰქვია, და **ქრისტეს რჯულისმიერი უღელიც** – მაშინვე **გატკბილდება** (მათე 11,29-30).

ასე რომ, ზემომოხმობილი უფლისმიერი და მოციქულთამიერი ციტირებიდან გამომდინარე, ეს უნდა გავაცნობიეროთ კეთილმცნობელობით:

რამდენადაც ჩვენი ცოდვით დაცემის **მიზეზი** არის **კეთილისა და ბოროტის რჯულმდებლობითი არ ჩ ე ვ ა ნ ი ს** უკეთურად განხორციელება, ამას უცილობლად მოჰყვება **შემზარავი შედეგი**, რადგან ამით – საკუთარის სულის (ანუ მე ღმრთისას „ხატებისებრობისა და მსავსებისებრობის“) უღირსად პატრონობის წილ – თავადვე ვამბობთ უარს ჩვენს **რჯულისმიერ გ ა დ ა რ ჩ ე ნ ა ზ ე** და, მაშასადამე – ზეციერი პატრონის მიერ ჩვენთვის განმზადებულ ღმრთის მარადიულ სასუფეველზე ვამბობთ უარს.

მრავალმოწყალე უფალი საკუთარი კეთილმსწავლელი მაგალითითაც შეგვეჩვენა, და გვანუგეშებს: „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაქსნად **სჯულისა** გინა წინასწარმეტყუელთა; **არა მოვედ დაქსნად, არამედ აღსრულებად**“ (მათე 5, 17), რ ა მ ე თ უ: „სჯული მოსესგან მოეცა, ხოლო მაღლი და ჭემმარიტებად ქრისტე იესუმს მიერ იქმნა“ (იოანე 1, 17).

❖ ძვ. ქართ. **მორჩილი** და ძვ. ქართ. **მსახური**

საანალიზო საგანთან დაკავშირებით, არანაკლებ საგულისხმოა ქართულ საეკლესიო ტერმინოლოგიაში დამკვიდრებული სინონიმური წყვილი: ძვ. ქართ. **მორჩილი** და ძვ. ქართ. **მსახური** (იხ.: ლლონტი 2004; ლლონტი 2005), რომელთაგან:

ა) ერთი მხრივ, ძვ. ქართ. **მორჩილი**: „სხვისი ნების მყოფელი; <<დამორჩილებული>>, გამგონი, მსმენელი; მიმდევარი; დამჯერე“; „უაღრესთა ნების აღმასრულებელი; მარჯვე; // მსუბუქი, მომცრო (ნივთი); მონასტერში: ძმათა მსახური“;

შდრ: ძვ. ქართ. **მორჩილება** „აღსრულება ნებისა ანუ ბრძანებისა უაღრესთასა (საქმ. 5, 29; ვეფხისტ. 15, 50)“ (სულხან-საბა 1991-1993; აბულაძე, 1973; დ. ჩუბინაშვილი, 1984; ნ. ჩუბინაშვილი, 1961; სარჯველაძე 2001).

დღევანდელი სალექსიკონო განმარტებით: ქართ. **მორჩილი** „1. ვინც ან რაც ემორჩილება (ვისმე ან რასმე), – სხვისი ნება-სურვილის უხმოდ, წინააღმდეგობის გაუწევლად აღმსრულებელი; გამგონე, დამჯერი; 2. მომცრო, პატარა. 3. ძვ. ეკლ. „მონასტერში ძმათა მსახური“; „სამონაზვნოდ განმზადებული“ (ქეგლ, 1950-1964);

ბ) მეორე მხრივ, ძვ. ქართ. **მსახური**: „(+8, 4 გამოსლ. ZAa) უფლის შინაყმა ZAaBCb“; „მზღებელი; მოსამსახურე (მათ. 22, 13 და 26, 58; ლუკ. 1, 2; ებრაელ 8, 2; ფსალმ. 103, 4)“;

შდრ.: **მსახურება** „ღვთის მსახურება (საქმ. 20, 25; რომ. 15, 29), ეკლესიურს ლოცვას გარდავიხდი (ლუკ. 1, 23) ან თავყანის ვჰსცემ (საქმ. 17, 22. 25)“ (სულხან-საბა 1991-1993; აბულაძე 1973; დ. ჩუბინაშვილი, 1984; ნ. ჩუბინაშვილი, 1961; სარჯველაძე 2001; იხ.: ლლონტი, 2005);

შდრ., ასევე: ახ. ქართ. **მსახური** „1. ვინც ემსახურება ვისმე ან რასმე; 2. ძვ. ოჯახში ან დაწესებულებაში დაქირავებული პირი, რომელიც ემსახურება დაქირავებულს. ხელზე მოსამსახურე; შინამოსამახურე; 3. რთული ფუძის შემადგენელი ნაწილი“. კერპთმსახური (ქეგლ 1950-1964).

**მორჩილი** და **მსახური** დღეს ნაწილობრივ სინონიმიას შეადგენს: მათი ურთიერთგადამკვეთი მნიშვნელობაა – „სხვისი ნების აღმსრულებელი“. **მორჩილი**, თავისი სემანტიკური მინიშნებით „ის,

ვინც უდრტვინველად, წინააღმდეგობის გაუწევლად ადასრულებს სხვის ნებას“ – ემიჯნება **მსახურს**, მნიშვნელობით – „ადამიანი, რომელიც ასრულებს ვისიმე ნებას“ (ქეგლ 1950-1964), შდრ.: **მსახური** „მონასტერში ძმათა მსახური“ (დ.ჩუბინაშვილი 1984), ასევე: „საეკლესიო მსახური: ბერად აღკვეცილი, მღვდლად ნაკურთხი“.

**მორჩილიც** და **მსახურიც** სხვისი ნების აღმსრულებელნი არიან – ეს ამ სინონიმური წყვილის აწ უკვე განზოგადებული სემანტიკაა. ორივე ეს სიტყვა, ცხადია, თავდაპირველი განსაზღვრული მოტივით იშვა: **მსახურიც** და **მორჩილიც** კონკრეტულად ვისიმე ან რისამე მორჩილების ქვეშ მყოფის სახელდება უნდა ყოფილიყო.

პასუხს ითხოვს შეკითხვა – ვის ან რას გულისხმობდა ჩვენი დიდებული სიტყვათმემოქმედი იმ „სხვაში“, რომლის ნების აღმსრულებელსაც მან შეარქვა **მსახური** და **მორჩილი**? ამ შეკითხვაზე პასუხს ეს ორი ძველი ქართული სიტყვა უკვე თავიანთი საკმაოდ გამჭვირვალე მორფოლოგიური წარმოებითაც გვიპასუხებს.

➤ ძვ. ქართ. **მორჩილი** „სხვისი ნების წინააღმდეგობის გაუწევლად მყოფელი“:

**მორჩილი** – ვნებითი გვარის მიმღეობაა: **მორჩილია** „ის, ვინც რჩოლაშია“, ანუ დამჯერია, შდრ. ძვ.ქართ.:

**რჩოლა** „ყურადღება, სმენა, დაჯერება“;

**მორჩილი** „დამჯერი, გამგონი, მსმენელი, მიმდევარი“;

**მორწმუნე** „(17,9 იობი) დამჯერე“ (სულხან-საბა 1991-1993);

**შერჩულვა** „დამოდვრა, დარიგება“;

**სჯული** „კანონი, სასჯელი, მოძღვრება“;

**რჩულიერი** „კანონიერი“;

**რჩეული** „საუკეთესო“ და სხვ. (იხ. ზემოთ, ცხრილი II.).

სულხან-საბა ორბელიანი ლინგვისტურ დაკვირვებას გვთავაზობს და ბრძანებს:

„**შჯული** – სჯული, რჯული, რჩული – ყოველივე და იგივე ერთ არიან; ესენი ყველაკა ერთისა სახელივე არს“.

ქართველი ლექსიკოგრაფი **შჯულის** იმგვარ განმარტებას გვაწვდის, რომელიც თითქმის სრულად ემთხვევა **მსახურისა** და **მორჩილის** დღევანდელ მნიშვნელობებს:

„**შეჯული** – არს სიტყვა მბრძანებლობით ვიდრემე, რომელ რომელთა ჯერ-არს ქმნაი, და უარ-მქმნელი **უმჯულო** არს“.

ანტონიმების – **სახიერისა და უსახურის** მსგავსად, **შეჯული** და **უმჯულოც** მრავლისმეტყველ სემანტიკურ ინფორმაციას გვაწვდის:

თუკი **უმჯულო** – რჯულის არმქმნელია, მაშინ **მორჩილი** – რჯულის აღმსრულებელი ყოფილა, ანუ ის, ვინც **რჯულშია** (**რჩოლა-შია**), **რჯულის ქვეშაა** და, ცხადია, **ქრისტეს რჯულის მიმდევარია**. სულხან-საბას ბრძანებით, **რჯული** ის „ნაბრძანები“, **ნამცნები სიტყვაა** (**კანონია, წესია**), რომელიც აუცილებლად უნდა აღსრულდეს – **რჯული უცილობლად აღსასრულებელი წესია**.

აქედან გამომდინარეა ძვ.ქართ. **მერჯულე** – „რჯულის მცოდნე და რჯულის კანონის დამდები“; შდრ., ერთი მხრივ:

ფშ. **მორჯულე** „რჯულის, ჩვეულებებისა და წესის დამდები“, ფშ., ხევს. **არჯულებს** „წესად, რჯულად დებს“, ხევს. **დაღრჯულავს** „რჯულით წყვეტს სადავოს“; და, მეორე მხრივ:

ფშ. **მერჯულე** „ამა თუ იმ რჯულის მსახური, ადათების მცოდნე; მოძღვარი“, ხევს. **განასაჯობა** „გარჯილობა, დამსახურება“.

**სახისა და რჩოლის** ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველურ ენათა მონაცემები:

ქართ. **სახ-** [\* სახ-] „სახვა“ შესატყვისია სვან. **სახ/სხ** „ჩასახვა, კეთებისა“ (ფენრიხი-სარჯველაძე 2000). მაშასადამე, სვანურს შემოუნახავს **სახის, სახიერების** ძველი მნიშვნელობა – „საქმე; საქმით კეთილმოქმედება“.

რაც შეეხება (**რჩ-** →) **რჩოლას**, მეგრულში მას შეესაბამება (**რჩ-** →) **რჩქილი** „მოსმენა“ (ფენრიხი-სარჯველაძე 2000); შდრ.: მეგრ. **მრჩქილე** „მსმენელი“, ძვ.ქართ. **რჩოლა** „ყურადღება, სმენა, დაჯერება“ და **მორჩილი** „დამჯერი, მსმენელი, მიმდევარი (რჯულისა)“.

ასე რომ, **მორჩილი** „**რჯულის // რჩულის-მოქმედი**“ გახლდათ ისევე, როგორც **ცოდვილი** – „**ცოდვის-მოქმედი**“.

➤ ძვ.ქართ. **მსახური** „უფლის შინაყმა“:

ქართ. **მწერლის** და ქართ. **მხატვრის** მსგავსად, ქართ. **მსახური** მოქმედებითი გვარის მიძლეობაა: **მსახურია** „ის, ვინც სახავს, სახით იქმს“, შდრ. ძვ. ქართ.:

**სახვა** „დადგენა, კვალვა, კვეთა“;

**სახე** „ხატი, მსგავსი, მსგავსება, შესახედაობა, ბუნება, ნიშანი, ნი-  
მუში, მაგალითი, იგავი; ვითარება, ნაკვალევი, თვისება, ჩვეულება;  
საქმე, წესიერება, მოწმობა“ (აბულაძე 1973).

**მსახური**, თავისი მორფოლოგიურ-სემანტიკური აღნაგობით, გვეკარნახობს, რომ იგი აღნიშნავდა „სხვისი ნების (საქმის) **სახით, სა-  
ხიერად**, ანუ **სანიმუშოდ, სამაგალითოდ** აღმსრულებელს“. გავიხსენო-  
თ, რომ ძვ. ქართ. **სახიერი** (// **სახნიერი**) არის „კეთილი, სასარგებ-  
ლო, კეთილის-მოქმედი, ტკბილი“, ხოლო **სახიერება** – „სიკეთე, სი-  
კეთის ქმნა, კეთილის მოქმედება, სიმშვიდე, მოწყალება“ (შდრ. ძვ.  
ქართ. **სახეტკბილობა** „მოწყალება, სათნოება“).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც მსგავსი სემანტიკური  
სურათი იხატება: **სახიერი, სახნიერი** „კეთილ-სანახავი, საქმით კე-  
თილმოქმედი“. ფრიად საგულისხმოდ უსვამს ხაზს ამ მნიშვნელო-  
ბას **სახიერის** ანტონიმის სულხან-საბასივე განმარტება: **უსახური**  
„კეთილის უმოქმედო, კეთილის უყოფელი, გინა უსახო“.

**სახის** წარმოდგენილი მრავალგვაროვანი სემანტიკიდან აშკა-  
რად იკვეთება მნიშვნელობა „კეთილი“, „საქმე, კეთება“, შდრ. მო-  
რფოლოგიურად წარსული დროის მიმდებარე წარმოების ძვ.ქართ.  
**კეთ-ილ-ი** → „ის, რაც გაკეთდა“.

მაშასადამე, **მსახურად** იგი იწოდებოდა, ვინც საქმეს კეთილად  
იქმოდა და, ესე იგი – **კეთილის-მოქმედი** გახლდათ; ამასთან, მისი  
**კეთილმოქმედება** არა მხოლოდ თავად კეთილის-მოქმედისთვის,  
არამედ სხვისთვისაც, **მის გვერდით მდგომისთვისაც** იყო სათნოდ –  
თქმული და სარგოდ – ქმნილი, რის გამოც თავად მთქმელი და მქნე-  
ლიც – „**კეთილ არს და სათნო წინაშე ღმრთისა**“, როგორც მოცი-  
ქულთა თავი, წმიდა პავლე გვარწმუნებს:

„გლოცავ უკუე ყოვლისა წინა, რადთა ჰყოფდე ვედრებასა, ლოც-  
ვასა, თაყუანის-ცემასა და მადლობასა ყოველთა კაცთათჳს, მეფე-  
თათჳს და ყოველთა მთავართა, რადთა მშჳდობით და მყუდროებით  
ვცხონდებოდით ყოვლითა ღმრთის-მსახურებითა და სიწმიდითა,

რამეთუ ესე არს კეთილ და სათნო მაცხოვრისა ჩუენისა ღმრთისა“ (1 ტიმოთეს მიმართ 2, 1-3)<sup>1</sup>.

ყოველივე ამას უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს ზემოხსენებულ უაყოფიოთი კონოტაციის ანტონიმიურ მეწყვილეთა სემანტიკური მონაცემები: **უსახური** „კეთილის უმოქმედო, კეთილის უყოფელი“ და **უშჯულო** „შჯულის (აღსრულების) უარის-მქმნელი“ (იხ. ზემოთ, გვ. 86-87).

დავით მეფსალმუნე ბოროტის-მოქმედს აფრთხილებს: „შეიყუარე **სიბოროტე** უფროდს **სახიერებისა**, და **სიცრუვე** – უფროდს **სიმართლისა** სიტყვსა“ (ფსალმუნი 51, 5), ხოლო კეთილის-მოქმედს სათნოებად, სიკეთედ „შეიყუარე სიმართლეს და მოიძულე **უშჯულოება**“ (ფსალმუნი 44, 8).

ამ ფსალმუნისეულ შეგონებაში აღბეჭდილ აშკარად იკვეთება დადებითი კონოტაციის ანტონიმიურ მეწყვილეთა სემანტიკაში დაფიქსირებული „კეთილის“, „სახიერის“ და „შჯულის, შჯულისმიერის“ თანხედენილობა. ასე რომ, **ურჯულოც** და **უსახურიც**, თავიანთი თავდაპირველი მნიშვნელობით, არის **რჯულის** „უარის-მქმნელი, არაღმსრულებელი, რჯულის მიმართ ურჩი“, – ოღონდ პირველი არ იცავს რჯულს და – **ურჯულოა**, ხოლო მეორე არ იქმნს კეთილს, **უსახურობს** და ამდენად – **ურჯულოებს**.

### ➤ მორჩილი და მსახური:

ამ ლინგვისტურ მასალას სათანადო საღვთისმეტყველო ექსტრალინგვისტური მასალა უნდა შევაშველოთ.

წმიდა სახარებაში უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს:

„არავინ არს **სახიერ**, გარნა მხოლოდ ღმერთი“ (მარკოზი 10, 8; ლუკა 18, 19); „ერთ არს **სახიერი** ღმერთი“ (მათე 19, 17).

წმიდა იოანე ოქროპირის თქმით, უფალი კაცთა შორის სახიერებას როდი უარყოფს, მან ადამიანი კი არ განაყენაო სახიერებისაგან, არამედ თქვა: ღვთის სახიერების სრულყოფილად მსგავსი, ღვთაებ-

---

<sup>1</sup> შდრ. ასევე: „უკუეთუ ვისმე ქურთისა შვილ გინა შვილის შვილ ესხნენ, ისწავებედ პირველად თვისსა სახლსა ღმრთის მსახურებასა, და პატივ-სცემედ მამდედათა, რამეთუ ესე არს კეთილ და სათნო წინაშე ღმრთისა“ (1 ტიმოთეს მიმართ 5, 4)

რივი სახიერებით სრულქმნილი – არ იპოვებაო კაცთაგან (ოქროპირი 1998, გვ. 179-183). ქართულმა ენამ სწორედ **სახის** შემცველი ლექსიკური ერთეულით გადმოსცა და გააცხადა ერთადერთობა ღვთაებრივი სახიერებისა, რადგან პოლისემანტიკური ძვ. ქართ. **სახე** არის: „ხატი, მსგავსება, ნიმუში“.

თუმცა, იგივე ძვ. ქართ. **სახე** შეიცავს სემანტიკას: „მსგავსი, ბუნება, ნიშანი, თვისება, საქმე, წესიერება, მოწმობა“. წმიდა სახარებაში ის „კეთილი და სარწმუნო“ მონა იწოდება **სახიერად**, რომელმაც გაამრავლა („შესძინა“) ტალანტი და უფლის მოწონებაც დაიმსახურა (მათე 25, 21-23; იხ.: ოქროპირი 1998: 341-342). ხოლო წმიდა ლუკა მახარებელი იოსებ არიმათიელის სახიერებაზე საგანგებოდ შენიშნავს: „კაცი, სახელით იოსებ, მზრახველი, იყო კაცი სახიერი და მართალი“ (ლუკა 23, 50).

ამკარაა, რომ **სახიერი** მონაც და **სახიერი** იოსებ არიმათიელიც არიან – ს ა ქ მ ი ს კეთილისმოქმედნი, ს ი კ ე თ ი ს მქმნელნი, მ ო წ ყ ა ლ ე ბ ი ს ღვთაებრივი წესიერებით აღმსრულებელნი.

ამგვარი საქმის ქმნის, საქმის ღვთაებრივი წესიერებით აღმსრულებლის ყველაზე სრულყოფილ მაგალითს, ცხადია, თავად უფალი გვაწვდის, რაც მისი კაცობრივი ცხოვრების წესით საცნაურდება. იგი – ძე კაცისა – უპირველესად რჯულის მართებულად აღსრულებას გვასწავლის. იესო ყრმობიდანვე თავისი მშობლების მორჩილებაშია. ცხრა ნეტარებიდან მოყოლებული, თავისი ქადაგებით – უფალი იესო შეგვაგონებს და განგვიმარტავს **რჯულის სწორედაც რომ ღვთაებრივი წესიერებით აღსრულებას**, რჯულის იმგვარ **მორჩილებას**, როდესაც ადამიანი რჯულს თვითმიზნობად კი არ აქცევს, კაცთა დასანახავად კი არ ისმენს და მისდევს რჯულს, არამედ საქმით, სიყვარულითა და რწმენით ისე ადასრულებს, როგორც ამას უფალი გვასწავლის:

**„ძე კაცისაა არა მოვიდა, ვითარმცა ჰმსახურა ვინმე, არამედ მსახურებად და მიცემად სული თვისი საჯსრად“** (მათე 20, 28). წმიდა იოსებ ოქროპირის განმარტებით, უფალი ამას შეგვაგონებს:

აი, როგორ უნდა ვემსახუროთ ღმერთს, როგორ უნდა ადვასრულოთ რჯული: მიიღეთო ჩემგან სახე, მაგალითი ამისა, რადგან მე – „მეუფემან ზეცისა მკედრობათამან და შემოქმედმან ყოველთა დაბა-



დებულთამან, თავს-ვიდევ განკაცება, შეურაცხ-ვიქმენი კაცთაგან – მონათა ჩემთაგან“, და სიკვდილიც მივიღე იმისათვის, რომ თქვენ გიხსნათ და გადაგარჩინოთ! მაშ, შევისმინოთ ეს დიდებული პირობა უფლისა, – განაგრძობს წმიდა მამა იოანე, – სიყვარულითა და მორჩილებით ადვასრულოთ რჯული და ღმერთს – სახიერებით ვემსახუროთ. სწორედ ეს არის ღვთივსათნო მსახურება და მორჩილება (ოქროპირი 1998: 209).

უფალი იესო ქრისტეს სამსახოვანი ამქვეყნიური მსახურებაც ხომ ამის დასტურია, რამეთუ იგი იყო: **რჯულის მორჩილი, მღვდელმთავარი და მკურნალი**,

ვფიქრობ, სწორედ ქრისტიანულ კეთილმსახურებასა და რჯულის კეთილად აღსრულებას გვიქადაგებს სინონიმურად შეწყვილებული ქართ. **მორჩილი** და ქართ. **მსახური**. ქრისტიანი ქართველისათვის **მორჩილიც** და **მსახურიც** ის იყო, ვინც რჯულს სახიერად, კეთილად (ღვთაებრივი წესიერებით) მისდევდა, მორჩილად აღსრულებდა და ამიტომ გახლდათ იგი – **რჯულის საქმით** კეთილისმოქმედი. **კეთილის-მოქმედება**, ქრისტიანული სწავლებით, უპირველესად ხომ ღვთის სატყვის და რჯულის კეთილად აღსრულებას, ამასთან – მისი მორჩილებით აღსრულება (შდრ. უკვე მოხმობილი: ფშ. **რჯული** „სარწმუნოება“ და ფშ. **მერჯულე** „მოდღვარი“; ძვ. ქართ. **სჯული** „მოდღვრება“ და ძვ. ქართ. **მორჩილი** „მიმდევარი (წესისა, რჯულისა)“ და სხვ.).

დაბოლოს, დღევანდელ საეკლესიო ტერმინოლოგიაში უალრესად საგულისხმო სემანტიკური გადანაწილება განიცადა ძვ.ქართ. **მორჩილმა** და ძვ.ქართ. **მსახურმა**: პირველი საფეხურია **მორჩილება** – სამონაზვნოდ განმზადებულს **მორჩილი** („კაბოსანი“) ჰქვია; ამას მოჰყვება საკუთრივ **მსახურება**, რამეთუ ბერად აღკვეცილი თუ მღვდლად ნაკურთხი **მორჩილი** – უკვე **ღვთის-მსახურია**.

დასასრულ, მოვიხმოთ ძველადექმისეული შეგონება, რომლითაც ისუ ზირაქი იმ **კეთილგონივრული ა რ ჩ ე ვ ა ნ ი ს** საფეხურებრივ ფუნქციონირებას განგვიცხადებს, რომლის აღსასრულებით

სწორედაც რომ ძალუმს თავის დახსნა „საწუთისოფელი მახეში და-  
მწყვდეულ“ ცოდვილს<sup>1</sup>.

ამ შეგონებას მრავლისმეტყველად აგვირგვინებს **ღვთისა-  
თვის სათნო** და გონიერთათვის სანეტარო **არჩევანის** ჩინებული,  
სხარტი ფორმულირება (სიბრძნე ზირაქისა 37, 16):

„დასაბამ ყოველთა საქმეთა – **სიტყუა** არს,  
და მძღუარ ყოვლისა საქმისა – **ზრახვა** არს“,

სადაც ძვ.ქართ. **სიტყუა** და ძვ.ქართ. **ზრახვა**<sup>2</sup> იმ გონიერული გან-  
სჯისკენ გვახედებს, რომელიც უცილობელი წინაპირობაა ცხონების  
ღირსყოფისათვის მისაღები **ა რ ჩ ე ვ ა ნ ი ს ა**.

---

<sup>1</sup> იხ. სიბრძნე ზირაქისა 37, 10-16 (→ ახ.ქართ.):

„**რჩევას** ნუ ჰკითხავ შენს არაკეთილმოსურნეს და შენი მოშურნისაგან დაფარე  
(გან)ზრახვა შენი... ნუ თიათბირებ უღმერთოსთან – საღმრთოზე; ნურც ცრუსთან –  
სიმართლეზე; ნურც ზარმაცთან – გარჯაზე; ნურც ვაჭართან – ფარდულის  
გადადგმაზე; ნურც გამყიდველთან – აღებ-მიცემობაზე; ნურც შურიანთან –  
მადლიერებაზე; ნურც უმოწყალოსთან – მოწყალებაზე; ნურც მცონარესთან –  
საქმიანობაზე; ნურც დაქირავებულ მუშასთან – სამუშაოს დასრულებაზე; ნურც  
უქნარა მსახურთან – მიმიე საქმეზე.

ამათგან ნურც ერთთან ნუ გამართავ **სჯა-ბაასსა** და თათბირს, არამედ  
მხოლოდ იმ ღვთისმოსავის **რჩევა-დარიგება** ირწმუნე, ვის შესახებაც გეცოდინება,  
რომ ღვთის მცნებებს გულმოდგინედ იცავს, შენს მსგავსად **განსჯის** ბოროტსა და  
კეთილს, და შენს მწუხარებას გაიზიარებს, თუკი დაეცი; შენს **გულისკარნახს** დინჯად  
მიჰყევი, რადგან მასზე უფრო სანდო და სარწმუნო არავინ გყავს; საკუთარი **სინდისი**  
ხომ უფრო მეტად უნათებს ხოლმე კაცს **გონებას**, ვიდრე მადლობზე მსხდომი შვიდი  
მზვერავი. ყოველივე ამისთვის კი ევედრე მაღალ ღმერთს, რათა ჭეშმარიტებით  
წარგიმართოს გზა, რამეთუ: ყოველი საქმის დასაბამი - **გ ა ნ ს ჯ ა ა**, საქმის კეთებას კი  
უწინამძღვრებს - **ა რ ჩ ე ვ ა ნ ი**“

<sup>2</sup> შდრ.: ძვ.ქართ. **სიტყუა** „თქმა; მეტყველება; მცნება; ბრძანება; მოძღვრება;  
ნებართვა; საქმე“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001); შდრ.: ბერძნ. **ლოგოსი** „სიტყვა;  
ცნება; აზრი; გონება; ფილოს. → პირველსაწყისი ღვთაებრივი გონება“;

შდრ.: ძვ.ქართ. **ზრახვა** „(გამო) **რ ჩ ე ვ ა**; **ბ ჭ ო ბ ა**; **ნ ე ბ ა**; აზრი; ფიქრი;  
განზრახვა; ზრუნვა; განმარტება; **ა რ ჩ ე ვ ა ნ ი**“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001;  
სამოციქულის განმარტება 2006; გიგინეიშვილი 2016);

შდრ. სულხან-საბა 1991-1993: „**განზრახვა** (+ 14, 26 ესაია; 5, 19 ესაია  
ZAa) განზრახვა უკვე არს გამოძიება თვით ქმნულთათვის, არამედ წინა  
აღრჩევი(თ)ა, ვინავე განგულვებით წინათვე გამორჩეულთა საუწყო უკვე, რამეთუ  
განზრახვა უფროს ხოლო გულვებადთა და გამოსაძიებელთა ზედა იხილვების,  
არამედ **წ ი ნ ა ა ღ რ ჩ ე ვ ა** წინათვე **გ ა მ ო რ ჩ ე უ ლ თ ა** გვარქმნილთა ზედა ZABC“

## გამოყენებული ლიტერატურა

**აბულაძე 1973:** ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“

**ბიბლია 2015:** ბიბლია. ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბილისი: გამომცემლობა „ალილო“, გამომცემლობა „ქრონიკონი“

**გიორგაძე 2020:** დეკანოზი კონსტანტინე (კახა) გიორგაძე, რელიგიისა და მენტალური ჯანმრთელობის ურთიერთმიმართების საკითხები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლში. - საკვალიფიკაციო ნაშრომი, წარდგენილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე (2020 წლის 20 თებერვალი)

**დამასკელი 2000:** წმიდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა

**იმნაიშვილი 1986:** ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“

**ოქროპირი 1998:** – წმიდა იოანე ოქროპირი, თარგმანებად მათეს სახარებისად, თარგმანი წმ. ეფთვიითიმე მთაწმიდელისა, წიგნი III, თბილისი

**სამოციქულო 2006:** სამოციქულოს განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისი

**სარჯველაძე 2001:** ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პრდაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა

**სიმფონია-ლექსიკონი 2009:** ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, ეძღვნება აკაკი შანიძის 120 წლის იუბილეს, შეადგი-

ნეს ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა და თეიმურაზ მეტრეველმა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

**სულხან-საბა 1991-1993:** სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I-II. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“

**ფენრიხი-სარჯველაძე 2000:** ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პრდაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა

**ქეგლ 1950-1964:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

**ღლონტი 2004:** მედეა ღლონტი, რჯულის მორჩილი თუ კანონ-მორჩილი? („ვერვის ჯელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად“ - მათე 6, 24), სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“, III, (საქართველოს საპატრიარქო, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, მეცნიერების ფონდი „უდაბნო“), 2004;15-19. იხ.: **რჯულის აღსრულება – სიყვარულია.** – „მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა“, 2, 2002, 53-63

**ღლონტი 2005:** მედეა ღლონტი, „მსახურის და მორჩილის თავდაპირველი სინონიმისათვის“. II საერთაშორისო სიმპოზიუმში „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი“, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის ცენტრი (მასალები): 139-141. თბილისი; იხ. **ასევე:** არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVI, ეძღვნება ქრიატიანობის ოც საუკუნეს საქართველოში, 23-27 მაისი, 2005, 87-89

**ღლონტი 2017:** მედეა ღლონტი, „რწმენისა და ცოდნის გაერთიანების პრინციპისათვის (სიტყვა-ლოგოსი და სიტყვა-კაცობრივი)“. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, „ენა და კულტურა“, II: 155-166. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“

**ღლონტი 2019:** მედეა ღლონტი, **წმიდა წერილის პირველი წიგნის სახელდების ქართულენოვანი არჩევანი.** - იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (იკე), XLVII, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი: გვ. 180-192

**ღლონტი 2020:** მედეა ღლონტი, **ძველი ქართული სახელდებისათვის - „შესაქმე“**, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინა-

რის საკონფერენციო მოხსენებათა კრებული (2019 წლის მაისი), III. თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, გვ. 172-190

**დ.ჩუბინაშვილი 1984:** დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი

**ნ.ჩუბინაშვილი 1961:** ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ.დლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი

**შიურე:** Эд. Шюре, Великие Посвященные, Калуга, 1914

**ჭანტურია 2019** – დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, ისტორიის ღვთისმეტყველება, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საკონფერენციო მოხსენებათა კრებული (2018 წლის მარტი), II, თბილისი, გვ. 120-123

M E D E A G H L O N T I

### **On the Christian Lawful Functional Semantics in Georgian**

(old georg.: *Archevani* "choice" and *Gadarchena* "to save";

*Morchili* "the obedient of the will of another" and

*Msakhuri* "the servant of the Lord")

#### S u m m a r y

We believe that the researcher of a language (the word), by using the principle of the union of faith and knowledge, along with other factors, should reasonably seek, discuss and take **the theological foundations of the human word** into account .

Considering the above-mentioned, the present paper analyzes the polysemantic data of the lexical-semantic group of the words formed with the root-morphemes (\*saj→) **-sj-//shj-//rch-//rj-**, in particular, the old Georgian lexical pairs: **Rcheva** "choice" and **Darchena** "to save"; **Morchili** "the obedient of the will of another" and **Msakhuri** "the servant of the Lord", and their special ecclesiastical lawful semantic functioning.

## რამდენიმე ლექსიკოლოგიური კიევა

განვიხილავთ რამდენიმე სიტყვას სტრუქტურისა და სემანტიკის თვალსაზრისით.

### 1. ხან-ი

ძველ ქართულში სიტყვა ხან-ი „დროს“ აღნიშნავდა (აბულაძე 1973: 560).

სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: **ჟამი** ჟამთ გამოვლანი, ჟამი... (საბა 1973: 415).

ნიკო ჩუბინაშვილი: **ხანი**, **ხნისა** ჟამი, დრო... სიმორე, სივრცე (ნ. ჩუბინაშვილი 1961: 462).

დავით ჩუბინაშვილი: **ხანი** დრო, ჟამი (დ. ჩუბინაშვილი 1984: 1719).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, **ხან** სიტყვას ორი ძირითადი მნიშვნელობა მოეპოვება: „1. დროის მონაკვეთი; დრო, ჟამი... 2. ადამიანის ასაკი, – ხნოვანება“ (ქეგლი 1964: 1329).

**ხან**- ფუძე წარმოდგენილია ქართველურ ენებში – მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) **ხანი** „დრო“, სვან. **ხან**, რომლებიც ნასესხები ჩანს ქართულიდან (სვანურში სახელობითის -ი ნიშნის გავლენით მივიღეთ უძველესი უტირებული ა).

ვგიქრობთ, ქართულ **ხან**- ფუძეს უნდა შეესატყვისებოდეს მეგრული **ხონ**-, რომელიც წარმოდგენილია ზმნაში **ხონ**-ენს „მარხულობს“, მასდარში **ხონ**-ება „მარხვა, უჭმელობა, შიმშილობა“, მიმდევობაში **ხონ**-ებული „მარხული“ (სემანტიკისათვის შდრ. და-**ხან**-ება „დაყოვნება, ხანის, დროის გაყვანა“).

რელიგიური რიტუალის „მარხვის“ მნიშვნელობით მეგრულში

ძირითადი სიტყვაა **პიჩვანი**, ხოლო **ხონ**- ფუძეს, როგორც ზემოთ აღინიშნა, აქვს როგორც „მარხვის“, ისე „შიმშილობის“ მნიშვნელობა.

საინტერესოა ორი სინონიმური სიტყვის შეერთებით მიღებული კომპოზიტი **ხონება-პიჩვანი** „მარხვა“ (ანალოგიისათვის შდრ. ქართ. სინდის-ნამუსი).

თუ დაკავშირება ქართ. **ხან**- : მეგრ. **ხონ**- სწორია, შეიძლება ითქვას, რომ საერთოქართველურ მონაცემთან გვაქვს საქმე.

## 2. კვებ-

ქართული ზმნური ფუძე **კვებ**- აღნიშნავს „საჭმლის, საზრდოს მიცემას ან მიღებას“ (ქეგლი 1955: 1168).

ბ. გიგინეიშვილის აზრით, ქართული **კვებ**- < **კუებ**- „ვერ პოულობს შესატყვისს სხვა ქართველურ ენებში. იგი საკუთრივ ქართულ ნიადაგზე ჩანს წარმოქმნილი. შემდგომი ანალიზი ამ მონაცემისა არ ხერხდება“ (გიგინეიშვილი 2016: 248-249).

ვფიქრობთ, ქართულ **კვებ**- ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს მეგრულს **კვაბ**- || **ცვაბ**- || **ყვაბ**- ფუძე. **კვაბუა** „ტკბილად ჭამა“ წარმოდგენილია გ. ელიავას ლექსიკონში (ელიავა 1997: 194), **ყვაბუა** – პ. ჭარაიას (**ყვაბუა** „კვება“ – ჭარაია 1997: 148), ო. ქაჯაიას (**ყვაბუა** „დიდი ლუკმების უშნოდ ჭამა“ – ქაჯაია 2002: 219) და ა. ქობალიას (**ყვაბუა** „ყბების მძლავრი მოძრაობით, უკანა კბილებით ღეჭვა“ – ქობალია 2010: 650) ლექსიკონებში; მათში დაფიქსირებულია, ასევე, **ცვაბ**- ვარიანტი.

მეგრულში წარმოდგენილი ფონეტიკური ვარიანტების მიმართება სქემატულა ასე შეიძლება გამოვხატოთ: **კვაბ**- > **ყვაბ**- > **ცვაბ**- კ-ს, ყ-სა და ც-ს მონაცვლეობა მეგრულისათვის არ არის უცხო: **ყებური** || **კებური** „კერია, შუაცეცხლი“, **როკვა** || **როყუა** „როკვა, ხტუნვა“, **ყვარია** || **ცვარია** || **კვარია** „ყვავი“, **ცუჯი** || **კუჯი** „ყური“ (მეორე ვარიანტი – ბავშვთან საუბრისას), **ყვალი** || **ცვალი** || **კვალი** „ყველი“...

მაშასადამე, ქართული **კვებ**- ფუძეს შესატყვისად მივიჩნევთ მეგრულ **კვაბ**- || **ყვაბ**- || **ცვაბ**-ს.

## 3. ტურ-

სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში **ტურა** „ქაჩალს“ ნიშ-

ნავს (თოფურია, ქალდან 2000: 719). ბოლოკიდური -ა სუფიქსური ელემენტი უნდა იყოს. სვანური სიტყვის შესატყვისია მეგრული **ტურ-**, რომელიც წარმოდგენილია სიტყვაში **ტუტურუა** „უბალნო, უთმო, შეუგინგლავი...“ (ქობალია 2010: 605). ჩვენი აზრით, აქ რედუპლიკაციის შედეგად მიღებული სიტყვა გვაქვს: \***ტურტურ-**უა > **ტუტურ-**უა; პარალელური ფორმაა **ტუტურ-**ია. ეგვე **ტურ-** ფუძე წარმოდგენილია სიტყვაში **ტუტულ-**ერი „მოტვლეპილი, მოტიტვლებული“ (ქობალია, იქვე): \***ტუტურ-**ერი < **ტუტულ-**ერი (სიტყვაში ორი **ლ-**ს თავიდან აცილების მიზნით ერთი **ლ-**ში გადავიდა).

მიუხედავად იმისა, რომ ქართულში შესატყვისი უძე ამ ეტაპზე ვერ გამოვავლინეთ, მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია სვანურისა და მეგრულის ჩვენების მიხედვით **ტურ-** ფუძე საერთოქართველურ მონაცემად მივიჩნიოთ.

#### 4. **პწკარ-**

**პწკარ-**ი იგივე „სტრიქონია“ (ქეგლი 1960: 316).

ეს სიტყვა შეუთვისებია მეგრულს: **პწკარ** > **წკარი** „რიგი, მწკრივი“ (სესხებისას მეგრულს მისთვის არაბუნებრივი **პწკრ** კომპლექსი **პ-**ს დაკარგვით თავიდან აუცილებია). შემდეგ **წკარ-** გამოყენებულია ზმნაში – **ო-წკარ-**ანს „აწყობს“, მასდარში – **წკარ-**უა „დაწყობა“, მიმღეობაში – **დო-წკარ-**ილი „დაწყობილი“... ყურადღებას იქცევს **წკარ-** ფუძეზე **ლა-** პრეფიქსის საშუალებით ნაწარმოები სიტყვა **ლაწკარი** „სტრიქონი“.

#### 5. **ბნევა** „მიმაგრება“

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ ფუძეს სხვა ქართველურ ენებში შესატყვისი არ უჩანს და მისი შემდგომი დაშლა დამაჯერებელი არ ჩანს (გიგინეიშვილი 2016: 55).

ჩვენი ვარაუდით, აქ ძირი **ბნ-** უნდა იყოს, **-ევ** და **-ა** – სუფიქსები. ასეთ მოსაზრებას მხარს უჭერს მეგრულში ქართულის შესატყვისი ფუძის **ბუნ-**ის არსებობა: მიკა-**ბუნ-**უანს „ჩამოკიდებს“. ქართული ფუძე რედუცირებული ჩანს (ამოსავალი შესაძლებელია **ბან-** ან **ბენ-** იყოს).



## 6. ხერგ-

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული **ხერგ-** ფუძე (ხერგავს, ხერგი, ხერგილი) დაკავშირებულია მეგრულ-ლაზურ **ხორგ-**თან. ქართული ე ა-საგან მიღებულად არის მიჩნეული უმლაუტის შედეგად (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 693).

ვფიქრობთ, ქართული **ხერგ-** ფუძის შესატყვისი უნდა იყოს მეგრული **ხარგ-** ფუძე, რომელიც დასტურდება რამდენიმე შემთხვევაში: **ხარგ-**ანს „ტვირთავს“, **ხარგ-**უა „დატვირთვა“, **ხარგ-**ელ-ი „დატვირთული“, მა-**ხარგ-**ალი „მტვირთავი“, **ხარგ-**ა „საპალნე, ტვირთი, სატვირთო“ (ქაჯაია 2002ა: 515), „ერთჯერადი ტვირთი, საპალნე...“ (ქობალაია 2010: 718).

**ხარგ-** ფუძე წარმოდგენილია ლაზურშიც: **ხარგ-**ა „გროვა შეშისა“ (თანდილავა 2013: 873).

## 7. ბჯჯ

ადილეურში „ტურის“ აღსანიშნავად ორი სიტყვა გამოიყენება: **ბჯჯ** და **ჰჰჯჯ** (ეს უკანასკნელი ყაზარდოულშიც გვაქვს).

ა. შაგიროვის აზრით, ადილეური **ბჯჯ** შესაძლებელია უბიხურიდან ნასესხებად მივიჩნიოთ და -ს' ელემენტი უბიხური -ს<sup>o</sup>-სგან მომდინარედ – დელაბიალიზაციით (შაგიროვი 1977: 72).

ვფიქრობთ, „ტურის“ ადილეური სახელწოდება საკუთრივ ადილეურ ნიადაგზეა მიღებული: **ბაჯჯ** „მელა“ + „დიდის“ აღმნიშვნელი სუფიქსი -ს', რომელიც შემონახულია ყაზარდოულში და გამაძლიერებელ (ინტენსიურ) შინაარსს გადმოსცემს (ურუსოვი 1980: 270).

## გამოყენებული ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**გიგინეიშვილი 2016** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ელიავა 1997** – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი-თბილისი.

**თანდილავა 2013** – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.

**ურუსოვი 1980** – Х. Ш. Урусов, Морфемика адыгских языков, Нальчик.

**საბა 1991** – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი.

**საბა 1993** – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი.

**ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

**ქეგლი 1955** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

**ქეგლი 1960** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

**ქეგლი 1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

**ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

**შაგიროვი 1977** – А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков (А-Н), Москва.

**შანიძე 1953** – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953.

**ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

**დ. ჩუბინაშვილი 1984** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**ნ. ჩუბინაშვილი 1961** – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**ჭარაია 1997** – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**A Few Lexicological Findings**

S u m m a r y

The paper discusses the issues of structure and semantics of some Kartvelian and Circassian words.

1. Geo. **xan**-i “time” – Megr. **xon**-eba “fasting, starvation” (cf. Geo. **ᄇᄇ** -**xan**-eba “to spend time, to delay, to be late”).

2. Geo. **kveb**-a “to eat” – Megr. **kvab**-ua “to eat well”, **Kvab**-ua || **ᄇvab**-ua “to eat badly”.

3. Svan **tur**-a “bald” – Megr. **tutur**-ia || **tutur**-ua < \***turturia** || \* **turtur**-ua “hairless”, **tutur**-eli < \***turtur**-eli “bald” (in Megrulian we are dealing with reduplication).

4. Geo. **pwkar**-i “line” – Megr. la-**wkar**-i < \*la-**pwkar**-i “line”.

5. Geo. **bn**-eva “to attach” – Megr. miko-**bun**-apa “load; batch”.

7. Cherk. **baĴä** “jackal” – **baĴä** “fox” + -s’ (a highlighting suffix).

## სვანურ-დაღესტნური იზომოლოგია

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ სვანური ენა, ქართულთან ერთად, მეგრულ-ლაზურთან ერთად, იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის ქართველური ჯგუფის ერთ-ერთი წევრია. ტრადიციულად, სვანური ენის სპეციალისტები ოთხ დიალექტს განასხვავებენ. ბოლო პერიოდის კვლევებში ჩოლურული მეტყველება სვანურის მეხუთე დიალექტად ითვლება. ვიზიარებთ მოსაზრებას, რომელიც ამტკიცებს, რომ პროტოენიდან სხვადასხვა ქართველური ენის გაჩენა განპირობებულია არა ქართველურ ენებზე მოლაპარაკებებს შორის ნათესაობის სხვადასხვა ხარისხით, არამედ ამ დიასისტემებს შორის ენობრივი კონტაქტების შესუსტებით, რაც შორეულ წარსულში განპირობებული იყო გარე ფაქტორებით; როგორებიცაა: შედარებითი ტერიტორიული სიმორე, გადაულახავი დაბრკოლებები - მთა, მდინარე და ა.შ. (ქ. მარგიანი-სუბარი). ამიტომაც, სვანურის შედარებით დამოუკიდებელი განვითარების გამო, ამ ქართველურმა ქვესისტემამ შემოინახა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ზანურ-ქართულში დაიკარგა.

სხვათა შორის, ამავე ენის არქაულობის მამტკიცებელია ასევე სვანურის მორფოლოგიური შეხვედრები დაღესტურ ენებთან, მხედველობაშია: -დ- მორფემიანი ერგატივის პოვნეირება, ორფუმიანი ბრუნება სვანურში და სხვ., რაზეც ცალკე სხვა დროს სპეციალურად ვისაუბრებთ.

ამჯერად წარმოვადგენთ სვანურ-დაღესტნური ლექსიკური შეხვედრების ძირითად ნაწილს; ცხადია, ამგვარი ლექსიკური შეხვედრების არსებობა ენობრივ კონტაქტებს არ უკავშირდება. სვანებსა და დაღესტნელებს შორის ასეთი კონტაქტები ისტორიულად მოსალოდნელი არც არის. ვფიქრობთ, თითოეულ ამ ლექსიკურ ერთეულს ახასიათებს პალეოკავკასიური, ანუ ძირძველი წარმომავლობა;

ამიტომაც მათ ისტორიულ-გენეზისური წარმომავლობის კუთხით განვიხილავთ და მოგვყავს რეკონსტრუირებული არქეტიპების სახით, როგორც ს.-ქართ. და ს.-დად. ფუძემენათა ძირეული ლექსიკური ფონდის განუყოფელი, მკვიდრი ერთეულები.

ს.-ქართვ. \*აჷ- „არა“

სვან. აჷ „არა“

საერთოქართველური წარმომავლობის სიტყვა მხოლოდ სვანურში შემოგვრჩა.

ს.-დად. \*აჷ- „არა“

ლავ. აჷ-, აჷ-ათ „არა“

სავარაუდოდ, ძირად ლაკურში აჷ- გამოიყოფა, ხოლო -ათ კი სუფიქსია.

ლაკურ-სვანურ იზოგლოსთა შესატყვისები ნახურ-სინდური ენებიდან ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. \*ათ-ჷ „ცხელი“

სვან. ათჷ / ათჷი (ლშხ.), ათჷი (ლნტ.) „ცხელი“

ბოლოკიდური ჷ ბალზემოურში მარცვლოვანი გახდა, სხვაგან -ი ზედსართაული (სადერივაციო) აფიქსის წყალობითაა იგი შენარჩუნებული.

ზანურ-ქართული შესატყვისები ვერ გამოვლინდა.

ს.-დად. \*ათან- „თბილი“

ტინდ. ანთა-ლ'ა „გათბობა, შეთბობა“

დიდ. თათან-ჷ „თბილი“

მიუხედავად სტრუქტურული სხვაობისა, საერთო ანთა-/ათან-ფორმები მეორდება. და თუ დიდოური თათან- მათგან განუყოფელი ძირია, მაშინ დგება საკითხი სხვა ქართველურ ძირებთან მისი გენეტიკური კავშირის თაობაზე. ასეთად მივიჩნევთ გახურების აღმნიშვნელ მეგრულ გო-თართ-ალ-აფ-ა ზმნას.

საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. \*ამახჷ- „მტერი; მტრობა“

სვან. ამახჷ „მტერი“, ლი-ამახჷ (ლნტ.) „მტრობა“ ხ-ე-ამახჷ „ემტერება“

სხვა შემთხვევაში სიტყვის ამა-ხუť სახით სეგმენტაცია, როგორც ეტყობა, არ იყო გამართლებული [ჩუხუა 2008 : 399].

ს.-დალ. \*ანახ- „ბრძოლა“

არჩ. ანხ „ბრძოლა“

სიტყვა მხოლოდ ერთ-ერთ ენობრივ ერთეულში არის შემორჩენილი, ამიტომაც საერთოდადესტნური არქეტიპის რეკონსტრუქცია რთულდება. თუმცა ამახუť/\*ანახ- არქეტიპთა ერთიანობა ეჭვს არ იწვევს.

მისაღებია კორელაცია სემანტიკურ დონეზე მტერი / მტრობა ~ ბრძოლა, ანუ ებრძვის / მტრობს.

ს.-ქართვე. \*ანდაუť „ბოთე; მწყემსი“

სვან. ანდაუť „მწყემსი; ბოთე“

კავკასიაში დაქირავებული მწყემსის პროფესია არ მიიჩნეოდა პრესტიჟულად, ამიტომაც სრულყოფილი ადამიანები არ კადრულობდნენ მწყემსობას. ე. ი. უნდა ვივარაუდოთ ბოთე → მწყემსი სემანტიკური ტრანსფორმაცია.

ს.-დალ. \*ანთაუť „გიჟი“

ბეჟ. ანთაუť „გიჟი“

პალეოკავკასიური ძირის ამოსავალი შინაარსი ბეჟიტურმა შემოინახა. სხვა მხრივ სვანურ-ბეჟიტური შესატყვისების მიმართება ეჭვებს არ აღძრავს.

ნახურსა და სინდურში შესაბამის მასალას ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვე. \*ანც-ალ- „ჩრდილი“

სვან. -ანჩალ, მ-ანჩალ „ჩრდილი“

ქართულ-ზანურ შესატყვისს ვერ მივაკვლიეთ; სვანურ მ-ანჩალ-ში კი მ- მასდარულ პრეფიქსად გამოიყოფა, ამიტომაც ძირის ნაწილად არ მოიაზრება.

ს.-დალ. \*ანჩ-უ „ჩრდილი“

ანდ. (რიქვ.) ანჩაუ, ბაგვ. აშაუť, ბოთლ. ანჩაუ, კარ. აჩაუ / ტოკ. ჭანჩაუť-ა, ტინდ. აჩაუ, ღოდ. ჰანჩაუ, ჭამ. აჩაუť / ჰიჰ. ანცუ „ჩრდილი“

სხვა დადესტნურ ქვეჯგუფებში შესაბამისი ალომორფები ვერ დავადასტურეთ. არ ჩანს იზოგლოსები არც სინდურ-ნახურ ენებში. თუმცა, მიუხედავად ამისა, სვანურ-ანდიური პარალელები პალეო-

კავკასიური ეტიმოლოგიის სიტყვებად მიიჩნევა; -ალ და -უ დამოუკიდებელი აფიქსებია, რომლებიც ერთმანეთამდე მატერიალურად არ დაიყვანება.

ს.-ქართვ. \*არსაჲ- „თითბერი“

სვან. (უშგულ.) ორშაჲ „თითბერი“

ფუძე დასტურდება მხოლოდ სვანურში. ვფიქრობთ, მას საერთოქართველური ეტიმოლოგია აქვს, ვინაიდან მეტად საყურადღებო გარეენობრივი იზოგლოსები გააჩნია. ფუძეენურ არქექტიპზე ფიქრისას გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ა → ჶა → ოო დამახასიათებელი პროცესი სვანური სიტყვის ანლაუტში, შდრ. სვან. ოოყალ : ქართ. აყალო.

ს.-დად. \*აზრხ ჶა „თითბერი“

აღ. იჲ, თაბას. იიჲ / (დუბ., კანდ.) იირჲ ← \*იირხ ოო, წახ.

აუხაჶა „თითბერი; სპილენძი“

სპეციალისტები სხვა დადესტნური ენებიდან აქვე მოიხმობენ ლავ. დუჶნი და არჩ. დუჶ „თითბერი; სპილენძი“ სიტყვებსაც, რასაც ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან მათი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. \*ოჶრო „ოჶრო“ არქექტიპში; თუმცა, გავიზიარებთ აბაზ. ხა-აფშ, აფხაზ. ა-ხჯ „ოჶრო“ ალომორფებთან ლეზგიური მასალის ეტიმოლოგიურ კავშირს [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 953].

ჩერქეზული შესატყვისი {არხ ოოჶ} შემონახული ჩანს ოსურ ჶრხ ოოჶ „თითბერი“ ნასესხებ სიტყვაში, რაც ადიღეურ წყაროს გულისხმობს [შდრ. აბაევი 1958, I : 186].

ნახური იზოგლოსები ჩვენთვის უცნობია.

ს.-ქართვ. \*ას- „ზოგჯერ; ხანდახან“

სვან. ეს/მეს „ხან, ზოგჯერ“, ეს-ი-ეს-ინ (ლნტ.) „ხანდახან, ზოგჯერ“, შდრ. აჶს-აჶს-ენ (ბქ.) „id“

თავკიდურა ი სვანურ დიალექტებში ფონეტიკური დანართი ჩანს. ძირის არქაულ გახმოვანებას [ჶ] ბალსქვემოური დიალექტი აჩვენებს.

ს.-დად. \*ანს- „ხანდახან, ზოგჯერ“

ბავ. ანს-ალ'ი, ტინდ. ანშ-აბი, ჭამალ. ანს-ლამა „ზოგჯერ, ხანდახან“

არ ჩანს ს → შ ფონეტიკური გაშიშინების საფუძველი ტინდიურში.

სხვა მხრივ, ს.-დად. \*ანს- : ს.-ქართვ. \*ას- შეპირისპირებას პრობლემები არ ახლავს; სახეზეა სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა.

იზოგლოსებს ნახურ-სინდური ენებიდან ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. \*ას-ე „მსუბუქი“

სვან. ჰჰშ-ი „მსუბუქი“

ბოლოკიდურა -ი სუფიქსი სვანურში კანონზომიერად ასახავს ს.-ქართვ. -ე აფიქსს, რომელიც მეტად პროდუქტიულია ადიექტივებში, შდრ. ქართ. ბრგე : სვან. ბგვი „მაგარი“...

შესაბამისი ძირები ქართულ-კოლხურ კილოებში დაკარგული ჩანს.

ს.-დად. \*ანს-ო „სიმსუბუქე“

ხუნძ. რ-უსო „მსუბუქად ყოფნა“

ცხადია, თავკიდური რ- ფუძეს შეხორცებული გრამატიკული კლასის ნიშანია ხუნძურში. ინტენსივობა [ს] ფუძეეწური ჟ-ს საკომპენსაციო კვალი უნდა იყოს. სიტყვა განმარტოებით დგას ხუნძურში, თუმცა გააჩნია საყურადღებო ლექსიკური პარალელები იბ.-კავკ. ენებში; ამ სვანურ-ხუნძური იზოგლოსის საინტერესო აფხაზურ-ადიღური პარალელი შეიძლება, შემონახული იყოს უბიხურ ას-გ „სწრაფი“ სიტყვაში.

ნახური მასა / მასა „სწრაფი“ ალომორფების აქვე შემოტანა აწყდება გარკვეულ წინააღმდეგობას [შდრ. აბდოკოვი 1983 : 150], უნდა დამტკიცდეს მ-ს პრეფიქსულობა ნახურ ენებში, რაც მეტად სამწინდო საქმეა.

ს.-ქართვ. \*ან- „ზვინი“

სვან. ან „ზვინი“, ლი-ან-ალ-ი „დაზვინვა“, ლგ-ან-ე „დაზვინუ-ლი“



საერთოქართველური ძირი მხოლოდ სვანურს შემორჩა. შეიძლება ითქვას, იბ.-კავკ. მონაცემთა მიხედვით, ლაზურ **ოხინ-ი** „შინაური“ სიტყვაზე ფიქრი, მაგრამ სიტყვის აუსლაუტი ამას გამორიცხავს, თუ **-ინ** ლაზურში არ ჩაითვლება ნათესაობითი ბრუნვის არქაულ ფორმანტად.

ს.-დად. \***წჷ-ალ** „სათივე“

ტინდ. **ეხალ**, ჭამ. **ეხილა** „სათივე“

დიდ. **ჰილუ**, ჰინუხ. **ჰელუ** „სათივე“, сеновал, hayloft

ფონეტიკურად სადა ფარინგალურ **ჯ** აფრიკატს შეეძლო მოეცა როგორც დიდოურ ენათა გამჟღერებული **ღ** ალოფონი, ისე ინტენსიური **ხ** ანდიურ ენებში.

საინტერესო ჩანს უბიხური **ხ<sup>ა</sup>** „ჯიხური“ მონაცემი [ს.-სინდ. \***აჯ<sup>ა</sup>**-ა „ჯიხური“], რომელიც ერთადერთია და აფხაზურ-ადიღურ ენებში. ნახურ ნიმუშებს ვერ მივაკვლიეთ.

სემანტიკური ოპოზიცია ს.-დად. \***წჷ-ალ** „სათივე“ ~ ს.-ქართვ. **ზვინი** ~ ს.-სინდ. **ჯიხური** მისაღები ჩანს.

ს.-ქართვ. \***ბას**-/\***ბს**- „ხელი; ხელში მიცემა“

სვან. **ბმ**- „ხელში მიცემა, მიწოდება“, ხ-ა-**ბმ**-ე „ხელში აძლევს, აწვდის“

ფუძეენური წარმომავლობის რეფლექსი მხოლოდ სვანურს შემორჩა, ისიც როგორც ნასახელარი ზმნა.

ს.-დად. \***ბამ**- თითი“

დიდ. **ბამ**-ა „თითი“

დალესტნური ენებიდან სიტყვა მხოლოდ დიდოურმა შემოინახა. მის ფუძეენურობაზე ჩეჩნური შესატყვისიც მიუთითებს, შდრ. ჩეჩნ. **ბიში** „ბავშვის ხელი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 315], რომელსაც ინგუშურში **ბუშ** „id“ შეესატყვისება.

აქვე მოსახმობი ჩანს ბასკური **beso** [= ბემო] „ხელი“ ფორმაც.

ს.-ქართვ. \***ბედ**- „ახლოს; ახლო“

სვან. **ფედ**-ი/**ფედ**-ი/**ფედ**-ა/**ფედ**-ა „ახლო; ახლოს“

ხშირია სვანური სიტყვის ანლაუტში **ბ** → **ფ** დაყურების შემთხვევები, შდრ. ქართ. **ბოკვ**-ერ-ი : სვან. **ფეკუნ**-ა „ლეკვი“, **ბაკან**-

ი/ფაკან „ჯამი“, ზაყვ-ი/ფეყუ „მხარი“... ამიტომაც ამ ძირშიც იგივე ვივარაუდეთ, რაც შესაძლოა, არ აღმოჩნდეს რეალური, თუ ქართ. **ფერდ-** სიტყვასთან დამტკიცდება ეტიმოლოგიური კავშირი.

ს.-დალ. \***ზდ-** „ახლო; გვერდი“

ბუდ. **ბოდ-გ**, კრიწ. **ბად-ოუ** „ახლო“, ლეზგ. **ფად** „მხარე, გვერდი(თ)“

სხვა ლეზგიური ფორმებიდან თაბ. (ხივ.) **ფათა** „მხარე, გვერდით(ა)“ მიჩნეულია საკუთრივ ლეზგიურიდან გასესხებულ ალომორფად, სამაგიეროდ, ურარტ. *bedə* „მხარე, გვერდით“ კანონზომიერ შესატყვისობას აჩვენებს [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 316].

სინდურ ენათა სათანადო მასალას ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. \***ბეთქ-** „ლამაზი“

სვან. **ბეთქ-**ენ „ლამაზი“, **ბეთქ-**ილ „ზღაპრული გმირი“

შეიძლება, ქართ. **ბუთქვ-**ი / **ბუთქ-**უნა-ა / **ბითქ-**ინ- „გაბითქინებული“ ალომორფებიც აქვე შემოვიდეს, შდრ. მეგრ. **ბეთქ-**ერ-ე / **ბეთქ-**ერ-ია „ტანსრული“ / **ბითქ-**ალ-ი „მსხვილი“. საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს.

ს.-დალ. \***ზართქ-** „ირემი“

დარგ. **ზართქ-**ენ „ირემი“

გამოვრიცხავთ დარგული სიტყვის რამენაირ კავშირს *ულაყის* აღმნიშვნელ ხუნძ.-ანდ. **ზართ-** ძირთან [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 285], ვინაიდან მას დარგ. **მართა-**ა „ცხენოსანი“ სიტყვა შესატყვისება [იხ. აქვე ს.-ქართვ. \***მართუ-ელ-**].

არ ჩანს წინააღმდეგობრივი **ირმის** გადაქცევა *სილამაზის* სიმბოლოდ სვანურში, შდრ. ქართ. შველივით / ირემივით...

და მაინც, საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. \***ბექუ-** „პობა“

სვან. **ფიქუ-**, ლი-**ფიქუ-**ე „პობა“, ა-**ფიქუ-**ე „აპობს“

ფონეტიკური დაყრუების პროცესი რეგრესულ-ასიმილაციური ჩანს – \***ბიქუ-** → **ფიქუ-**. რაც შეეხება ა-ხმოვნის რეკონსტრუქციას საერთოქართველურისთვის, ის ეფუძნება სვანურში საკმაოდ ფარ-

თოდ გავრცელებულ ა → ი დავიწროების ზოგად ტენდენციას, შდრ. ქართ. წამ-ი „თმა; ბეწვი“, სა-წმ-ის-ი : სვან. ჭიმ-ა „pubés“, ქართ. ძალ-ი : სვან. ჯილ „სიმი“...

ს.-დალ. \***ბჰქ** / \***ქჰბ** „პობა; ჭრა“

ანდ. **ქაბ**-, **ქაბ**-ოლლუ „პობა“

თაბ. -**ბქ**-, უ-**ბქ**-უბ „ჭრა, ჩეხა“

სიტყვა განმარტოებით დგას ანდიურ-თაბასარანულში, მაგრამ მისი გარეენობრივი პარალელი სვანურიდან იმაზე მიუთითებს, რომ ორივე ზმნა ფუძეენური წარმომავლობისაა.

მასალის სიმცირის გამო ვერ გავგვირკვევია, სად განხორციელდა მეტათეზისი ანდიურში, თუ – თაბასარანულში. სვანური ალომორფი თაბასარანულის ჩვენებას უჭერს მხარს საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. \***ბეც**- „შეძლება; ძალა“

სვან. **ბაც**-(ა) „შეძლება“, მა-**ბაზ** „id“, ლგ-მ-**ბეც** „ძლიერი, ღონიერი“

საერთოქართველური ფუძე ამ ტიპისა ჯერჯერობით მხოლოდ სვანურშია დამოწმებული. მას სანდო პარალელები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში, რაც ამტკიცებს მის ფუძეენურ წარმომავლობას.

ს.-დალ. \***ცჷჰბ** / \***ცჷჰმ** „სიძლიერე; შეძლება“

ახვ. (სამხრ. დიალ.) **ჩუბ**-დალა „ძლიერი“

დარგ. (სირხ.) **ცუმა**-ცი „ძლიერი“, უსიშ. **ჭომა**-სე / **ჩომა**-სე „ძლიერი“

დამატებითი ფორმები სხვა დადესტნური ქვეჯგუფებიდან ვერ მოვიძიეთ. სამაგიეროდ, აფხაზურ-აბაზური მასალის (აბაზ. **მჩგ** „ძალა; ღონე“, „ძლიერი, ღონიერი“, **მჩგ**-და „უძლური“, აფხ. **ს-მჩ** „ძალა; ღონე“, **ს-მჩგ**-და „უძლური“, **ს-მჩგ**-და-რა „უღონობა“) მოხმობით ირკვევა, რომ დადესტნური ალომორფები შებრუნებული წყობისაა და **ბ/მ** სუბსტიტუციას სიღრმისეული საფუძვლები გააჩნია.

ყველა შემთხვევაში საკითხი დამატებით კვლევ-ძიებას საჭიროებს, რადგანაც ამ ეტაპზე ვერც ჩერქეზული და ვერც ნახური მონაცემები ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. \*ბეხ- „ბატკანი“

სვან. ( ჩზხ.) ბეხ „ბატკანი“

ქართულ შესატყვისად ბეხ-ი „დაბერებული საქონლის“ ფორმის დასახვა გარკვეულ წინააღმდეგობას აწყდება .

ს.-დალ. \*მზხ- „კრავი“

რუთ. მგხ-გლ „კრავი“

დალესტნურში ძირად მგხ-/მზხ- გამოიყოფა, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება სვანურ ბეხ სახელს.

ნახურსა და სინდლურში შესაბამისი ძირები ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. \*ბეჯტ- / \*ბიჯტ- „პობა; ხლეჩა“

სვან. ბეჯტ- / ბიჯტ-, ბეჯტ-ენ-ი → // ბეჯტ-ნ-ი „იპობა, იხლიჩე-ბა“, ბიჯტ-ე „აპობს, შუაზე კვეთს“

ფუძის აბლაუტით [ი/ე] გამორჩეული ზმნური ძირი მხოლოდ სვანურშია პოვნირი. სავარაუდოდ, იგი ფუძეენური წარმომავლობისაა, ვინაიდან სარწმუნო შესატყვისები ვლინდება მონათესავე იბ.-კავკ. ენებში.

ს.-დალ. \*ბეჯტ- / \*ბიჯტ- „დაჭრა, დაჩეხა (მან ის)“

ანდ. ბიჯტუ, ახვ. ბიჯტ-არი, ბოთლ. ბუჯტუ-, ლოდ. ბეჯ-ი „დაჭრა, დაჩეხა (მან ის)“

სიტყვა დამოწმებულია მხოლოდ ანდიურ ქვეჯგუფში, მაგრამ ამავედროულად იგი ნამდვილად ასახავს ფუძეენურ ლექსიკას დალესტნურში. ამაზე ნათელ წარმოდგენას, სვანურთან ერთად, გვიქმნის აბაზური ფჯ-რა / ფჯ-რა „დაჩეხვა მცირე ნაწილებად“ ზმნაც [ს.-სინდ. \*ბგჯ-], რომელშიც ისტორიული გ ხმოვნის რედუქციის მომდევნო საფეხურზე – \*ბგჯ → \*ბჯ- → ფჯ- / ფჯ- ფონეტიკური პროცესები განხორციელდა.

ნახური შესატყვისები ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. \*ბილ- „ტუჩი“

სვან. ბილ „ტუჩი; პირი“

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურში. *პირის* მნიშვნელობის გაჩენა მეტაანალიზის (შეიძლება **პილ** „პირი“ სიტყვასთან კონტამინაციის) შედეგი ჩანს.

ს.-დალ. \***ბილ**- „ტუჩი, ბაგე“

ბეჟ. **ბილ** /**ბელ**, ჰუნზ. **ბილ** „ტუჩი, ბაგე“

საერთოდადესტნური წარმომავლობის ფუძეს მხოლოდ დიდოური ენები ინახავენ. ეჭვს გარეშეა, სვანურ-დიდოური ალომორფები პალეოკავკასიურ ლექსიკურ ფონდს ასახავენ.

საკითხი ისმის ოსური **byl /bilæ** „ტუჩი; კიდე; ნაპირი“ სიტყვის კავკასიური (ნახური) წყაროდან მომდინარეობის შესახებაც [აბავეი I, 1958 : 278].

ს.-ქართვ. \***ბილ**- „თვალი“

სვან. **ბელ**- „თვალი“, სიტყვაში **ბელ**-ად „ელამი; ბრმა“, შდრ. **ბელ**-ად (ბზ.), **ბელ**-ად (ლშზ.), **ბელ**-ა (ბქ., ლნტ.) „ლიბრი, ბისტი“

ვფიქრობთ, სვანური სემანტემები *ელამი* / *ბრმა* / *ლიბრი* თვალის, უფრო ზუსტად, თვალის დეფექტის ან არქონის ნიუანსზეა დაფუძნებული. ასევე იწარმოება, მაგალითად, ქართულში **კუდ**-ისგან **კუდ**-ა, რომელიც ერთდროულად უკუდოსაც ნიშნავს (კუდ-ა ხარი) და კუდიანსაც, ისევე როგორც **თავ**-ა.

აქვე შესაძლებლად მივიჩნევთ სვანურში გამოყოფილ **ბელ**-ძირს დავუკავშიროთ ფშაური **ბილ**-ან-ი „გულუბრყვილო, მიამიტი“. ეს უკანასკნელიც *უთვალოს* შემდგომ ტრანსფორმაციად მიიჩნევა, შდრ. ზან. (ლაზ.) **ბალ**-ა „ყრუ“ (?).

ს.-დალ. \***ბილ**- „თვალი“

ხუნძ. **ბერ** „თვალი“

კრიწ. **ბილ**-, **ბილ**-ად „ბრმა“, ლეზგ. **ჟილ**, უდ. **ფულ**, ხინ. **ფილ** „თვალი“

ზოგ ავტორთან [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 250] ძირ-ფუძეთა ამავე რიგში განიხილება ანდიური **ჰარკუ** „თვალი“ და მისი შესატყვისი სხვა ფორმებიც. ამგვარი კვალიფიკაცია არ ჩანს შესაძლებელი, ვინაიდან ანდიურ ალომორფებს ქართველურში სვან. **ჰარკუ** /**ჰარკუ** (ბქ.) „გუმანი; ეჭვი“ შეესატყვისება. თუმცა აბაზ. **ლა**,

აფხაზ. **ა-ბლა** // **ა-ლა**, უბიზ. **ბლ'ა** „თვალი“ ალომორფების სიტყვა-ფორმათა ამ რიგში განხილვა გასაზიარებელია.

ნახური ალომორფები ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. **\*ბიწ-** „წითელი (ხილზე)“

სვან. **ბიჭ-ა** / **ბიჭ-აი** (ჩოლ.) „მთლად წითელი ვაშლის ჯიში“

როგორც წესი, **-ა** სუფიქსით სვანურში საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი სახელებისა აწარმოებს მქონებლობას: ფისრ-**ა** „წყეული“, ბურღუ-**ა** „მუქი ფერის ხარი“... **ბიჭ-ა** ფორმაშიც *ფერის მქონებლობა* არის რეალიზებული, რაც გვარწმუნებს იმაში, რომ **ბიჭ-** ძირითად სვანურში *წითელ* ფერს აღნიშნავდა, შდრ. **ბიჭ** (ბზ.) „ჭიპი“.

ს.-დალ. **\*ბეჭ-** „ყვავილი; წითელა“

რუთ. **ბიჭ** „ყვავილი“, **ბეჭ-** ბირ „ყვავილი (ავადმყ.)“, ხინ. **ბაყ** „ყვავილი“

ყოველგვარი ცდა ჭიპის აღმნიშვნელი სახელების სიტყვათა ამ რიგში შემოტანისა [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 306] მოკლებულია დამაჯერებლობას; მიზეზი მარტივია - განსხვავებული წარმომავლობა. სავარაუდო ჩანს  $\text{ქ} \leftarrow *x \leftarrow *ჭ$  გამჟღერების სპონტანურ-სპორადული პროცესი ხინალუღურისათვის.

სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით, ს.-ქართვ. **\*ბიწ-** : ს.-დალ. **\*ბეჭ-** უნაკლო ჩანს. შეიძლება სანდო პარალელს ინახავდნენ ასევე აფხაზურ-აბაზური ენები, შდრ.: აბაზ. **ბეჭ**, აფხ. **ა-ბეჭ** „წითელა“, უბ. **ბეჭე** „მეწამული, სიცხით გაწითლებული (წითელა)“ (ს.-სინდ. **\*ბეჭ-ე**).

გვაკლია ნახური იზოგლოსები.

ს.-ქართვ. **\*გუალ-** „ბოსელი“

სვან. (ზს., ქს.) **გუალ** „ბოსელი“

ადრე ვფიქრობდით, რომ სვან. **გუალ** „ბოსელი“ გენეტიკურად ქართ. **გომი**-ი სიტყვას უკავშირდებოდა [ჩუხუა 2000-2003 : 86], რაც შემდგომი კვლევებით არ დადასტურდა. არგუმენტად მაშინ ქართ. **მ** : სვან. **ლ** შესატყვისობას მოვიხმობდით (შდრ. ქართ. ქათამ- : სვან. ქათალ „id“), თუმცა აუხსნელი გვრჩებოდა თავად **გუემ** / **გემ** „გომური“ ალომორფების პოვნიერება სვანურშივე.

ს.-დად. \***გტპრ**- „შემოკავებული ადგილი“  
ხუნძ. **გორ-ენ** „შემოკავებული ადგილი საქონლისათვის“  
ბუდ. **გირ-იჯ** „ეზოს წინა ნაწილი“, თაბ. **გურ** „ღობე“, წახ. **გორ**  
„სასაზღვრო ღობე“

სუფიქსები **-ენ** ხუნძურში და **-იჯ** ბუდუხურში ფუძეენური მონაცემი არ ჩანს, თუმცა აქედან **-ენ** მეორდება ოსურ **გორენ** ნასესხობაშიც, რომელიც ხუნძურიდან უნდა იყოს შეთვისებული [აბაევი 1958, I : 524-525]. ფონეტიკურად სახეცვლილი **-ან** კი მეორდება ყაბარდოულ **გტპრ-ან** „შემოკავებული ადგილი“ სიტყვაში [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 452], შდრ.: უბ. **გტალ-წ** „შემოკავებული ადგილი“, აფხ. ა-**გტპრ**-ფ „კარ-მიდამო“ (ს.-სინდ. \***გტპრ**-). აქ **რ** → **ღ** გვიანდელი, საკუთრივ უბიხური, მოვლენაა.

სემანტიკურ-სტრუქტურულ იგივეობას ამყარებს სონორული ოპოზიცია ს.-ქართვ. **ლ** : ს.-დად. **რ** : ს.-სინდ. **რ**, რაც რეგულარულ-კანონზომიერი მოვლენაა.

ს.-ქართვ. \***გიგ-ა** „სიდედრი/დედამთილი“  
სვან. **გიგა** „სიდედრი/დედამთილი“, „დედა, მამიდა, ბიცოლა“  
სიტყვა მხოლოდ სვანურს შემორჩა, მაგრამ არ არის ნასესხები კავკასიის სხვა ენებიდან.

ს.-დად. \***გგგ**- „სიმამრი“  
რუთ. **გგგ**-/**გაგ**- „სიმამრი“, შდრ. **გგგ-გმ/გგგ-ამ** „ბიძა“  
არ გამოვრიცხავთ თაბ. იმ-**გაგა** „ბაბუა“ სიტყვასთან გენეტიკურ კავშირსაც, მაგრამ, რაც შეეხება წ.-თუშ. **წგ** „ბები“ სიტყვას, ალბათ, სხვაგვარ წარმომავლობას გულისხმობს.  
საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. \***გუნ-ა** „მური, ჭვარტლი“  
სვან. **გუნ-ა**, **გუნ-წ-მ** /**გუნ-წ/გურ-ა-მ** „მური, ჭვარტლი“  
სიტყვა განმარტოებით დგას სვანურში, მაგრამ არ მიიჩნევა ნასესხებ ლექსიკურ ერთეულად, ვინაიდან სანდო შესატყვისები იძებნება ლეზგიურ ენებში.

ბოლოკიდური **-მ** სახელობითი ბრუნვის ძირს შეხორცებული მარკერია.

ს.-დალ. \*გუმ-ა „კვამლი“

აღ. ქუმ, თაბ. ქუმ, ლეზგ. გუმ, წახ. ქუმა „კვამლი“

ყველაზე სრულად სიტყვა წახურში ჩანს შემორჩენილი, რაზეც სვანურთან საერთო ა დაბოლოებაც მეტყველებს. სამაგიეროდ არქაული ანლაუტი ლეზგიურ ენას დაუცავს.

ნახურ-სინდური კანონზომიერი შესატყვისები ვერ მოვიძიეთ [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 590].

ს.-ქართვ. \*დაჯ- „სუსტი“

სვან. თგჯ „სუსტი“

ფუძეენური წარმომავლობის სიტყვა მხოლოდ სვანურშია შემორჩენილი. უნდა ვივარაუდოთ ს.-ქართვ. ა → სვან. გ, შდრ. ქართ. მატლ- : სვან. მგტ- „მატილი“...

ს.-დალ. \*დაჯ-ო „სუსტი“

ხუნძ. {თოხაჟ}

ჭამ. თოხ-ა-ბ „სუსტი“

ბეჟ. დახ-ო „სუსტი“

ხვარშიული თოხაჟ „id“ რომელიდაც ხუნძური ენის დიალექტებიდან ჩანს შეთვისებული. დასაშვებია ჯ → ხ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ დონეზეც.

ს.-ქართვ. \*დაჯ- „სუსტი“ : ს.-დალ. დაჯ-ო „სუსტი“ არქეტიპების კანონზომიერი შესატყვისები ნახურ-სინდური ჯგუფის ენებში ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. \*დე „არ(ა), უარყოფითობის პრეფიქსი“

სვან. დე- „არ“ (პრეფიქსული ნაწილაკი) : დე-თჷდ, დე-თჷდ (ლნტ.) „არც“, დე-მ-შუ „არაფრით“, დე-რ „არ; არა“, დე-მა, დე-მა (ლნტ.) „არა, არ“

უარყოფითობის პრეფიქსად დე- მხოლოდ სვანურშია პოვნიერი, რომელსაც ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს. ამაზე იბერიულ-კავკასიური შესატყვისები თვალნათლივ მეტყველებენ.

ს.-დალ. \*დჯ „არა, უარყოფითობის პრეფიქსი“

აღ. და-/და-ვა, ხინალ. დი-მჷ, წახ. დი „არა“, შდრ. უდ. თჷ, არ-ჩიბ. ტო „id“.



ზემოთ აღწერილ ქართველურ აფიქსთა (ნაწილაკთა) რიგში განიხილება დაღესტნური მასალაც; აქვე მხედველობაშია მისაღები უარყოფითობის ნაწილაკების პრეფიქსულობა სვანურ-ლუზიურში, მაშინ, როდესაც აფხაზურ-აბაზურში -და „უქონლობის აფიქსი“ (აბაზ. ჯა-და „უთავო“, აფხ. ხგ-და „უთავო“) მხოლოდ სუფიქსად ფიქსირდება.

გარკვევას ითხოვს -მა / -მწ (შდრ. აღ. -ვა) იდენტურ სეგმენტთა ფუნქცია სვანურ-ხინალულურში (ორმაგი უარყოფა?).

ნახური ნიმუშები ჩვენთვის უცნობია.

ს.-ქართვ. \*დეს- „არ; არა“

სვან. დეს-ა (ბზ., ლშხ.), დეს-ა (ლნტ.) „არა; არ“

ქართველურ სამყაროში განმარტოებით დგას სვანური ალო-მორფები, რომელებსაც მეტად არქაული (ფუძეენური) წარმომავლობა ახასიათებს. ამას ცხადყოფს როგორც ხათური, ისე დაღესტნური იზოგლოსები.

ს.-დაღ. \*დემ „არა“

წაზ. დემ „არა“

დაღესტნური ჯგუფის სხვა ქვესისტემებში შესაბამისი ნაწილაკი არ იძებნება; ალბათ, კანონზომიერი შესატყვისები დაიკარგა. მეტი ღირებულებისაა ხათური **taš** (=daš) „არა“ სიტყვის ჩვენება, რომელიც წინარესინდურში წ.-სინდ. \*დწმ- არქეტიპის არსებობაზე მიუთითებს.

ფონეტიკურად, საყურადღებო ჩანს სვანურ-წაზური ე/ე გახმოვანება ხათური ა სადა ხმოვნის საპირისპიროდ.

ს.-ქართვ. \*ესა „თუ“

სვან. ესა (ბზ., ლშხ.) ესა (ლნტ.) „თუ, თუკი“, შდრ. ესა-მა, ესა-მა „თუ რამე (თურამ)“

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურში, მაგრამ მას ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს.

ს.-დაღ. \*ისე „თუ“

ხინ. ისე „თუ“

მასალის სიმცირის გამო, ძნელია ხმოვნურ მიმართებებზე რაიმის გადაჭრით მტკიცება, მაგრამ, რაც უეჭველია, სვანურ-ხინალულ-

ღურ იზოგლოსებს აერთიანებთ სტრუქტურულ-სემანტიკური იგი-  
ვეობა.

სათანადო ნახურ-სინდურ მასალას ამ ეტაპზე ვერ მივაკვლი-  
ეთ.

ს.-ქართვ. \***ჴიდ-** „ცვარი; წვეთი“

სვან. (ლშხ.) **ჴიდ** „ცვარი; წვეთი“

სპეციალურ ლიტერატურაში უთითებენ **ჴედ** ალომორფსაც სვანურში [კლიმოვი, ხალილოვი 2003 : 255], რაც ნიკო მარის მას-  
ლებიდან უნდა იყოს ამოკრებილი და მეტად მნიშვნელოვანია. ჩვენს  
ხელთ არსებულ სხვა მასალაში **ჴედ** ალომორფი არ დასტურდება.

ს.-დად. \***ჴოდ-** „ცვარი“

წახ. **ჴოდ** „ცვარი“

სიტყვა განმარტობით დგას წახურ ქვესისტემაში, რომელსაც  
კანონზომიერად შეესატყვისება სვანური ალომორფი.

ს.-ქართვ. \***ჴიდ-** : ს.-დად. \***ჴოდ-** „შეპირისპირებაში ახსნას  
ითხოვს ხმოვნური ი/ო მიმართება; მაგრამ მასალის სიმცირის გამო,  
რაიმის გადაჭრით თქმა ჭირს.

ს.-ქართვ. \***ზექ-** „შეშა; ხე“

სვან. **ზექ** „შეშა; ხე“, **ზექ-მეხირ** (ბქ.) „შეშა-კვარი“, **ზექ-რა** „მე-  
ლური“

სიტყვა განმარტობით დგას სვანურში, მაგრამ ამავდროულ-  
ლად მოეპოვება სარწმუნო პარალელები სხვა იბ.-კავკ. ენებში. მისი  
შესაძლო კავშირი ქართ. **შეშა**, ზან. **დიშქა** ფორმებთან (ზ. ჭუმბური-  
ძე) გამოირიცხება.

ს.-დად. \***ზაქ-** „ხე; მუხა“

ხვარშ. **ზიქა** „მუხა“

დარგული **ზეხ**-ნი „ხე; მორი“ შეიძლება განსხვავებული ეტი-  
მოლოგიის სიტყვა იყოს, შდრ.: ბეჟ. **წიხ** „ხის ნაფოტი“... [სტაროსტი-  
ნი, ნიკოლაევი 1994 : 372]. სამაგიეროდ, სხვა პარალელებიდან საყუ-  
რადღებოდ გვეჩვენება ინგუშური **ზაგ-ალ** „ჯოხი“ სიტყვა, რომელიც  
განმარტობით დგას ნახურ ჯგუფში. წინარესინდურისებურ ვითა-  
რებას ასახავს ხათური **ziher** „სამშენებლო ტყე; ხე“ ლექსემა, რომლის

ღ გრაფემით გამოხატული ფონემის ბუნებაზე მსჯელობისას რეალური გვგონია ყრუ ფშვინვიერ ჰ ფარინგალურ სპირანტთან მისი გაიგივება.

ს.-ქართვ. \***ზჷრ**- „ძერა“

სვან. **ჟჷრინა / ჟჷრინა / ჟინა** „ძერა“

ფუძე-ენაში რ ვიბრანტის რეკონსტრუქცია ეფუძნება ჩვენს ენებში აპრობირებულ ბგერათშესატყვისობას ქართ. რ : სვან. ნ, შდრ. ქართ. ჯარ-ი : სვან. ჯან „ხარი“...

ს.-დად. \***ზჷრ-ე** „ქორი“

თაბას. **ჟჷრე** „ქორი“

როგორც ქართველური ნიმუში აჩვენებს, თაბასარანული უმლაუტიანი ჟ მიღებულია ჴი თანმიმდევრობისაგან, რაც სავსებით ბუნებრივი ჩანს.

სინდურ-ნახურ ენებში შესატყვისებს ვერ მივაგენით.

ს.-ქართვ. \***ზიგ**- „ტკვილი; დაავადება“

სვან. **ზიგ- / ზიგ-**, ლი-**ზგ-ე**, ლი-**ზიგ** (ბქ.) „ტკვილი“, მწ-**ზიგ**, მა-**ზიგ** (ლშხ.) „ტკვილი; სენი“, ხ-ე-**ზგ-ი** „სტკივა“

სხვა ქართველურ ქვესისტემებში შესატყვისებს ვერ ვხედავთ. არც სესხების სავარაუდო წყარო ჩანს სვანურისთვის. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ **ზიგ- / ზგ-** ზმნა ფუძეენური წარმომავლობისაა.

ს.-დად. \***ზიგ**- „ტკვილი; ლობა“

ანდ. **ზიგ-არ-**, **ზიგ-არ-დუ** „ტკვილი“, ახვ. **ზიგ-არ-ილ-**, ბოთლ. **ზიგ-არ-ილ-ა**, ლოდ. **ზიგ-არ-ისა** „კვნესა“

დიდ. **ზიქ-** „ლობა“, **ზიქ-ასი** „დამპალი“

სიტყვა ეულად დგას ანდიურ-დიდოურ ენებში, მაგრამ, გამომდინარე ქართველური შესატყვისიდან, იგი საერთოდადესტურის წარმომავლობის ერთეულად გვესახება. -არ კი საკუთრივ ანდიური აფიქსი ჩანს.

ს.-დად. \***ზიგ-არ-** „ტკვილი; ლობა“ : ს.-ქართვ. \***ზიგ-ტკვილი**“ არქეტიპის პარალელებს სინდურ-ნახური ჯგუფის ენებში ამ ჯერზე ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. \***ზომ-** „დაშლა, რღვევა“

სვან. **ჟომ-ჟუმ-**, ი-**ჟუმ-**ი/ი-**ჟომ-**ი (ლნტ.) „იშლება; ირღვევა“, ა-**ჟუმ-**ე/ა-**ჟომ-**ე (ლნტ.) „არღვევს; შლის“

საერთოქართველური არქეტიპი რეკონსტრუირდება მხოლოდ სვანური მონაცემების ნიადაგზე, რომელსაც ადრე სხვა შესატყვი-სებს ვუძებნით [ჩუხუა 2002-2003 : 185].

ს.-დად. \***ჟუმ-** „რყევა; ჩამოცურება“

ხუნძ. **ჟუნ-**იზე „რყევა; ჩამოცურება“

მიუხედავად იმისა, რომ სხვა დადესტნური საკონტროლო ენობრივი მასალა არ ჩანს, მაინც გვგონია, რომ **მ** → **ნ** აქაც საკუთრივ ხუნძური ინოვაციაა (ემენ-//ემემ- „მამა“, წან/წამ „მარილი“...). ამგვარ დაშვებას გაგვიმყარებს სინდური შესატყვისიც - აბაზ. **მეჟ-**რა, აფხ. აი-**მეჟ-**რა „დაშლა“, ეი-**მრჟ-**უეიტ „შლის“, რომელიც შებრუნებული წყობისაა.

ნახური ენებისთვის ამგვარი ზმნა უცხოა.

ს.-ქართვ. \***თაჟრ-** „ჩირქი, ბალღამი“

სვან. **თაზრ**, **თაზრ** (ლშხ.) „ჩირქი, ბალღამი“

ხმოვანთა სიგრძე, რომელიც მეორდება ბალსზემოურში, ლამ-ხურსა და ჩოლურულში, აუცილებლად გულისხმობს რაღაც თან-ხმოვნური სეგმენტის გაუჩინარებას ისტორიულად. ასეთად ვვარაუდობთ **ჟ** სონანტის პოვნიერებას სვანურ ძირში, რომლის დაკარგვამაც გამოიწვია წინამავალი ხმოვნის საკომპენსაციო სიგრძე.

ს.-დად. \***თაჟარ-** „ლპობა, დაჩირქება“

ხუნძ. **თურ-** „ლპობა“, **თურ-**არ-ა-ბ „დამპალი“

აზვ. **თურ-** „ლპობა; დაჩირქება“, **თურ-**არ-ა-ბ „დამპალი“, ბაგვ. **თორ-** „ლპობა“, **თორ-**დ-უ-ბ „დამპალი“, კარ. **თორ-** „ლპობა; დაჩირქება“, **თორ-**ო-ბ „დამპალი“, ტინდ. **თორ-** „ლპობა“, **თორ-**დ-უ-ბ „დამპალი“

არჩ. **თაჟა-**ს „ჭკნობა“

რატომდაც, ზოგჯერ სიტყვათა ამ რიგში განიხილავენ ბეჟ. **თოთო**, ჰინ. **თეთუ**, ჰუნზ. **თედუ** „არაჟანი“ ალომორფებს [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 658], რაც მიუჩვენებელია როგორც სემანტიკური, ისე ფორმალური თვალსაზრისითაც. გასაზიარებელია **ჟა-თა-ფს** „ბაყლი, ბალღამი“, აფხ. ა-**თაჟ** „ჩირქი, ბალღამი, ბაყლი“, აბაზ. **ჩაჟა**

(← \*თუა) ალომორფებთან შემოთავაზებული ეტიმოლოგიური კავშირი, რასაც სვანურის მხარს უჭერს.

ნახურ შესატყვისებს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. \*თათ- ჭუჭყი“

სვან. თათ-/თთ-, ი-თთ-ი „ჭუჭყიანდება“, მგ-თთ-არ-ი „გამჭუჭყიანებელი“, ნა-თთ-არ „განაჭუჭყიანები“

შესატყვისებს ქართულ-ზანურში ვერ ვხედავთ, მაგრამ სვანური ალომორფები ფუძეენურ ძირს წარმოგვიდგენენ.

ს.-დად. \*თათ- „ჭუჭყი; მტვერი“

ახვ. თათ-ა „მტვერი“

ბეჟ. თათ-ო „ჭუჭყი; მტვერი“, დიდ. თუთ-ურ-უ, ჰინ. თუთ-ურ-უ „ჭუჭყიანი“

ლავ. თანთ-ა „სხელის ჭუჭყი“

ინლაუტური ნ ლაკურში ფონეტიკური ჩანართია, ხოლო ა → უ დიდოურ-ჰინუხურ ქვესისტემებში აფიქსისეულ (-ურ-უ) ხმოვნებთან ასიმილაციის შედეგი ჩანს [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 991].

ნახურ-სინდურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. \*თეტ- „სადგისის გარჭობა“; თეტ-ენ „სადგისი“

სვან. თეტ-ენ „სადგისი“

სვანურში თეტ- ძირად გამოიყოფა, საიდანაც -ენ სუფიქსის დართვით ნაწარმოები ჩანს თეტ-ენ „სადგისი“ სახელი. თეტენ „სადგისი“ ფორმის ადილურიდან შეთვისება ჩვენთვის მიუღებელია, ამგვარი მტკიცება მეტ არგუმენტაციას მოითხოვს [შდრ. როგავა 1956 : 129].

ს.-დად. \*ტელ-ენ „ნემსი“

ხუნძ. (ჰად.) ტუკენ ← ტულენ „ნემსი“

სვან. **შგებ-/შკებ-**, ხ-**შგებ-ე/ხ-შკებ-ე** (ლნტ.) „ამრობს; მოაშორებს, მოაცილებს“

ადრე ვფიქრობდით და ახლაც გავიმეორებთ, რომ შეიძლება, მეგრული **შვებ-/შვებ-**ელ-უ-ა „მოდრობა“ ზმნა ქართულში დაკარგულ სახეობას ინახავდეს [ჩუხუა 2000-2003 : 290].

ს.-დად. \***ლ'ობ-** „დაშვება; დაცვენა“

ახვ. **ლ'ობ-**ეფ- „დაშვება; დაცვენა“

სიტყვა განმარტოებით დგას ახვახურში, მაგრამ ფუძემეურნი წარმომავლობისა ჩანს, ვინაიდან საკმაოდ ადვილი დასანახია სტრუქტურულ-სემანტიკური ერთგვაროვნება ქართველურ ალომორფებთან. ამას, თავის მხრივ, ეხმიანება კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობა ს.-დად. **ლ'** : ს.-ქართვ. **შ**.

უბიხური **შტა-** „დაშვება“ ზმნა აქ ვერ იქნება განხილული [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 602-603], ვინაიდან მას სხვაგვარი შესატყვისები აღმოაჩნდა [იხ. ჩუხუა 2017 : 450].

ს.-ქართვ. \***შტიმ-** „მჟავე წყალი“

სვან. **სგიმ / სკიმ** (ლნტ.) „მჟავე წყალი“

გამყრელიძის კანონის მიხედვით, სვანური სგ/სკ კომპლექსების ამოსავალი საერთოქართველური წყარო ლაბიალიზებული **შტ** კომპლექსი უნდა ყოფილიყო, რისი კიდეც ერთი გამოვლინებაც სვან. **სგიმ / სკიმ** (ლნტ.) „მჟავე წყალი“ ალომორფები უნდა იყოს.

ქართულ-ზანური შესატყვისები არ ჩანს.

ს.-დად. \***ლ'ტემ-** „წყალი“

ხუნძ. **ლ'იმ / ლ'ინ / კუს. სიმ** „წყალი“

ანდ. **ლ'ენ-**ი / რიქვ. **ლ'ენ**, ახვ. **ლ'ენ-**ი, ბავგ. **ლ'ენ**, ბოთლ. **ლ'ენ-**ი, კარ. **ლ'ენ-**ი, ტინდ. **ლ'ენ**, ლოდ. **ლ'ენ-**ი, ჭამ. **ლ'ინ / ლ'ინ** „წყალი“

ბეჟ. **ბი**, დიდ. **ბი**, ინხ. **ბონ**, ხვარშ. **ბან**, ჰინ. **ბე**, ჰუნზ. **ბენ** „წყალი“

ლაკ. **შინ** „წყალი“

დარგ. **შინ / სირგ. ჰინ** „წყალი“

არჩ. **ლან**, ად. **ხედ / შედ**, ბუდ. **ხედ**, თაბ. **შიდ**, კრიწ. **ხანდ**, ლეზგ. **ად**, რუთ. **ხანდ**, უდ. **ხე**, წახ. **ხან**, ხინ **ხუ**, ერგ. **ხენ-**ი „წყალი“

ფუძის ანლაუტური თანხმოვნის ლაბიალიზებული ბუნების სამტკიცებლად რელევანტურია ინხოყვარული **ო** და ხინალუღური

უ გახმოვანებები, რომლებიც, შესაბამისად, **ჭა** და **ჭგ** თანმიმდევრობათა შერწყმითაა მიღებული.

ნახური ენების **ხი / ხიი** „წყალი“ განსხვავებული წარმომავლობისაა, თუმცა ჰურიტული **შიია** „წყალი; მდინარე“ ფორმასთან ზემოთ აღწერილი ალომორფების გენეტიკური ერთიანობის დაშვებას მყარი არგუმენტები გააჩნია [დიაკონოვი, სტაროსტინი 1986 : 49].

ს.-ქართვ. \***ცად-** „წასვლა“

სვან. **ჩედ-**, ლი-**ჩედ** „წასვლა“, ა-**ჩაღ** „წავიდა“, მგ-**ჩედ** „წამსვლელი“

იმავე სვანურში **ი/ე** გახმოვანებით საძიებელ ზმნას მოეპოვება *გადაცდენის* შინაარსიც, ლგ-**ჩიდ** „დაცდენილი“, ლგ-ნ-**ჩედ**-ე „id“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართ. გა-**ცდ-**ა, გადა-**ცდ-**ა და ა.შ. ფორმებში გამოყოფილი **ცდ-** ზმნაც ამავე ეტიმოლოგიისაა [ჩუხა 2000-2003 : 334].

ს.-დად. \***ჩად-** „შესვლა“

ად. **ჩად-**, ა-**ჩად-**ის „შესვლა“

დადესტნური შესატყვისი მხოლოდ აღულურმა ენამ შემოინახა. ზმნათა სემანტიკური მხარე, რაც *წასვლა/შესვლის* მნიშვნელობით შემოიფარგლება, ეტიმონად *სიარულს* გულისხმობს.

ნახურ-სინდურ ენებში შესაბამისი მასალა ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. \***ცაჭტ-** „ორმო“

სვან. **ჩაჭტ** (მრ. რ. **ჩაჭტ-არ**) „ორმო“

სიტყვა მხოლოდ სვანურშია შემორჩენილი, მაგრამ უთუოდ ასახავს ფუძეენურ რეფლექსს. ამას ნახურ-დადესტნური იზოგლოსებიც ცხადად აჩვენებენ.

ს.-დად. \***ცაჭტ-რ** „ორმო; ხვრელი“

ხუნძ. (ჭად.) **ჩუყტ-რ** „ხახა“

ბეჟ. **ჩაბრტ** „ღარი“

ლავ. **ცუჭ** „ხვრელი“

დარგ. (ჩირ.) **ჩაჭტა** „ორმო“

ად. **ჯუყ**, თაბ. **ჯუყუყ** „ანუსი“

ვეთანხმებით ჩეჩნურ **ჩორღე** „ღარი; არხი“ სიტყვასთან დადესტნური ალომორფების გენეტიკური ერთიანობის იდეას

[სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 351], რასაც ვერ ვიტყვით ბეჟ. ჟუდ. ჰუნზ. ჟოდ „ფანჯარა“ სიტყვებთან მიმართებით. ეს უკანასკნელი სხვაგვარი წარმომავლობისა გვგონია [იხ. აქვე].

ავხაზურ-ადიღურ ენებში სათანადო მასალა ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. \*ცჳერ-/\*ცჳირ- „მიტოვება“

სვან. ცჳერ-/ცჳერ-, ცჳერ-ნ-ი „რჩება“, ცჳირ-ე „ტოვებს“

აბლაუტური [ე/ი] ზმნაა სვანურში; სავარაუდოდ, ინახავს ფუძეენურ რეფლექსაციას.

ს.-დად. \*=ჩირ- „დატოვება“

ბოთლ. =იჩირ-, =იჩირ-ა, ღოდ. =იჩირ-, =იჩირ-ა „დატოვება“

დადესტნურში სახეზეა მხოლოდ ი გახმოვანება, მაშინ, როდესაც ე/ი აბლაუტი სვანურში მოქმედია (გვარებს განასხვავებს).

სვანურ-ანდიურ ზმნათა ერთიანი წარმომავლობა როგორც სტრუქტურული, ისე შინაარსობრივი იგივეობით.

ს.-ქართვ. \*ცი- „ყველა/ყოველი“

სვან. ჩი „ყველა“, ჩი-ნ „ყველაზე“, ჩი-ემ „ყველამ“, ჩი-წგ/ჩი-წგ „ყველგან“, ჩი-გარ „ყოველთვის“

ქართულ-ზანური კილო-თქმები ამ რიგის ნაცვალსახელს არ იცნობს, ცხადია, სვანური ჩი საერთოქართველური წარმომავლობისაა, რასაც დადესტნური პარალელები ამტკიცებენ.

ს.-დად. \*ცი-/\*ცჳი- „ვინ; რა“

ახვ. ჩუ-ჴ-ი „ვინ“, ჩუ-ბ-ი „რა“, შდრ. ჩუ-ბ-ი-და, ჩუ-გა-დალა „ყველა“

ლავ. ცი „რა“, ცუ „ვინ“

დარგ. ჩი „ვინ“

უდ. შუ „ვინ“, ხინ. ჩუ „სად“, ჩინ-ელ „ყველა“, შდრ. ბუდ. ში, კრიწ. ში, რუთ. ში-ჴი, წახ. (ერგ. ბრ.) ნი-შე „რა“, დიდლოური შომო „რამდენი“ და მისი დადესტნური შესატყვისები სხვაგვარი ეტიმოლოგიის სიტყვებია და აქ ვერ იქნება განხილული [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 351], ვინაიდან მათ ს.-ქართვ. \*სომ- (იხ. აქვე) შესატყვისება.

ს.-ქართვ. \*ციდ- „ყველა“  
სვან. **ჩიდ/ჩიდ** „ყველა“, შდრ. **ჩინ-**, **ჩინ-**უკუთმ „ყველა სახის“  
შესატყვისებს სხვა ქართველური ენა-კილოებიდან ვერ მივაკ-  
ვლიეთ. თვით სვანურშიც საგრძნობია **ჩინ-/ჩიდ-** სუბსტიტუცია [იხ.  
აქვე ს.-ქართვ. \*ცი- „ყველა/ყოველი“].

ს.-დად. \*ჩიდ-ირ- „ზოგი“  
დარგ. **ჩიდირ-**ილ „ზოგი“  
სვანურ-დარგულ იზოგლოსებს აერთიანებთ სტრუქტურულ-  
ლი იგივეობა; სემანტიკურად *ყველა ~ ზოგი* შეიცავს *ერთი/ერთი-  
ნის* ეტიმონურ გაგებას.

ს.-ქართვ. \*ცხ- „ცივი; სიცივე“  
სვან **ცხ-**, მგ-**ცხ-**ი „ცივი“, მწ-**ცხ-**ან „სიცივე“  
ძირად გამოყოფილი **ცხ-**ს გენეტიკური კავშირი ძვ. ქართულ  
**ცხრ-**ო სიტყვასთან [ჩუხუა 2008 : 595] არ დადასტურდა; ამიტომაც  
საჭიროა, დაიძებნოს სხვა ზანურ-ქართული შესატყვისები.

ს.-დად. \*ჩჯჷ- „სიცივე; წვიმა“  
ხუნძ. **ჩიჯა** „თქორი“  
ლაკ. **ჩჷტჷ**-ა „კოკისპირული წვიმა“  
არჩიბ. **ჩუბხა**-უნ „მცირედ გაწვიმება“, კრიწ. **ჩეუბ**-უნ  
„ქარბუქი“, show-storm, უდ. **ჩახ** „სიცივე; ყინვა; ყინული“

განსხვავებით უდიურ-ხუნძურისაგან, ლაბიალური სეგმენ-  
ტის ბ/ჷ რეალური ფაქტია სხვა დადესტნურ ენებში. და თუ ქართვე-  
ლური **ცხ** ამ მხრივ უდიურ-ხუნძურს მიჰყვება, ჩვენ მიერ მოძიებუ-  
ლი ნახური მასალა ისევ ლაბიალიზებულ ნიმუშებს წარმოაჩენს,  
შდრ.: ჩეჩნ. **ჩოუბხ-უო/ჩოუბხ**-ორ, ინგუშ. **ჩოუბხ**-ან „გაყინვა, დაზრობა“.

სინდური ენებიდან საინტერესო ჩანს აბაზური, სადაც ძირად  
**ცჷა-** გამოიყოფა რთული შედგენილობის **ცჷა-შჷტ** „ყინული“  
სიტყვაში.

ს.-ქართვ. \*ცხ- „ზრდა, მატება“  
სვან. **ცხ-**, ლი-**ცხ-**ემ „გაზრდა, მატება“, ი-**ცხ-**ემ „იზრდება,  
მატულობს“



სხვა ქართველურ ქვესისტემებში შესაბამისი ზმნები დღემდე არ არის გამოვლენილი.

ს.-დალ. \***ჩხ**- „გამოზრდა“

ხინ. **ჩხ**-, **ჩხ**-ი-ქტი-ი „გამოზრდა“

თუ ხინალულური **ჩხ**- ზმნა წარმოშობით არის ნასახელარი და უკავშირდება **ჩხი** „დიდი, მასიური“ ზედსართავ სახელს, მაშინ ჩვენი დაკავშირება აზრს კარგავს [იხ. ჩუხუა 2017 : 294]. მაგრამ, თუ სვანური **ცხ**- დამოუკიდებელი ზმნაა, ეს იმას ნიშნავს, რომ აქვე შემოვა სხვა სინდური მასალა, შდრ. უბიხ. **ცახტ**- „მეტი“.

ს.-ქართველ. \***ძიძიბ**- „მუნი, ქეცი“

სვან. **ძიძიბ** „მუნი, ქეცი“

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურ ქვესისტემაში; თუმცა შესაძლებელია, ფუძეენურ რეფლექსს ასახავდეს.

ს.-დალ. \***ჯიჯუტი** „მუნი, ქეცი“

ლაკ. **ჩაუჩაუი** „მუნი, ქეცი“

თუ გავითვალისწინებთ **ჯ** → **ჩ** დამახასიათებელ მჟღერთა დაყრუების მოვლენას ლაკურში, ფუძე-ენისთვის **ჯ** სიბილანტიანი არქეტიპი უნდა აღვადგინოთ, რომლის ფინალური ლაბიალიზაცია სვანურ შესატყვისთან შედარების გზით ხდება ახსნადი.

ს.-ქართველ. \***წარდ**- „ცუდი ამინდი“

სვან. (ჩოლ.) **წარდ** „ძლიერ ცუდი ამინდი“ (ა. ლიპარტელიანი).

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურში, მაგრამ ასახავს ფუძეენურ რეფლექსს. ამას ნახურ-დადესტნური იზოგლოსები თვალნათლივ წარმოაჩენენ.

ს.-დალ. \***წად**- „წვიმა; ცვარი“

ხუნძ. **წად** „წვიმა“

ანდ. **წა** ← **წარ**, ახვ. **წარ**-ი, ბაგვ. **წაამ**, ბოთლ. **წაამ**, კარ. **წაამ/წაომ**, ტინდ. **ცაამ**, ლოდ. **ცაამ**-ი, ჭამ. **სა** ← **წარ** „წვიმა“  
თაბ. **წარ**-ლ-ულ, აღ. **წარ** /ზურშ. **წარ**-ალ „ცვარი“  
უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან **წვეთისა** და **ცვარის** აღმნიშვნელი ფორმები, რის აუცილებლობაზე თაბასარანული **წარ**-

ლ-ულ „ცვარი“ და წად-ალ „წვეთი“ სიტყვათა კორელაცია თვალნათლივ მეტყველებს. თუმცა ამავე კონტექსტში ვიზიარებთ ჩეჩნ. დერზ/დერძ, ინგუშ. დარძ/დარც, „წვრილი წვიმა“, წ.-თუმ. დარწ-ოლ „უამინდობა“ შებრუნებული წყობის ალომორფების შემოტანის აუცილებლობას [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 353].

ს.-ქართვ. \*წაჰ- „მჟლე“

სვან. წჰჰ-ი „მჟლე“

ამ შემთხვევაში ფუძეენური მდგომარეობისათვის ჰ-ს რეკონსტრუქცია მხოლოდ სვანურ მონაცემს ეყრდნობა, ამიტომაც შეიძლება სადავო იყოს.

ს.-დალ. \*წაჰ- „ცოტა; პაწა“

ინხ. წოხ-უ „ცოტა, მცირე, პაწა“, შდრ. კვანტ. წოხ-უ „id“

დარგ. (ჩირ.) წიყ-ად „ცოტა; პაწა“

აღ. ჰუყ /ზურშ. ჰუყყ „ცოტა, მცირე, პაწა“

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებული წიყჷ-ად ალომორფი დარგუული ენის დიალექტებში ვერ დავაფიქსირეთ [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 380, მაგრამ ქომრი, ხალილოვი 2010 : 610].

საკითხი შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს.

ს.-ქართვ. \*წჷერ- „ბლაგვი; დაბლაგვება“

სვან. ჰჷერ-/ჷერ- „დაბლაგვება“, ა-ჰჷერ-ე/ა-ჷერ-ე „აბლაგ-ვებს“.

ანლაუტური ჰ, რომლის დაკარგვა მომდევნო ხმოვნის დაგრძელებას იწვევს, ისტორიული ჰ სიბილანტის რეფლექსი ჩანს. ასე რომ, საერთოქართველურისთვის \*წ არქეფონემა აღსადგენი.

ს.-დალ. \*ჰურ- „ბლაგვი; ძველი“

აღ. (ზურქ.) ჰურ-ეჷ „ძველი“, თაბ. ჰურ-უ „ბლაგვი“

ამოსავალი მნიშვნელობა ბლაგვისა უნდა ყოფილიყო დადეს-ტურში, საიდანაც ძველის შინაარსი განვითარდა აღულურში.

სვანურ-ლეზგიურ იზოგლოსთა კანონზომიერ შესატყვისებს ნახურ-სინდური ჯგუფის ენებში ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. \*წიგორ- „მელოტი“  
სვან. ჭიგგრ (ბქ.) „მელოტი“, ლგ-ჭგგრ-ე „გამელოტებული“  
ქართულ-ზანურ შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ; ამიტომაც რეკონსტრუქცია მთლიანად სვანურის ჩვენებას დაეფუძნა.

ს.-დალ. \*ჭეგულ- „მელოტი“  
არჩიბ. ჭეგულ-უ-თ „მელოტი“  
დალესტური არქეტიპის რეკონსტრუქცია მხოლოდ არჩიბულ მასალას ეყრდნობა; ცხადია, ამიტომაც ცდომილების შესაძლებლობა დიდია.

სიტყვის ფინალური დ : რ შესატყვისობა ვარაუდობს დ → რ ფონეტიკურ პროცესს საერთოქართველურში, რაც სპორადულად დღესაც მოქმედია ქართულში, შდრ. მეჯუდა, მაგრამ მეჯვრის ხევი...

სინდურ-ნახური შესატყვისები არ ჯერზეც ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. \*წიდ- „წითელი“  
სვან. (ბზ., უშგ.) წად-აუ, ბქ. წად-აუ „წითელი (ძროხა)“  
როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, სვანური ალომორფები მხოლოდ წითელ ძროხას მიემართება, ამიტომაც დგება თეთურ „თეთრი ძროხა“, კუმ-არ „კვამლისფერი ხარი“ ტიპის ჩამონათვალში ბუნებრივად [ქალდანი 1969 : 68].

ს.-დალ. \*წ(უ)გნდ- „შავი“  
ახვ. ჭანტ-ი, ტინდ. ჭანდ-ი „შავი მაცვალი“  
ბეჟ. წოდ-ოლო, ჰუნზ. წგდ-ილუ „შავი“, შდრ. ჰუნზ. წგდ-ილ-ქანდ „შავი მაცვალი“

დარგ. (ახუმ.) წუდ-არა, ჩირ. წათა-არ-ზე / ცატ-არ-ზე, სირხ. წუთა-არა „შავი“

საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს დარგ. წედ-ემ/ მეკვ. წედ-ეჰ/ სირხ. წიდ-იჯ „ხილი“ ალომორფებში იმავე შავ-წითელის აღმნიშვნელი ძირ-ფუძეთა ძიება [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 379].

ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ იმავე წყაროს გულისხმობს წითლის აღმნიშვნელი ძირ-ფუძეები დიდოურ ენებში, შდრ.: ბეჟ. წუდ-და/ხაშ. წუდ-დო, დიდ. წუდ-ა, ჰინ. წუდ-დუ, ჰუნზ. წუნდ-უ

„წითელი“. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ახვახურ და ტინდიურ ძირში ნაზალურ ნ-ს ვხედავთ, რომელიც ასევე არქაული ჩანს.

ს.-ქართვ. \*წირქ- „მრუდე, გადახდილი“

სვან. წირქ „გადახრილი, მრუდე“

სიტყვა მხოლოდ სვანურშია პოვნიერი; სავარაუდოდ, გამომდინარე გარე ენობრივი პარალელებიდან, იგი ფუძეენურ რეფლექსს წარმოადგენს.

ს.-დად. \*წუჭქ- „მრუდე“

დიდ. ჭიგუ-ასი, ხვარშ. ჭიგუ-ანა „მრუდე“

აღ. წაქ- „მრუდება, გადახრა“, წაქ-უ-ჴ/წაქ-რ-ირ „მრუდე“, რთთ. ჭუქ-უდ „მრუდე“

ს.-ნახ. \*ჭუკ- „ხის კაუჭი“ სიტყვის კავშირი ზემოთაღწერილ ძირ-ფუძეებთან არ ჩანს დამაჯერებელი. მით უფრო, აქ ვერ იქნება განხილული წ.-თუმ. ჭუკ „ყანწი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 390], რომელიც ს.-ქართვ. \*წუკ- „მომცრო ქვაბი“ არქეტიპის კანონზომიერი შესატყვისია [ჩუხუა 2008 : 628].

ნახურ-სინდურ შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. \*წურ- „პური (აუფუებელი ცომისა)“

სვან. ჭურ-უ/ჭურ-უ „აუფუებელი ცომის პური“

ბოლოკიდური -უ საკუთრივ სვანური სადერივაციო სუფიქსია, რომელიც საკმაოდ ხშირია მასალებში, ჭურ-უ/ჭურ-უ „ხვრელი“, ტუნ-უ/ტუნ-უ „ქოთან“...

ს.-დად. \*წურ- „მარცვლეული“

ხუნძ. წურ-, სიტყვებში: წურ-ა-ჩედ „ღვეზელი“, წურ-ა-ხინკ „გირცი, პელმენივითა“, შდრ. წურ-აჟო „ძეხვი“

შეიძლება ხუნძ. წურ- ძირი ეტიმოლოგიურად უკავშირდებოდეს სხვა წორ- სახელს, რომელიც სიმინდის შემცველ სიტყვებში გვაქვს: წორ-რსა-როლ’ „სიმინდი“, წორ-რსა-როლ’-ილ აზალი „სიმინდის დინგები“, წორ-რსა-როლ’-ილ ჰუბი „სიმინდის ღერო“...

ს.-ქართვ. \*წუქ-რ- „პრიალი“

სვან. ჭქერ- „პრიალი“, ჭქერ-ი „პრიალა“

პრობლემურია უ გახმოვანების პორტულაცია ფუძე-ენაში, ვინაიდან სვანურში უ → გ დასაშვებია (ქართ. სუკ-ი : სვან. შყყ „ზურგი“), მაგრამ ყველა გ არ მოდის უ-საგან სვანურში.

ს.-დად. \*წტჟ- „ბზინვა, ბრწყინვა; ვარსკვლავი“

ხუნძ. წტჟ-ი „ბრწყინვა, ბზინვა“, წტჟ-იზე „ბრწყინვა, ბზინვა“

ახვ. წტჟ-ა „ბრწყინვა, ბზინვა“, ტინდ. წტჟ-ა „ნაპერწყალი“, ჭამ. წტჟ-ა „ვარსკვლავი“

ლაკ. წუქ-უ „ვარსკვლავი“

განსხვავებული სეგმენტაცია ლაკური სახელისა წუ-ქუ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 374] ჩვენთვის მიუღებელია, ვინაიდან არ ასახავს საქმის რეალურ ვითარებას.

ს.-ქართვ. \*ხემ-ა „როგორ“

სვან. ხემა „როგორ“

ქართულ-ზანურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ, სამეგიეროდ მეტად მდიდარია დაღესტნური მასალა, რომელიც პალეოკავკასიური წარმომავლობისა ჩანს.

ს.-დად. \*ჰჰმ- / \*ჰჰნ- „რა; როგორ“

ბოთლ. ინ-ლა, კარ. ჰინ-, ჰინ-შადა, ტინდ. ჰინ-, ჰინ-ლ'ა, ლოდ. ინ-ლა, ჭამ. ჰინ-ტ „როგორ“

ჰუნზ. ჰინჰ „როგორ“

კრიწ. ჰჰმ-ან, ლეზგ. ჰი-კა / ჰი-კ „როგორ“, რუთ. ჰი-, ჰი-ს „რა-ტომ“, უდ. ჰე-, ჰე-თარ „როგორ“

საზოგადოდ ფონემურ თანმიმდევრობათა ცვლა (მეტათეზი-სი) ხშირადაა მოსალოდნელი ამ ტიპის ძირ-ფუძეებში. მაგრამ წყობა აქ არ შეცვლილა, წინა მაგალითისაგან განსხვავებით; შდრ. ნახური ნიმუშები: ჩეჩნ. ჰუნ, ინგუშ. ჰუ „რა“, მაგრამ ჩეჩნ. ჰუნ-და, ინგუშ. ჰან-ა „რატომ“...

სათანადო სინდური შესატყვისები არ ჩანს.

ს.-ქართვ. \*ჯად- „მუცელი“

სვან. ჯად „მუცელი“

ქართველურ ენა-კილოებში შესატყვისებს ვერ ვხედავთ, სამაგიეროდ მეტად სარწმუნოა პარალელები მონათესავე იბ.-კავკ. ენებში.

ს.-დად. \***ჭად-ა** „სტომაქი; ნაწლავები“

ხუნძ. **ჭათათ** „მსხვილი ნაწლავი“

კარ. **ჭათათა** „კუჭი“

ლაკ. **ხუთუ** „ნაწლავი“

სპეციალისტები ლაკური სიტყვისთვის სხვა შესატყვისებს ხედავენ ანდიურ ენებში - ტინდ. **ხინთა**, ჭამ. **ხინთა** „მუცელი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1073], რასაც ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან ინტენსიური **თ** ლაკურში, როგორც წესი, ამოსავალ **დ**-ზე მიუთითებს; გარდა ამისა, პირველი ხმოვნის ფარინგალიზაცია ცალსახად მიუთითებს ისტორიულ \***ჯუ** → **ხუ** ფონეტიკურ პროცესზე, შდრ. კარ.-ხუნძ. **ჭათა** : ლაკ. **ხუ**...

ს.-ქართვ. \***ჯას-ო** „ჩხა, სარი“

სვან. **ჯაშუ** / **ჯაშ** / **ჯაშ** (ლშხ.) „ორკაპა სარი; ჩხა“

ზანურ-ქართულ შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-დად. \***ჯარშ**- „ძელაკი; სარი“

ხუნძ. **ჯარშ**-ი „ფიცარი“

ბეჟ. **ღესრ**, დიდ. **ჭიშუ**-ნი, ჰინ. **ხიშუ**, ჰუნზ. **ღოშ**-ი „ძელაკი; ურდული“, შდრ.: დიდ. **ჭიშ**-, ბეჟ. **ღეს**- „დაკეტვა“

ქართველურ-დადესტნურ იზოგლოსებს აერთიანებთ სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა, რასაც ბგერათშესატყვისობათა ჩვენებაც ზურგს უმაგრებს.

ს.-ქართვ. **ჯედ**-/\***ჯიდ**- „წაღება/წაყვანა“; „მოტანა/მოყვანა“

სვან. **ჯედ**-/**ჯიდ**-, **ჯიდ**-ე „მოაქვს, მოჰყავს“

შიდილება, დაისვას საკითხი სვანურ **ჯედ**-ენ-ი/**ჯედ**-ნი-ი „მიდის“ ზმნასთან გენეტიკური კავშირის შესახებაც, შდრ.: ძვ. ქართ. **ჯედ**-/**ჯედ**-, ზან. (ლაზ.) **ხთ**- „მოსვლა“ [ჩიქობავა 1938 : 426].

ს.-დად. \***ჯოდ**- „თრევა, წაღება“

ანდ. **ჯურდ**-. ჭამ, **ჯოდ**- „თრევა, წაღება“

სხვა დადესტნურ ქვეჯგუფებში შესატყვისებს ვერ ვხედავთ [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 576].

სვანურ-დადესტნურ იზოგლოსებს აერთიანებთ სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა, რაც მათი პალეოკავკასიური წარმომავლობით ჩანს შეპირობებული.

ს.-ქართვ. \*ჭტილ-ა „ღობე; ყორე“

სვან. ჭტილა „ყორე; ღობე“

ადრე შესამდებლად მივიჩნევდით სვანური სახელის გენეტიკურ კავშირს ქართულ ყორე სიტყვასთან [ჩუხუა 2000-2003 : 411], რაც არ იქნა გაზიარებული [ფენრიხი 2007].

ს.-დად. \*ყტილ- „ღობე“

ახვ. ყილ-ო, ჭამ. ყუნ-ნა ← \*ყტილ-ნა „ღობე“

დელაბიალიზაციის ყტ → ყ პროცესი ახვახურ ქვესისტემაში პოზიციური ჩანს, მომდევნო ლაბიალური ო- ხმოვნის ზეგავლენა.

ანლაუტურიჯ : ყ შესატყვისობა რეგულარულ ხასიათს ატარებს ქართველურ-დადესტნურ იზოგლოსებში, როცა ჯ → ყ რეალურია დადესტნურისთვის, შდრ. ს.-ქართვ. \*ჯემ-ალ „ხმალი“ : ს.-სინდ. \*ჯაბ-ა „სახნისი“, მაგრამ ს.-დად. \*ყებ- „სახნისი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 470; ჩუხუა 2017 : 560].

ს.-ქართვ. \*ჯომ- „ყორანი“

სვან. ღტემ-ალ/ღომ-ელ (ღმხ.) „ყორანი“

თუ გავითვალისწინებთ ქართ. ღვინო : სვან. ღტინელ „id“ შესატყვისობას, მაშინ ქართულში \*ჯომ-ო სახეობის სიტყვა იყო მოსალოდნელი, ვინაიდან ჯ/ღ კორელაციაც კანონზომიერი ჩანს, შდრ. ქართ. ჳნდ-ურ-ი : სვან. ღედ-ერ „მინდვრის ბარდა“

ს.-დად. \*ჯომ- „ყვავი“

ანდ. ჯომ-ო „ყვავი“

ხინ. ჳამ-არ „ყვავი“

შედარებითი ანალიზი არკვევს, რომ ხინალ. ჳამ-არ ასიმილირებული ალომორფია, ანუ სავარაუდოა ჳომ-არ → ჳამ-არ. ამ უკანასკნელის აფიქსაცია სვანურისას ემთხვევა, რაც კანონზომიერი შეიძლება იყოს.

სვანურ-დაღესტნურ იზოგლოსების შესატყვისებს ნახურ-სინდური ჯგუფის ენებში ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. \*ჯურ- „ფანჯარა“

სვან. ჯურ-, ლა-ჯურ-ა/ლა-ჯურ-ა „ფანჯარა“, შდრ. ჯურ-უ „ხვრელი“

სპეციალურ ლიტერატურაში აზრს გამოთქვამენ სვანური ჯურ- ალომორფის მეგრ. ხურ-უ „სორო, გამოქვაბული“, ხურ-უ-ია „ხვრელი“ და ძვ. ქართ ჯურ-ელ- ლექსემებთან ერთიანობის თაობაზე [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 723], რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ვფიქრობთ, სვანური ლა-ჯურ-ა/ლა-ჯურ-ა „ფანჯარა“ დერივატები ლა- -ა კონფიქსით გაფორმებული დამოუკიდებელი ძირია, რომელსაც კანონზომიერი შესატყვისი დაღესტნურშიც აღმოაჩნდა.

ს.-დაღ. \*ჯურ- „ღარი; ნაპრალი“

თაზ. ჯურ „ღარი, ნაპრალი“

შიძელბოდა გვეფიქრა ამავე მნიშვნელობის ანდ. როჯი სიტყვაზეც, მაგრამ მას სხვა შესატყვისები აქვს დაღესტნურ ენებში [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 682].

ს.-ქართვ. \*ჰარკუ- „გუმანი“

სვან. ჰარკუ/ჰარკუ (ბქ.) „გუმანი; ეჭვი“

ზანურ-ქართულ ალომორფებს ვერ მივაგენით, თუმცა ამის გამო სვანური მონაცემის სესხების გზით ახსნა არ ხდება აუცილებელი, ვინაიდან ანდიური ენების ჩვენება მეტად დამაჯერებელი ჩანს.

ს.-დაღ. \*ჰარკუ-ა „თვალი“

ანდ. ჰარკუ, ახვ. კეჰა ← \*ჰეჰა, ბაგვ. ჰაჰა ← \*ჰაჰა, კარ. ჰარკა, ტინდ. ჰაჰა, ჭამ. ჰაჰა ← \*ჰაჰა „თვალი“

წარმოდგენილ ალომორფთა გენეტიკური კავშირი სხვა დაღესტნურ თვალის აღმნიშვნელ ძირ-ფუძეებთან არ ჩანს დამაჯერებელი [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 250], ვინაიდან განსხვავებული ეტიმოლოგიის სიტყვებთან გვაქვს შეხება, მაგალითისთვის შდრ. ლავ. მა „თვალი“ და დიდ. ოზური „თვალი“ (sic!).



სემანტიკური თვალსაზრისით *გუმანი* ~ *თვალი* კანონზომიერებას ექვემდებარება. ასევე მნიშვნელოვანია ფუძეენური წარმომავლობის **ჰ** : **ჰ** ლარინგალური ოპოზიცია საერთოქართველური **ჰ** სპირანტის ევოლუციის გზაზე.

ს.-ქართვ. \***ჰალჷარ-ა** „საზღვარი“

სვან. **ჰალჷრა/ალჷრა** „საზღვარი“

ქართულ **ზღვარ-** (სა-**ზღვარ-**ი) ძირთან კავშირი არ გამოირიცხება, თუ დამტკიცდება **ჰ** : **ზ** ოპოზიციის შესაძლებლობა ქართველურში (**ჰ** → **ს** → **ზ** (?)).

ზანურში მოსალოდნელი **ოღორ-** არ ჩანს.

ს.-დად. \***ჰტარჷ-** „საზღვარი; ხევი“

ხუნძ. **მორჷ-**ი „საზღვარი“

ახვ. **მრჷ-**ი „საზღვარი“

დარგ. **ურჷ-**ი/ კუბ. **ჰურჷ-**ე ← \***ჰურჷ-**ე „მთები“ (pluralia tantum)

თაბ. (დუბ.) **არჷ** „ვიწრო ხევი; ჩავარდნილი ადგილი“

ბეჟიტური **რრჷ** „საზღვარი“ ნამდვილად ხუნძური ენიდან შესული სიტყვაა [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 537], რასაც ვერ ვიტყვის ახვახურ **მრჷ** „id“ ფორმაზე.

ალბათ, ასევე ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ინგუშ. **არლა** „დაბალი მთის თხემი“ და ურარტ. **alɣɑ** „საზღვარი; მთის თხემი“ [დიაკონოვი, სტაროსტინი 1986 : 30], რომელთაგან პირველი სვანური **ჰალჷრა**-ს შესატყვისია, ხოლო მეორე ქართველურ **ალაგ-**/**ოლაგ-**ე-ს შეეფარდება.

ს.-ქართვ. \***ჰეწ-** „მაჯა“

სვან. **ჰეჷჷ-ა/ჰეჷჷ-ა** „მაჯა“

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურ ქვესისტემაში, მაგრამ ამავდროულად ინახავს საერთოქართველური არქექტიპის კანონზომიერ რეფლექსს.

ს.-დად. \***ჰჷწ-** „მაჯა; მალა“

ად. **იწ-**ულ/**იწ-**ულ „მაჯა; მალა“, კრიწ. **მაწ-**ა (ჯიგა) „წვივი“, რუთ. **იწ-**გნ „მალა; კოჭი“

ანლაუტური ჰ-ს არსებობის უცილო კვალი ჩანს რუთულურ **მიწ**-გნ „მალა; კოჭი“ ფორმაში, რასაც ცალსახად ადასტურებს კრიწული ზაწ-ა ალომორფიც, ანუ **ჰ** → **მ/წ/ღ**.

ხუნძური **წილ** „ხრტილი“ წარმოშობით სხვა სიტყვაა და აქ არც განიხილება [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 529].

თავიიდური **ჰ** აღულურში დაკარგული ჩანს, როგორც ამას სვანურთან შედარება ამტკიცებს. ბოლოკიდური -ა /-ულ სუფიქსები უნდა იყოს იბ.-კავკ. ენებში.

სიტყვა-ფორმათა სტრუქტურული იგივეობა ამ შემთხვევაში გამყარებულია სემანტიკური იდენტურობით.

ს.-ქართვ. \***ჰილ**- „ვირი“

სვან. **ჰილ**- „ვირი“

სიტყვა ჩვენთვის საცნაურია მხოლოდ სვანურიდან, სხვაგან ის არ ჩანს; ქართული ვირ-ი აქ ვერ შემოვა.

ს.-დად. \***ჰილ**-ამ „ვირი“

ხუნძ. **ჰამ** „ვირი“ (გახმოვანებისთვის შდრ. ჭად. **ჰიმ**-ილ / **ჰუმ**-ილ ირიბი ფუძე)

ანდ. **ჰამოროხი** ← \***ჰარომ**-ოხი, ახვ. **იმ**-იხი, ბაგვ. **ჰამ**-ი, კარ. **ჰამ**-ა, ტინდ. **ამ**-ახა, ლოდ. **ჰამ**-ახი, ჭამ. **ამ**-ახ / ჰიჰ. **ჰამ**-ახი „ვირი“

ბეჟ. **ან**-ყუნ, დიდ. **ჰომ**-ოდ, ინხ. **ომ**-ოყე, ხვარშ. **ომ**-ოყე „ვირი“

დარგ. (ხარბ.) **ჰემ**-ჰე „ვირი“

ბუდ. **ლემ**, კრიწ. **ლემ**, ლეზგ. **ლამ** / **ლემ**, რუთ. **ემჰალ**, უდ. **ემელ**, წახ. **ჰმალ**-ე, ხინ. **ჰილამ** „ვირი“

სიტყვის სტრუქტურიდან გამომდინარე, ყველაზე არქაული ფონემური რიგი ხინალულურშია შენარჩუნებული.

გენეტიკურად საერთო ძირად დადესტნურში მოიხიობენ ბეჟ. **ირმა**-ტო და ჰუნზ. **გრმგ**-ტუ „ვირი“ ალომორფებსაც [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 518], მაგრამ მათი წარმომავლობა განსხვავებული ჩანს.

## გამოყენებული ლიტერატურა

**აბაევი 1958**, I: Абаев В. И., Историко-этимологический словарь осетинского языка. т. I, М., Изд-во АН СССР, 1958

**აბდოკოვი 1983**: Абдоков А. И., О звуковых и словарных соответствиях северо-кавказских языков (сравн.-исторический анализ фонетики и лексики), Нальчик, "Эльбрус", 1983

**ბუკია 2016**: ბუკია მ., ჩერქეზულ-ქართველური ენობრივი შეხვედრები (მერაბ ჩუხუას რედაქციით), თბ., 2016

**გუდავა 1964**: Гудава Т. Е., Консонантизм андийских языков (историко-сравнительный анализ), Тбилиси, Изд-во АН Груз. ССР (ИЯ АН ГССР), 1964

**დიაკონოვ-სტაროსტინი 1986**: Djakonov I.M., Starostin S. A., Hurro-Urartian as an Eastern Caucasian Language, R. Kitzinger, 1986

**თოფურია 1938**: თოფურია ვ., ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, I, ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის. - ტფ. უნივ. შრ., VII, 1938

**თოფურია 1960**: თოფურია ვ., ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი. - იკე, XII, 1960

**კვახაძე 2014**: კვახაძე ა., ჩერქეზულ ენა-კილო-თქმათა სემანტიკურ-შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2014

**კლიმოვი 1964**: Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964

**კლიმოვი 1967**: Климов Г. А., Абхазско-адыгские этимологии. 1 (исконный фонд). – Этимология (1965), М., 1967

**ლომთაძე 1998**: ლომთაძე ე., ხვარშიული ენა თბ., 1998

**როგავა 1956**: Рогава Г. В., К вопросу о структуре именных основ и категория грамматических классов в адыгских (черкесских) языках; Тб., Изд. АН Груз. ССР (ИЯ АН ГССР), 1956

**როგავა 1984**: როგავა გ., ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები. II. ყრუ ხშულ თანხმოვანთა დისიმილაციური გამჟღერება (ენათმეცნიერების ინსტიტუტი), „მეცნიერება“, თბ., 1984

**როგავა 1987**: როგავა გ., ზოგი ადიღური სიტყვა ქართველურ ენებში. - ეტიმ. ძიებ. თბ., 1987

**სტაროსტინ-ნიკოლაევი 1994:** Starostin S. A., The Problem of Genetic Relationship and Classification of Caucasian languages: Basic Vocabulary. - Studies in Caucasian Linguistics, Leiden, 1999

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000:** ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი (II შევს. და გადამ. გამოცემა), თბ., 2000

**ფენრიხი 2007:** Fähnrich H., Kartwelisches Etymologisches Wortebuch, Leiden-Boston, 2007

**ქალდანი 1969:** ქალდანი მ., სვანური ენის ფონეტიკა. I. უმლაუტის სისტემა სვანურში; ენათმეცნიერების ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბ., 1969

**შმიდტი 1962:** Schmidt K. H., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der sudkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962

**ჩიქობავა 1938:** ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938

**ჩუხუა 2000-2003:** ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003

**ჩუხუა 2008:** ჩუხუა მ., იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2008

**ჩუხუა 2017:** მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-ავხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2017

**ცაგარელი 1880:** Цагарели А. А., Мингрельские этюды. Вып. I. Мингрельские тексты с переводом и объяснениями. Собранные и изданные Ал. Цагарели; С. Петербург, 1880

**Svan-Daghestanian Isoglosses**

## S u m m a r y

It is a well-known fact that the Svan language is one of the members of the Kartvelian group of the Ibero-Caucasian language family along with Georgian and Laz-Megrelian. Traditionally, Svan language specialists distinguish four dialects. In recent studies, the Cholur dialect is considered to be the fifth dialect of Svan.

We share the view that the emergence of different Kartvelian languages from the Proto Kartvelian Language is due not to the different degrees of kinship between the Kartvelian subsystems, but to the weakening of linguistic contacts between these diasystems, which in the distant past was due to external factors; Such as: relatively territorial distance, insurmountable obstacles - mountain, river, etc. (K. Margiani-Subari).

Therefore, due to the relatively independent development of Svan language, this Kartvelian subsystem has preserved such lexical items that were lost in Zan-Georgian. Incidentally, the morphological encounters of Svan with Dagestanian languages are also evidence of the archaism of the Svan language; These are: -d- ergative marker, two-stem declination system in Svan, etc. Clearly, the existence of such lexical items between Svan and Dagestanian languages are not related to linguistic contacts. Such kind of contacts between the Svans and the Dagestanians are not even historically expected. We think that each of these lexical items is characterized by Paleo-Caucasian origin; That is why we consider them in terms of historical origin and present them in the form of reconstructed archetypes as indigenous units of the lexical fund of the named Proto Languages.

## ზოგი რელატიური ომონიმის ისტორიისათვის

ომონიმებს, რომელთა შემადგენელ ცალებს სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტი გააჩნია და, შესაბამისად, შესაძლებელია ისინი სხვადასხვა წყვილებშიც გაერთიანდნენ, რელატიურ ომონიმებს ვუწოდებთ, მაგ.:

### ბათალ-ი:

დიალექტ. **I. ბათალი** 1. [არაბ.] ბათალი ადგილი აოხრებული, გატიალებული (ადგილი). „ამ ბათალ ადგილზე ვის გუგონია დამოსახლება!“ (აჭარ. ნიჟ.). აქვე: გაბათლება გავერანება, აოხრება. **გაბათლებული** აოხრებული, გავერანებული. ახლა რომ გაშარნალებულია, ისე კი არ იყო უწინ, აგერ ახლა ეს ადგილები სულ გაბათლებული იყო (აჭარ. ნიჟ.). 2. [არაბ. *battal*] გამოუსადეგარი, გაუქმებული. ერთი ბათალი დანა უნახავს ჰაცხა (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

არაბულ-სპარსულად ბათილის *bâtil* || *bâtel*] მნიშვნელობებია: 1. ცარიელი, უსარგებლო, ამო; 2. ცრუ, არასწორი; 3. უმოქმედო, კანონიერად ძალადაკარგული (დოკუმენტი); გაუქმებული, ანულირებული (კანონი). ვინაიდან არაბული ტ სპარსულში გადადის თ თანხმოვნად, ეს სიტყვა სპარსულიდან უნდა იყოს შემოსული ქართულში (ბართაია 2010).

საშ. ქართ. **II. ბათალი, ბაითალი, ბეითალი** ცხენის ექიმი – დ. ჩუბ. იხ. I. ბაითალი.

### ბაითალ-ი:

საშ. ქართ. **I. ბაითალი** ცხენის ექიმი – დ. ჩუბ. ბაითალი [თურქ. ბაითარ ვეტერინარი] ძვ. იგივეა, რაც ვეტერინარი (მიქიაშვილი 2012). შდრ. ბეითალი მოძვ. საქონლის ექიმი, – ექიმი-ვეტერინარი. მე ხომ არც მჭედელი ვიყავ და არც ბეითალი? («მელის წიგნი»). ჭბა-

ნოვის პირადი ნაცნობი ბეითალი გამომდგარა (ნ. ლორთქ.). მამია ბეითალი იყო (გ. გეგემ.). ექიმები, ექიმები... ნეტავი იცოდნენ რამე! ძველ ბეითლებზე უარესნი არიან (გ. ციც.).

დიალექტ. II. ბაითალი ოხერ-ტიალი (საწყევარი სიტყვაა), ვერანი (მოხ. ყაზბ. I, ძიძიგ. 497). შდრ. ბეითალმალი [არაბ.] ოხრად, უპატრონოდ დარჩენილი მამული, ნამკვდრევი (დ. ჩუბ.). პაატას ჯეული აღარ ექნება, ბეითალმალია და ბატონისა იქნება (სამ. IV, 513). ბაითალმანი ფშ., გუდ., მთ., მოხ. ოკერ-ტიალი, უპატრონო (საწყევარი სიტყვაა). „ო, დედო, შე ბაითალმანო“ (ფურს ეტყვიან) (არაბ. ბაითალ-მანლ სახელმწიფო ხაზინა) – ა. შან. შდრ. ბალთამანი (ქიზ. მენთ.).

### ბალით-ი:

დიალექტ. I. ბალითი ღალატი, მოტყუება, გაბრიყვება (ვინმეს დამარცხების მიზნით). ბალითიანი: ენა ვხკრათ ბალითიანი, მთის კაც ასრას ჩახვდებისა? (ეთნ. კალენდ. 12, 237). აგრეთვე: დააბალითებს, დაიბალითებს, გასაბალითებელი, საბალითები || საბალითარი (ხევს. ჭინჭ.). ბალითიანი ალერსიანი, წყნარი, მშვიდი, მიმზიდველი, ტკბილი. „როგორი ბალითიანი რძალი გყავ!“ (მოხ. ქავთ.). ბალითი დაყვავება, მიფერებით მოტყუება. მოტყუება, ღალატობა. დაიბალითა (მოხ., ხევს., ფშ., თ. შან.).

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. II. ბალითი || ბათილი: [არაბ.] უქმი, გაუქმებული. იხ. I. ბათალი. შდრ. ბათილამი გაუქმებული ვექსილი – დ. ჩუბ. ბათილი საუბ. გაუქმებული, ძალადაკარგული. ბათილი გარიგება. ♦ ბათილსა ვართ! გავსწორდით, ერთმანეთისა არაფერი გვმართებს – ქეგლი. ბათილი [თ. Batil] ცარიელი, უმოქმედო, უსარგებლო. ბათილი სახლების ყურებამ მომკლა სოფელში (ბახ., ჩვენ. ფუტკ.). სიტყვა სხვადასხვა აღმოსავლური ენებიდან ჩანს შემოსული. ბათილი გაუქმებული, განადგურებული ზან. (ლაზ. თანდ.).

### ბაყალ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ბაყალი [არაბ.] მეწვრილმანე, მედუქნე – დ. ჩუბ. უკანასკნელ მივიდნენ ბაყლებთან, მეთევზეებთან (კალმას. 490,14). არის ამისი შუა დამხდური, კაცთაგან ...ბაყალი ალექსა (სამ. IV, 233).

**ბაყალი** ძვ. ხილით, ბოსტნეულით, სანელებლებითა და ტკბილესი მოვარდით მოვარდით. || საერთოდ, მზა სანოვარდითა და წვრილმანით მოვარდით. [მიტრუამ] ყველები ჩააბარა თუ არა ბაყალ გუყას..., ხალხში გაერია (შ. არაგვ.). მოწმედ ორი ბაყალი დაისწრეს (მ. ჯავახ.). უბნის ბაყალმა დილის ძილი დაუფრთხო ბასრი ბეის (გ. ბათ.). ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინეთ, ახალციხეში ბაყლები ათიდან ორმოც საქონლამდე ჰკლამდენ გასაყიდათ (მესხ. მრეწ. III, II, 154).

**ბაყალი** სიტყვა შემოსულია არაბულიდან. [baqāl „მემწვანალი“ „მედუქნე“, „ბაყალი“] – (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **ბაყალი** ვულგ. ბუში, ნაბიჭვარი. შდრ. ბაჭალი. ეგია გასაკვირები, დას რო ძმისა ხყავ ბაყალი (ხევს. ჭინჭ.). იხ. II. ბაყვი.

### **ბაყვი:**

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბაყვი** 1. „მუხლს ზეითი“ (საბა), ბარძაყი. || ბაყვი ბარძაყის შიგნითა მხარე. ბრანგვსა შეგრტყოცე, ბაყვის ეცი, ვის ჩვევით სისხლი გწყუროდა (ბეს. 115, 9). გარნა არა უკუნ იქცა ვახტანგ და დაიჭრა თვთცა დაიჭრა მცირედ ბაყუსა ზედა (ქ. ცხ. IV, 251, 25). ისე მოეჭირა ბაყვები ცხენის ტანზე, რომ ზედ დაზრდილივით გრძნობდა თავს (ლ. ქიარ.).

«თუ გინდათ, მე წამიყვანეთ, მამალს კი ვერ დაგანებებთ!..» – გულუბრყვილოდ წამოროშა ლედენდერამ და ბაყვები მოიქეცა (რ. გვეტ.). [მეფე] უთვალთვალეზდა, თუ როგორ ისხდნენ მოისარნი ცხენზე, როგორ მართავდნენ სადავეს, როგორ უჭერდნენ ბაყვებს (კ. გამს.). 2. **ბაყვი** საქონლის უკანა ფეხი, – ბარკალი. კამეჩის ბაყვი ჩამოვარდა; მათრახი დამარტყი, რო ბაყვი გასქდეს! (ჯავახ. მარტ.). სუფრაზე ნახა ქათმი ბაყვი (კირნათი, კლარჯ. ფალ. და სხვ.). აგრეთვე (ხევს. ჭინჭ., საჩ. შარაშ., ჩვენ. ფუტკ., აჭარ.ნიჟ., შავშ. ფალ., გურ. ჟლ.). 3. თემოს ძვალი – ქეგლი.

აღდგენილია \*ბაყუ-არქეტები (კლიმოვი 1998; ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ჩუხუა 2000-2003; კელაურაძე 2013: 3).

დიალექტ. II. **ბაყვი** ბავშვი, ბალლი (გურ. ლლ.). ქართ. (აჭარ.) ბალვი, რაჭ. ბალვინა; სვან. ბალ შეპირისპირებით მ. ჩუხუა აღადგენს ს.-ქართვ. \*ბალუ- ბავშვს და შენიშნავს, გურული ბაყვი- „ბავშვი“ ამა-



ვე რიგისა შეიძლება იყოს, ხოლო ქართველური ბადანა, ბალდი სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობსო (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **III. ბაყვი** ფრინველია ერთგვარი (თუშ. მაკალ.). ს.-ქართვ. \*ბაყუ- გარეული იხვის სახეობა“ (ჩუხუა 2000-2003; 2017)

**ბოყ-ი:**

დიალექტ. **I. ბოყი** (თონ., დვალ., დოლოვ.), ბოყვი (თონ., დვალ., მარაბ.) უგულო ნაყოფი (ქართლ. მენთ.). **ბოყი** გაფუჭებული ქლიავი ან ტყემალი. ახლად გამონასკვეულ ნაყოფს თუ ხანგრძლივი წვიმები დაემთხვა, გაფუჭდება, ნაადრევად გაიზრდება, გათეთრდება, კურკას არ გაიკეთებს, მალე დაღუპება და გასცვივა. სანამ მაგარია, ჭამა შეიძლება, განსაკუთრებით ბავშვები ეტანებიან. „წლეულ ქლიავი აღარ გვექნება, ამ ოხერმა წვიმამ ერთიანათ სუ *ბოყათ* აქცია!“ (გ.-კახ. სახლთხ.). იხ. IV. ბოყვი.

დიალექტ. **II. ბოყი** დიდ კიდობანს წინა მხარეს, ზევიტა და ქვევიტა ისრების შუაში, სიმაღლეზე, შედგმული აქვს „*ბოყი*“ (ბოძი) (თუშ. ბოჭ. 72). **ბოყ** კიდობანი (თუშ. ცოც.). იხ. II. ბოყვი.

**ბოყ-ი:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბოყვი** ბოკვი. მსცოვანი ხეები – ცაცხვები, მუხები, თელები, *ბოყვები*, ვერხვები... – ვიშივიშებდნენ (ვაჟა). [ტყეში] გარდა იფნისა, თავს იწონებს მაღალმთის *ბოყვი*, თელადუმა, ჭადრისებრი *ბოყვი*, შოთხვი, ცირცელი (ნ. კეცხ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბოყვი**, ხოკი, ხოკერი, ხის ქერქის ჭურჭელი, *коропка* – ნ. ჩუბ. მარწყვით სავსე ბოყვი. – [დათუნას] შავი ქუდი *ბოყვივით* თავზე ჩამოცმოდა (გ. წერეთ.). || ხის (ცაცხვის ან ბლის) ქერქისაგან მოწნული ჭურჭელი, რომელსაც ტკეჩის ძირი აქვს. ხის კანს გადმოაბრუნებდნენ, გამოაკერებდნენ ტკეჩის ძირსა და ხმარობდნენ კასრის მაგივრათ *ბოყვსა* (ვახანი). *ბოყვი* რგვალი და დაბალია, საცრის რკალივითაა, მარა უფრო მაღალი (უჩამეთი); *ბოყვი* ბლის კანისაგან მოწნული. *ბოყვში* თითისტრეფს ვინახავთ (ზედუბანი). **ბოყვი** || ცაცხვის კანისაგან გაკეთებული ჭურჭელია (მოხვა). მატყლი ედგათ *ბოყვით* (ბაჯითი, ზ.-იმერ. მოწ.). || ხვიმირიდან ბოყვში ჩადის მარცვალი და იფქვის, სამზარეულოშივეა ბუჯერზე ან

ცალკე „საჭურე ფიცარზე დადგმული „ნეოთხლიანი“ და *ბოყვები*, ისევე როგორც ბოყუჩები და კორვები (ქვ.-რაჭ., მრეწ. III, II, 189; რაჭ. კობახ.).

ს.-ქართვ. \*ბოყუ- „ხის ჭურჭელი“ > ქართ. ბოყ-ი: ზან. ბუყუნ-ი || ბუყუნ-ი < \*ბუყუ-ინ-ი : სვან. ბეყუ || < ბოყუ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ბოყვი** (იმერ. გურ.) 1. «ჩარჩო, რომელ-შიაც[კედლის] ფიცრებია ჩასმული» (ვ. ბერ.). შეიძლება სახლს სხვა *ბოყვებმაც* უმუხთლოს (ო. იოს.), (გურ. ჟღ.). ჯიხური... თუ არ გვინ-და რომ დავწნათ, ფიცრისათვის ამოვჭრით კოჭის *ბოყვებს* და იმ ცა-რიელ *ბოყვებში* გეეწყოფა ფიცარი ამას (ზ.-ქართლ., მრეწ. I, 231). სა-ძირკვლებზედ დავსხავთ *ბოყვებს* (ზ.-ქართლ., მრეწ. I, 222). ხის სახს აქ *ბოყვი*, სიგრძეზე რო ფიცარი უყენია ფანჯრებს შორის (ქემ.). *ბოყ-ვევში* ძელეფს ჩავაწყობდით, მერე ზეითაც გაუკეთებდით საგვერ-დეფსა და გადავხურამდით ყავარს ან წალანს (ბებნ., ხც., ქართლ. ლექსიკ.); (მესხ. ფეიქრ., რაჭ. კობახ.; იმერ. ქავთ.).

**ბოყვი 2.** კრამიტის ყალიბი, კეთდება ხისაგან (ბ. წერეთ.). სინონ. ქობინო – ქეგლი.

კალაპოტს ქვეშ აქვს ხე, რომელსაც ხის *ბოყვს* ვეძახით. კალაპო-ტიდან გადმოვიღებთ მიწას და მოვჭრით *ბოყვზე* (ქვ.-იმერ., მრეწ. I, 306).

3. **ბოყვი**|| ძელი. – ჩამოი ბიჭო ძირს, *ბოყვზე* არ ჩამეცვა (რაცხ. გურ.). შდრ. გაბოყვა ნიშნავს ოჯახის შუაზე გაყოფას; ეს ზმნა ნაწარ-მოებია „ბოყვი“-საგან, რაც გურულში ნიშნავს იმ ხეს, რომელშიც ჩა-შენებულია კედლის ფიცრები. აქედან „გაბოყვა“; გაგვიბოყავს ოჯახს შუაზე“ (გურ. ნინოშვ., ჟღ.) – ალ. ლლ. **ბოყვი (ბოყვი)** სახლის კედლე-ბის სამაგრი, ორმხრივ ამოღარული ფიცრების დასამაგრებლად ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ბოყუ- „ბოძი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **IV. ბოყვი** ბოქლომი. წისქვილსა დაადვა *ბოყვი* და არ უშვებს შიან არვის (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). „ვინც რომე მაგარი ჰაფსი იქ-ნებოდა, იმა დაადებდნენ *ბოყვს*“ (აჭარ. ნიჟ.). კარის საკეტად აჭარაში ხმარობდნენ *ბოყვს*. მას *დათვაბოყვასაც* ეძახდნენ. *დათვაბოყვა* ხისაა და შესდგება ოთხი ნაწილისაგან: ფიცარი, ურდული, კბილები || ენე-ბი და გასაღები (აჭარ. ნოღ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **V. ბოყვი** 1. «მომცდარი ნაყოფი ტყემლისა ან ქლიავ-ლოღნოშოსი» (ი. ჭყ.), – ვერ ვითარდება და ცვივა. 2. (ლუჩხ.) ტყემლის ორლებნიანი ნაყოფი (მ. ალაჟ.). ქლიავმა, ტყემალმა, ჭან-ჭურმა და მისთ. იცის ავადმყოფი ნაყოფი, რომელსაც *ბოყვს* (გოლთ., ფარცხ.) || ბოყს (ჯორჯ.) ეძახიან (ალგ. სალ.).

დიალექტ. **VI. ბოყვი**: ერთი რიგის პარკს *ბოყვს* ეძახიან: დიდი არის და მრგვალი, იმაში შაიძლება ორი ჭიაც იყოს (შ.-კახ., მრეწ. IV, II, 44). (შდრ. ბოხვი პარკი ქიზ. მენტ.). იხ. I. ბოყო.

დიალექტ. **VII. ბოყვი** ცხიმეულის, რძის ნაწარმის ობი, პკე. სა-დღვებლიდან როცა დოს გამოსწურავენ, მერე თბილ წყალს ჩაასხმენ და კარგად გამორეცხავენ, რომ დო და კატაში არ დარჩეს და „სა-დღვებელს *ბოყვი* არ გაუჩნდესო“ [„ბოყვი“ სიმჟავის ობი] (მ. ბალ., ნ. მაკალ. 42) –ალ. ჭინჭ. **ბოყვმადგმული** ბოყვით დაფარული. მატლიან სატანს ჩასჩიქავთ, არ გამაარჩევთ სურნელსა, ზეთი *ბოყვმადგმულს* დაატანთ ხარშომიჩაჩიქულებსა (ხევს. ჭინჭ.).

**ბოყვი** რაიმე ამჟავებულის ობი (ფშ. ხორნ.). შდრ. ზან. (მეგრ.) ფოკა || ფოკვა „ობი“ ფოკვ-ინ-აფ-ა „ობის მოკიდება“. ს.-ქართვ. \*ზაკ-ე „ობი“ > ქართ. ბრკე || პრკე || პკე || ბიკა ზან. ფოკა || ფოკვა < \*ზოკა : სვან. ბეტკ || ბეტკ-ი < \*ბეკ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **VIII. ბოყვი** || **ბაყვი** 1. ბარდაყის შიგნითა მხარე, – ბაყვი. მოკიდა ხელი საქონელს, გამოჭრა ყელი, ააჭრა *ბოყვები* (ბოსლევი). მახათი *ბოყვში* შეესო (ფუთი). *ბოყვში* შეესო სარი (განთიადი, ზ.-იმერ. ძოწ.). ს.-ქართვ. \*ბოყუ- „ზურგის ძვალი, თემო“ (ჩუხუა 2017).

### **ბოყვა:**

ახ. ქართ. **I. ბოყვა** უშნოდ დიდი. წამოვარდა ზეზე ნინო, ტახტ-ზე ჩამომჯდარ ქმარს ვეებერთელა, *ბოყვა* ჩექმები და წინდები გააძრო (ბ. ჩხ.).იხ. I. ბოყო

დიალექტ. **II. ბოყვა** ჭლაკვი ჭლაკვი, რომელიც უთავოა და მწარე არ არის (ბოსლევი); ფოთლები *ბოყვა* ჭლაკვს აქ მსხვილი (განთიადი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. V. ბოყვი.

### **ბოყო:**

დიალექტ. **I. ბოყო** ტანსრული, მსხვილი, ცოტა გაფუყულიც. ისრეთი *ბოყო* ქალია, რო ამ კარებშიც არ შემოეტევა. აქედან ბოყო კაკა-

ლი, –მსხვილი დიდრონი კაკალი (ჯავახ. ზედგ.). აღდგენილია ს.-  
ქართვ. \*ზოყ-„მსხვილი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ზოყო** დამძაღებული ცხიმეული (მთ. კაიშ.). იხ.  
VII. ზოყვი.

### **გლიმ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. გლიმი** ნ. უგლიმი ურიდი, შეუ-  
პოვარი – დ. ჩუბ. **გლიმი** (კახ.) იგივეა, რაც კრინტი. ხმა! კრინტი!  
*გლიმი!* (ი. მჭედლ.). ხმა! *გლიმი!* თორემ მოვიდა მათრახი! (გ. ქუჩ.).  
კუმტად დამუწა პირი და არ დასცდენია *გლიმიც* (გ. ბუთხ.) – ქეგლი.  
**გლიმი:** ხმა, *გლიმი* არ ამაუღია, ეგრე გარკინავებული იდგა (ქვ. ჭ.,  
ქართლ. ლექსიკ.). **გლიმ** : ქვაო ქვა ხარიავ, ხეო, ხე ხარიავ, სუც კი  
*გლიმ* აღარ დამრავ (თუშ. ცოც.). შდრ. **გლამ** გაწყრომა, უხეში (სვან.  
ლიპარტ.). შდრ. **უგლიმი** მოურიდებელი, ურცხვი: „უგლიმად და  
უბრძნულად სახედ პირუტყუთადას გამოვაჩინებ“ (მ. ცხ. 402v) – ილ.  
აბულ.

დიალექტ. **II. გლიმი** მჭრელობა, სიბასრე. ერთი ბეწო *გლიმი* არა  
აქვს იმ ოჯერ ცულ (ქიზ. მენთ.). შდრ. II. გლოვა.

### **გლოვა:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. გლოვა** მწუხარება, გოდება: „მოაქცია *გლო-*  
*ვა* ჩემი სიხარულად (ფს. 29, 12). „ყოველნი *გლოვასა* და მწუხარება-  
სა შევარდებოდეს (ოქრ.-მარხ. და იონ. 108, 1). აგრეთვე: **გლოვასა შე-**  
**ვდომილი**, მგლოველი, გლოვისა, „საგლოველი“ – ილ. აბულ. **გლოვა,**  
**გლოვობა** შავით შემოსა ჟამ რავდენმე მიცვალებულთა – ნ. ჩუბ.  
*გლოვა* გამართებს, არ სიცილი (ვეფხ. 169, 3). წარვიდეთ პირთა ხოკი-  
თა, სახლთა მიუთხრათ *გლოვანი* (გ. ფირ. 329, ქვ. 4). შეიქმნა *გლოვა*  
და ტირილი (ქ. ცხ. II, 511, 19). ნეტარას ტირი, დედილო? რა დროს  
*გლოვა*ა შევილისა? (რ. ერისთ.). ინტელიგენციის ცხოვრების ძირითა-  
დი ნიშანი ხომ *გლოვა* და შიში იყო (ჭ. ამირეჯ.).

ჭანურთან და მეგრულთან შედარება გვიჩვენებს, რომ ქართულ-  
ში გლოვას ხმოვანი აქვს დაკარგული; უნდა ყოფილიყო: გელ-ოვ-ს  
(ჩიქობავა 1938). ს.-ქართვ. \*გლ- „მწუხარება, გლოვა, ტირილი“ →  
ქართ. გლ-, გლოვ-: ზან. რგ-(უ-) ← გრ-(უ-) : სვან. გუ- ← გლ- (ჩუხუა

2000-2003). ბ. გიგინეიშვილი აღნიშნავს: ძირია გლოვ-. მისი დაკავშირება გლა ზმნის ძირთან (ფენრიხი-სარჯველაძე) დამაჯერებლად არ გვეჩვენება. გ. კლიმოვი ქართ. გლოვ- და მეგრ. რგუ ძირების შედარების საფუძველზე ადადგენს \*გლო- არქეტიპს ძირისას ქართულ-ზანური ხანისათვის (კლიმოვი 1964: 63; შდრ. შმიდტი 1962: 101) რაც, ვფიქრობთ, დაზუსტებას საჭიროებს: აღსადგენია \*გლოვ- და არა \*გლო- (ხმოვანზე დაბოლოებული ზმნური ძირები ქართველურ ენებში არ შეინიშნება) (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **გლოვა** სეთიხის მაგიერ ახლა „გლოვა დაერქვა“ (ქვ.-იმერ. მრეწ. I, 276). შდრ. II. გლიმი; II. გლუი. გლოვი, გლუვი ერთგვარი სახის შალაშინი. ძველ ქართულში გამოვლენილი არაა. გვხვდება მ-გლინვარე „გლუვი“ (უძვ. რედ. 72, 8). მაგრამ ძნელი სათქმელია, უკავშირდება თუ არა ის გლუვს. წარმომავლობა უცნობია (გიგინეიშვილი 2016).

#### **გლუ-ი:**

დიალექტ. I. **გლუ, გლუი**: თასა გლუი მიტო ქვია, დიდი რო არი და მიუდგომელი (წაქვა, ზ.-იმერ. ძოწ.). **გლუ**: ლანდშაფტი თანდათან გლუ გახდა (ლ. მრელ.). **გლუ** მიუვალი, ბნელი, მაგ. ტყე (ზ.-იმერ. წერეთ.). იხ. I. გლუ, გლუვი.

დიალექტ. II. **გლუი** სეთიხი – მრუდი ხაზების ამოსაღებია სიგრიძითა და სიღრმით (ქვ.-იმერ. მრეწ. I, 445). იხ. II. გლოვა.

#### **გლუვ-ი:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **გლუ, გლუვი** უმქისო, უროკო, უხორკლო – დ. ჩუბ. **გლუ, გლუვი**: [ვაშლი] ძალიან მაღალი იყო და გლუვი, უტოტო (ზდაპ.) ხელს ასრიალებდა გლუვ მოაჯირზე (რ. ქორქ. თარგმ.). ლადო მაგრად მიეხუტა ჭადრის გლუვ ტანს (თ. მალაფ.). **გლუვი** ტლუ – უტოტო, უშტო (ხე) (ფშ. ჭყ.). გლუვი (გუდ., მთ., ფშ., ხ., თ.) – ა. შან. მგლუვი მთ., მოხ. – ა. შან. **გლუვად** შეუნჯღრევლად. მკედარს წაიღებ გლუვად, ცხენო, წყალივით იღვრები (ალ. ოჩ, 103, 1).

დიალექტ. II. **გლოვი, გლუვი** ერთგვარი სახის შალაშინი. გლოვი იარაღია, სალაშინი, რგვლათ უნდა აიღოს (ქემ.). მეცა მქონდა

ლავგარდი და გლოვით გადავაკეთე. გლოვი ერთკბილიანია (ზ. ხანდ.). *გლოვი* კუთხეს იღვეს (ტყვ. აგრეთვე დად., ქართლ. ლექსიკ.). **გლოვი**, **გლო** (ქიზ. მენტ.). გააგლოებს გაასუფთავებს, ხორკლებს და მისთ. გააცლის. ეხლა გავაგლოებ ემას, გავაყრევ ნაცხერსა' ცულისტარ იქნების (ხევს. ჭინჭ.). იხ. II. გლოვა.

### **ფხაკა:**

დიალექტ. **I. ფხაკა** ხრიოვი, კლდოვანი ფერდობი. ეს სიტყვა ხშირად გვხვდება ტოპონიმიში. კლდიანია ადგილია, თითქმის ძალით დაუფხავებითო. მანდ ხეებიც კი ვერ იზდება კარგათ და *ფხაკამ* ამიტომ ვეძახით (გ.-კახ. სახლთხ.). შდრ. ფხაკო გვერდობი კლდისა (დ. ჩუბ.). **ფხეკ** მწირი, კლდოვანი ადგილი (სვან. თოფ. ქალდ.).

ივარაუდება რომ ხმოვანმონაცვლე ფხეკ- || ფხიკ- ზმნას მოეპოვება დერივატები: 1. ე ხმოვნიანი ფუძით: ფხეკი, ფხეკო (იმერ., რაჭ., ლეჩხ.). 2. ა ხმოვნიანი დერივატი ფხაკი, ო და ე სუფიქსით ფხაკო, ფხაკე; 3. ი ხმოვნიანი ფუძით ფხიკი, ფხიკო (ქურდაძე 2005: 164). შდრ. ქართ. ფხეკ- : სვან.ხკ-გნ-, ა-ხკ-გნ-ე „ფხეკს“ : ზან. (მეგრ.) ხაკ- (← ფხაკ-), გუმო-ხაკ-ილ-ი „გამო-ფხეკ-ილ-ი“...). სიტყვის აუსლაუტში შეინიშნება ქართ. ნ : სვან. რ, რაც კანონზომიერია (ჩიქობავა 1938; ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **II. ფხაკა** ◊ **ფხაკას აიტანს (გაადენს)** იგივეა, რაც ფხაჟას გაადენს, მოიღებს. ჩვენი სათაგვეთის ახალგაზრდობა ფეხზე დადგა. ერთ წამში მაღლა *ფხაკა ავიტანეთ* (თ. რაზიკ.). იხ. II. ფხაჟა.

### **ფხაჟი:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფხაჟი** სპეც. დურგლის იარაღი: ფიცრის კიდის გასახაზავი ხელსაწყო, – საფხაჟი, კაწარა – ქეგლი. შდრ. საფხაჟი სადურგლო იარაღი (იმერ. გაჩ., ზ.-იმერ. მოწ., ვ. ბერ.). მასალის სილამაზისთვის – პირის გასარგვალეზლათ [ხმარობენ] *ფხაჟს* (ზ.-იმერ. მრეწ. I, 266). ფიცარს... ზემოდან ფიცარს დაადებენ და *ფხაჟით* გამოჰხაზავენ (ქიზ.მრეწ. I, 57). ფხაჟნა, ფხაჟნის „ოდნავ ჭრის, კაწრავს“. ს.-ქართველ \*ფხაჟ „ოდნავ ჭრა“ (ჩუხუა 2017; კელაურაძე 2017).

ახ. ქართ. **II. ფხაჟი**: *კვართით ფხაჟი* ჩვენ (რ. ინან.). იხ. II. ფხაჟა.

### **ფხაჭა:**

საშ. ქართ., დიალექტ. **I. ფხაჭა** 1. ძვ. „თევზთ ლაყუჩთ ასო ხერ-ხებრივი“ (საბა). 2. **ფხაჭა** ფხაჭუნა, კბენია. ღვინო რავარი *ფხაჭა* არი! (ჯალაურთა, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე ფიგურ. დიდებულებს თავ-ბრუს დაახვევს... *ფხაჭუნა* ალადასტური (პ. ჩხიკვ.). შდრ. I. *ფხაჭი*.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ფხაჭა:** **◇ ფხაჭას გაადენს, მოიღებს...** ერთბაშად მოსწყდება ადგილს და სწრაფად გაექანება, – მოკურ-ცხლავს. გავექანება *ფხაჭა მოვიღე*, კვერცი ბუდეში ჩავაგდე, ნის-კარტი გავაღე და მხრებგაშლით შევუტეე ურცხვ შაშვსა (თ. რაზიკ.). **ფხაჭა მოადინა** სირბილით მივიდა. ეგრე არ უნდაო, დაიტიშა ვალი-კოი მინდვრიდანა და ორ მინუტში *ფხაჭა მაადინა* კანტორაშია (კავთ., ქართლ. მესხ). შდრ. **ფხაჭაფხუჭით** სასწრაფოდ, უმაღლ, სწრა-ფად. *ფხაჭაფხუჭით* მოცოცხავ (რუისი). *ფხაჭა-ფხუჭით* გარბოდენ (ტირძ., ქართლ მესხ.). **ფხაჭაწაფ, ფხიჭაწა** სწრაფი, მარდი (სვან. თოფ., ქალდ.).

### **ფხეკა:**

ძვ., ახ. ქართ. **I. ფხეკა** რისამე ზედა ფენის ცლა მაგარი, პირიანი იარაღის მრავალგზის სმით. ღვედკეცის *ფხეკა* («შინამრეწვ.»). ტყა-ვის ფხეკა (გამოსაყვანად) («შინამრეწვ.») – ქეგლი. იხ. განფხეკა, მონა-ფხეკი, მოფხეკა –ილ. აბულ. ქართ. ფხეკ- ჭან. ხაკ-არ „გაფხეკა (ბალ-ნისა), (გამოწმენდა ნაკელისა...), მეგრ. ხაკ-არ -ტყავზე ბალნის გაფხე-კა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ და მიუთითა, რომ შესატყვისი ძირი უნდა იყოს ფხეკ-; ჭანურში უნდა გვექონოდა ფხაკ; თავკიდური ფ-დაკარგულია. საინტერესოა, რომ მეგრულში გვაქვს ხეკ-: გო-ხეკ-უ, ხეკ-უნ-ს „გაფხიკა“, „ფხეკს“; ქართულიდან შეთვისებულ ამ ფუძესაც აკლია თავკიდური ფ-...ისიცი აღსანიშნავია, რომ ეს ფუძე მეგრულში ზოგჯერ ენაცვლება ჭანურ – ხაკ-არ ფუძეს (ჩიქობავა1938). შდრ. I. ფხაკა.ქა

დიალექტ. **II. ფხეკა:** **◇ ფხეკას გაადენს, მოადენს საუბ.** (იმერ. გურ,) იგივეა, რაც ფხაჭას გაადენს, მოიღებს. „რო დავკარი ფეხი, აერ საათში *ფხეკა მოვადინე* ქუთეიში“- ვ. ბერ. იხ. II. *ფხაჭა*.

**ფხოწ-ი:**

დიალექტ. **I. ფხოწი** წყლისაგან ჩამორეცხილი ფერდობი. *ფხოწია*, სულ ჩამოხლეწილი რო იქნება ფერდოი (ხევი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. ფხრეწები, ფხეწები კლდიან- მთა-გორიანი, მწირი ადგილი (ზ.-იმერ. წერ.). შდრ. I. ფხაკა.

დიალექტ. **II. ფხოწი** მარდი, დაუზარებელი. ის გოგო არის ყველაზე *ფხოწი* (ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. II. ფხაკა.

### გამოყენებული ლიტერატურა

**ბართაია 2010** – ნ. ბართაია, ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა (იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვით), თბილისი.

**გიგინეიშვილი 2016** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, (ა-მ), თბილისი.

**კელაურაძე 2013** – ლ. კელაურაძე, დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, X, თბილისი.

**კელაურაძე 2017** – ლ. კელაურაძე, დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის -IV. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XIV, თბილისი.

**კლიმოვი 1964** – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М.

**მიქიაშვილი 2012** – აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკა ქართულში, ავტორი ო. მიქიაშვილი, თბილისი (ელექტრ.).

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ქურდაძე 2005** – რ. ქურდაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბილისი.

**შმიდტი 1962** – K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden.

**ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.



**ჩუხუა 2000-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუხუა 2017** – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ აფხაზური ეტიმოლოგიური დიეზანი, თბილისი.

### **წყარო:**

ილ. აბულ. – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973

**ალგ. სალ.** – თ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბილისი, 1978.

**აჭარ. ნიჟ.** – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

**ბეს.** – ბესიკი, თხზულებანი, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბილისი, 1962.

**გ. -კახ. სახლთხ.** – უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური ლექსიკონი, თბილისი, 2003.

**გურ. ჟღ.** – ს. ჟღენტი, გურული კილო, ტფ., 1936

**ვ. ბერ.** – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, СІП., 1912; თბილისი, 1986.

**ვეფხ.** – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1966.

**ზ.-იმერ. ძოწ.** – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი, 1974.

**ზ.-იმერ. წერ.** – ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი. – ქართველურ ენათა ლექსიკა, I, ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.

**თუშ. ბოჭ.** – გ. ბოჭორიძე, თუშეთი. – თბილისი, 1993. – 492 გვ.

**თუშ. ცოც.** – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი, 2002.

**ი. გრიშ.** – ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, თბილისი, 1997.

**იმერ. გაჩ.** – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1976.

**იმერ. ქავთ.** – ივ. ქავთარაძე, იმერული ლექსიკონის მასალები. – იკვ, XXV, თბილისი, 1986.

**კალმას.** – იონანე ბაგრატიონი (ბატონიშვილი), კალმასობა, ქართული მწერლობა, ტ. 8, შემდგენ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1990, ტ. I, თბ., 1990, ტ. II, თბ., 1991.

**კლარჯ. ფალ. და სხვ.**– კლარჯეთი.წიგნის ავტორები: პროფ. მ. ფალავა, ემერიტ.-პროფ. მ. ცინცაძე, ასოც. პროფ. მ. ბარამიძე, პროფ. მ. ჩოხარიძე, პროფ. თ. შიოშვილი, პროფ. შ. მამულაძე, პროფ. რ. ხალვაში, პროფ. მ. მგელაძე, ასოც. პროფ. ზ. შაშიკაძე, ასოც. პროფ. ჯ. კარალიძე. რედაქტ. პროფ. მ. ფალავა, ბათუმი, 2016.

**ლაზ. თანდ.** – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენა-ფუნა), თბილისი, 2013.

**მეგრ. ელ.** – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალე-ბი), მარტვილი – თბილისი, 1997.

**მესხ. ფეიქრ.** – ჟ. ფეიქრიშვილი, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქუთაისი, 1992.

**მთ. კაიშ.** – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბილისი, 1967.

**მოხ. ქავთ.** – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985.

**მოხ. ყაზბ.** – შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი, 1956.

**ალ. ოჩ.** – ალ. ოჩიაური მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, თბილისი, 2019.

**მრეწ.** – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით: 1976-1989 წწ. ტ. I, 1976; ტ. II: ნაწ. I, 1979 წ; ნაწ. II 1982; ტ. III: ნაწ. I, 1983; ნაწ. II, 1986; ტ. IV: ნაწ. I, 1986; ნაწ. II, 1987; ნაწ. III, 1989.

**რაცხ. გურ.** – რაცხანაირ-გურული ლექსიკონი, სამეცნ. ხელმძღვანელი რ. ბერიშვილი, თბილისი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, 2001.

**რაჭ. კობახ.** – რაჭული დიალექტის ლექსიკონი, შემდგენელი ალ. კობახიძე, თბილისი, 1987.

**საბა** – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ორ წიგნად. წიგნი I, თბილისი, 1966; თხზულებანი, ტ. IV2, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1966.

**სამ. IV** – ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, ტ. IV, 1972.

**საჩ. შარაშ.** – ნ. შარაშენიძე, საჩინოური ქართული, თბილისი, 2008.

**სვან. თოფ., ქალდ.** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

**გ. ფირ.** – გ. ფირალიშვილი, ქართული მწერლობა, ტ. 8, შემდგენ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1990.

**ფშ. ჭყ.** – ი. ჭყონია, სიტყვის კონა, საბა – სულხან ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები, ნ. მარის რედაქციითა და წინასიტყვაობით, სპბ., 1910.

**ფშ. ხორნ.** – გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

**ქ. ცხ. II, IV** – ქართლის ცხოვრება, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, ტ. II, 1959; ტ. IV, 1973.

**ქართლ. ლექსიკ.** – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბილისი, 1981.

**ქართლ. მესხ.** – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები) თბილისი, 2006.

**ქართლ. მენტ.** – სტ. მენტეშაშვილი, ქართლურის სალექსიკონო მასალა. – იკე, XVII, თბილისი, 1970.

**ქეგლი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. I, II, III, მთ. რედ. ა. არაბული, თბილისი, 2008, 2010, 2015.

**ქიზ. მენტ.** – სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943.

**ალ. ლლ.** – ქართულ-კილო თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ლლონტი, თბილისი, 1984.

**შავშ. ფად. და სხვ.** – შავშეთი, წიგნის ავტორები: მ. ფაღავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე და სხვ.; რედაქტორი მ. ფაღავა, ბათუმი, 2010.

**ა. შან.** – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, ქართული კილოები მთაში, თბილისი, 1984.

**დ. ჩუბ.** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ–რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1984.

**ნ. ჩუბ.** – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1961.

**ხევს. ჭინჭ.** – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005.

**ჯავახ. ზედგ.** – გ. ზედგენიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბილისი, 2014.

**ჯავახ. მარტ.** – ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბილისი, 1984.

NINELI CHOKHONELIDZE

## On the History of Some Relative Homonyms

### S u m m a r y

Homonyms the constituent parts of which have different phonetic variants and therefore can be combined into different pairs are called relative homonyms, e.g.

**batali**-o: Dialect. **I. batali** [Arab.] "ruined place". Middle Geo. **II. Batali, baitali, beitali** "horse veterinarian" – D. Chub. See I. **baitali**.

**baitali** -o: Middle Geo. **I. baitali** "horse veterinarian" – D. Chub. Dialect. **II. baitali** "ruined" (curse word).

**balit**-i: Dialect. **I. baliti** "betrayal, deception". Middle, New Geo, Dialect. **II. baliti** || ბათილი: [Arab.] "canceled". See I. ბათალი.

**bakal**-i: Middle, New Geo, Dialect. **I. bakali** [Arab.] "chandler" – D. Chub. Dialect. **II. bakali** "bastard". cf. bakhali. See II. bakvi.

**bakv**-i: Middle, New Geo, Dialect. **I. bakvi** 1. "მუხლს ზეითი" (Saba), "thigh". **2. bakvi** "leg of cattale". See VII. bokvi. Dialect. **II. bakvi** "kid". **III. bakvi** "bird".

**bok-i:** Dialect. **I. boki** "deaf fruit". See IV. bokvi. Dialect. **II. ბოცი** "pole"; bok "ark". See II. boyvi.

**bokv-i:** New Geo, Dialect. **I. bokvi** "sycamore". Middle, New Geo, Dialect. **II. bokvi**, ბოვი, "basket-work". New Geo, Dialect. **III. bokvi** 1. «ჩარჩო, რომელშიაც [კედლის] ფიცრებია ჩასმული» "a frame for wooden wall panel" (V. Ber.). 2. "tile mold". 3. pillar. Dialect. **IV. bokvi** padlock. New Geo, Dialect. New Geo, Dialect. **V. bokvi** 1. «მომცდარი ნაყოფი ტყემლისა ან კლიავ-ლოღნომოსი» "sour plum" (I. Chk.). 2. (Lechkh.) "sour plum fruit" (M. Alav.). Dialect. **VI. bokvi:** "ერთი რიგის პარკს ბოყვს ეძახიან". (cf. bokhvi "park" Kiz. Ment.). See I. boko. Dialect. **VII. bokvi** "mimldew". Dialect. **VIII. bokvi || bakvi** "an inner side of a thigh".

**bokva:** New Geo. **I. bokva** "too big". See I. boko. Dialect. **II. bokva** "wels h onion". cf. I. boko. **boko:** Dialect. **I. . boko** fat, fluffy. Dialect. **II. . boko** "rancid" See VII. bokvi.

**glim-i:** Old, Middle, New Geo, Dialect. **I. glimi** "stubborn" – D. Chub. Dialect. **II. glimi** "sharpness". შდრ. II. "mourning".

**glova:** Old, Middle, New Geo. **I. glova** "mourn". Dialect. **II. glova** setikhi. cf. II. glimi; II. glui.

**glu-i** Dialect. **I. glu, glui:** გლუ "dark", e.g. "forest". See I. glu, gluvi "even". Dialect. **II. glui** სეთიბი. See II. გლოვა "mourning".

**gluv-i:** Middle, New Geo, Dialect. **I. glu, gluvi** "even" – D. Chub. Dialect. **II. glovi, gluvi** "plane". See II. გლოვა "mourning".

**pkhaka:** Dialect. **I. pkhaka** "cliff" New Geo. **II. pkhaka: pkhaka.** See II. pkhacha.

**pkhach-i:** New Geo, Dialect. **I. pkhachi** "carpenter's tool". New Geo. **II. pkhachi** . See II pkhacha. **pkhacha:** Middle Geo., Dialect. **I. pkhacha** 1.pkhacha. 2. pkhacha, pkhachuna, kbenia "itchy". შდრ. I. pkhachi. New Geo, Dialect. **II. ფხაკა: ♠ ფხაკას გაადენს** "He will run".

**pkheka:** Old, New Geo. **I. pkheka** "scrape". cf. I. pkhaka. Dialect. **II. pkheka: ♠ ფხეკას გაადენს, მოადენს.** See II. pkhacha.

**pkhots-i:** Dialect. **I. pkhotsi** "swept with water". cf. I. pkhaka. Dialect. **II. pkhotsi** "fendy". See II. pkacha.

The article presents the history of the above-mentioned homonyms and the opinions about them in the scientific literature.

## ზოგი ჭურჭლის სახელდებისათვის ქართულში

ისტორიული დიალექტოლოგიის საკვანძო საკითხია ლექსემა-თა სემანტიკური ჯგუფების შესწავლა. ამჯერად წარმოვადგენთ ზოგი სარწყულის ისტორიას სამწერლო ქართულისა და მისი დიალექტების მიხედვით.

### კოპე:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. - **კოპე** საღვინე არს ათის თუხტის დამტვენელი (საბა). ქვევრიდან ღვინის ამოსაღები (ჯოხის გრძელტარიანი) ჭურჭელი – აყიროსი (მწარე კვახისა). სინონ. ორშიმო. «ამოილე გვერდის ჭურიდან ღვინო! ერთი *კოპითაც* მომიტანე, არ დაგავიწყდეს! მიყვარს *კოპით* დალევა!» (ნ. ნაკაშ.). აკაციის ტვერი ...წნელის სუსტი ღობე... ქუდმოხდილი ქვევრი... *ღვინიანი* კოპე (ანა). *კოპე* საწყლეზე დვია კოვასთან (იმ., ჩვენ. ფუტკ., გურ. ჟღ.).

დიალექტებში გვხვდება აგრეთვე: **კოპინა** წყლის სასმელია ხისა (მესხ. მასალ. II, ი. გვარამ. II, 52) –ალ. ღლ. **კოფე** || **კოპე** კოფე წყლის ამოსაღებელსა ქვია (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*კოპ არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990; ჩუხუა 2017). ბ. გიგინეიშვილის აზრით, აღსადგენია ქართულ-ზანურ არქეტიპად \*კოპე (გიგინეიშვილი 2016).

### კუტალ-ი:

მკ., საშ. ქართ. **კუტალი** || **კუტალაი** || **კოტჯლი** (ბერძნ.) სასმისი: „(მივსცენ) სხუად ბროლისა წყლის სასუმელი, პირ-ცხავი **კუტალი** ერთი“ (პეტრიწ. 34, 6) – ა.შან. „**კუტალი** ოქროდსად, სავსე სასუმლითა რადთმე ტკბილითა ვითარცა თაფლითა“ (მარკ. 251r)– ი. აბულ. „იოვანე გაცუეთილმან **კუტალადთა** ღვნოდ მომართუა“ (პარხლ. მრ-

ვალთ. 611v, 30-31a)– ზ. სარჯ. და ბრძანებამ ზეთისაჲ: *კოტჯლი* ზეთისა ათთა *კოტჯლთაგან*, რამეთუ ათნი *კოტჯლნი* არიან ღომორ, ხოლო ათი ღომორ – გრივ (ეზეკ. 45, 14\*).

**კუტალი** ხის ციცხვი; ან ბალის სარწყავთა ჩარხთა გარშემო მოკრული თიხის ქილა – დ. ჩუბ. თუ ჯამი შესტყორცნო, *კუტალსა* შემოგტყორცებს (ვისრ. 264, 16). ერთად *კუტლად* ფუკისად გაყიდიან (ქ. ცხ. II, 128, 13). ჩაყარენ *კუტალსა* და ჩადევ ყუერბთა მჭედელთასა ანუ თორნესა... (ფანასკ. 355, 17).

**კუტალი** 1. ხის კუმკუმა (საბა), – ხის ჭურჭელი ტუჩიანი წყლისთვის, ხის სარწყული. ტყის მასალისგანვე კეთდება... *კუტალი* (ი. გოგებ.). [სანდალა] წამოდგება... და მოიწაფებს *კუტლით* წყალს (ს. მგალობ.). 2. ძვ. პატარა ქოთანი, – კოჭობი. ღრიანკალი ახალსა *კუტალსა* შიგან ჩაადგონ და ვეცხლსა შემოსდვან («წიგნი სააქიმოდ»). 3. (ქიზ.) საცობი ვიწროპირიანი ჭურჭლისათვის, – პირსაცავი – ქეგლი.

შდრ. დიალექტური **კუნტალი** „თუნგის მსგავსი ხის ჭურჭელი“. გოგო, მათხოვე *კუნტალი*, ამოვიღო და ვსვა წყალი (ზედუბანი, ზ.-იმერ. ძოწ.). **კუტუ**, **ყუტუ** ლაგინა (ლაგინას გურიაში პატარა საწყლო დოქს ეძახიან თუჯისას (თუშ. შან.). **კუტომ** თუჯის პატარა თუნგი ძუძუთი. *კუტობ* ქისტეთითა მოგვქონდის (თუშ. ცოც.).

აღდგენილია, ს.-ქართვ. \*კუტ- „ჭურჭელი, სასმისი“ (ჩუხუა 2000-2003).

### ჩაფ-ი:

ძვ., სამშ., ახ. ქართ. **ჩაფი** «სარწყული»: „მისცა რქისები ჳელსა ყოველთასა და სარწყულები ახლები“ G – „მისცა ნესტუ რქისა ჳელთა მათ ყოველთასა და *ჩაფები* ახლები“ (O, მსჯ. 7, 16).

აღაპი იქნებოდეს სამოცისად *ჩაფითა* ღვინითა (თისლ. 19, 28). ხოლო უკანასკნელ სპარსთაგან მიიღეს თუნგი, ჩარეჟი, და ნახევარ ლიტრა, და *ჩაფი* (კალმას. 558, 23). ერთის საპალნისაგან შვიდი *ჩაფი* ამოვიდა ნაწურით (სამ. VIII, 81, ქვ. 1).

**ჩაფი** 1. მოზრდილი ცალყურიანი ჭურჭელი თიხისა, დაბალყელიანი და ფართოპირიანი (ზოგჯერ პატარა ტუჩიგ აქვს). პატარა გომ *ჩაფით* წყალი მოარბენინა (დ. კლდ.). [ლოპიანა] გავიდა და *ჩაფების* დაცლას შეუდგა (მ. ჯავახ.). 2. ღვინის საწყაო, დაახლოებით ერთი ფუტის ტევადობისა; ამ რაოდენობის ღვინო. საუკეთესო ღვინო *ჩაფი* აბაზად ბევრჯერ ჳქონდა ნაყიდი [რაიბულს] (ვაჟა). 3. ხელ-

ჩაფი ჩაფობით ზმნს. ჩაფის წყვით. || ფიგურ. ნადველს მასხამდნენ გულში *ჩაფობით* (ვაჟა). **ჩაფკოკურა** ერთგვარი საღვინე ჭურჭელი. [მჭედელი] ისხამდა *ჩაფკოკურაში* დარჩენილ ღვინოს (ბ. ჩხ.).

**ჩაფი** კასრის მენახევერე. ის პირმრგვალი და ერთსახელურიანი თიხის ჭურჭელია. არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი წყლის ჩაფისაგან, საწყაოდ იგი დასავლეთ საქართველოში XVI, ხოლო აღმოსავლეთში XVII სს-ის საბუთებში იხსენიება (რაჭ. ფრ. 1974:183). იხ. **ჩაფი**: (მრეწ. III 2.: გურ. გვ.227; ქვ. რაჭა, III 2, გვ.185, გურ. კიწმ., ინგ. ღამბ.,ზ.-იმერ. ძოწ., გურ. ჟღ., ჯავახ. ზედგ.). გადატ. **ჩაფით უშვეფს** წვიმას კოკისპირულად წვიმს. ახლა ვეღარ წახვალ, *ჩაფით უშვეფს* წვიმას (სვერი, ზ.-იმერ. ძოწ.). **ჩაფი** ჩაფი ზან. (მეგრ. ქობ.). ჩაფი (< თურქ. çap) (გურგენიძე, რუხამე 2017: 45).

ახალქართულსა და დიალექტებში გვხვდება ჩაფისაგან ნაწარმოები კნინობითი ფორმები: **ჩაფურა, ჩაფულა, ჩაფუნა, ჩაფრუკა** პატარა ჩაფი. ჩამოვედით, ღვინო გვასვეს ყანწებით და *ჩაფურებით* (ი. ნონემ.). მეორე კუთხეში [დგას] დოქი, *ჩაფულა* და ჩაფი (ი. გომართ.). *ჩაფულათი* წასულა წყაროზე. „შენხელა კაცი *ჩაფულათი* დადიხარ წყალზე“ (იმერ. გაჩ.). **ჩაფულა** მრგვალტუჩიანი თიხის პატარა ჩაფი წყლისათვის, 10-12 ლიტრამდე ტევადობისა. *ჩაფულა* მცირე ზომის ჩაფია, 12-ლიტრიანი უკვე ჩაფია (სანახშირე). *ჩაფულაში* 10-12 ჩარეჟამდე ჩადის (განთიადი). რო დავლემ წყალს, ევიღეფ *ჩაფულას* და დავდგამ იქანა (ლელვანი). || საწყლე დოქი. ჩაფულა წყლის დოქია, უნიკარტო. თუნგულაც იხმარება, მარა უფრო ჩაფულა (ჩიხა). *ჩაფულა* რგვალტუჩიანი დოქია, ნიკარტიანი საღვინე დოქი. სონია, ერთი *ჩაფულა* წყალი მამიტანე (ზვარე). გოგო წევიდა თფილიში, იყიდა *ჩაფულა* და წყალს ყიდის. ღვინისას დოქს ეტყვიან, წყლისას – *ჩაფულას* (ქეები, ზ.-იმერ. ძოწენ).

**ჩაფრუკა**: *ჩაფრუკას* პატარას ეძახიან, დიდსა – ჩაფსა (ხოვ.). *ჩაფრუკა* პატარა ჭურჭელია, ღვინისს ამოსაღებათ ხმარობენ (გარიყ.). ამ ცხელ პურზე *ჩაფრუკით* ღვინოც გამოიტანე! (კავთ., ქართლ.ლექსიკ.).იხ. აგრეთვე: **ჩაფრუკა, ჩაფუნა** – გ. შატბ.

#### დორა:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ.: **დორა** ღვინის საწყაო: „წარიღე შენ თანა *დორად* ერთი ღვინო და მიართუ“ (მ. ცხ. 224v). **დორა** საშუალი საუკუნეების სხვადასხვა ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურე-



ბული აქვს ლ.ფრუიძეს: „მმართვეს საჩხეურს ღუნის ჯუმალი სამოც-  
დაშუდი დორა“ (1519 წ.); „ბერმა კაკრიაშვილმა შესწირა მის მიერ  
სოფ. წედისში ნაყიდი ყმაგლეხის ოჯახი, რომელიც ვალდებულყო  
ყოველწლიურად მონასტერს გადაუხადოს ოთხი დორა და ათი კოდი  
ხორბალი“ (1782 წ.) (სათანადო ლიტერატურა იხ.რაჭა 1974: 182).

**დორა** 1. თიხის ჭურჭელი (წყლისათვის). ძველთაგანვე აკეთებენ  
აქაურები (შორაპნის სოფლებში) თიხის ჭურჭელს: ჩაფს, დერგს, *დო-  
რას ...* (ბ. ჩხ.). 2. სითხის საზომი ერთეული (სხვადასხვა დროს და  
სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ზომისა იყო. *დორა* თორმეტი მანერ-  
კა არის ანუ სამი ბათმანი (ბ. ჯორჯ.). ისე მოიძებს ხუთ-ექვს თუნგიან  
*დორას*, როგორც ერთ ჩარექიანსა (ს. მაგალობ.). „*დორა-ც...ხუთლიტ-  
რიანი ყოფილა*“ (ივ. ჯავახ.). აგრეთვე: (ლექს. მრეწ. IV, III, 1989, 153;  
ლექს. ალავ.; ქართლ. მიმიგ., კეცხ., ხუბ.; ჯავახ. ბერ.). **დორა** ზან.  
(მეგრ. ქობ.). **დორაჲ**, **დორაჲ**, **დორაჲ** დორა (სვან. თოფ., ქალდ.).

შდრ. **დორობა** უნისკარტო დოქი (ლიხ., გურ. ჯაჯ.). **დურუბაი**  
სწორე პირიანი, მუცლიანი და ყელდაბალი დოქი (გურ. შარაშ.). **სა-  
დორე** სითხის ჭურჭლის დასადები მოწყობილობა ხისა (ლექს. ღლ.).

ძველსავე ქართულში სითხის საწყაოდ გვხვდება **დორაკი**, „მო-  
დრაკი“. „ადსუარული ზეთითა მეოთხედითა *დორაკისადთა*“ (გ,  
რიცხ. 15, 4). „მეექუსს ნაწილი *დორაკისად* ჟამითგან ჟამადმდე სუემ-  
დი მას“ O, – „მეექუსედი მოდრაკისად ჟამითგან ვიდრე ჟამადმდე სუა“  
(პხ., ეზეკ. 4, 11).

**დორაკი** კნინობითი ფორმაა სახელისა დორა, – დორის ნახევარ-  
რი (საბა). *დორაკიც* ლიტრიანი საზომი იყო (ივ. ჯავახ.). ძვ. ქართუ-  
ლის **დორაკი**-დან კი უნდა მომდინარეობდეს სიტყვები **დურაკი** „სა-  
წველი ჭურჭელი“ (საბა). **დურკი** ცხვრის საწველი ჭურჭელი ცი-  
ლინდრული ფორმისა, – ტაგანი, საწველელი (ფშ., ქეგლი). ფალ.  
dōrak, dōlak ჭიქა, საწყაო სპ. Dōra ვაზა, თასი (აჭარიანი, I, 1932: 68).

### მენახევრე:

**მენახევრე** ღვინის საწყაო. თიხის ჩაფი დაახლოებით 1 ფუთის  
ტევადობისა. ორი *მენახევრე* ერთი კასრია (ქვ.-რაჭ. კობახ.).

ლ. ფრუიძე, სხვადასხვა წყაროების მიხედვით, აღნიშნავს რომ  
**მენახევრე** ღვინის საწყაოდ 1504 წ. გელათის ერთ ხუცურ ნუსხაში  
იხსენიება. სახელი **მენახევრე** იმის მომასწავებელია, რომ ეს საზომი

რომელიდაც საზომის ნახევარი ყოფილა“ - წერს ი. ჯავახიშვილი. ლეჩხუმში „მენახევრე დორის ნახევარი საწყავი“-ა. ასევე რაჭაში, ოლონდ დორასთან ერთად ის კასრის ნახევარსაც უდრის. მამასადა-მე, „მენახევრე“ გარკვეული ოდენობის საწყაოს აღმნიშვნელი ხე-ლოვნურად ნაწარმოები ტერმინია. რაჭაში „მენახევრედ“ სახელდებულ ორი სახის ჭურჭელს ვხვდებით: ერთი დორის ნახევარია, ხოლო მეორე -კასრისა. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ დორის მენახევრე უსათუოდ „ნიკარტიანია“, ხოლო დორა - პირმრგვალი. სხვა მხრივ ეს ორი ჭურჭელი ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. შეიძლება ითქვას, მენახევრე იგივე პატარა დორაა, ამიტომ მას ეს სახელწოდება ხშირად შენარჩუნებული აქვს და ზოგჯერ მკვლევრებს დორა მენახევრეში ერევათ. დორისმაგვარი მენახევრის დამზადების კერა საირმეა, აქედან იგი მთელ რაჭა-ლეჩხუმში ვრცელდებოდა. ამჟამად რაჭაში ეს ჭურჭელი იშვიათად გვხვდება (რაჭ. ფრ. 183).

ვფიქრობთ, რომ **მენახევრე**: ფუძე – **ნახევარი**; **მე-ე** – აფიქსები;

ძველ ქართულში **ნახევარი** <<კერძო>>, <<ზოგი>>, ნაწილი: „აღსუარული ზეთითა ნახევრითა *დორაკისადათ*“ – შერეული ზეთითა კერძოთა მის გუერდისათა“(რიცხ.15,9). ქართული ნახევარი და სვანური ხენ-, ხენ-სგა, ხენ-სკა (ლნტ.) „ნახევარი“ სიტყვათა შეპირისპირებით მ. ჩუხუა აღადგინა ს.-ქართვ. \*ხუჷ - „ნახევარი“ (ჩუხუა 2017). ნახევარი > მე ნახევრ-ე; მე-ე აფიქსებით ჩვენს შემთხვევაში გამოიხატება დანიშნულება.

**ბარდალ-ი**:

**ბარდალი** (თურქ. bardak) ჭიქა. „თითო ბარდალი ჩაი სვით“ (ზაქ.,შავშ. ფაღ. და სხვ.); ასხალდი ბარდალი გავარდა (კლარჯ. ფაღ. და სხვ.). „ბარდალები ევლე ართვინ“(იმ.). „ჩუენ „შუმეს ვეტყვით ბარდალს“(იმ., ჩვენ. ფუტკ.).

**ბარდალი, ბარდახი** (თურქ.) დოქი, წყლის ჭურჭელი (უპირატესად თიხისა) „მალაზონს...ხელში ეჭირა ბარდალი (ნოღ.III). „ერთ დღეს გეიარეს წყალზე, რომე ერთი ნენე ბარდახით წყალს ამსობს“(ა. ზეპ., აჭარ. ნიჟ.). **ბარდალი** (თურქ.bardak) დოქი. ბარდალი ყინი წკაითენ მოვოფში“ – დოქი ცივი წყლით გავავსე (ა. თ., ლაზ. თანდ.).

**ბარდაკი:** ლ. ფრუიძის მიხედვით, **ბარდაკი** მხოლოდ რაჭისათვისაა დამახასიათებელი და უცვლელად მეორდება 1859 წლიდან მოკიდებული 1917 წლამდე...და მის შესახებ ნართაული ცნობა მიაწოდა პედაგოგმა ალ. ჯაფარიძემ: „ბარდაკი“ კათხისმაგვარი ხის დიდი სასმისის სახელწოდება უნდა იყოსო (რაჭ. ფრ. 1974: 187). ვფიქრობთ, რომ ბარდაკი, ბარდალი, ბარდახი ფონეტიკურად ცვლილი ერთი წარმომავლობის, მაგრამ სხვადასხვა დროის უცხო ნასესხობა უნდა იყოს.

### **კაპილონ-ი:**

დიალექტ. **კაპილონი** წყლის დასალევი ხის ჭურჭელი იყო. იგი სოფლის წყაროებზე ანდა იაილებისაკენ მიმავალი გზების დასასვენებელ ადგილებში გამართულ წყაროებზე გვხვდებოდა (აჭარ. მგელ.). შდრ. კალპინი სარწყული – საბა; დ. ჩუბ.

კაპილონის ფონეტიკური ვარიანტები უნდა იყოს: **კაპილა, კაპილაი** ხის ჭურჭელი, ხმარობენ წყლის, დოს... ამოსაღებად: „კაპილადა... წყალ ამოიღებ, დოს ამოიღებ... შეშიდან აკეთებენ *კაპილას*“ (ჩაქ., შავშ. ფად. და სხვ.). „*კაპილაი* ტარიანია, შეშით გაკეთებული, ყულა ავაზნი თავზე დვია, იმით წყალ სმენ“ (იმ.). „*კაპილაი* სამსეა ზეით“ (ჩვენ. ფუტკ.). „*კაპილაით* სმენ წყალსა (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **კაპირონა** სოფლისა და სხვა საზოგადო წყაროებთან წყლის დასალევი ჭურჭელი – ხისაგან გამოთლილი ტარიანი ჯამი (აჭარ. ნიჟ.).

### **კარაბა:**

ძვ., სამ. ქართ. **I. კარაბაი** ჭურჭელი ნელსაცხებლისათვის. ალაბასტრი *კარაბაი* არს [A- 88 407r] – ზ. სარჯ. აიღე ხუთი ღრიანკალი ცოცხალი და ჩააგდე ჭიქის *კარაბასა* შიგ (ფანასკ. 297, 11). შდრ. **ყარაბა** (სპ. ყარაბე) ფიალა, სასმისი. თითოსა და თითოს *კარაბას* ღვინოს დალევდიან (ხოსრ. 35, 17). **კარაბა** (ყარაბა ZAaB.; + 17, 1 იერემ. ZAa) ფრანგულია, ჭიქის საღვინეს ჰქვიან ZA – საბა.

### **მეტრო:**

ძვ., სამ. ქართ. **I. მეტროი** (ბერძნ.) საწყაული, საწყაოს ერთეული: „ღვწომ ორი *მეტროი* (პეტრიწ. 29, 1). „ღვწომ *მეტროი* ერთი“ (პეტრიწ. 29, 6). შდრ. **მეტრა, მეტრე** „გაუკეთეთ ზეთი... *მეტრად* ერთი სამსახურებელად სამარხოსა“ (ი. -ე. 54, 27) – ილ. აბულ. 15 ლიტრა ერთი მეტროა – საბა.

## გამოყენებული ლიტერატურა

**აჭარიანი 193 2-** ჰ. აჭარიანი სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ერევანი (სომხურ ენაზე). (ქართულად ნათარგმნი მასალა დაცულია ენათმეცნიერების ინსტიტუტში).

**გიგინეიშვილი 2016** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, (ა-მ), თბილისი.

**გურგენიძე, რუხაძე 2017** – ნ. გურგენიძე, ლ. რუხაძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკის შესახებ ქართული ენის ქართლისა და კახეთის დიალექტებში. – ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, X, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუხუა 2000-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუხუა 2017** – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

### წყარო:

**აჭარ. მგელ.** – ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი, აჭარა. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნ.მგელაძე – ავტორ შემდგ. ნ. მგელაძე, თ. ტუნაძე, ლ. მელიქიშვილი და სხვ. რედ.: რ. მეტრეველი, ბათუმი 2018.

**აჭარ. ნიჟ.** – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

**გ. შატბ.** – შატბერაშვილი 1975 – გ. შატბერაშვილი, თვალადური ქართულის ჭაშნიკი, ტ. IV, 1975, თბილისი.

**ა. შან.** – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, ქართული კილოები მთაში, თბილისი, 1984.

**გურ. ჟღ.** – ს. ჟღენტი, გურული კილო, ტფ., 1936.

**გურ. შარაშ.** – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი. – „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, გ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.

**გურ. ჯაჯან.** – ჰ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტი, I, თბილისი, 1977.

**დ. ჩუბ.** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ–რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანშიძემ, თბილისი, 1984.

**ეზეკ.** – ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, გამოსცა თ. ცქიტიშვილმა, თბილისი, 1976.

**ვისრ.** – ვისრამიანი, გამოსცეს ალ. გვახარია და მაგ. თოდუამ, თბილისი, 1962.

**ზ.-გურ. კიწმ.** – ნ. კიწმარიშვილი, „დაუცხრომელთა სამყოფელი“ – გურია. თბილისი, 2016 (ელექტრ.).

**ზ.-იმერ. ძოწ.** – ქ. ძოწენიძე, ზემოიძერული ლექსიკონი, თბილისი, 1974.

**თისლ.** – თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები (მასალები XIII-XVI საუკუნეების სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის) ტექსტები გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევა და საძიებლები დაურთო დ. კლდიაშვილმა, თბილისი, 1986.

**თუშ. ცოც.** – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი, 2002.

**ილ. აბულ.** – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

**იმერ. გაჩ.** – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1976.

**ინგ. ღამბ.** – რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბილისი, 1988.

**კალმას.** – იოანე ბაგრატიონი (ბატონიშვილი) კალმასობა, ქართული მწერლობა, ტ. 8, შემდგენ. ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1990, ტ. I, თბ., 1990, ტ. II, თბ., 1991.

**კლარჯ. ფად.** – კლარჯეთი. წიგნის ავტორები: პროფ. მ. ფაღავა, ემერიტ.-პროფ. მ. ცინცაძე, ასოც. პროფ. მ. ბარამიძე, პროფ. მ. ჩოხარიძე, პროფ. თ. შიოშვილი, პროფ. შ. მამულაძე, პროფ. რ. ხალვაში, პროფ. მ. მგელაძე, ასოც. პროფ. ზ. შაშიკაძე, ასოც. პროფ. ჯ. კარალიძე. რედ პროფ. მ. ფაღავა, ბათუმი, 2016.

**ლაზ. თანდ.** – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნე-ნაფუნა), თბილისი, 2013. დდე

**ლექხ. ალაგ.** – მ. ალაგიძე, ლექხუმური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.

**ლექხ. ალაგ.** – მ. ალაგიძე, მასალები ლექხუმის ეთნოგრაფიისა-

თვის. – ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწ. პედაგოგ. შრომები, IX, 1949.

**მეგრ. ქობ.** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.

**მრეწ.** – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით: 1976-1989 წწ. ტ. III ნაწ.2, 1986; ტ. IV, ნაწ. III, 1989, თბილისი.

**პეტრიწ.** – ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია, ტ. IX, თბილისი, 1986.

**რაჭ.კობახ.** – რაჭული დიალექტის ლექსიკონი, შემდგენელი ალ. კობახიძე, თბილისი, 1987.

**რაჭ. ფრ.** – ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, I, რაჭა, თბილისი, 1974.

**საბა** – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ორ წიგნად. წიგნი I, თბილისი, 1966; თხზულებანი, ტ. IV2, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1966.

**სამ.** – ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VIII, თბილისი, 1985.

**სვან. თოფ., ქალდ.** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000

**ფანასკ.** – ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, გამოსცა ი. შენგელიამ, თბილისი, 1978.

**ქ. ცხ.** – ქართლის ცხოვრება, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, ტ. II, 1959;

**ქართლ. ლექსიკ.** – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბილისი, 1981.

**ალ. ღლ.** – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 197

**ქართლ. ძიძიგ., კეცხ., ხუბ.** – შ.ძიძიგური, ნ. კეცხოველი, პ.ხუბუტია, ქართლური ლექსიკონი. დაიბეჭდა „შ.“ასომდე არ გამოცემულა.

**ქეგლი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

**შავშ.** – შავშეთი, წიგნის ავტორები: მ. ფაღავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე და სხვ.; რედაქტორი მ. ფაღავა, ბათუმი, 2010.

**დ. ჩუბ.** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1984.

**ჩვენ. ფუტკ.** – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

**ხოსრ.** – ხოსროვ-ამირ ხოსრო დეჰლევი, ხოსროვ შირინიანი, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ნ. გიგაშვილმა, თბილისი, 1979.

**ჯავახ. ბერ.** – გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1982.

**ჯავახ. ზედგ.** – გ. ზედგენიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბილისი, 2014.

NINELI CHOKHONELIDZE

### On Denominating Certain Water Storage Containers

#### S u m m a r y

The paper deals with some water storage containers such as *kope*, *kutali*, *chapi*, *dora*, *doraki*, *menaxevre*, *bardaghi*, *kapilioni*, *karaba*, *metro*. Their history is shown based on the data of literary Georgian, its dialects and other Kartvelian languages. The views on their origin presented in the special literature have been taken into account.

**სახელ მანანას სემანტიკის საკითხი ქართულში  
და მასთან დაკავშირებულ რიგ სამეცნიერო  
ფიტონიმათა განახლების აუცილებლობა**

საკოველთაოდ მიღებულია, რომ მცენარეთა კონკრეტულ სახეობებსა და გვარებს არა მხოლოდ მკაფიო და ზუსტი, არამედ ერთადერთი სამეცნიერო სახელი („პასპორტი“) უნდა მოეპოვებოდეს. ამის გათვალისწინებით, აუცილებელი ჩანს მცენარეთა არაერთი ქართული სამეცნიერო სახელის გასწორება-განახლება, ვინაიდან ამკარა მათი ბუნდოვანება, უზუსტობა. მაგალითად, *მანანა* არაერთი განსხვავებული მცენარის ოფიციალურ სახელში ფიგურირებს: *მანანა Lecanora esculenta* Eversm; *მანანა Erica*; ჩვეულებრივი *მანანა Calluna vulgaris* (L.)Huil.; წყლის *მანანა Glyceria*; *მანანის იფანი Fraxinus ornus* L. (მაყაშვილი 1961); *ხემაანა* (მცენარეთა სისტემატიკა 1973); *ხემაგვარი მანანა Erica arborea* L. (საქართველოს ფლორა 1975). *მანანა* დასტურდება მცენარეთა არაოფიციალურ სახელებადაც, შდრ.: „ფუტკრის მანანა - буквица“ (ჩუბინაშვილი 1985), „*მანანა* ლურჯთვალა ყვავილი. ფუტკარი ესევა“ (შატბერაშვილი 1975).

დაკვირვება ცხადყოფს, რომ *მანანას* დადასტურება რიგ განსხვავებულ ფიტონიმებში განპირობებულია ამ სახელის პოლისემიურობით (ასეა სხვა ენებშიც), რაც მრავალფეროვან სურათს ქმნის ქართველურ ენა-კილოთა ლექსიკაში. საკითხის უკეთ გააზრებისათვის აუცილებელი ჩანს სიტყვის სემანტიკური მრავალფეროვნების სრული სურათის დანახვა.

სახელი *მანანა* ქართულში დამოწმებულია IX საუკუნიდან. დასტურდება შემდეგი ფორმები: *ძველი ქართული მანანა/მანანა/მანა/მანაა; ახალი ქართული მანანა; მანანა-ნი* (ხევს.), *გამომანანება* (გურ.).

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ქართულში ეს სახელი „ბერძნულიდან ან ასურულიდან ჩანს შემოსული. ორი **ნ** ქართულისათვის ერთი მორფემის ფარგლებში დაუშვებელია. ამის გამო ან ერთ-ერთი **ნ** უნდა



დაკარგულიყო, ან კიდევ - გათიშულიყო ხმოვნით. ადგილი აქვს ამ შემთხვევაში კომპლექსის დაძლევის მეორე ხერხს“ (გიგინეიშვილი 2016). „ბერძნული სა-ღვთო წერილის გავლენით, ეს სიტყვა მრავალ ენაში გავრცელდა manna - ფორმით (ებრაული გრძელი ხმოვნის ნაცვლად ბერძნულში თანხმოვანი გაორკეცდა. შდრ. myrr). ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს სომხური და ქართული ენები, სადაც იხმარება manana ფორმა“ (ნედოსპასოვა 1978: 74-75).

საგულისხმოა, რომ სემიტური Mann-ს თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა იყოს: „საჩუქარი“, „წყალობა“, „მადლი“ (Бирунин А. Р. 1974: 10-19; წიგნიდან: ივანიშვილი 2014: 58).

ქართულში ამ სიტყვის შთამბეჭდავი სემანტიკური მრავალფეროვნება ნათლად წარმოჩინდება „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, თუმცა აქაც ვერ აისახება სრული სურათი. ამის ნათელსაყოფად წარმოვადგენთ ჩვენ მიერ მოძიებულ და თავმოყრილ მასალას:

### I. „შესაწირავი“, „ძღვენი“, „ხარკი“

შდრ.: „მანანა - შესაწირავი, ძღვენი, manna უძღუნებნ მას მანანასა“ O, IV, მგ. 17,3; „მოაქუნდეს შესაწირავი და სკუმეველი, მანანა და გუნდრუკი“ I, იერემ. 17, 26 (აბულაძე 1973); „მანანა-ა - ძღვენი“ (სარჯველაძე 2004); „მანანა - ა / მანანა - ა - ხარკი (სარჯველაძე 2001); „მანანა - (41, 5 იერემ; 1, 10 ბარუქ!) შესაწირავი ZAB. შესაწირავი, გინა ძღვენი (+ იერემ. 41, 5; ბარუქ 1, 10 Cb) Cbq. [1 წყაროშია: "მანაა"] (საბა 1991); „მანაა - (45, 25 ეზეკ.) შესაწირავი ZAA.“; „მანათ - ძღვენი, გინა შესაწირავით ZABCbq. ყოვლად წმიდის შობისათვის [მაქ]სიმე (თევდორე D) აღმსარებელის თქმულში: „ვინ(ა) ეგე მანაით დართულ იქმნას სიტყვითა მით ცხორებისათა“ D<sup>1a</sup> (საბა 1991); „მანანა - შესაწირავი, ძღვენი, дар, жертва, იერ.4-5; ეზეკ. 45-25; ბარუქ. 1-10“ (ჩუბინაშვილი 1985).

ძველი აღთქმის ტექსტების გავლენით მანანას<sup>1</sup> ქართულში არაერთი საინტერესო მნიშვნელობა უდასტურდება:

---

<sup>1</sup> ბიბლიური მანანა იყო: სასწაულებრივი საკმელი, რომელიც ზეციდან მიეცა ისრაელს უდაბნოში; სულიერი საკვები; მანამდე უცნობი საკვები; წააგავდა ქიხმის თესლს; იყო თეთრი ფერის; გემოთი წააგავდა თაფლის კვერს, ზეთიან კვერს; ცვარივით ეფინებოდა მიწაზე; ცვიოდა სადამოს ცვართან ერთად; ფუჭდებოდა ერთი

## II. „ზეციური საზრდელი“

შდრ.: „მანანა - „მამათა მათ ჩუენთა ჭამეს მანანა იგი უდაბნოსა მას“ ი. 6,31; „ტაკუკი ოქროდსად, სავსე მანანადთა“ ჰებრ. 9,4; „უწუმა მანანად საჭმლად“ ფს. 77, 24. (აბულაძე 1973); „მანანა-ი - მანანა“ (სარჯველაძე 2006); „მანანა - (+ 16, [32] გამოსლ. ZA) ზეცით შთამოვრდომილად (ჩამოვრდომილად B) ითქმის, ხოლო ენითა ასურულითა მანანა რ ა ე ა ო, ვინათ(გან) არა იცოდეს (იცოდენ B) რა იყო, ამისთვის იკითხვიდენ რ ა ე ა ო, და მით ეწოდა მანანა (+ მანანა თეთრი იყო, მსგავსი ქინძის მარცვლისა, თაფლებრ ტკბილი, მზე დაადნობდის“ (საბა 1991); „манна ებრ. 2. „საღმრთო წერილსა შ(ინ)ა იგულხმების ლექსისა ამისა ქუეშე ღვთისა მიერ ზეცით გარდმოვლენილი ქუეყანად ისრაელთათვის, ჟამსა მოგზაურობისა მათისასა უდაბნოსა“ (ზაგრატიონი 1986); „მანანა - „ზეცით შთამოვცვივნილი საზრდელი, მსგავსი ქინძის თესლისა, ფერით თეთრი და გემოთი ტკბილი, მზე დაადნობდის, ებრაულად *მანანა*, რაიბო; რამეთუ პირველად რა იხილეს, იკითხვიდენ *რაიბო?* და მით ეწოდა მანანა.“ (ფსალ. 77.24), *манна* (ჩუბინაშვილი 1961); „მანანა<sup>1</sup> (მანანისა) - 1. *რელიგ. ბიბლიის მიხედვით - ტკბილი და ნოყიერი საჭმელი, რომელიც ცვიოდა ზეციდან ისრაელთათვის მათი უდაბნოში მოგზაურობისას*“ (ქეგლ).

## III. „მოულოდნელი დახმარება“, „საზრდო“

მანანა „გადატ. მოულოდნელად მოსწრებული დახმარება; სასიხარულო, სასიამოვნო რამ“ (ქეგლ 1958); „შიმშილობისა და ნაკლებობის დროს მოულოდნელად საიდანმე გაჩენილი საზრდო, უხვი და იაფი მოწყალება“ (სახოკია 1979).

## IV. „წვიმა“, „ცვარი“, „ნამი“

„ნისლი - (17, 10 ფსალმ.) მზის სიმჭურვალე წყალთა... და ქვეყანათა ნოტიოთაგან ორთქლს(ა) აჰკრეფს...და შეიქმნების *ნისლი*, უკეთუ მრავალი აღილო მისგან, იქმნების წ ვ ი მ ა ნ ი და თუცა მცირედი აღილო, მ ა ნ ა ნ ა დ შეიქმნების“ (საბა 1991); *იბერ. მანანა* - „თქორი,

---

დღე-ღამით შენახვის შემდეგ; მას ისრაელნი ფჰევადნენ და კვერებს აცხოვდნენ; მანანით სავსე ჭურჭელი ინახებოდა საკურთხეველში; გაჩნდა პურის უქონლობის გამო ისრაელთა დრტვინვის შემდეგ... (ბიბლიის ლექსიკონი 2009).

წყნარი წვიმა“ (გაჩეჩილაძე 1976); *ქართლ.* „მანანა - ჟუჟუნა წვიმა“ (ქდლ 1981); *ხეც.* „მანანა-ნ-ი - ნამი/ცრემლი; სისხლის მანანა - სისხლი, სიკვდილიანობა (ჯვართ ენაზე) (ჭინჭარაული 2005); *ქიზ.* მანანა - „...სინსლივით წვიმს მზეში“ (მენტეშაშვილი 1943); *ქვ.-იმერ.:* „...მანანა პეტრე ნაწუმს, დილის ლამი - იმას ვეტყვით. ის გემრიელი ლამი ეცემა ნეშოს, ფუტკარი იმას ძლიერ ერჩის“ (ქდვ).

#### V. „მცირე“, „პატარა“

**მანანა:** „ბ უ რ ღ უ ლ ი. მანანის ფაფა“<sup>1</sup>; *ქართლ., გურ.* „მცირე, პატარა“ (ქეგლ); *გურ.* „პატარა და კარგი რამ“ (შარაშიძე 1938); *ქიზ.* „პარკის აკრეფის შემდეგ დარჩენილი თითო-ოროლა წვნიკი აბრეშუმის ჭია“ (მენტეშაშვილი 1941)<sup>2</sup>; *გურ.* „ზრდაში ჩამორჩენილი, ცახზე დაგვიანებით ასული აბრეშუმის ჭია“; „**გამომანანება** მანანა ჭიების ცალკე გამოყოფა, გამოკვება და საპარკე მოწყობილობის ცალკე გაკეთება მათთვის“ (შარაშიძე 1938).

VI. ზოგიერთი მცენარის ტკბილი „ნაწვეთი“; მცენარეზე „დანაწვიმი“ ტკბილი ნივთიერება („თაფლი ველური“; „თაფლი ველი-საი“/„მელაღრი“)

„**манна** ებრ. **მანნა** შესქელებული მოთეთრო წვენი მცირედ მოყვითლო და მოტკბო გემოთი. მოიტანებენ ნაჭრებად სხუადასხუა სიდიდისად და სახისად. მოაგროვებენ სხუადასხუა გუართა იფნთაგან იტალიასა შ(ინ)ა, რომელთა ზ(ედ)ა გავლენ ფ(რია)დ ცხელთა დღეთა შ(ინ)ა. იჭმარების ვ(ით)ა მსუბუქი სასაქმებელი წამალი“ (ზაგრატიონი 1986); „აწ მანანად უხმობენ რომელთამე ხეთა ნაწვეთსა, გამხმარსა და ტკბილსა“ (ჩუბინაშვილი 1961); „**თარანჯუბინი**<sup>3</sup> - ირან. **მანნა**, შაქრის ცვარი, რომელიც ეცემა იფნის ფოთოლზე ღამ-

<sup>1</sup> მანანის ბურღული არის სპეციალური დანადგარებით წვრილად დაღერ-ლილი (0,5 მმ-მდე დიამეტრის) ხორბალი. მას აკლიან გარსს და ცრიან. მანანის ბურღულს სხვა მარცვლოვანი მცენარეებისაგანაც ამზადებენ.

<sup>2</sup> შდრ.: „მანანის მანანა - ...მეორედ გამომანანავების შემდეგაც დარჩილი მანანა“ (მენტეშაშვილი 1941).

<sup>3</sup> შდრ., „**თესლ-მანანა** - თარანჯუბინი, манна; **თარანჯუბინა** (სპარს.) ს. მანანას თესლი, манна (ჩუბინაშვილი 1984).

დამობით, განსაკუთრებით გაზაფხულზე და შემოდგომაზე. სქელდება და კრისტალიზირდება, შაქარზე უტკბილესი და უამესია, Succus Fraxini Orientalis“ (წიგნი სააქიმოდ 1936; იადიგარ დაუდი 1938). „**მანანა**<sup>1</sup> (მანანისა)-... ჟინჟლივით **დანაწიმი** ზოგიერთი მცენარის (კაკლის, ცაცხვის, ჭინჭრის) ფოთლებზე (ჩვეულებრივ ივნის-ივლისში)“ (ქეგლ); *ფშ.* „ზაფხულში ხის ფოთლებზე **გაჩენილი თაფლი**. ბავშვები ლოკავენ ხოლმე. მას ფუტკრებიც იღებენ, მაგრამ უხარისხოა, ჩარჩობებშივე შაქრდება და არ გამოიწურება. არც ფუტკრის გამოსაკვებად ვარგა - ზამთარში ფადარათს უჩენს და ხოცავს“ (ხორნაული 2000); *ქიზ.* „... ივის ცაცხვისა და კაკლის ფოთოლზე, ჭინჭარზედაც. მზეზე ბზინავს. ფუტკარი თაფლად აგროვებს“ (მენთემაშვილი 1943).

ნივთიერება „**მანანა**“ რომ უკავშირდება ტკბილ გემოს, კარგად ჩანს ლექსიკონებში არა მხოლოდ მის, არამედ ზოგიერთი სხვა სახელის განმარტებისასაც, შდრ.: „**თაფლი ველური** - ესე არს ხე, რომელსა ლათინურად ჰ(რ)ქვიან *ერ ი კ ა*, ურთხლს(ა) ჰგავს. მისის ხელისა და ხისაგან **თაფლივით** ჩამოეწვეთების, ვიეთნი **მ ა ნ ა ნ ა დ** (აც) (მანანასაც Z) უქმობენ (სახელ-სდებენ ZA). იგი არს თაფლი ველური“; „**სიტკბო** - თაფლთა და **მანანათ(ა)** გემო და მისთანანი ZA. **თაფლ-მანანას** გემო B.“; „**ვდელი** - ვი ო ს ი პ ო ს<sup>3</sup>: „მანანა მსგავსი თაფლისა სიტკბოთა და გემოთა, ხოლო მსგავს არს ვდელსა ნელსაცხებელისასა“ ZAB. ვ ი ო ს ი პ ო ს<sup>3</sup>: „**მანანა** იყო მსგავს (მგზავს DE) თაფლისა სიტკბოებითა და გემოთა, ხოლო მსგავს (მგზავს DE) არს ვდელსა ნელსაცხებელისასა ნელსაცხებელისათა DE)“ CDE.“; **რეტი-ნე** - (43,11 დაბად.) ხის **მანანაა**, ჰველებას არგებს, ტკბილია და მწვანე(ა)...43, 11 დაბ..., რომელსა ლათინურად ეწოდების *რ ე ზ ი ნ ე ს*, რომე არს *მ კ ვ რ ი ს-კ ე ვ ი*, ხოლო *მ კ ვ რ ი ს-კ ე ვ ი* ეწოდების ყოველსავე ნაწვეთსა ხეთაგან საკმე(ვე)ლთა სუ(ლ)ნელთა გინა მანანათაგანსა მას, რომელსა თურქნი *გ ა ზ ა ნ(გ)ო ს* უწოდენ C. **მანანათაგანია**“ (საბა 1991).

ძველ ქართულში დასტურდება ერთი, ჩვენთვის საინტერესო ნასესხები სიტყვა „**მელაღრია**“, რომელიც ასეა განმარტებული: „**მელაღრია** „თაფლი ველისაჲ“: „კრებნ იგი მელაღრიასა, რომელ არს **თაფლი ველისაჲ**, საჰმელი მეუდაბნოეთაჲ“ (აბულაძე 1973); „**მე-**

**ლაღრია-ღ** - გარეული ფუტკრის თაფლი“ (სარჯველაძე 2004). სახელი **მელაღრია** ორი ბერძნული სიტყვის შერწყმის შედეგადაა მიღებული, შდრ.: **მელი** + **აგრიო/μέλι ἄγριον**“, სადაც: „**μέλι** , - **ιτος**, τὸ - **თაფლი**; **ἄγριος**, -α, -ον - **ველური**; **ἄγριος** - **მინდორი**“ (გიორგობიანი 2013), ხოლო „სოფოკლესის რომანული და ბიზანტიური ხანის ბერძნულ ლექსიკონში: **μέλι, ιτος**, τὸ - **αγριο ς** - honey-dew, upon the leaves of certain trees. „**თაფლის ცვარი, თაფლის წვეთი**“ ზოგიერთ (/განსაზღვრულ) ხეთა ფოთლებზე [19, გვ. 742]“ (სტატიიდან: „სახარებისეული „მკალისა“ და „ველური თაფლის“ განმარტებისათვის“-ბარნაველი 2012). გამოთქმულია მოსაზრება, რომ „იოანე ნათლისმცემელი ბალახის თავებით და მცენარეებით იკვებებოდა - სახარებაში ხსენებული „მკალი“ და „თაფლი ველური“ მცენარეებია“ (ბარნაველი 2012). უნდა დავაზუსტოთ, რომ „**თაფლი ველისა**“ და „**თაფლი ველური**“ ძველ ქართლში აღნიშნავს არა რომელიმე მცენარეს (ასფოდელო, ცხენისფაფარა, ერიკა...) არამედ ზოგიერთ მცენარეზე გაჩენილ **საკვებად ვარგის ტკბილ ნივთიერებას**, რაც ზოგჯერ მცენარეთა სახელებადაც კი შეიძლება დადასტურდეს<sup>1</sup>.

ჩვენი დაკვირვებით, „**მელაღრია**“/„**თაფლი ველისა**“ არის გარკვეულ მცენარეთა მიერ გამოყოფილი და ფოთლებზე გაჩენილი ტკბილი ნივთიერება, ხოლო „**თაფლი ველური**“ - მცენარის ქერქიდან „ნაწვეთი“ ტკბილი ნივთიერება. სწორედ ეს ნივთიერებებია **მანანა** და არა რომელიმე მცენარე, ან გარეული ფუტკრის მიერ შექმნილი თაფლი.

რას წარმოადგენს ეს ტკბილი ნივთიერება და რატომ ჩნდება იგი ზოგიერთ მცენარეზე? როგორც მითითებულია, გვალვიან ამინდში თაფლოვანი მცენარეები ამცირებენ ან წყვეტენ სანექტრებით ნექტრის გამოყოფას და ფოთლების საშუალებით გამოყოფენ ერთგვარ ტკბილ სითხეს. სწორედ ეს არის **მცენარეული მანანა** (მას **ვარდნილ თაფლსაც** უწოდებენ), რომელიც ფუტკარს სკაში შეაქვს ნექტრის სახით. გარდა **მცენარის მანანისა** არსებობს მანანა თაფლის მეორე სახეც - **ცხოველური მანანა**. იგი არის ფოთლის ზედაპირზე მცხოვრები პარაზიტების მიერ მცენარეული მანანით კვების შედაგად გამოყოფილი ტკბილი ექსკრემენტებისაგან შეგროვილი წვენი, რომელსაც

---

<sup>1</sup> შდრ.: „**თაფლი ველური, იმერული თაფლი** - მცენარე მსგავსი ურთხლისა; верескъ“ (ჩუბინაშვილი 1985).

ითვისებს და გადამუშავების შემდეგ ამზადებს ფუტკარი. მცენარეულთან შედარებით, ცხოველური წარმოშობის მანანა თავისი რთული ქიმიური შედგენილობით ფუტკრისათვის საშიში პროდუქტია. მანანა თავლი ადამიანისათვის უვნებელია (გიგუაშვილი 2015).

მცენარეთა მიერ გამოყოფილი ეს ტკბილი ნივთიერება, ხალხის აღქმით, ცვივა ციდან და ეპკურება ფოთლებს (ბიბლიური მანანის მსგავსად<sup>1</sup>). ის „დანაწვიმია“, „ციდან ჩამოცვინდება“, „დანაცვიმია“. მასვე უნდა უკავშირდებოდეს **მანანას** კიდევ ერთი მნიშვნელობა - მცენარის სოკოვანი დაავადება, შდრ.: *იმერ.* „**მანანა** - მცენარის სოკოვანი ავადმყოფობა. თავს იჩენს ფოთლებზე ჟანგისფერი ლაქების სახით მაღალი ტემპერატურისა და ტენიანობის პირობებში“ (ძოწენიძე 1974); „**მანანაიანი** - მანანით დაავადებული, მანანა დაყრილი ფოთლოლი; მანანით დაავადებული მცენარე“ (გაჩეჩილაძე 1976).

ამგვარად, ძველ ქართულში დადასტურებული **თავლი ველი-საი, თავლი ველური** იგივე **მანანაა** და ის არის: ა) გარკვეულ მცენარეთა ფოთლებიდან, წიწვებიდან, ხის ქერქიდან გამოყოფილი ტკბილი ნივთიერება; ბ) მცენარის ზედაპირზე მცხოვრები მწერების მიერ **მცენარეული მანანით** კვების შედაგად გამოყოფილი ექსკრემენტებისაგან მიღებული ტკბილი ნივთიერება, შდრ.: „ბირუნის ცნობილ შრომაში mann განხილულია, როგორც ზოგადი სახელი სხვადასხვა მცენარეთაგან მიღებული თხევადი ან გამაგრებული ტკბილი წვენი-სა, რომელიც იძენს შესაბამისი მცენარის თვისებებს (ისე, როგორც თავლი)“ (ივანიშვილი 2014: 58).

## VII. განსხვავებულ მცენარეთა სახელები

**მანანა** (3 მცენარე), **ჩვეულბრივი მანანა**, **წყლის მანანა**, **მანანის იფანი**, **ხემანანა**, **ხემაგვარი მანანა**, **მანანისმაგვარი იალღუნი**, **ფუტ-**

---

<sup>1</sup> თხილის ფოთოლს ეცემა, რომ დაჰხედავ, სუ ბჰყვინავს. ენა რომ აუსო, ნამდვილი თავლია. იმასა ჰლოკავენ და იმიდან შააქთ ბევრი სარჩო. იმ მანანაზე კარგი არა არის რა“; *ქვ.-იმერ.*: „ფუტკარს უყვარს მანანა, მანანა ციდან ნემოზედ ჩამოცვინდება და ფუტკარი დააფრიდება... ელისა და შკერის ყვავილზე რომ მანანა დაეცემა, მაშინ ის ფუტკრისათვის მაწყინარია. მაგრამ ცაცხვის ყვავილზე რომ მანანა დაეცემა, მაშინ ის მარგებალი და კარგია ფუტკრისთვის... მანანა რომ ნემოზედ დაცემულა, იმდენი დაცემულა, რომ ფუტკარს ენა ამოუტლიკავს და ენა დაუსველებია...“ (ქდკ)

კრის მანანა. ამათგან გამოვარჩევთ *Lecanora esculenta*-ს (ლიქენი), რომელიც ალ. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ ასეა წარმოდგენილი: „**მანანა (ბიბლ.)**, **манна библейская**, *Lecanora esculenta* Eversm.“; სხვა ლექსიკონებში: „**მანანა** (ქართლ.-კახ.) Манна. Var. mannifera Ehrh. Manna Isralitorum“ (ერისთავი 1884); „**მანანა** (ებრ.), ს. მცენარე, манна“ (ჩუბინაშვილი 1985). მაყაშვილის ლექსიკონში წარმოდგენილი *ქართ.* „**მანანა (ბიბლ.)**“ და *რუს.* „**манна библейская**“ ასახავს მეცნიერებაში არსებულ იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ის, რაც ებრაელებს უდაბნოში საზრდოდ მოეწვინა, შეიძლება ყოფილიყო მცენარე (ლიქენი), რომლის ზეციდან ჩამოცვენა შესაძლებელია აიხსნას მეცნიერულადაც<sup>1</sup>.

მცენარეთა მთელი რიგი ქართული ოფიციალური სახელები, სადაც დასტურდება სახელი **მანანა** შესაძლებელია გასწორდეს, დაზუსტდეს და, თუკი ამ ცვლილებებისას აუცილებელია სახელთა თარგმნა, უპირატესობა მიენიჭოს არა რუსულის მონაცემებს, არამედ ლათინურ (საერთაშორისო) სახელებს.

„მცენარეთა სახელების კრებისთი ლექსიკონისათვის“ განვახორციელეთ შემდეგი ცვლილებები: 1. დავამატეთ 2 ახალი ოფიციალური სახელი: **მანანიანი იაღლუნი** *Tamarix mannifera* (Ehrenb.) Bunge; **შემკული იფანი** *Fraxinus ornus* L.; 2. მცენარეთა სინონიმურ სახელებად დამატებით დავადასტურეთ: *ქართლ.* **მანანა** (შატბერაშვილი 1975), **ფუტკრის მანანა** (ჩუბინაშვილი 1985) (ძითის ბარამჩაი, მთის ბარსპირა *Betonica grandiflora* Willd); 3. ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად გვარ **Erica** -სათვის გვაქვს არა **მანანა**, არამედ **ერიკა** (საბას მიხედვითაც **მანანა** ჰქვია არა ხე **ერიკას**, არამედ მისგან ნაწვეთ

---

<sup>1</sup> **მანანა** პატარა ლიქენია, რომელიც გვხვდება ცხელ ადგილებში. ის გამოშრობის შემდეგ ქარს მაღლა მიაქვს, ხოლო, როდესაც ქარი ჩადგება, ატმოსფერული წნევის ცვალებადობის შედეგად ლიქენი დედამიწაზე წვიმის სახით ბრუნდება. სავარაუდოდ, ასევე მოხდა დიდი გამოსვლის დროს და *Lecanora esculenta* (*aspicilia esculenta* L.) უდაბნოში მოხეტიალე ებრაელებს მოულოდნელ საზრდოდ მოეწვინა, თუმცა არსებობს სხვა ვარაუდიც (რასაც ვერ გავიზიარებთ) და **ბიბლიური მანანა** გულისხმობს სინას ნახევარკუნძულზე არსებული იაღლუნის (*Tamarix*) ერთ-ერთ სახეობას და „ებრაული სიტყვა [manna] აღნიშნავს იაღლუნის ერთ-ერთი სახეობის ნაყოფს (*Tamarix gallica mannifera*), რომლის წებოვანი ტკბილი წვენი დამწიფებისას წვეთავს...“ (ნედოსპასოვა 1978: 74-75).

ტკბილ ნივთიერებას); 4. მანანა და ბიბლიური მანანა ქართულ სამეცნიერო სახელებად გვაქვს მხოლოდ *Lecanora esculenta*-სათვის (1.მეცნიერები ამ მცენარეს აკავშირებენ ბიბლიურ მანანასთან; 2. ფიტონიმი ამავე მნიშვნელობით გვაქვს რ. ერისთავის, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებსა და თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში).

ამგვარად: ჩვეულებრივი მანანა > ჩვეულებრივი კალუნა *Calluna vulgaris* (L.) Huil.; წყლის მანანა > გლიცერია *Glyceria*; მანანა, ერიკა > ერიკა *Erica*; ხემანანა, ხემაგვარი მანანა > ხემაგვარი ერიკა *Erica arborea* L.; მანანაიანი იალღუნი *Tamarix mannifera* (Ehrenb.) Bunge; შემკული იფანი *Fraxinus ornus* L.; მანანა (ბიბლ.) > მანანა, ბიბლიური მანანა *Lecanora esculenta* Eversm.

სახელ მანანას მრავალფეროვან მნიშვნელობათაგან ქველში არ დასტურდება: 1. ძვ. ძღვენი, შესაწირავი, ხარკი; 2 მცენარის მიერ გამოყოფილი ტკბილი სითხე; 3. ტერმინი მანანის თაფლი; 4. გადატ. უხვი და იაფი მოწყალეობა; 5. ბოტ. ბიბლიური მანანა *Lecanora esculenta* Eversm; 6. მცირე ნალექი (საბა); გურ., ქართლ. თქორი, წყნარი წვიმა, ყუყუნა წვიმა; ხევს. ნამი//ცრემლი (ჯვართ ენაზე); 8. ქართლ. გურ. პატარა და კარგი რამ; 9. მცენარის სოკოვანი დაავადება.

### გამოყენებული ლიტერატურა

**აბულაძე 1973:** ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**ბაგრატიონი 1986:** ი. ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ბარნაველი 2012:** მ. ბარნაველი, სახარებისეული „მკალისა“ და „ველური თაფლის“ განმარტებისათვის, ჟურ. „ქართველოლოგი“, 27(12), kartvelologi.tsu.ge/public/ge.

**ბიბლიის ლექსიკონი 2009:** ბიბლიის ლექსიკონი (მასალები), ტ. I, თბილისი.

**გაჩეჩილაძე 1976:** პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი.



**გიგუაშვილი 2015:** მ. გიგუაშვილი, თავლოვანი მცენარეები, ყვავილობის დრო და ნექტარპროდუქტულობა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, <http://education.ge>

**გიორგობიანი 2013:** თ. გიორგობიანი, ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**ერისთავი 1884:** რ. ერისთავი, ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებებიდან, თბილისი.

**იადიგარ დაუდი 1992:** დ. ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, თბილისი.

**ივანიშვილი 2014:** მ. ივანიშვილი, მცენარეთა სახელები ქართულ ოთხთავში, თბილისი.

**მაყაშვილი 1961:** ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

**ნედოსპასოვა 1978:** მ. ნედოსპასოვა, უცხოური წარმოშობის ლექსიკა არაბულ ოთხთავში, თბილისი.

**საბა I, 1991; II, 1993:** სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი.

**სარჯველაძე 2004:** ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი.

**საქ. ფლ 1975:** საქართველოს ფლორა, ტ. III, (გამოცემა მე-2), თბილისი.

**სახოკია 1979:** თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი.

**ქც** ქართული დიალექტური კორპუსი, <http://www.corpora.co/#/corpus>

**ქეგლი 1951-1964:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

